საავტორო უფლებათ

შალვა ჩხეტია

არქივები
და
საარქივო საქმე

ძველ აღმოსავლეთში, ძველ კლასიკურ ქვეყნებში, მუსლიმანურ აღმოსავლეთში და დასავლეთ ევროპაში.

(ისტორიული მიმოხილვა)

I

ტფილისი.
1928

თავი მეოთხე. დასავლეთი ევროპა.

1. საშუალო საუკუნეები 112
2. ახალი ეპოქა 128

თავი მეხუთე. დას. ევროპის თანამედროვე ქვეყნები.

1. საფრანგეთი ,, 140
2. ინგლისი 164
3. გერმანია და ავსტრია 187

თავი მეექვსე. სახელმწიფო არქივების ცენტრალიზაცია დას. ევროპის დანარჩენ ქვეყნებში.

1. იტალია 216
2. ბელგია 223
3. ესპანეთი ,, 228
4. შვეიცარია 232
5. დანია 234
6. ჰოლანდია ,, 236

თავი მეშვიდე. დასკვნა

1. არქივებისა და საარქივო საქმის განვითარების საერთო სურათი. 241

საძიებლები.

1. საკუთარი სახელების საძიებელი 254
2. გეოგრაფიულ სახელების საძიებელი 262
3. ტერმინების საძიებელი 268

ავტორისაგან.

Ut desint vires, tamen
est laudanda voluntas.

წინამდებარე შრომა წარმოადგენს საარქივო საქმის საერთო ისტორიის ცდას. ამავე დროს იგი არის სხვადასხვა ქვეყნებში არქივების განვითარების ცალ-ცალკე მიმოხილვის თავმოყრაც. შრომაში განხილულია ძველი აღმოსავლეთი, ძველი კლასიკური ქვეყნები, საშუალო საუკუნეების დასავლეთი ევროპა და დასავლეთ ევროპის თანამედროვე ქვეყნები. თვითეული ქვეყანა განხილულია მოკლედ, მხოლოდ იმდენად, რამდენად ეს საჭირო იყო საარქივო საქმისა და არქივების განვითარების მთლიანი სურათისათვის საერთო მასშტაბით, მაგრამ ამასთანავე ისე, რომ მკითხველს ზოგადად მაინც დასრულებული წარმოდგენა ჰქონოდა თვითეულ ქვეყანაში ამ დარგში საქმის მდგომარეობის შესახებ.

საქართველო ამ შრომაში შეგნებულად შეტანილი არ არის, რადგან ავტორს განზრახული აქვს საქართველოს არქივების ისტორია ცალკე წიგნად (მეორე ნაწილად) გამოსცეს. ამას მოითხოვდა ერთის მხრივ საქართველოს არქივების თავისებური, სხვა ქვეყნის არქივებისაგან განსხვავებული, გზით განვითარება წარსულში და ასეთივე განსხვავებული მათი მდგომარეობა ჩვენს დროში, ხოლო მეორეს მხრივ ის გარემოება, რომ საქართველოს არქივების ისტორიის, მისი უფრო ფართედ და მონოგრაფიულად შესწავლის აუცილებლობასთან დაკავშირებით, ვრცლად შეტანა ამ შრომაში, რომელიც, როგორც ვთქვით, საარქივო საქმის საერთო ისტორიას წარმოადგენს, მთლიანობას დაარღვევდა და საერთო სურათის წარმოდგენას მხოლოდ ხელს შეუშლიდა.

ამ ჟამად ჩვენ მიერ წარმოდგენილი შრომა (პირველი ნაწილი) საერთოდ არქივთმეცნიერების დარგში პირველ ცდად უნდა ჩაითვალოს იმ მხრივ, რომ მას წინამორბედი არ ჰყოლია: ამ ხასიათის წიგნი, რამდენად ვიცით, სხვა ენაზე ჯერ არავის დაუწერია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში პროფ. ა. სმირნოვის კონსპექტურ, მაგრამ სასარგებლო შრომას „Очерки по истории архивнаго дела"-ს (იაროსლავლ, 1922 წ.), რომელიც თავისი შინაარსითა და მოცულობით არსებითად განსხვავდება ჩვენი წიგნისაგან, და რომელიც, მაშასადამე, მის მაგიერობას, სხვა მხრივ არსებულ განსხვავებასაც თავი რომ დავანებოთ, ვერ ვასწევს. მართალია, არქივების განვითარება იმ ქვეყნებში ცალცალკე, რომლებიც ჩვენ ამ წიგნში განხილული გვაქვს, ასე თუ ისე, შესწავლილია და სათანადო შრომებიც (ყოველ შემთხვევაში ზოგიერთ ქვეყნების შესახებ მაინც) მრავლად მოიპოება, მაგრამ არქივებისა და საარქივო საქმის საერთო ისტორია, როგორც ვთქვით, ჯერ არავის შეუდგენია.

ეს გარემოება ერთგვარ დაბრკოლებასა და სიძნელეს ჰქმნიდა ავტორისათვის მის მიერ დასახულ ისედაც საკმაოდ ძნელ მიზნის განხორციელების დროს. ამ დაბრკოლებას კიდევ უფრო ართულებდა ერთის მხრივ ის გარემოება, რომ ავტორს საშუალება არ ჰქონდა, ტფილისის ბიბლიოთეკებში უქონლობის გამო, ესარგებლა ყველა იმ საჭირო წყაროებით, რომელიც საკითხის სისრულით დასამუშავებლად აუცილებელი იყო, ხოლო მეორეს მხრივ ისიც, რომ მის ხელთ მყოფი წყაროების გამოყენებაც, მათი ხასიათის სხვადასხვაობის გამო, ერთი გარკვეული კონცეპციის დაცვით, თავისთავადაც საკმაოდ ძნელ საქმეს წარმოადგენდა: სხვადასხვა თვალსაზრისითა და სხვადასხვა მეთოდით შედგენილ შრომების მიხედვით საერთო ისტორიის დამუშავებისათვის საჭირო იყო არა მარტო მათი უბრალო შეერთება, არამედ საფუძვლიანი გადამუშავება და სინთეზიც ყველაფერს ამას, როგორც ხელისშემშლელი ფაქტორი,

ემატებოდა აგრეთვე ის არახელსაყრელი და ზოგჯერ პირდა-პირ აუტანელი პირობები, რომელშიც ავტორს უხდებოდა და დღესაც უხდება საერთოდ სამეცნიერო მუშაობის წარმოება და კერძოდ ამ წიგნის შედგენა. ყველაფერი კი ერთად აღებული შეუძლებელს ხდიდა ჯეროვანი სისრულით დასახული მიზნის განხორციელებასა და დეფექტების აცილებას.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამ შრომას ბევრი ნაკლი აქვს. ეს ნაკლი ჩვენ ჯერ კიდევ მაშინ შევამჩნიეთ, როდესაც შრომა ხელნაწერად დავასრულეთ, მაგრამ წიგნის დეფექტები ჩვენთვის უფრო აშკარა შეიქნა მას შემდეგ, როდესაც დასავლეთ ევროპის ქვეყნების არქივების შესახებ ახალი ლიტერატურა შევიძინეთ და მათი საშუალებით საგანს უფრო ღრმად გავეცანით. ამიტომ ჩვენ საჭიროდ დავინახეთ მის შესწორებაგადაკეთებასა და შევსებას შევდგომოდით. მაგრამ მიმდინარე წელს საქართველოს ცენტრარქივთან საარქივო კურსების გახსნის შესახებ დადგენილებასთან და საარქივო კურსების პროგრამაში არქივების ისტორიის შეტანასთან დაკავშირებით, სათანადო სახელმძღვანელოზე პრაქტიკულ მოთხოვნილების მწვავედ წამოჭრამ გვაიძულა წიგნის გადამუშავება მომავლისათვის გადაგვედო და მის ამ სახით გამოცემაზე (რაც ცენტრ. არქივს საჭიროდ მიაჩნდა). დავთანხმებულვიყავით.

ამრიგად ჩვენი შრომის გამოცემა, შეიძლება ითქვას, გამოწვეულია უმთავრესად პრაქტიკული მოთხოვნილებით: არქივისტების მოსამზადებელ და გადასამზადებელ კურსების მსმენელთათვის არქივებისა და საარქივო საქმის საერთო ისტორიის სახელმძღვანელოს მიწოდების მიზნით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს შრომა მისი მრავალი ნაკლისდა მიუხედავად, მართლაც გაუწევს დახმარებას ამ კურსების მსმენელთ. მეორეს მხრივ ეს წიგნი დახმარებას გაუწევს ჩვენი არქივებისა და საარქივო დაწესებულებების მუშაკებსაც, რომელნიც ამ წიგნის საშუალებით სხვათა შორის დასავლეთ ევროპის მდიდარ გამოცდილებასაც გაეცნობიან საარქივო საქმის თეორიისა და ტეხნი-

კის დარგში. დასასრულ, ამ წიგნის გაცნობა სარგებლობას მოუტანს ჩვენი უნივერსიტეტის საისტორიო დარგის იმ სტუდენტებსაც, რომელნიც არქივთმეცნიერებას სწავლობენ, და რომელნიც ამ დარგში ყოველგვარ სახელმძღვანელოს მოკლებულნი არიან.

არქივთმეცნიერ-სტუდენტებისათვის და საერთოდ იმათთვის, ვისაც ამ საგნის უფრო ფართედ შესწავლა სურთ, წიგნის სათანადო ადგილას (თვითეულ ქვეყნის არქივების ისტორიის მიმოხილვის შემდეგ) მოყვანილია საარქივო ლიტერატურის მოკლე ბიბლიოგრაფია [1]. ამათ შორის ზოგიერთი წყაროებით ჩვენ ძალიან ფართედ ვსარგებლობდით, ზოგჯერ ავტორის კონცეპციის დაცვითაც [2].

შ. ჩხეტია.

---

[1] დასახელებულ ლიტერატურას შორის ნაჩვენები გვაქვს აგრეთვე ისეთ წყაროებიც, რომელთაც ამ საგანთან უშუალო კავშირი არა აქვთ, მაგრამ ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ფორმების განვითარებისა (რასაც არქივების განვითარებაც უკავშირდება) და ისტორიული პერსპექტივის გათვალისწინებისათვის მნიშვნელობა აქვთ. ყოველ შემთხვევაში ასეთი ლიტერატურა, როგორც ამა თუ იმ ქვეყნის შესახებ ისტორიულ ცნობების შემცველი, ჩვენის აზრით, მხოლოდ ხელს შეუწყობს მსურველს სათანადო ქვეყნის საერთო განვითარებასთან დაკავშირებით არქივების განვითარებაც უფრო ნათლად წარმოიდგინოს.

[2] საძიებლის შედგენის დროს გვეხმარებოდა თ. გ ა ლ დ ა ვ ა ძ ე, რისთვისაც მას მადლობას უძღვნით.

შესავალი.

დამწერლობა, წერილობითი ძეგლები, არქივი.

1. დამწერლობისა და წერილობითი ძეგლების გაჩენა და ამ ფაქტის მნიშვნელობა კაცობრიობისათვის.

კაცობრიობას, როგორც ზოგიერთები ამბობენ, განუსაზღვრელი წყურვილი და მისწრაფება აქვს უკვდავებისა და მარადისობისადმი: მას სურს მარად არსებობდეს და თავის არსებობის კვალიც წარუშლელი გახადოს. ალბად ამით აიხსნება ის გარემოება, რომ კაცობრიობა ცდილობს დაიცვას და შეინახოს თავისი წარსული ცხოვრების შესახებ ყოველგვარი ცნობები და მოგონებები. ადამიანსაც, კერძოდ რომ ავიღოთ ისევე როგორც მთელს კაცობრიობას საერთოდ, დიდი სურვილი ჰქონდა მუდამ და აქვს დღესაც უკვდავჰყოს თავისი სახელი და წარუშლელი გახადოს სამარადისოდ მის მიერ გავლილ ცხოვრების კვალი. ცნობილია, მაგალითად, რომ ადამიანი უძველეს დროიდანვე ცდილობდა შეენახა და შთამომაელობისათვის ეანდერძებია ყველაფერი ის, რასაც შეეძლო მოეთხრო შემდეგი თაობისათვის მის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამბავი. ჩვენ ვიცით, რომ ასურეთისა და ბაბილონის მეფეები თავიანთი ლაშქრობისა და გამარჯვებების შესახებ წარწერებს ამოაჭრევინებდენ ხოლმე ისეთ მაღალ და მიუვალ კლდეებზე, სადაც არავის მიწვდომა და, მაშასადამე, წარწერის გაფუჭება აღარ შეეძლო, იმ მიზნით, რომ მათი გმირობისა და მოღვაწეობის ამბავი სამუდამოდ შენახულიყო და შთამომაელობას გადასცემოდა. ნაწილობრივ ასეთივე მიზანი ჰქონდათ ეგვიპტეს ფარაონებს, როდესაც ისინი უზარმაზარ პირამიდებს აშენებდენ

და შიგ თავიანთი მოღვაწეობისა თუ პირადი ცხოვრების მომთხრობ წარწერებსა და მხატვრობას ათავსებდენ.

ასეთი სურვილი და მისწრაფება, რომელიც ამათუიმ სიძლიერით და ამათუიმ სახით, ახასიათებს ყველა ეპოქისა და ხანის ადამიანს, რა თქმა უნდა, ჩვენი დროის ადამიანსაც, უნდა ჩაითვალოს ადამიანის თანდაყოლილ და, მაშასადამე, ბუნებრივ თვისებად. ამ თვისებას კაცობრიობის განვითარების ისტორიაში, იმისდა მიუხედავად, რომ მას ეგოისტური ელემენტები ახასიათებენ, ერთობ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: მან სხვა ფაქტორებთან ერთად ხელი შეუწყო კაცობრიობის წინსვლასა და პროგრესს იმ მხრივ, რომ შესაძლებელი გახადა წარსული გამოცდილების გამოყენება.

კაცობრიობის წინსვლასა და ადამიანის ინტელექტის განვითარებასთან ერთად სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების გართულებამ საჭირო გახადა, როგორც ცალკე ადამიანთა შორის, ისე აგრეთვე სახელმწიფოსა და მის წევრთა შორისაც უკლებრივ თუ სხვაგვარ ურთიერთობის განსაზღვრა და ამ ურთიერთობის ნორმების ჩამოყალიბება. ურთიერთობის ეს ნორმები საუკუნეთა სიგრძეზე, რა თქმა უნდა, მუდმივ ცვალებადობას განიცდიდენ იმისდა მიხედვით, თუ როგორ იცვლებოდა თვით სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ფაქტორები, მაგრამ ეს ცვლილებები არც ისე სწრაფად ხდებოდენ და ერთხელ დამყარებული თუ შექმნილი ნორმები დიდ ხანს საზღვრავდენ ადამიანთა შორის ურთი-ერთი დამოკიდებულებას. ეს ნორმები ტრადიციისა, ზნე-ჩვეულებისა და ადათის სახით, არსებობდენ თითქმის ყოველ საზოგადოებაში, მათ შორის პირველ ყოფილ საზოგადოებაშიც, როდესაც სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია კაცობრიობისათვის ჯერ კიდევ სრულიად უცნობი იყო, მაგრამ ამ ნორმებს განსაკუთრებული მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ მიეცა, როდესაც კერძო საკუთრების ინსტიტუტი, საზოგადოების კლასიური დიფერენციაცია და სახელმწიფო გაჩნდა, ამიერი-

დან ადამიანთა, ზოგჯერ სახელმწიფოთა შორისაც იურიდიულ თუ სხვაგვარ ურთიერთობის განმსაზღვრელ ნორმების, ვითარცა საყოველთაოდ სავალდებულო წესების თუ ვალდებულებების, არამც თუ დადგენა, არამედ ფიქსაციაც აუცილებელი შეიქნა. სამოქალაქო კანონები, ხელშეკრულებები კერძო პირთა და სახელმწიფოთა შორის, პირობები, ვალდებულებანი, თამასუქები და სხვა იურიდიულ-უფლებრივი აქტები, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს გაჩენასთან დაკავშირებით შექმნილ სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობების საფუძველზე, საზოგადოებრივი ცხოვრების გართულების შედეგად, ძალაუნებურად უნდა გაჩენილიყვენ.

კაცობრიობისა და ადამიანის თანდაყოლილი მისწრაფება თავის არსებობის უკვდავჰყოფისა და თავის მოღვაწეობის შტამამავლობისათვის გადაცემისადმი ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ აუცილებლობა, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს გაჩენასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ცხოვრების გართულების შედეგად წარმოშობილი, სხვა გარემოებებთან ერთად, საფუძვლად დაედვა დამწერლობის გამოგონებასა და ადამიანის მიერ თავისი აზრის წერილობით, ე. ი. საგანგებო ნიშნებით ნივთიერ საგნების საშუალებით, გამოხატვას. ასეთი მისწრაფება და ადამიანთა შორის უფლებრივ ურთიერთობის რეგულიაციის აუცილებლობა, როგორც ვნახეთ, შორეულ წარსულს ეკუთვნის და ამიტომ, ცხადია, დამწერლობაც უძველეს დროში უნდა გაჩენილიყო. მართლაც პალეოგრაფიული და არქეოლოგიური აღმოჩენებით დადასტურებულია დამწერლობის არსებობა, რა თქმა უნდა, სხვადასხვა სახით, ჯერ კიდევ რამოდენიმე ათასი, ან უკეთ რამოდენიმე ათეული ათასი წლით წინ ქრისტეს დაბადებამდე. ასე, მაგალითად, ეგვიპტელების იეროგლიფების (ე. წ. ცნებათადამწერლობის) ძეგლები ეკუთვნიან მე 40-ცე საუკუნეს ქ. წ., ქალდეველებისა, ასურელებისა, ბაბილონელთა, ურარტელების და სხვა ხალხთა ლურსმული (ე. წ. ხაზოვანმარცვლოვანი) დამწერლობის ნიმუშები

მე 29 საუკუნეს ქ. წ. ფინიკიელთა ანბანთა დამწერლობის უძველესი ძეგლი, რომელიც კვიპრის კუნძულზეა ნაპოვნი, ეკუთვნის მე-9 საუკუნეს ქ. წ. ასეთივე შორეულ წარსულს ეკუთვნის ბერძნების, ებრაელების, ჩინელების, სპარსელების და სხვა ხალხთა ძველი დამწერლობის ძეგლები.

დამწერლობა, რომლითაც ჩვენს დროში სარგებლობს კაცობრიობა, წარმოადგენს საუკუნეთა განმავლობაში მრავალგზის შეცვლილს მემკვიდრეობას: მან გაიარა მთელი რიგი საფეხურებისა და მხოლოდ ბოლოს შესძლო ადამიანმა გამოეგონა ის მარტივი საშუალება აზრის გამოხატვისა, რომელიც დღეს შეადგენს თანამედროვე კაცობრიობის კუთვნილებას. იყო დრო, ამბობს ი. შ ნ ი ც ე რ ი, როდესაც ადამიანმა არამც თუ არ იცოდა წერა, არამედ არც ჰფიქრობდა მის შესაძლებლობაზე. იმ დროს არც იყო წერილისა და დამწერლობის მოთხოვნილება. ადამიანები ერთ მეორისაგან დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწეოდენ, ცხოვრობდენ პატარა ოჯახებად ან ჯგუფებად, არ ჰქონ დათ არავითარი საზოგადოებრივი საქმეები და ინტერესები და ამიტომ სავსებით ახერხებდენ ზეპირი სიტყვების საშუალებით ერთიმეორის გაგებას. თუ მათ შემთხვევით რაიმე საქმე გაუჩნდებოდათ კიდევაც,—ამ საქმის მოგვარებას ახერხებდენ უშუალო, ე. ი. პირადი და სიტყვიერი ურთიერთობისა და მოლაპარაკების საშუალებით. მაგრამ დროთა განმავლობაში კაცობრიობის გამრავლებასა და თვით ცხოვრების გართულებასთან ერთად, ადამიანთა შორის ურთიერთობაც თანდათანობით სულ უფროდაუფრო გართულდა. ადამიანები უკვე აღარ ცხოვრობდენ ცალკე ოჯახებად და ჯგუფებად, არამედ ისინი შეადგენდენ მთელს ტომებსა და ხალხებს, ყველგან დაიწყო არსებობისათვის გაძლიერებული ბრძოლა და ამ ბრძოლის გამო ადამიანებს უფრო ხშირად უხდებოდათ ერთმეორესთან შეჯახება. ამის შედეგად თანდათანობით თავი იჩინა საზოგადოებრივმა ინტერესებმა: ადამიანებმა უსამართლობისა და ბოროტმოქმედების თავიდან ასაცილებლად დაიწყეს საერთო ძალით

სათანადო საშუალებების გამონახვა. ზოგჯერ მათ უხდებოდათ გაერთიანება, რათა საერთო ძალით დაეცვათ თავი მეზობელ ხალხთა შემოსევისაგან. ერთი სიტყვით, დროთა განმავლობაში ადამიანთა შორის ურთიერთობა ისე გახშირდა, რომ ზეპირი სიტყვით ერთიმეორის გაგება ყოველთვის არ იყო ხოლმე შესაძლებელი. ზეპირსიტყვაობით სარგებლობა შესაძლებელი იყო მხოლოდ უშუალო ურთიერთობის დროს; მაგრამ როდესაც ადამიანთ საშუალება არ ჰქონდათ პირადად სალაპარაკოდ ერთიმეორის ნახვისა, რაც ხშირი შემთხვევა იყო, მაშინ ზეპირსიტყვაობა გამოუსადეგარი იყო. აი ამიტომ უძველეს დროიდანვე ადამიანები ცდილობდენ მოენახათ ენის გარდა სხვა რაიმე საშუალება თავის აზრისა და სურვილის გადასაცემად: ამ ცდის შედეგი იყო დამწერლობის გამოგონება.

დამწერლობის გამოგონებასა და ადამიანის მიერ თავის აზრის წერილობით გამოხატვას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა; ამით ადამიანმა გადასჭრა ერთი უძნელესი და უდიდესი ამოცანა: ხორცი შეასხა თავის სიტყვას და მით თავისი აზრიც უკვდავჰყო. დამწერლობის წყალობით ადამიანის აზრი, იდეა, ცოდნა, ერთი სიტყვით მთელი მისი გონებრივი და სულიერი ცხოვრება არ კვდება ადამიანთან ერთად, არამედ შეინახება უცვლელად განუსაზღვრელ დროის განმავლობაში და გადაეცემა ძვირფას მემკვიდრეობად შემდეგ თაობას. თანამედროვე განათლებული ქვეყნების ადამიანის ცხოვრება იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული დამწერლობასთან, რომ დამწერლობის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა თვით განათლება და ცივილიზაციაც. მხოლოდ დამწერლობის საშუალებით ხდება შესაძლებელი საუკუნეთა სიგრძეზე შეძენილ ცოდნისა და გამოცდილების დამახსოვრება, წინაპართა მიხწევების შეთვისება და გამოყენება. მთელი რიგი გენიალურ აღმოჩენებისა, და გამოგონებისა, როგორიცაა, მაგალითად, ტელეგრაფი, სტენოგრაფია, ბეჭედითი ხელოვნება და სხვა უშუალოდ დაკავშირებულია დამწერლობასთან.

თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს დამწერლობას კაცობრიობის კულტურულ განვითარებისათვის, სჩანს იმ უდავო ფაქტიდან, რომ თვითეულ ხალხის განვითარების საფეხური დაკავშირებულია მის დამწერლობის განვითარების საფეხურთან და მრავალ ერთა დაკნინება დამოკიდებულია იმაზე, რომ მათ არა აქვთ დამწერლობა. ერთი სიტყვით დამწერლობის ისტორია, როგორც სამართლიანად ამბობს იგივე ი. შ ნ ი ც ე რ ი, იმავე დროს არის ადამიანის კულტურის მსოფლიო ისტორიაც და მას პროგრესისა და ცივილიზაციის საერთო სურათში ყველაზე თვალსაჩინო ადგილი უკავია. მართალია გერმანელი მწერალი ვ უ ტ კ ე, რომელიც ამბობს: „დამწერლობა—ეს არის სასწავლებრივი, ამოუწურავი ფიალა შემეცნებისა და სიბრძნის, ეს არის ფიალა, რომელიც ყოველთვის რჩება სავსე, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მისგან იღებს“-ო. [1]

2. წერილობითი ძეგლების დაცვა-შენახვის აუცილებლობა და არქივის გაჩენა.

დამწერლობის გამოგონებასა და ადამიანის მიერ თავის ნააზრევის წერილობით აღნიშვნას, როგორც ვამბობდით, უმთავრესად ის დანიშნულება ჰქონდა, რომ ეს ნააზრევი დაავიწყებას არ მისცემოდა (ეამთა განმავლობაში კაცობრიობის მეხსიერებიდან არ წარხოცილიყო) და, წერილობითი ძეგლების სახით, შთამომავლობის კუთვნილებად გამხდარიყო. შთამომავ-

[1] იმისდა მიხედვით, თუ როგორ ვითარდებოდა დამწერლობისა და მწიგნობრობის ხელოვნება, კაცობრიობის საერთო გავნითარებასთან დაკავშირებით, დამწერლობის ძეგლებისათვის სხვადასხვა დროს სხვადასხვა მასალა იხმარებოდა: ჯერ ქვა, ლითონი, ძვალი, თიხა, ხე და საერთოდ მაგარი, შედარებით მძიმე და ხშირად ძნელად შესაძრავი ნივთიერება იყო მიღებული, შემდეგ თხელი მსუმბუქი და რბილი მასალა—პაპირუსი, ტყავი, ეტრატი და ქაღალდი შემოვიდა ბოლო მასთან დაკავშირებით საწერი იარაღიც იცვლებოდა: მაგარ ნივთიერებაზე დამწერილობისთვის სხვანაირ იარაღსა ხმარობდენ, ვიდრე შემდეგ დროინდელ თხელ მასალაზე დასაწერად.

ლობას ეს ძეგლები, რამდენად ისინი ერთის მხრივ უფლებრივ მდგომარეობისა და სავალდებულო იურიდიულ ნორმების შემცველ საბუთებსა, ხოლო მეორეს მხრივ წინაპართა ცოდნისა და გამოცდილების საუნჯეს წარმოადგენდენ,—პრაქტიკულ-იურიდიულ მიზნებისათვის სჭირდებოდა,.მაგრამ მეორეს მხრივ ეს ძეგლები, რამდენად ისინი საისტორიო თუ სხვა დარგის მეცნიერებისთვის პირველ წყაროების შემცველ საბუთებსა და, მაშასადამე, მათთვის დასაყრდნობ ბაზას წარმოადგენდენ,—პრაქტიკულ ინტერესთან ერთად ისტორიულ და მეცნიერულ ღირებულების მატარებელნი იყვნენ. ამავე დროს ამ ძეგლებს, რაკი ისინი ამა თუ იმ ეპოქის, როგორც თვითეულ ქვეყნის შიგნით, ისე მათ შორის, ეკონომიურ, პოლიტიკურ, სოციალურ და იდეოლოგიურ ურთიერთობის გამომხატველი მოწმობები იყვნენ,—ბუნებრივად პოლიტიკური მნიშვნელობაც ენიჭებოდათ. პოლიტიკურ მნიშვნელობას წერილობითი ძეგლები ჰპოულობდენ განსაკუთრებით გაბატონებულ კლასის ხელში, რომელსაც თავისი ბატონობის განსამტკიცებლად წინამორბედი კლასისაგან სხვა მემკვიდრეობასთან ერთად დოკუმენტალური მემკვიდრეობაც სჭირდებოდა, ვინაიდან საწარმოო ძალთა ურთიერთობაში თვითეული ცვლილება და ძალა-უფლების ერთი კლასის ხელიდან მეორეს ხელში გადასვლა, აუცილებელს ხდიდა უკანასკნელის მიერ ძველი წესწყობილებისა და ხელისუფლების დოკუმენტალურ მემკვიდრეობის დაუფლებასა და ამ მემკვიდრეობაში ნაანდერძევ გამოცდილების შესწავლა-გამოყენებას. ეს გარემოება კი წერილობით ძეგლებს გაბატონებულ კლასის ხელში ბრძოლის უძლიერეს იარაღისა და ხელისუფლების მიუცილებელ ატრიბუტის მნიშვნელობას ანიჭებდა.

წერილობითი ძეგლების პრაქტიკულ-იურიდიული და მეცნიერულ-ისტორიული მნიშვნელობა თანდათანობით იზრდებოდა საუკუნეთა სიგრძეზე იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ დროთა განმავლობაში იზრდებოდა თვით სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტორები და ამ

ფაქტორების შემსწავლელი საისტორიო დისციპლინები. მეორეს მხრივ საწარმოო ძალთა განვითარებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ჩქარის ტემპით დაწინაურების შედეგად წარმოშობილ სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის რთულ სისტემებთან დაკავშირებით, თანდათანობით იზრდებოდა და მრავლდებოდა წერილობითი ძეგლების რაოდენობაც. წერილობითი ძეგლების მნიშვნელობისა და რაოდენობის ზრდა ცხოვრების ზრდასა და კაცობრიობის წინსვლას ფეხდაფეხ მისდევდა: საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების კვალი წერილობითი ძეგლებში რჩებოდა უმთავრესად და ეს ძეგლები საისტორიო მეცნიერებისათვის მთავარ წყაროს წარმოადგენდენ.

წერილობითი ძეგლების გამრავლებამა და მათი მნიშვნელობის ზრდამ ბუნებრივად დაჰბადა საკითხი მათი დაცვისა და შენახვის შესახებ. მაგრამ გამრავლების გარეშეც წერილობითი ძეგლების შენახვის აუცილებლობა მათი დანიშნულებიდანაც ლოგიკურად გამომდინარეობდა: თუ ეს ძეგლები დაცული და შენახული არ იქნებოდენ, შტამამავლობას როგორ გადაეცემოდა წინაპართა ცოდნა და გამოცდილება, რომელიც სწორედ ამ ძეგლებში იყო დაუნჯებული. მაშინ დამწერლობის გამოგონებისა და დაწერილი საბუთის მნიშვნელობაც ხომ სავსებით გაბათილდებოდა და ზეპირსიტყვაობის მნიშვნელობას გაუთანასწორდებოდა, რა თქმა უნდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წერილის საშუალებით დაშორებულ მანძილზე ადამიანთა შორის ურთიერთობისა და კავშირის გაბმა იქნებოდა საჭირო. თუ ადამიანის ნააზრევის შენახვა და შტამომავლობისათვის გადაცემა იყო საჭირო, თავისდათავად ცხადია, საჭირო იყო თვით იმ წერილი საბუთის შენახვაც, რომელიც ამ ნააზრევის აღბეჭდვას წარმოადგენდა: ის ნივთიერი მასალა, რომელზედაც და რომლის საშუალებით ადამიანმა თავისი აზრი გამოხატა იმისთვის, რომ ის სხვის, განსაკუთრებით შემდეგი თაობის კუთვნილებად გამხდარიყო, უნდა დაცულ და შენახულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში წერილის არსებობას აზრი

ეკარგებოდა და მიზანი, რომელსაც იგი ემსახურებოდა მიუხ-
წეველი რჩებოდა.

ამავე დროს ეს წერილობითი საბუთები ისე უნდა შენა-
ხულიყო, რომ საფრთხისაგან უზრუნველყოფასთან ერთად მა-
თი გამოგონება როგორც პრაქტიკულ, ისე აგრეთვე მეცნიე-
რულ მიზნებისათვინ ადვილად და დაუბრკოლებლად შისაძლე-
ბელი ყოფილიყო. ასეთი მოთხოვნილება საბუთების დაცვისა
და შენახვის დროს ნაკარნახევი იყო განსაკუთრებით იმ გარე-
მოებით, რომ მათი რაოდენობა და მოთხოვნილებაც, როგორც
ვამბობდით, თანდათანობით სულ უფრო და უფრო იზრდებო-
და, რაიც საბუთების გამოყენებისათვის სათანადო პირობებს
მოითხოვდა. ერთი სიტყვით, როგორც სახელმწიფოსა და კერ-
ძო მოქალაქეთა, ისე აგრეთვე საისტორიო მეცნიერების ინტე-
რესებიც მოითხოვდენ, რომ წერილობითი ძეგლები, რომელთაც
მათ სხვადასხვა მიზნებისათვის სარგებლობა უხდებოდათ, დაცულ-
შენახულ ყოფილიყვნენ დაუზიანებლად და ამასთანავე ისე,
რომ ეს სარგებლობა ადვილად და დაუბრკოლებლად შესაძლე-
ბელი ყოფილიყო.

ამას გარდა წერილი საბუთი, ვიდრე ის საისტორიო გა-
მოკვლევას საფუძვლად დაედებოდა, უნდა შესწავლილ ყოფი-
ლიყო მისი საისტორიო მასალად ვარგისობისა თუ უვარგი-
სობის გამორკვევის მიზნით და მხოლოდ ასეთი წინასწარი
ანალიზის შემდეგ შეიძლებოდა მისი გამოყენება. საჭირო იყო
საბუთის შინაარსისა და ხასიათის წინასწარ გამორკვევა მკვლე-
ვარის მიერ იმისათვის, რომ მას შესძლებოდა ამ საბუთით
სარგებლობა. უამისოდ საბუთი ვერც მკვლევარს და ვერც
მეცნიერებას ვერ გაუწევდა ჯეროვან სამსახურს. მაგრამ ამი-
სათვის უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო იმის ცოდნა, არსე-
ბობს თუ არა საერთოდ ის საბუთი, რომელიც მკვლევარს
სჭირდებოდა ამა თუ იმ საკითხის გამოსარკვევად და შესასწავ-
ლად. ე. ი. საჭირო იყო წერილობითი ძეგლების, ვიდრე ის
გამოკვლევის ობიეკტი და წყარო გახდებოდა, აღთვალვა და

აღრიცხვა. ასეთი აღთვალვა და აღრიცხვა, რა თქმა უნდა, სათანადო წესისა და სისტემის მიხედვით უნდა მომხდარიყო, რათა საბუთების რეგისტრაციასა და სისტემაში მოყვანას გაეადვილებია მკვლევარისათვის სამეცნიერო მუშაობა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც წერილობითი ძეგლები მოწესრიგებული და აღწერილი იქნებოდენ, შესაძლებელი იყო მათი, ვითარცა საისტორიო საბუთების, გამოყენება.

სამეცნიერო მიზნებისათვის საბუთების გამოსაყენებლად წინასწარ დამუშავებასა და მომზადებას იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ეს მნიშვნელობა იმდენად შეგნებულიც იყო, რომ კაცობრიობა უძველეს დროიდანვე მას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა: წერილობითი ძეგლების დაცვა და მოვლა-პატრონობა თითქმის ყოველ ეპოქაში და ყოველ ქვეყანაში შეადგენდა ხელისუფლების მფარველობისა და მზრუნველობის საგანს. ამ მზრუნველობის შედეგია ის გარემოება, რომ დღეს თანამედროვე კაცობრიობას მოეპოება ისეთი წერილობითი ძეგლები, რომელნიც ჩვენს წინაპრებს რამდენიმე ათასი და ათეული ათასი წლის წინეთ შეუქმნიათ, და რომლების წყალობით ჩვენ შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ შორეულ წარსულში ადამიანის ყოფა-ცხოვრებისა და საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი ვითარების შესახებ.

წერილობითი ძეგლების შენახვისა და მოვლა-პატრონობის აუცილებლობას ბუნებრივად უნდა მოჰყოლოდა ისეთი ინსტიტუტის გაჩენა, რომელსაც ეს მოვალეობა ექნებოდა დაკისრებული. ამ ინსტიტუტს უნდა ჰქონოდა დაკისრებული, ერთის მხრივ ამ ძეგლების დაგროვება და დაცვა-შენახვა, ხოლო მეორის მხრივ მათი კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია. ამ მიზნისთვის სპეციალური ინსტიტუტის შექმნა იმიტომ იყო აუცილებელი, რომ ეს მოვალეობა არც ისე ადვილი და მარტივი იყო, რომ მისი შესრულება შესაძლებელი ყოფილიყო სხვათა შორის. პირიქით, წერილობითი ძეგლების დაცვა-შენახვა და მათი სეისტორიო მასალად გამოსაყენებლად წინას-

წარი მომზადებისათვის საჭირო იყო განსაკუთრებულ მზრუნ-ველობასთან ერთად, სპეციალური ცოდნა. ამ მოვალეობას კიდევ უფრო ართულებდა და სპეციალურ ინსტიტუტის შექმნის აუცილებლობასაც მაშასადამე, აძლიერებდა ის გარემოება, რომ წერილობითი ძეგლები და მათი მოთხოვნილება თანდათანობით სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. თუ პირველ ხანებში, როდესაც ასეთი ძეგლების რაოდენობა ერთობ მცირე იყო და მათი მოთხოვნილება მხოლოდ პრაქტიკული მიზნებით განი-საზღვრებოდა, სპეციალურ დაწესებულების არსებობა არც იყო აუცილებელი, შემდეგ ხანებში, როდესაც მათი რაოდენობა და საისტორიო მეცნიერების მოთხოვნილება წერილობითი საბუ-თებზე გაიზარდა,—ასეთი ინსტიტუტის შექმნა აუცილებელი გახდა. სახელმწიფოს, კერძო მოქალაქეებს და თვით საისტო-რიო მეცნიერებას ერთნაირად სჭირდებოდათ წერილობითი საბუთები და, ცხადია, ის დაწესებულებაც, რომელიც ამ სა-ბუთების დაცვა-შენახვასა და მოვლა-პატრონობას ემსახურე-ბოდა.

უძველეს დროში ასეთ დაწესებულებებს წარმოადგენდენ ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ე ბ ი, ხოლო შემდეგში—ა რ ქ ი ვ ე ბ ი. ბიბლიო-თეკების, ვითარცა წერილობითი ძეგლების საცავი დაწესებულე-ბის, არსებობა შორეულ წარსულს ეკუთვნის. შენახულია მრა-ვალი ცნობები იმის შესახებ რომ ასეთი ბიბლიოთეკები ჯერ კი-დევ ძველეს დროში ჰქონდათ თითქმის ყველა ხალხებს, რომელ-თაც ცივილიზაციის განსაზღვრულ საფეხურამდე მიაღწიეს. ასურელებს, ბაბილონელებს, ფინიკიელებს, ებრაელებს და სხვა ხალხებსაც რამოდენიმე ათასი წლის წინეთ ქ. დ. მოე-პოებოდათ მშვენივრად მოწყობილი საბუთთა-საცავები ბიბლიო-თეკების სახით, რომლითაც იმ დროის მკვლევარებიც სარგე-ბლობდენ მეცნიერულ მიზნებისათვის. ბიბლიოთეკები დიდ ხანს ასრულებდენ ასეთი დაწესებულების დანიშნულებას და მათ მაშინ სხვა დანიშნულება არც ჰქონდათ. ასე რომ მაშინ-დელი ბიბლიოთეკები ნამდვილ არქივებად შეიძლება ჩაითვა-

ლონ სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით: ბიბლიოთეკებში სწარმოებდა დაწერილი საბუთების დაგროვება, კლასიფიკაცია, და სისტემაში მოყვანა. ბიბლიოთეკებსვე ეკისრებოდათ, რა თქმა უნდა, პრაქტიკულ და მეცნიერულ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება საბუთებისა და საბუთებში დაცულ ცნობების დაინტერესებულ პირთა თუ დაწესებულებათათვის მიწოდების მხრივ.

შემდეგში ბიბლიოთეკებს ჩამოერთვათ საბუთთა-საცავ დაწესებულების ფუნქციები და, როგორც ვიცით, მათ სხვა ფუნქციები დაეკისრათ, ხოლო წერილობითი ძეგლების საცავად სპეციალური დაწესებულებები გაჩნდენ, არქივის სახელწოდებით, ან უკეთ რომ ვთქვათ, საბუთების საცავ დაწესებულებათ, ბიბლიოთეკის ნაცვლად სხვა სახელი—არქივი—ეწოდათ. ტერმინი „არქივი“ ამ მნიშვნელობით ხმარებაში შემოდის მხოლოდ 1 საუკუნეში ქ. წ., როდესაც საბუთთასაცავების, ვითარცა სპეციალურ და ამავე დროს დამოუკიდებელ დაწესებულებების არსებობა საყოველთაო მთელენას წარმოადგენდა. მანამდე კი ამ ცნების აღსანიშავად სხვადასხვა ტერმინი იხმარებოდა, ზოგჯერ იმისდა მიხედვით, თუ სად იყო ხოლმე ეს დაწესებულება მოწყობილი. ხოლო საბუთთა საცავები ხშირად ტაძრებთან იყო ხოლმე მოწყობილი და ამ ტაძრის სახელს ატარებდა კიდეც. ასე, მაგალითად, საბერძნეთში სახელმწიფო არქივი მოთავსებული იყო ღმერთების დედის ტაძარში—მეტროონში (τὸ Μητρῶον) და ეს ტერმინი არქივის მნიშვნელობით იხმარებოდა იქ თითქმის 1 საუკუნემდე ქ. წ. ზოგჯერ არქივები კერძო სავაჭრო სახლებთანაც იყო ხოლმე მოწყობილი, როგორც მაგალითად ჯუმ-ჯუმაში ნაპოვნი ეგიბის სავაჭრო ფირმის არქივი, რომელიც ამ სავაჭრო ფირმის სახლთან იყო მოთავსებული. უფრო ხშირად კი არქივები სასახლეებთან, ან კიდევ რომელიმე სახელმწიფო დაწესებულებასთან იყო ხოლმე მოწყობილი. ძველს აღმოსავლეთში, მაგალითად, სახელმწიფო

არქივების ბინად ყოველთვის მეფის სასახლეებთან ცალკე შენობა ან ოთახი იყო ხოლმე განკუთვნილი.

ამრიგად, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ უძველეს დროში ბიბლიოთეკები არქივის ფუნქციებს არა მარტო სხვათა შორის ასრულებდენ, არამედ მათ სხვა დანიშნულება არც ჰქონდათ, ცხადია, არქივების გაჩენა უძველეს დროს უნდა მიეკუთვნოს, იმ დროს, როდესაც დამწერლობა და წერილობითი ძეგლები გაჩნდენ. მართლაც, უკანასკნელი დროის არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა უდავო გახადა ასეთი არქივების არსებობა შორეულ წარსულში ძველ და ანტიურ ქვეყნებში: ასურეთ-ბაბილონში, ეგვიპტეში, ფინიკიაში, მიდიაში და სხვაგანაც. უფრო მეტიც, ამ აღმოჩენების წყალობით, დამტკიცდა, რომ ძველ ხალხებს ეს არქივები ისე კარგად ჰქონიათ მოწყობილი, რომ თანამედროვე ქვეყნებსაც ზოგჯერ შეეძლოთ მათგან ბევრი რამ ესესხებიათ არქივების მოწყობის დარგში.

3. არქივის განვითარების ზოგადი მომენტები.

არქივი თანამედროვე კაცობრიობის კულტურულ ცხოვრების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, სახელმწიფოებრივ ცხოვრებაშიც მას, ვითარცა წინაპართა ცოდნა-გამოცდილების საუნჯეს და კლასთა ბრძოლის ერთ-ერთ იარაღს, საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს. იგი წარმოადგენს ძვირფას საგანძურს, სადაც ისტორიულ-იურიდიულ მასალებისა და აქტების სახით, ინახება მრავალ საუკუნეთა სიგრძეზე დაგროვილი ადამიანთა ცოდნა და გამოცდილება. ეს საგანძური იმავე დროს წარმოადგენს დიდ ლაბორატორიას, სადაც მძაფრი მეცნიერული მუშაობა სწარმოებს და სადაც, სახელმწიფო დაწესებულებათა თუ კერძო პირთა პრაქტიკულ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან ერთად, წარსული ცხოვრების სურათი და ისტორიის ფურცლები იწერება. ამით აიხსნება ის

გარემოება, რომ თანამედროვე კულტურულ ქვეყნებში არქივი და საარქივო საქმე სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის ცალკე და ერთ-ერთ აქტუალური მნიშვნელობის დარგად არის მიჩნეული: არქივი, ვითარცა დამოუკიდებელი დაწესებულება, სახელმწიფოს დაწესებულებათა საერთო სისტემაში, ემსახურება ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ინტერესებს, ამავე დროს ის, როგორც წინამორბედთა დოკუმენტალური მემკვიდროეა, წარმოადგენს ხელისუფლების მიუცილებელ ატრიბუტს.

მაგრამ ასეთი თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი ადგილი სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში არქივმა მხოლოდ თანდათანობით მოიპოვა. წერილობითი ძეგლების დაცვისა და, მაშასადიმე, არქივების მოწყობის აუცილებლობა, როგორც ვამბობდით, ადამიანს დიდი ხნით ადრე, ჯერ კიდევ უძველეს დროში, ჰქონდა შეგნებული, მაგრამ საუკუნეთა განმავლობაში ეს შეგნება, სხვადასხვა გარემოებათა ზეგავლენით ცვალებადობას და მერყეობას განიცდიდა. მთელ რიგ მიზეზთა გამო დროთა სიგრძეზე მუდამ იცვლებოდა შეხედულება და დამოკიდებულება არქივისადმი, ხოლო ამ გარემოებასთან დაკავშირებით ცვალებადობას განიცდიდა თვით არქივის ბედიც: იგი ხან უზრუნველყოფილი იყო საფრთხისაგან, ხან კიდევ საფრთხის მსხვერპლი ხდებოდა და სამუდამოდ იღუპებოდა, ან კიდევ ნაწილობრივი ზიანს განიცდიდა.

სამი ტიპის დამოკიდებულება არქივებისადმი ერთიმეორეს სცვლიდენ, ებრძოდენ ან თანაარსებობდენ მათი განვითარების ისტორიის სიგრძეზე:

1) პირველი ტიპის დამოკიდებულება არქივებისადმი —ეს იყო, როგორც პროფ. დობიაშ-როჟდესტვენსკაია ეძახის, ველური დამოკიდებულება, რომელიც უფლებრივი აქტისა და ისტორიული ძეგლების მნიშვნელობის სრულს უცოდინარობას ჰგულისხმობს: უკულტურო ადამიანმა სრულიად არ იცის, თუ რა მნიშვნელობა აქვს წარსული გაცნობას აწმყოსა და მომავლის შესასწავლად; მან არ

იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მიზნისთვის წარსულის ძეგლებს. ამიტომ ისტორიულ საბუთებს და მათ საცავ დაწესებულებას—არქივს მის თვალში არავითარი ღირებულება და ფასი არა აქვს. ცხადია, არქივისადმი ასეთი დამოკიდებულების დროს იგი, განვითარებისა და გაფართოების ნაცვლად ინგრევა და ნადგურდება; ოდესლაც კულტურულ ძალით შექმნილი საგანძური—არქივი, უკულტურო და ბარბაროსულ ძალასთან შეხების დროს უმალ ილუპება.

2) მეორე ტიპის დამოკიდებულება, როგორც იგივე დობიაშ-როჟდესტვენსკაია ეძახის, არის პრაქტიკულ-ანგარებიანი დამოკიდებულება არქივისადმი. ეს დამოკიდებულება ჰგულისხმობს ისეთ შეხედულებას, რომლის მიხედვით საჭირო არის მხოლოდ თავისი არქივის დაცვა, სხვისი არქივის მოსპობა კი სავსებით დასაშვებია. ამ შემთხვევაში საბუთისა და არქივის მნიშვნელობა შეგნებულია და ეს შეგნება ხშირად რელიგიურ კულტამდეა აყვანილი კიდეც. მაგრამ ისევე, როგორც ერთი რელიგიის თაყვანისცემა ჩვეულებრივად მეორის აბუჩად აგდებასა და უარჰყოფას ჰგულისხმობს, აქაც ერთი არქივის მფლობელი მეორე უფლების მფლობელობაში მყოფ არქივს უარყოფითად და ხშირად ბარბაროსულად ექცევა. ჩემი და ჩემთვის საჭირო არქივის დაცვა—კეთილი საქმეა, ხოლო სხვის არქივისა—ბოროტებაა,—აი როგორ შეიძლება გამოიხატოს ამ დამოკიდებულების დედაზრი. ცხადია ასეთი დამოკიდებულების დროსაც არქივი საფრთხისაგან უზრუნველყოფილი არ არის, პირიქით მას მოსპობა და განადგურება მოელის, მაგრამ ამ შემთხვევაში არქივის დანგრევას ტენდენციური ხასიათი აქვს: დაცულია ერთი, საფრთხის ქვეშაა მეორე.

3) დასასრულ, მესამე ტიპის დამოკიდებულება—ეს არის უანგარო-მეცნიერული ინტერესი წარსულის ძეგლებისადმი და მათ საცავ დაწესებულება—არქივისადმი. ეს დამოკიდებულება ჰგულისხმობს საბუთების დიადი მნიშვნელობის სრულს შეგ-

ნებას, მისდამი ობიეკტურ და უანგარო სიყვარულს. ამ შემთხვევაში არქივის ბედი უზრუნველყოფილია, მას ადამიანის სურვილისაგან გამომდინარე საფრთხე არ მოელის, პირიქით იგი მის მუდმივ მფარველობისა და მზრუნველობის ქვეშ იმყოფება. ამ უანგარო-მეცნიერულ დამოკიდებულებამ და სიყვარულმა არქივისადმი გადაარჩინა იგი საუკუნეთა სიგრძეზე ათასგვარ საფრთხეს, რომელიკ მას მუდამ, განსაკუთრებით სოციალ-პოლიტიკურ ცვლილებების დროს, ევლინებოდა და მოსპობას უქადდა.

დასახელებული სამი ტიპის დამოკიდებულება არქივისადმი, როგორც ვთქვით, საუკუნეთა განმავლობაში ერთი მეორეს ებრძოდენ ან თანაარსებობდენ და არქივების არსებობის მთელს ხნის სიგრძეზე გავლენას ახდენდენ მის ბედზე არა მარტო შინაარსის ცვალებადობისა და ძეგლების უზრუნველყოფის თუ საფრთხის ქვეშ დაყენების მხრივ, არამედ არქივების, ვითარცა დამოუკიდებელი დაწესებულების, ორგანიზაციული ფორმების ჩამოყალიბების მხრივაც. მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, თუ როგორ ვითარდებოდა საუკუნეთა განმავლობაში თვით საზოგადოებისა და სახელმწიფოს ორგანიზაციული ფორმები. არქივის ორგანიზაციული ფორმები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირი იყო იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა ქვეყანაში საზოგადოებისა და სახელმწიფოს ორგანიზაციული ფორმები სხვადასხვანაირი იყო. მაგალითად, ასურეთისა და ბაბილონის ან კიდევ ეგვიპტეს არქივები ორგანიზაციული ფორმების მხრივ განსხვავდებოდენ საბერძნეთისა და რომის ან კიდევ მუსულმანურ აღმოსავლეთის არქივებისაგან, რომლებთანაც მათ, რა თქმა უნდა, ბევრი საერთოც ჰქონდათ; საშუალო საუკუნოების არქივები განსხვავდებოდენ ძველი დროის არქივებისაგან, ხოლო თანამედროვე არქივებიც ამ მხრივ განსხვავდებიან სხვა დროის არქივებისაგან.

მეორეს მხრივ არქივის განვითარების ისტორიაში დიდი

მნიშვნელობა ჰქონდა ურთიერთ გავლენასა და მიბაძულობას. ერთი ქვეყნის სოციალ-პოლიტიკურ პირობების ნიადაგზე საარქივო საქმის დარგში წარმოშობილი რომელიმე იდეა ჩვეულებრივად, ამ ქვეყნების ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობის შედეგად, ფეხს იკიდებდა მეორე ქვეყანაშიც. ამგვარ გავლენას, თავისდათავად ცხადია, მეორე ქვეყნის არქივის განვითარებასა და ორგანიზაციაზე ახდენდა ისეთი ქვეყანა, სადაც კულტურა შედარებით უფრო მაღალ საფეხურზე იდგა და სადაც საარქივო საქმეც ამასთან დაკავშირებით უკეთ იყო ხელმე დაყენებული. მაგალითად, ძველს დროში ასურეთისა და ბაბილონისაგან არქივების მოწყობა შეითვისეს ძველი აღმოსავლეთის სხვა ხალხებმა; ეგვიპტელების არქივების ორგანიზაციას დიდი გავლენა ჰქონდა მუსულმანურ აღმოსავლეთისა და კერძოდ სპარსეთის არქივების მოწყობაზე, ხოლო საერთოდ ძველმა აღმოსავლეთმა ამმხრივ გავლენა მოახდინა საბერძნეთისა და რომის არქივების განვითარებაზე. ძველ აღმოსავლეთისა და კლასიკურ ქვეყნების, მათ შორის განსაკუთრებით რომაელების, პრაქტიკა და ტრადიცია საბუთების შენახვა-დაცვისა და არქივების მოწყობის საქმეში საფუძვლად დაედვა საშუალო საუკუნოების საარქივო საქმეს.

არქივების ცენტრალიზაციისა და კონცეტრაციის პრინციპიც, რომელიც თანამედროვე საარქივო საქმის ძირითად პრინციპს წარმოადგენს, უცნობი არ იყო ძველი ქვეყნებისათვის, პირიქით ამ პრინციპების წარმოშობისა და ცხოვრებაში გატარების იდეა სწორედ ძველს აღმოსავლეთს ეკუთვნის. აქვე ჩვენ ვხედავთ საარქივო ტეხნიკისა და არქივთმოწყობის იმ ელემენტებს, რომელნიც შემდეგში საფუძვლად დაედვა საარქივო საქმეს: არქივთსაცავებს სათანადო მოწყობილობითა და ინვენტარით, აღწერებსა და კათალოგებს, მასალებით სარგებლობის წესებს, არქივების გადარჩევის წესებს და სხვა. შენახულია, მაგალითად, ასურეთ-ბაბილონის მეფეების ბრძანებები, რომლებიდანაც ცხადად სჩანს, რომ ასურეთსა და ბაბილონში

მეფეები საკმაოდ დიდ ყურადღებას აქცევდენ არქივების კეთილმოწყობისა და საბუთების ჯეროვანად დაცვის საქმეს. შენახულია აგრეთვე მრავალი საბუთები, რომლებიც ამტკიცებენ იმას, რომ მეფეების ბრძანებები არქივების კეთილმოწყობის შესახებ ცხოვრებაში ტარდებოდა.

შემდეგში საბუთების შენახვისა და არქივების მოწყობის ტეხნიკა, როგორც ვამბობდით, ასურეთ-ბაბილონიდან შეითვისეს აღმოსავლეთის სხვა ხალხებმა, მათ შორის ეგვიპტელებმაც. ეგვიპტელებმა ასურელებისა და ბაბილონელებისაგან გადაიღეს აგრეთვე არქივების ცენტრალიზაციის იდეაც: თუ ასურეთ-ბაბილონში მეფეები საგანგებო ბრძანებებით განსაკუთრებულ მოხელეებს — მწერლებს — ავალებდენ ისტორიულ და ლიტერატურულ თვალსაზრისით საინტერესო საბუთების სახელმწიფო არქივში მოგროვებას, ეგვიპტეში ჩვენ ვხედავთ, რომ პროვინციის არქივებს დავალებული ჰქონდათ თავიანთი საბუთების პირები გადაეგზავნათ ცენტრალურ არქივისათვის.

ასურეთ-ბაბილონი და ეგვიპტე, როგორც ვიცით, წარმოადგენდენ ისეთ სახელსწიფოებს ძველს აღმოსავლეთში, სადაც მმართვა-გამგეობა და ხელისუფლება ცენტრალისტურ საფუძველზე იყო მოწყობილი. ამიტომ ამ სახელმწიფოებში არქივების ცენტრალიზაციის იდეის წარმოშობა სავსებით ბუნებრივი და შესაძლებელი იყო; მაგრამ საბერძნეთი არ წარმოადგენდა ასეთ მონოლიტურ სახელმწიფოს, ცენტრალისტურად მოწყობილ სახელმწიფო აპარატით: იგი დანაწილებული იყო მრავალ წვრილ სახელმწიფოებრივ ერთეულებად (სპარტა, თება, ათინა და სხვა) და ეს გარემოება შეუძლებელს ხდიდა სრულიად საბერძნეთის საერთო სახელმწიფო აპარატის გაჩენას და მის ცენტრალისტურ საფუძველზე მოწყობას. ხოლო ეს გარემოება თავის მხრივ ხელს უშლიდა საბერძნეთში საარქივო საქმისა და არქივების ცენტრალიზაციის განხორციელებას. მხოლოდ მაშინ, როდესაც დეცენტრალიზაციისა და დაქუცმაცების ფაქტორები შემცირდენ და როდესაც საისტორიო

მეცნიერების ინტერესებმაც საისტორიო მასალების კონცენ-ტრაციის აუცილებლობა მწვავედ წამოაყენეს, შესაძლებელი შეიქნა საბერძნეთშიც არქივების ცენტრალიზაციის იდეისა-ვის ხორცის შესხმა.

ანტიურ ქვეყნების დაღუპვამა და მასთან მეცნიერების დაცემამ საარქივო საქმისა და არქივთმცოდნეობის დარგშიც დაკნინებისა და რეგრესის პერიოდი გამოიწვია: არქივების მი-მართ უარყოფითი შეხედულებამ და დამოკიდებულებამ ფეხი მოიდგა, ცენტრალიზაციის იდეაც დავიწყებას მიეცა. ასეთი დამოკიდებულება არქივისადმი ახასიათებს განსაკუთრებით სა-შუალო საუკუნეებს, როდესაც ისტორიისა და საერთოდ მეც-ნიერების დაკნინების გამო საბუთებსა და საბუთთასაცავებს დაეკარგათ ის აქტუალური მნიშვნელობა, რომელიც მათ წი-ნად ჰქონდათ. მხოლოდ მე-XVIII საუკუნეში ჩვენ ვხედავთ, რომ წერილობითი ძეგლებისადმი უანგარო მეცნიერული ინ-ტერესი და არქივების ცენტრალიზაციის იდეაც კვლავ იღვი-ძებს. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა საფრანგეთის დიდ რევოლიუციას ჰქონდა.

მე-XVIII საუკუნის ცნობილი ფრანგი ისტორიოგრაფი მ ო რ ო, რომელიც მოითხოვდა მთელ საფრანგეთის წერილო-ბითი ძეგლების (დედნების) ერთ ადგილში დაგროვებას, მო-გვაგონებს ბაბილონის მეფეს ა ს უ რ ბ ა ნ ი პ ა ლ ს, რომე-ლიც მე-14 ს. ქ. წ. თავის სამეფოში არსებულ ყველა საბუთებს თავს უყრიდა სახელმწიფო არქივში. ცენტრალიზა-ციის იდეამ, რომელიც მ ო რ ო მ წამოაყენა ამ შემთხვევაში, თავისი უმაღლესი გამოხატულება ჰპოვა ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი ს განზრახვაში Palais des Archives-ის აგებისა და იქ მთე-ლი ევროპის საბუთების დაგროვების შესახებ. მ ო რ ო ს, რო-გორც მეცნიერს, საისტორიო მეცნიერების ინტერესი ამო-ძრავებდა, ხოლო ნ ა პ ა ლ ე ო ნ ს, როგორც სახელმწიფო მო-ღვაწეს და დიდ პრაქტიკოსს, უეჭველია მეცნიერების ინტერე-სებთან ერთად ქვეყნის პრაქტიკული მიზნებიც ჰქონდა მხედვე-

ლობაში—მას უნდოდა ხელთ ჰქონოდა მთელი ევროპის დიპ-ლომატიის ყველა საიდუმლოებები. მოროსა და ნაპოლეონის შორეულ წინაპარს ასურბანიპალსაც, ცხადია, განზრახვა ექ-ნებოდა ერთად თავი მოეყარა ; თანამედროვე მეცნიერებისა და ლიტერატურის მიღწევებისათვის.

საფრანგეთიდან არქივების ცენტრალიზაციის იდეა, დიდი რევოლიუციის სხვა იდეებთან ერთად, გავრცელდა სხვა ქვეყ-ნებშიც. მაგრამ არქივების ცენტრალიზაციის ორგანიზაციული ფორმები სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვანაირად ჩამოყალიბდა იმ სპეციფიურ პირობებთან დაკავშირებით, რომელიც თვითეულ ამ ქვეყანათაგანში არსებობდა. ამავე პირობებთან დაკავშირე-ბით არქივმა საუკუნეთა სიგრძეზე სხვადასხვა ქვეყნებში, ურ-თიერთ გავლენისდა მიუხედავად, განვითარების სხვადასხვა ფა-ზები და საფეხურები გაიარა; საარქივო ტეხნიკასა და თეო-რიაშიც ყველა ქვეყნებში, რა თქმა უნდა, ერთნაირი მიხწე-ვები არა გვაქვს.

არქივების საერთო განვითარების ფაზების სისწორით გა-მორკვევა შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც შე-სწავლილი იქნება არქივების განვითარების საფეხურები თვითეულ ქვეყანაში ცალ-ცალკე უძველეს დროიდან მოყოლებული ჩვენს დრომდე. სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა დროს არქივების განვითარების შესწავლა საშუალებას იძლევა პარალელების გაკე-თებისა და საარქივო საქმის დარგში საერთო მიღწევების გათვა-ლისწინებისა. ეს მით უფრო, რომ ძველმა დრომ საარქივო საქმისა და არქივთმცოდნეობის დარგშიც ბევრი რამ ისეთი უანდერძა ახალ დროს, რაც დღესაც მისაღწევ იდეალად ით-ვლება ყოველ შემთხვევაში ზოგიერთ ქვეყნებისათვის.

ლიტერატურა:

1. პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია.
2. მისივე, ქართული დიპლომატიკა.

3. შ. ჩხეტია, არქივთმცოდნეობის შესავალი.

4. Я. Шницер, Иллюстрированная всеобщая история письмен.

5. Проф. В. Щепкин, Учебник русской палеографии.

6. И. Маяковский, Развитие арх. в Зап. Европе, БСЭ.

7. Проф. Андреевский, Архивы (Энциклоп. словарь. Брокгауз-Эфрон).

8. Проф. А. Смирнов, Очерки по истории арх. дела.

9. Проф. Добиаш-Рождественская, История архивов ром. Европы, А. К.

10. Проф. Г. Церетели, Материалы для письма, А. К.

11. Silverstre, Paléographie universelle. Collection des fac-similés d'écriture, პარიზი, 1839 წ.

12. M. Lidzbarski, Handbuch der nordsemitischen Epigraphik.

თავი პირველი.

ძველი აღმოსავლეთი.

1. ასურეთი და ბაბილონი.

ასურეთი, როგორც ვიცით, ერთი უძველესი ქვეყანათაგანი იყო ახლობელ აღმოსავლეთში. ბერძენ ისტორიკოსის კტესიას (Κτησίας) ცნობით ასურელების ქვეყანა უკვე მეფე ნინისა და განსაკუთრებით კი მისი ცოლის სემირამიდის დროს, ე. ი. დაახლოებით მე 22-20 საუკუნეში ქ. წ. საკმაოდ ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა აღმოსავლეთში. სემირამიდის მემკვიდრის ნინიასის და მის მომდევნო მთელ რიგ მეფეების დროს ასურეთის სახელმწიფო (თუ ყოველთვის არა, უმეტეს ნაწილად მაინც) ერთგვარ დაკნინებისა და დაუძლურების ხანას განიცდიდა, მაგრამ სალმანასარ პირველის დროს, ე. ი. დაახლოებით მე-14 საუკუნეში ქ. წ. იგი კვლავ გაძლიერდა და მისი საზღვრებიც გაფართოვდა. სალმანასარ პირველმა ახალი სატახტო ქალაქიც კი დაარსა კალახის ან კელახის (აწინდელი ნიმრუდი) სახელწოდებით.

ტიგლატ-პილესარ პირველის დროს (1120—1100 წ.წ.) ასურეთმა დაიპყრო ზოგიერთი მეზობელი ქვეყნები და, მაშასადამე, იგი კიდევ უფრო გაძლიერდა, მაგრამ ასურეთის აყვავების ხანა ეკუთვნის მე9-8 საუკუნეს, როდესაც ასურნასიპალმა (884-860 წ.წ.) ფინიკიელები დაიმორჩილა, ხოლო ტიგლატ-პილესარ მესამემ (745-727 წ.წ.) მიდიის ნაწილი და ებრაელების სამეფო დაიპყრო. სალმანასარ მეოთხის დროს (727-722 წ.წ.) ფინიკიელებმა და ებრა-

ელებმა ასურეთის წინააღმდეგ აჯანყება მოაწყვეს, მაგრამ სალმანასარმა ისინი კვლავ დაიმორჩილა. სალმანასარ მე-IV-ის მემკვიდრემ სარგონმა (722-705 წ.წ.) დაიპყრო მთელი რიგი ქვეყნებისა და ქალაქებისა: სამარია, კიპრი, კილიკია, ტიბი და სხვა. სარგონის შვილის სენახერიბის დროს (705-681 წ.წ.) ზოგიერთი დაპყრობილი და შემოერთებული ქვეყნები დაჰკარგა, მაგრამ მისმა მემკვიდრემ ასარგადონმა (681-669 წ.წ.) კვლავ აღადგინა ასურეთის ძლიერება და სხვათა შორის ეგვიპტეც დაიპყრო. ასარგადონის მემკვიდრის ასურბანიპალის დროიდან (669-625 წ. წ.) იწყება ასურეთის თანდათანობითი დაუძლურება, რაიც 606 წელს ასურელების უკანასწნელი მეფის სინსარ-ისქუნის დაღუპვითა და მისი სამეფოს კატასტროფით დასრულდა კიდეც: დაპყრობილ ხალხებმა შეერთებულის ძალით ბოლო მოუღეს ასურეთის სახელმწიფოს.

ბ ა ბ ი ლ ო ნ ი ც ერთი ასეთივე ძველი ქვეყანათაგანი იყო ალმოსავლეთში. ბაბილონის სახელმწიფოს დაარსებას შორეულ წარსულ მიაკუთვნებენ და მის პირველ მეფეებად, ყოველშემთხვევაში გაერთიანების შემდეგ, ქამურაბის დინასტიას სთვლიან. ბაბილონის მეფეთა მესამე დინასტიის დრო (1726-1150 წ.წ.) ასურეთისა და ბაბილონის სახელმწიფოთა შორის პოლიტიკურ თუ სხვაგვარ ურთიერთობის (ზოგჯერ მშვიდობიან, ზოგჯერ კიდეე მტრულ) ხანად ითვლება. ეს ურთიერთობა უფრო გარკვეულ ფორმებში ჩამოყალიბდა განსაკუთრებით ბაბილონის მეფეთა მეოთხე დინასტიის დროს (1149-1050 წ.წ.), როდესაც ნაბუქოდონოსორ პირველის მომდეენო მეფემ მარდუქ-ნადიაქემ ასურეთის მეფე ტიგლატ-პილესარი I დაამარცხა. მაგრამ ტიგლატ-პილესარმა შემდეგში შური იძია ბაბილონზე და მალე დაპიყრო კიდევაც. ამიერიდან, განსაკუთრებით ასურნასიპალის დროიდან (884-860 წ.წ.), ბაბილონმა არსებითად დაჰკარგა თავისი დამოუკიდებლობა და ნაწილობრივ მაინც ასურეთის ბატონობა-გავლენის ქვეშ მოექცა. ასურეთის სამეფოს დაქცევის შემდეგ ნაბუქოდონოსორის დროს (604-561 წ.წ.)ბაბილონი კვლავ აღორ-

ძინებისა და აყვავების გზას დაადგა. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდ ხანს არ გაგრძელებულა: 538 წელს იგი დაიპყრეს სპარსელებმა და თავის მოხარკე კოლონიად ვადააქციეს.

ასურეთისა და ბაბილონის ქვეყნებმა თავის არსებობის ვანშავლობაში საკმაოდ მდიდარი კულტურა შექმნეს. ასურელებმა და ბაბილონელებმა ჩაუყარეს მტკიცე საფუძველი მეცნიერების ზოგიერთ დარგებსაც. ამას გარდა ასურეთისა და ბაბილონის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში პირველად ჩამოყალიბდა მონარქიულ მართვა-გამგეობისა და ადმინისტრატიული ორგანიზაციის ფორმები. შემდეგში ასურეთ-ბაბილონის კულტურა და სახელმწიფო მმართვა-გამგეობის წესები შეითვისეს ძველი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებმა. მათ ამ მხრივ საკმაო გავლენა ჰქონდათ ძველ კლასიკურ ქვეყნებზედაც. ამის გამო ასურეთი და ბაბილონი მეტად საყურადღებო ისტორიის მქონე ქვეყნებს წარმოადგენენ: მის შესწავლა მრავალ საინტერესო ცნობებს იძლევა კაცობრიობის წარსულის შესასწავლად და მრავალი ისტორიული საკითხების გამოსარკვევად საერთოდ.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ასურეთისა და ბაბილონის ისტორია დიდი ხანია, რაც მეცნიერთა განსაკუთრებული ყურადღების საგანი შეიქნა. მეცნიერება დიდი ხანია, რაც დაინტერესდა ასურეთ-ბაბილონის ისტორიის, რელიგიის, კულტურისა და ენის შესწავლით. თავისდათავად ცხადია, ზოგიერთ ძველი დროის ისტორიკოსების (როგორც, მაგ. კტესიას, ბერაზას და სვბათა) მიერ შენახული ცნობები ასურეთისა და ბაბილონის შესახებ ვერ დააკმაყოფილებდენ საისტორიო მეცნიერებას და ამიტომ მკვლევარებმა მიმართეს არქოლოგიას. ისინი შეუდგნენ ამ ქვეყნების ნანგრევების გათხრას, რათა გათხრის დროს აღმოჩენილ ნივთების საშუალებით უფრო სწორი და უტყუარი ცნობები მიეღოთ მათი შესახებ.

არქეოლოგიური გათხრები ასურეთ-ბაბილონის ნანგრევებზე დაიწო მე 19 საუკუნის პირველ მეოთხედიდან. პირველი ასეთი გათხრა საკმაოდ ნაყოფიერი მოახდინა ინგლისელმა

ჯემს რიჩმა მოსულში 1820 წელს. 1842 წელს რიჩის გათხრის შედეგებით დაინტერესდა საფრანგეთის კონსული მოსულში ბოტტა და მან დიდის ენერგიით ხორსაბადსა და ნინევიის ჩრდილოეთით მდებარე დურ-სარკინში დაიწყო გათხრები. 1851 წლიდან ამავე რაიონებში გათხრების წარმოებას შეუდგა პლასი, ხოლო ბოტა დაგვიანებით ინგლისის ვიცეკანცლერ რასსამმა და ლოფტუსმა მოჰკიდესხელი ამ საქმეს. რასსამი და ლოფტუსი არსებითად აგრძელებდენ იმ მუშაობას, რომელიც 1845—49 წლების განმავლობაში მეტის მეტი წარმატებით აწარმოვა ლეიარდმა ნიმრუდში (ძველ კალხში) და კაიუნჯიკში (ნინევიაში). ამ „მბრიე ლეიარდს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის მეცნიერების წინაშე რადგან ყველაზე უფრო ნაყოფიერი სწორედ მისი მუშაობა იყო.

ინგლისელ არქეოლოგმა ლეიარდმა მესოპოტამიაში იმ ადგილას, სადაც წინად ქ. ნინევია იყო, 1845 წელს ნიადაგის გათხრის დროს აღმოაჩინა ორი დიდებული სასახლის ნანგრევები, რომელთაგან ერთი ეკუთვნოდა ასურეთის მეფეს სენახერიბს, ხოლო მეორე—მის შვილის-შვილს—ასურბანიპალს (მე 7-დე ს. ქ. წ.). ასურბანიპალის სასახლის ნანგრევებში ლეიარდმა აღმოაჩინა ორი პატარა ოთახი. ოთახების იატაკზე დაყრილი იყო თიხის ფიქალების ნამტვრევები ლურსმული წარწერებით. თიხის ფიქალები აღმოჩენილ ოთახებში დაწყობილი ყოფილა საგანგებო თაროებზე, მაგრამ საუკუნეთა სიგრძეზე ოთახების ჭერი ჩამონგრეულა და თაროები წაუქცევია; თაროების წაქცევის დროს კი ფიქალებიც ჩამოცვენილა და დამტვრეულა.

მაგრამ დამტვრეულ ფიქალებს შორის მაინც აღმოჩნდა მრავალი მთელი და დაუზიანებელი. ლეიარდმა გადარჩენილი ფიქალები, წონით რამოდენიმე ფუთი, გადაუგზავნა ბრიტანეთის მუზეუმს. შემდეგში ეს ფიქალები, როგორც მოსალოდნელი იყო, მეცნიერთა შესწავლის ობიექტი გახდენ და ბევრ წაკითხულ იქნენ კიდევაც.

ამ წარწერების ამოკითხვის დროს გამოირკვა, რომ მრავალი მათგანი დაწერილი იყო მესოპოტამიის სამხრეთ ნაწილის, ე. წ. სენაარის ქვეყნის, უძველეს მცხოვრებთა ენაზე. ეს ენა მეცნიერების მიერ შესწავლილი სრულიად არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ ამ ენაზე წარწერები მანამდისაც იყო აღმოჩენილი. ახლად ამოკითხულ წარწერებში კი მრავლად აღმოჩნდა ამ ენის ლექსიკონები, ასურულ ენაზე თარგმნილი და აგრეთვე გრამატიკაც. ამის გამო შესაძლებელი შეიქნა, ე. წ. შუმიერო-აკკადური ტექსტის ამოკითხვა და შესწავლა. ამ გარემოებამ კი თავის მხრივ შესაძლებელი გახადა ბაბილონის ისტორიის უძველესი ეპოქის გაცნობა იმ ხანამდე, ვიდრე იქ სემიტები მივიდოდენ.

ამ აუარებელ საისტორიო მასალებს შორის უმთავრესი ადგილი უკავია ერთის მხრივ რელიგიურ, ხოლო მეორეს მხრივ წმინდა მეცნიერულ ხასიათის წარწერებს. მეცნიერული შინარსის წარწერები შეეხება უმთავრესად მეცნიერების ორ დარგს: მათემათიკას და ასტრონომიას[1].

რელიგიური შინაარსის საბუთებიდან განსაკუთრებით საინტერესოა საღვთო ტექსტთა კრებული შუმიერო-აკკადურ ენაზე: ეს კრებული შეიცავს 200 ფიქალს და დაყოფილია 3 წიგნად. დაწერილია კრებული ბაბილონის უძველეს მკვიდრთა — შუმიერო-აკკადიანთა ენაზე, შემდეგი ეპოქის (სარგონი ასურელის) ენაზე ნაწერი პარალელური ტექსტით. კრებულის შინარსის შესწავლამ საშუალება მისცა მეცნიერებას გაეცნო კაცობრიობის უძველესი სარწმუნოების ვითარება: კრებულში თავმოყრილია უძველეს დროის ლოცვები, რელიგიური გალობები, მოწოდებები, შეთქმანი, წყევლა და სხვა.

ნახევრად რელიგიურ და ნახევრად ლიტერატურულ ხასიათის საბუთებიდან საყურადღებოა ერთი ეპიური პოემის ნაწყვეტები, სადაც აღწერილია ერეხის ერთი უძველესი მეფის

[1] მეცნიერების ორივე ამ დარგს საძირკველი ჩაუყარეს ძველმა ქალდეველებმა.

საქმენი. პოემის ეს დარჩენილი ნაწილი შეიცავს 12 წიგნს. ერთ ნაწილში მოთხრობილია წარღვნის შესახებ და თავისი შინაარსით იგი მოგვაგონებს დაბადების (ბიბლიის) ტექსტს. წარღვნის შესახებ ამბავს უკავია 16 ფიქალი.

შემდეგ საინტერესოა ასურულ ენაზე დაწერილი კრებული (70 ფიქალზე). კრებული შეიცავს ასტროლოგიის შესახებ სწავლებას. იმ დროს ასტროლოგიას, როგორც ცნობილია. დიდ მნიშვნელობას აძლევდენ საერთოდ, ხოლო ასურელებს იგი მიაჩნდათ მეცნიერებად, რომელიც ხსნის ცის მნათობთა გავლენას ურთიერთ დამოკიდებულების მხრივ ხალხთა, კერძო პიროვნებათა და საერთოდ ქვეყნის საქმეებზე.

იურიდიულ ხასიათის საბუთებიდან მეტად საინტერესოა ბაბილონის მეფის ქ ა მ ურ ა ბ ი ს კანონთა ნაწყვეტები. ქ ა მ ურ ა ბ ი ს კანონების თითქოს სრული ტექსტი ნაპოვნი იყო ასურბანიპალის არქივის აღმოჩენამდეც სუზაში, სადაც იგი „სტელაზე" იყო გამოკვეთილი. მაგრამ ამ ტექსტში, როგორც გამოირკვა, წაშლილი აღმოჩნდა 35 სტრიქონი და ამ 35 სტრიქონის შინაარსი მეცნიერებისათვის დაკარგულად ითვლებოდა. საბედნიეროდ, ასურბანიპალის ახლად აღმოჩენილ არქივში დაცული ნაწყვეტები ავსებენ ამ დანაკლისს: ისინი შეიცავენ ზოგიერთ იმ ადგილებს, რომელიც სუზაში ნაპოვნ კრებულის მიხედვით მანამდე დაკარგულად ითვლებოდა. როგორც ცნობილია, ქამურაბის კანონები კაცობრიობის იურიდიულ აზროვნების უძველეს ნაშთად ითვლება, რის გამოც სუზას ტექსტში წაშლილი ადგილები დიდ დანაკლისად, ხოლო ასურბანიპალის არქივში ნაპოვნ ნაწყვეტების მიხედვით ამ დანაკლისის აღდგენა, დიდი მიღწევად უნდა ჩათვლილიყო მეცნიერებისათვის[1].

მეცნიერულ ხასიათის მასალებიდან აღსანიშნავია გეოგრაფიისმაგვარი სახელმძღვანელო, რომელიც წარმოადგენს იმ დროს ცნობილ მთათა, ზღვათა, მდინარეთა, ქალაქთა და ხალ-

[1] წინად მოსეს კანონები ითვლებოდა ამგვარი აზროვნების უძველეს ნიმუშად, მაგრამ ქამურაბის კანონები გაცილებით უფრო ძველია.

ბთა სიას. ამავე ჯგუფის მასალას ეკუთვნის აგრეთვე მცენარეთა და ცხოველთა სიაც, სადაც დაცულია ერთგვარი კლასიფიკაციის ცდის კვალიც.

კერძო და საჯარო ხასიათის მასალებიდან ასურბანიპალის არქივში მრავლად აღმოჩნდა პოლიტიკური ტრაქტატები, მეფის ბრძანებები, გადასახადთა სიები, მეფის მოადგილეებისა და ჯარის უფროსთა მოხსენებები; მეფის ობსერვატორიების ზედამზედველთა ყოველდღიური ცნობები, ნასყიდობის წიგნები. საკანონო წესის მიხედვით ხელრთვითა და ბეჭდის დასმით შეზოწმებულნი, ხელშეკრულებანი და პირობები, თამასუქები და სხვა.

ყველა ამ მასალების დამუშავებამა და შესწავლამ საშუალება მისცა საისტორიო მეცნიერებას დაწვრილებით და ზედმიწევნით შეესწავლა აღმოსავლეთის უძველესი კულტურა. ძველი აღმოსავლეთის რელიგიური ვითარება, პოლიტიკური მოვლენები, კერძო ყოფაცხოვრება, სამართალი და სხვა დარგიც თითქმის ისე კარგად და უნაკლოდ იქნა შესწავლილი, როგორც საშუალო საუკუნოების დასავლეთ ევროპის რომელიმე სახელმწიფოსი.

ასურეთ-ბაბილონის სახელმწიფოების შესახებ ბიბლიის ზეგავლენით არსებული შეხედულებებიდან კვალიც აღარ დარჩა: ლურსმულმა წარწერებმა ამ სახელმწიფოების ისტორიას მოჰფინეს ახალი შუქი და გამოაჩინეს მათი ჭეშმარიტი სახე. ასურბანიპალის არქივმა გადაშალა მეცნიერების წინაშე მანამდე სრულიად უცნობი ახალი სამყარო, სადაც თურმე მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა, მრეწველობა და ვაჭრობა ჰყვაოდა.

ასეთი შედეგი მივიღეთ მხოლოდ იმიტომ, რომ 2500—700 წლის წინად ქ. დ. ადამიანს შეგნებული ჰქონდა მნიშვნელობა და საჭიროება არქივების მოწყობისა, აგრეთვე იმიტომ, რომ ამ საქმეს მაშინ ხელისუფლების პირებიც უყურებ-

დენ სერიოზულად, როგორც ისეთ საქმეს, რომელიც თვით მეფისა და სახელმწიფოს მოვალეობას შეადგენდა.

რას წარმოადგენდენ ეს უძველესი არქივები, რომლებსაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონიათ მეცნიერებისათვის? რა ხასიათისა იყო ის მასალები, რომლებიც ამ არქივებში ინახებოდა და როგორ ასრულებდენ ეს არქივები თავიანთ ფუნქციებს? ყველა ამ საკითხების გასარკვევად ჩვენ საკმაოდ ვრცელი და შედარებით უტყუარი ცნობები მოგვეპოვება თვით ასურბანიპალის ჩვენამდე მოღწეულ არქივის წყალობით.

ასურბანიპალის არქივში დაცული მასალები წარმოადგენენ სხვა და სხვა ფორმისა და სიდიდის საბუთებს. ფორმის მიხედვით მთელი მასალები გაიყოფა ორ ჯგუფად: ერთს შეადგენენ ფიქალები, ხოლო მეორეს ცილინდრები. ფიქალები წარმოადგენენ ბრტყელ ან ამობურთულ სწორკუთხედებს (1 დან — $9^1/_2$ დიუმ). თუ რომელიმე ამბავი ვერ დაეტევოდა ერთ ფიქალზე, მაშინ მისთვის განკუთვნილი იყო ფიქალების მთელი სერია. ერთი სერიის ყველა ფიქალები დანომრილი იყო რიგზე და თვითეულ ფიქალზე, თავისი რიგის ნომრის გარდა, დაიწერებოდა ხოლმე პირველ ფიქალზე დაწერილ პირველ სტრიქონის დასაწყისი სიტყვები. ასე, მაგალითად, სერიაში. სადაც ქვეყნის გაჩენაზეა საუბარი, პირველი ფიქალი იწყება შემდეგი სიტყვებით: „როდესაც ღმერთი (ები) ანუ“.... მეორე ფიქალზე აღინიშნებოდა „მეორე ფიქალი“ და დაიწერებოდა აგრეთვე: „როდესაც ღმერთი ანუ“... ასევე მესამე ფიქალზე და სხვაზედაც. ფიქალების რიგი რომ არ აღრეულიყო, ერთი ფიქალის უკანასკნელი სტრიქონი გამეორდებოდა ხოლმე მეორე ფიქალის დასაწყისში.

ძველი ქალდეველების (ჩვენი წინაპრების) ფიქალები ჩვეულებრივად მოთავსებული იყვნენ თიხის ფუტლიარებში, რომელზედაც დაწერილი იყო ფიქალზე დაწერილი სრული ტექსტი. ფუტლიარზე დაწერილი ტექსტი ითვლებოდა დედნად, ვინაიდან ბეჭედი და ხელრთვა გაკეთებული იყო მხოლოდ

ფუტლიარზე. შიგნით ჩადებული ფიქალი კი წარმოადგენდა ალბად დუბლიკატს, რომელიც ფუტლიარზე დაწერილის გაფუჭების შემთხვევისათვის ინახებოდა ხოლმე. ასურული ფიქალები ფუტლიარებში არ ინახებოდენ, რითაც ისინი სხვათა შორის განსხვავდებოდენ კიდევაც ქალდეველების ფიქალებისაგან.

ცილინდრებს ჩვეულებრივად ისტორიული წარწერების მოსათავსებლად ხმარობდენ. მათი ფორმა სხვადასხვანაირი იყო: ხან პრიზმისა, ხან კიდევ კასრის მოყვანილობისა, სიდიდე კი — 2-დან 6 ფუტამდე. ცილინდრები ახლად გაშენებულ ეკლესიებისა და სასახლეების კედლებში ჩასაკირავად იყენენ ხოლმე ჯანკუთვნილი და ამიტომ ამ ცილინდრებზე ჩვეულებრივად მოთხრობილი იყო, თუ ვინ და როდის ააშენა ეს შენობა; მაგრამ ამასთანავე ამგვარ წარწერებთან ერთად იქ იმ მეფეთა მოღვაწეობის შესახებაც იყო მოთხრობილი, რომელთაც ეს შენობა აუგიათ. უმთავრესად ამ უკანასკნელი ხასიათის წარწერები წარმოადგენენ ისტორიისათვის მდიდარ მასალას.

მეფე ასურბანიპალი თავის წიგნთსაცავს (არქივს), როგორც ეტყობა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და დიდ მნიშვნელობასაც აძლევდა. შენახულ ცნობებიდან სჩანს, რომ ის მთელ თავის სამეფოში აგზავნიდა ხოლმე დახელოვნებულ და გამოცდილ მწერლებს (გადამწერებს), რომელთაც ევალებოდათ სამეცნიერო და რელიგიურ ხასიათის უფრო მნიშვნელოვან საბუთების მოგროვება და აგრეთვე პირების გადაღება. ამ გზით მეფემ შესძლო მრავალ საბუთების კონცენტრაცია თავის წიგნთსაცავში. სხვათა შორის მან გამოიყენა მთელს ქალდეაში უმდიდრესი ლიტერატურული ხასიათის საბუთთა საცავი, სახელდობრ, „წ ი გ ნ ი ს ქ ა ლ ა ქ ა დ“ წოდებული, ქ. ერეხის ტაძრის წიგნთსაცავი. ასეთი სახელწოდება იმიტომ მიეცა ამ ქალაქს, რომ ასურბანიპალამდე 1 საუკუნის წინ მეფე სარგონის მიერ აქ დაგროვილი იყო ყველაფერი, რაც კი მიუცია იმ დროისთვის სასულიერო ლიტერატურას ჰიმნებისა,

ლოცვებისა, სიმღერებისა და სხვათა სახით; აქვე თავმოყრილი იყო ნაწარმოებები ასტროლოგიისა და მეცნიერებისსხვა დარგიდან.

ასურბანიპალის მიერ თავმოყრილი მასალები, როგორც სჩანს, აღწერილი ყოფილა ერთგვარ კათალოგში. ამას ამტკიცებს ფიქალებზე გაკეთებული შენიშვნები: „ცხრილების სერია ესა და ეს, ანგარიშით ესა და ეს, ცხრილი ქვეყნის მეფის, ასურეთის მეფის ასურბანიპალის, სასახლე“. ამგვარ ნუმერაციას აზრი, რა თქმა უნდა, მხოლოდ მაშინ ექნებოდა, როდესაც აღწერები იქნებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს აღწერები ფიქალების აღმოჩენის დროს არ იყო ნახული. საარქივო მასალების მოსათავსებლად განკუთვნილი იყო ცალკე სპეციალური შენობები მეფეების სასახლეებსა და ტაძრებში. ასე, მაგალითად, ასურბანიპალის სასახლეებში არქივს დათმობილი ჰქონდა ორი ოთახი. მეორე არქივს, რომელიც მოთავსებული იყო ტაძართან ქ. ნიპურში, ეჭირა 8 დიდი ოთახი. ამ არქივში მოთავსებულ მასალების საერთო რიცხვი 60,000 ფიქალს შეადგენდა.

ასეთ არქივების ამშენებლები (უმეტეს ნაწილად მეფეები) ცდილობდენ თავი მოეყარათ იქ ყველა იმ მასალებისათვის, რომელთაც მნიშვნელობა ჰქონდათ ხალხის ისტორიისათვის; ე. ი. ისინი იმ დროს აკეთებდენ დაახლოებით იმასვე, რასაც ჩვენს დროში აკეთებენ ამ დარგში დასავლეთ ევროპის იმ ქვეყნებში, სადაც საარქივო საქმე კარგადაა დაყენებული, სახელდობრ, საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში და სხვაგანაც. დასახლებულ ქვეყნების საარქივო დაწესებულებათ ერთ-ერთ თავის უმთავრეს ამოცანად არქივსაცავებში თავისი ქვეყნის ისტორიისათვის საჭირო საბუთების თავის მოყრა მიაჩნიათ. ამ მიზნით ისინი შეისყიდიან ხოლმე ასეთ საბუთებს კერძო პირებისაგან, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შესყიდვა შეუძლებელია, გადაიღებენ პირებს. ასევე იქცეოდენ მაშინ ასურეთისა და ბაბილონის არქივების აღმშენებელნიც.

არქივების მეტი წილი, როგორც ნათქვამი იყო, სასახ-

ლეებთან იყო მოწყობილი, ხოლო ნაწილი კიდევ ტაძრებთან. სასახლეებთან არქივებს ჩვეულებრივად მეფეები აშენებდენ ხოლმე, ხოლო ტაძრებთან არქივების მოწყობა ქურუმების საქმე იყო. უკანასკნელ შემთხვევაში, ე. ი. როდესაც არქივებს ტაძრებთან აწყობდენ, არქივთსაცავი სამ განყოფილებად გაიყოყოფოდა: ა) სამოსწავლო, ბ) სამეცნიერო და გ) პრაქტიკული (საქმიანი ხასიათის) განყოფილებად.

პირველ განყოფილებაში ინახებოდა სხვადასხვანაირი ლექსიკონები, გრამატიკები, სამოსწავლო და საბავშო წიგნები (სახელმძღვანელოები). მთელი ეს განყოფილება ემსახურებოდა ტაძრებთან არსებულ სკოლებს, სადაც ქურუმები ყრმათ წერა-კითხვას ასწავლიდენ ხოლმე. მეორე განყოფილებაში თავმოყრილი იყო სამეცნიერო და ლიტერატურულ ხასიათის თხზულებანი, რომელნიც თვით ქურუმებს ესაჭიროებოდათ სამეცნიერო მეცადინეობის დროს. მესამე განყოფილებაში ინახავდენ საკუთრივ საარქივო მასალებს, როგორიცაა, მაგალითად, თვით ტაძრის საქმეები, ანგარიშები, ხელწერილები, თამასუქები, ფულის გადაგზავნის საბუთები და სხვა. ამგვარი საბუთების 'არსებობა ტაძრებთან ადვილი გასაგებია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ტაძრებს ჰქონდათ დიდი მეურნეობა და რომ ისინი ამასთან დაკავშირებით ხშირად რთულ კომერციულ და საქმიან ოპერაციებს აწარმოებდენ. ქურუმები იმ დროს ბანკირების მოვალეობასაც კი ასრულებდენ: ფულებს ასესხებდენ განსაზღრულ პროცენტის დადებით, აღებ-მიცემობას ეწეოდენ და სხვა.

პირველი ორი განყოფილება თავის ფუნქციების მიხედვით მოგვაგონებს ბიბლიოთეკას, ხოლო მესამე, ამავე თვალსაზრისით და თავის შემადგენელ მასალების ხასიათის მიხედვით — თანამედროვე არქივებს უფრო უახლოვდება; მაგრამ ამ გამიჯვნას ისეთი მნიშვნელობა არა აქვს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ იმ ხანებში არქივებსა და ბიბლი-

თეკებს შორის სრულიად არავითარი განსხვავება არ იყო და არქივები რომ სწორედ ბიბლიოთეკების სახით არსებობდენ.

ამრიგად ნათქვამიდან ცხადია, რომ ასურეთ-ბაბილონის ქვეყნებში არქეოლოგიურ აღმოჩენების წყალობით ნაპოვნ ლურსმულ წარწერების მიხედვით ორი ტიპის სამეფო და საეკლესიო—არქივები ყოფილან. პირველი ტიპის არქივები, რა თქმა უნდა, სახელმწიფო დაწესებულებად ითვლებოდენ და სასახლესთან არსებობდენ კიდეც, ხოლო მეორე ტიპის არქივები ტაძრებთან იყვნენ მოწყობილი. იბადება საკითხი: არსებობდენ თუ არა ასურეთ-ბაბილონში კერძო არქივები?

ნიპურის ტაძრის არქივში აღმოჩენილ ზოგიერთ ფიქალის შინარსი ამტკიცებს, რომ ტაძრებთან არსებულ არქივების მესამე განყოფილებაში ინახავდენ კერძო პირთა არქივსაც, უკეთუ კერძო პირი მოისურვებდა და საჭიროდ დაინახავდა თავისი პირადი საბუთები ტაძრის არქივისათვის შესანახად გადაეცა. მაგრამ ამას გარდა ჯუმ-ჯუმაში აღმოჩენილ საბუთების მიხედვით მტკიცდება, რომ ასურეთსა და ბაბილონში კერძო არქივები არსებობდენ ტაძრის გარეშეც. ხსენებულ ჯუმ-ჯუმაში აღმოჩნდა რამოდენიმე მშვენივრად შენახული თიხის ჭურჭელი ლურსმულ წარწერებიანი ფიქალებით. ფიქალების რაოდენობა უდრიდა 3000 ც. ამოკითხვისა და შესწავლის დროს აღმოჩნდა, რომ ეს იყო კერძო არქივი—ეგიბის, ბანკისმაგგვარი, სავაჭრო სახლის, რომელიც დარსებული იყო 685 წ. ქ. დ. და რომელიც არსებობდა 400 წლის განმავლობაში. საკვლევით დასაშვებია ვიფიქროთ ამ აღმოჩენის მიხედვით, რომ ძველ ბაბილონში მეფისა და ტაძრის არქივთან ერთად, როგორც ნათქვამი იყო, სრულიად ცალკე არსებობდი კერძო არქივიც. ამას ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ ჰეროდოტე იქ მოგზაურობის დროს კერძო შენობათა შორის ჰპოულობდა ორ და სამ-სართულიან სახლებს; ხოლო ისეთი დიდი სავაჭრო ფირმის სახლი, როგორიც იყო ეგიბის ფირმა, გაცილებით უფრო დიდი უნდა ყოფილიყო, ვიდრე კერძო სახლები. ეგიბის სავა-

ჭრო სახლი ოთხასი წლის სიგრძეზე ფართე სავაჭრო და ფინანსიურ ოპერაციებს აწარმოებდა ბაბილონის სახელმწიფოსათვის: ჰკრეფდა გადასახადებს მიწაზე, შარა-გზაზე, არხებზე და სხვა საგანზე დაწესებულს. თავისთავად გასაგებია, რომ ასეთი ფართე მოლვაწეობისათვის ფირმას დასჭირდებოდა შესაფერი შენობაც, რომელიც უბრალო თიხის მოზაიკის სახით კი არ იქნებოდა გაკეთებული, როგორც საერთოდ ბაბილონის კერძო მცხოვრებთა სახლები იყო; ის იმავე აგურისაგან იქნებოდა გაკეთებული, რომლისგანაც სასახლებსა და ტაძრებს აშენებდენ და თავისი მოცულობითაც გაცილებით უფრო დიდი, ვიდრე ჩვეულებრივი სახლები. ასეთი დიდ და მტკიცე შენობაში არქივისთვისაც უთუოდ იქნებოდა თავისუფალი ბინა. ხოლო რაკი ფირმას ასეთი ბინა ექნებოდა, ცხადია, ტაძრის არქივში თავისი საარქივო მასალების გადაცემის აუცილებლობაც მისთვის აღარ იქნებოდა.

ახლა საინტერესოა გამოირკვეს, სპობდენ თუ არა ძველ ასურეთსა და ბაბილონში საარქივო მასალებს მას შემდეგ, რაც მათი საჭიროება განვლილი იყო, და, თუ სპობდენ, რაიმე წესისა და სისტემის მიხედვით სწარმოებდა ეს მოსპობა, თუ არა? ეს საკითხი ჯერ-ჯერობით გამორკვეული არ არის და, სანამ ამის შესახებ საჭირო ცნობები არ აღმოჩნდება, გამორკვევა ძნელიცაა. ჯერ ჩვენს დროში თვით ჩვენ ვართ ხშირად მოწმენი ძვირფას ისტორიულ საბუთებისა და მასალების მოსპობისა და, რა თქმა უნდა, ძნელი დასაჯერებელია ის აზრი, რომ რამდენიმე ათეულ საუკუნის წინ, თუმცა კულტურულ, მაგრამ შედარებით მეოცე საუკუნესთან დაბალ ცივილიზაციის მქონე ასურეთსა და ბაბილონში, ამგვარ შეცდომასა და ბარბაროსობას ადგილი არა ჰქონოდეს. პირიქით, ყოველ საბუთების გარეშე, აპრიორულად უნდა დავუშვათ საწინააღმდეგო აზრი, ე. ი. ის, რომ ძველ აღმოსავლეთის ქვეყნებშიც ზედმეტად მიჩნეულ საბუთებს სპობდენ.

მაგრამ ამას გარდა, მოღწეულ მასალების რაოდენობისდა

მიხედვითაც, შეიძლება ამავე დასკვნამდე მივიდეთ. ასურბანიპალის არქივში აღმოჩნდა 10.000-ზე მეტი ფიქალი. ეს რაოდენობა თავისდათავადაც ცოტაა იმ ხანისათვის, რომლის განმავლობაში ასურეთის სამეფო არსებობდა. მაგრამ ამ საერთო რაოდენობიდანაც საქმიანი ხასიათის ქაღალდები მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენენ, დანარჩენი კი—სამეცნიერო, სალიტერატურო და სხვაგვარ შინარსის საბუთებია. ეს გარემოება კიდევ უფრო აძლიერებს მოღწეულ მასალების რაოდენობის შეუსაბამობას იმ ეპოქის ხანგრძლივობასთან, რომლის ძეგლებს ეს მასალები შეადგენენ. აქედან კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ დროის მრავალი საქმიანი ხასიათის საბუთები მოსპობილია.

ეგიბის სავაჭრო სახლის არქივიდან ჩვენამდე მოაღწია 3000-დე საბუთმა. ეს რაოდენობაც, რა თქმა უნდა, სრულიად არ შეესაბამება იმ ხანას, რომლის სიგრძეზეც ეს ფირმა არსებობდა და ფართე ოპერაციებს აწარმოებდა. საბუთების რიცხვი ფირმის არსებობის წლების რიცხვზე, ე. ი. 3000-ი 400-ზე რომ გავყოთ, თვითეულ წელიწადს მოუწევს მხოლოდ 7 საბუთი. და ძნელად დასაჯერებელია, რომ ეგიბის ფირმას, რომელიც გარდა მეფეების ფინანსების წარმართვისა, ნოტარიუსის მოვალეობას ასრულებდა, ფართე მეურნეობას უძღვებოდა, რთულ სამრეწველო და სავაჭრო საქმეებს აკეთებდა, მონების, პირუტყვის, მიწის, საოჯახო ნივთების და სხვათა ყიდვა-გაყიდვას აწარმოებდა,—წელიწადში 7 საქმიანი საბუთის მეტი, როგორც თავის მოღვაწეობის კვალი, არ დაეტოვებია.

აქედან ცხადია, რომ ეს არქივიც ოდნავადაც სრული არ არის. საფიქრებელია, რომ მასალების მეტი ნაწილი განადგურებულია თავის დროზე შეგნებულად; თუმცა ცხადია, რომ ეგიბის არქივი ისევე, როგორც ასურბანიპალის და საერთოდ ბაბილონის არქივი, ჩვენამდე საგრძნობლად დაზიანებული და დეფექტიანია მოღწეული და რომ უმეტესი ნაწილი საუკუნეთა სიგრძეზეა ალბად სამუდამოდ დაკარგული ისტორიისათვის.

ამრიგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ, თუ ნაწილი ასურეთ-ბაბილონის არქივებისა შთანთქა საუკუნეთა განმავლობაში დედამიწამ, ნაწილი კიდევ—შეგნებულად, არქივთსაცავების „ზედმეტი“ და „უსარგებლო“ საბუთებისაგან განტვირთვის მიზნით, მოსპობილ იქნა იმათ მიერ, ვის განკარგულებაშიც ეს მასალები იმყოფებოდა.

ძველ აღმოსავლეთში, კერძოდ ასურეთ-ბაბილონში, საბუთების მოსპობის საკითხის გასარკვევად საჭიროა აღინიშნოს აგრეთვე შემდეგი გარემოება. აღმოჩენილი მასალები ერთ განსაზღვრულ ხანას კი არ ეკუთვნიან, არამედ სხვადასხვა საუკუნეებს. ასე, მაგალითად, ეგიბის ფირმის არქივში დაცულია ისეთი საბუთები, რომელნიც ფირმის დაარსების ხანას ეკუთვნიან; არიან აგრეთვე ისეთებიც, რომელნიც შემდეგ საუკუნოებს და ფირმის მოსპობის ხანასაც შეხებიან. ასე, რომ ამ მასალების მიხედვით შესაძლებელი ხდება ამ დაწესებულების მოქმედების მთლიანი ისტორიის შესწავლა. ნიპურის ტაძარში აღმოჩენილი საბუთებიც სხვადასხვა საუკუნეებს შეეხებიან და ამიტომ შესაძლებელი ხდება იმის გამორკვევა, თუ რომელი მეფე როდის განაგებდა ქვეყანას: ასეთი ცნობები დაცულია ფიქალებზე მოყვანილ ტექსტებში მთელ რიგ საუკუნეთა მანძილზე. საბუთების შენახვა თვითეულ საუკუნისათვის განსაზღვრული რაოდენობით, გვაიძულებს მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ საბუთების გადარჩევის დროს ნაწილი სამუდამო შესანახად გადაიდებოდა ხოლმე, ნაწილი კიდევ—მოსასპობად.

ცხადია, საბუთების მოსპობის დროს ერთგვარი პრინციპი და თვალსაზრისი უნდა ყოფილიყო მიღებული. ამ თვალსაზრისის მიხედვით საბუთების ნაწილი მოსასპობად უნდა გადარჩეულიყო, ხოლო ნაწილი დროებით, ან სამუდამო შესანახად იქნებოდა განკუთვნილი. რა ხასიათის საბუთები ინახებოდა სამუდამოდ? უნდა ვიფიქროთ, რომ უპირველესად ყოვლისა ის საბუთები, რომელთა იურიდიული მნიშვნელობა თანამედროვეთა შეხედულებით წარუვალად და მარადიულად იყო

მიჩნეული, სამუდამოდ შესანახ მასალად იქნებოდა განკუთვნილი. ასეთ საბუთებს, უნდა ვიფიქროთ, ალბად ისეთი საბუთები წარმოადგენდენ, როგორიცაა, მაგალითად, ნასყიდობის წიგნები უძრავ ქონებაზე, ტრაქტატები, ხელშეკრულებები და სხვა მისთანანი, რომელთაც ყოველ საჭირო შემთხვევაში უნდა დაემტკიცებიათ უფლება ამა თუ იმ პიროვნებისა ან დაწესებულებისა. ის საბუთები კი, რომელთაც თავისი ხასიათისა და შინარსის მიხედვით ამგვარი დანიშნულება არ ჰქონდათ, სამუდამოდ შესანახ მასალად ვერ იქნებოდენ მიჩნეული და, როგორც ასეთნი, განსაზღვრულ დროის განვლისას უნდა მოესპოთ. ასეთი იყო, მაგალითად, სხვადასხვა გვარი სავაჭრო და იურიდიული აქტების სარეგისტრაციო წიგნები, ნასყიდობის წიგნები მოძრავ ქონებაზე და სხვა, რომელთა პრაქტიკული მნიშვნელობა დროებითი და წარმავალი იყო. მაგრამ, საყურადღებოა, რომ ასურეთ-ბაბილონის ჩვენამდე მოღწეულ არქივებში ამგვარი მასალებიც გვხვდება. გვხვდება იქ აგრეთვე ისეთი მასალებიც, როგორიცაა, მაგალითად, კერძო წერილები, ან კიდევ უკვე განაღდებული თამასუქები და სხვა.

ამგვარ საბუთებს, როგორც ვთქვით, არავითარი პრაქტიკული და იურიდიული მნიშვნელობა არ შეიძლებოდა მიჰკუთვნებოდათ. მათ შეიძლებოდა ჰქონოდათ მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა და ისიც შემდეგი დროისათვის მაშინდელი ყოფა-ცხოვრებისა და ეკონომიურ ვითარების გამოსარკვევად. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ძველ ასურეთსა და ბაბილონში საარქივო მასალების მოსპობის დროს მარტო პრაქტიკული თვალსაზრისით არ ხელმძღვანელობდენ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა ჩვენამდე ისეთი საბუთების მოღწევა, რომელთაც პრაქტიკული და იურიდიული მნიშვნელობა არ ჰქონდათ. ცხადია, რომ საარქივო მასალების შენახვისა და მოსპობის დროს სამაცნიერო თვალსაზრისიც ყოფილა მიღებული და საისტორიო მეცნიერების ინტერესებიც არ ყოფილა დავიწყებული. ამას სხვათა შორის ის გარემოებაც

ადასტურებს, რომ მეფე ასურბანიპალი, როგორც ნათქვამი იყო, განსაკუთრებული მონდომებით ცდილობდა თავის არქივში თავი მოეყარა მთელი თავისი სამეფოს ისტორიული მასალებისათვის. „წ ი გ ნ ი ს ქ ა ლ ა ქ ა დ“ წოდებულ ერეხიდან შეძენილ მასალებსაც, ხომ უმთავრესად ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდათ.

მაგრამ ამასთანავე სრულიად უსაფუძვლო იქნებოდა იმის მტკიცებაც, რომ საარქივო მასალების შესანახად და მოსასპობად გადარჩევის დროს უმთავრესი მნიშვნელობა მეცნიერულ თვალსაზრისს ჰქონდა; პირიქით, უფრო საფიქრებელია, რომ ასურელები და ბაბილონელები ასეთ შემთხვევაში პრაქტიკული თვალსაზრისით ხელმძღვანელობდენ, როგორც ეს საეროდ ძველად ყველგან იყო. უფრო სწორი იქნება ვთქვათ, როგორც პროფ. ა. ს მ ი რ ნ ო ვ ი ც ჰფიქრობს, რომ იმ დროს საგანგებო წესები მასალების გადარჩევის დროს ჯერ არ იყო დადგენილი. ალბად, უპირველესად ყოვლისა, როგორც ვთქვით, მხედველობაში იქნებოდა მიღებული მომენტის პრაქტიკული ინტერესი და შემდეგ ისტორიული მეცნიერების ინტერესიც ნაწილობრივ. ამ ორივე თვალსაზრისის მიხედვით გაირჩეოდა მოსასპობად მიჩნეული მასალა. ამასთანავე უნდა ვიგულისხმოთ, რომ საკუთრივ საარქივო მასალის (ე. ი. გარდა იმ მასალისა, რომელსაც ბიბლიოთეკის მნიშვნელობა ჰქონდა) მეცნიერულ საჭიროებისათვის გამოყენება განსაზღვრული მასშტაბით იქნებოდა. მაგრამ რომ სამეცნიერო მიზნითაც არქივების გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ქურუმმა ბ ე რ ო ზ ა მ, როგორც ცნობილია, საარქივო მასალები ფართედ გამოიყენა ასურეთისა და ბაბილონის ისტორიის შედგენის დროს. მეორეს მხრივ ეს ფაქტი იმასაც ადასტურებს, რომ არქივები მაშინ კეთილმოწყობილი და გამოკვლევის მიზნით გამოყენების თვალსასრისით მისაწვდომი ყოფილან. საარქივო მასალები წესრიგსა და სისტემაში მოყვანილი რომ

არ ყოფილიყო, მათი გამოყენება სამეცნიერო მიზნით შეუძლებელი იქნებოდა.

ამრიგად ყველა ზემო ნათქვამს მოკლე résumé რომ გავუკეთოთ, ასურეთ-ბაბილონის არქივების შესახებ დადასტურებულად უნდა ჩავთვალოთ შემდეგი ფაქტები. ასურბანიპალისა, ქალაქ ნიპურის ტაძრისა და ჯუმ-ჯუმაში ნაპოვნ ეგიბის ფირმის არქივების შესწავლა ცხადჰყოფს იმ გარემოებას, რომ ასურეთსა და ბაბილონში საარქივო საქმე იმ დროის კვალობაზე კარგად ყოფილა დაყენებული. ჩვენამდე მოღწეულ საარქივო მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ასურეთ-ბაბილონის სინამდვილემ იცოდა სამი ტიპის არქივი: სამეფო, საეკლესიო და კერძო. ამათგან სამეფო არქივი შედარებით ცენტრალისტურ საფუძველზე იყო მოწყობილი იმ მხრივ მაინც, რომ აქ თავმოყრილი იყო მთელი სამეფოს უმთავრესი მნიშვნელობის იურიდიული და მეცნიერული ხასიათის საბუთები. საეკლესიო და კერძო არქივებს კი უფრო ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდათ.

არქივები მოთავსებული იყო საგანგებო შენობაში: სამეფო არქივი—სასახლესთან, საეკლესიო არქივი—ტაძრებთან, ხოლო კერძო არქივი—სათანადო დაწესებულების შენობაში. არქივებს ჰქონდათ სათანადო მოწყობილობა (თაროები და სხვა) საარქივო მასალების მოსათავსებლად და დაუზიანებლად შესანახად. თვით საარქივო მასალები მოწესრიგებული იყო განსაზღრულ პრინციპის მიხედვით და ერთგვარ კათალოგისმაგმვარ ინვენტარში ჩაწერილ-აღრიცხული. კათალოგები და აღწერები იმდენად კარგად იყო შესრულებული, რომ შესაძლებელი იყო საარქივო მასალებით მეცნიერულ და პრაქტიკულ მიზნისათვის დაუბრკოლებლად სარგებლობა. არქივში ინახავდენ როგორც იურიდიულ თვალსაზრისით ღირებულების მქონე საბუთებს, ისე აგრეთვე ისტორიულ მეცნიე-

რებისათვის გამოსადეგ მასალებსაც. დრო გამოშვებით ზედმეტად და უსარგებლოდ მიჩნეულ საბუთებს სპობდენ და ასეთ შემთხვევაში პრაქტიკულ ინტერესებთან ერთად მეცნიერული ინტერესიც უგულებელყოფილი არ იყო. შესანახად დატოვებული მასალები უსარგებლოდ კი არ ეწყო არქივებში, არამედ სამეცნიერო ხმარებაში იყო და მკვლევართათვის წყაროდ ითვლებოდა. მეორეს მხრივ არქივები სახელმწიფოს და კერძო პირთა პრაქტიკულ ინტერესებსაც ემსახურებოდენ საჭირო შემთხვევებში უფლება-პრეტენზიების დასამტკიცებლად სათანადო ცნობებისა და საბუთების მიწოდებით.

ერთი სიტყვით, ჩვენ ვხედავთ, რომ ძველ ასურეთისა და ბაბილონის არქივებს ძირეულად იგივე ფუნქციები ჰქონდა დაკისრებული, რაც ჩვენს დროში საარქივო დაწესებულებათ, რა თქმა უნდა, იმ დროის შესაფერად. ჩვენ ვხედავთ აგრეთვე, რომ საარქივო საქმის ტეხნიკის მთავარი მხარეები ასურეთ-ბაბილონის სახელმწიფოებრივობის მიერ იყო გამომუშავებული, ყოველ შემთხვევაში იმდენად მაინც, რამდენად იმ დროის მეცნიერებისა და ცოდნის დონეს შეეფერებოდა. თუ ზოგიერთ თანამედროვე მეცნიერებათ საფუძველი, როგორც ცნობილია, ასურეთსა და ბაბილონში ჩაეყარათ, ჩვენ შეგვიძლია საარქივო საქმის ძირითადი პრინციპების დადგენა იმავე ასურეთისა და ბაბილონის პრაქტიკას მივაკუთვნოთ. ყოველ შემთხვევაში უდავოა ის დებულება, რომ ძველ ასურეთისა და ბაბილონის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში არქივებს ფართე მნიშვნელობა ჰქონდათ მინიჭებული, ხოლო აქედან გასაკვირი არ იქნება ვიფიქროთ ისიც, რომ საარქივო საქმის ერთგვარი პრინციპები იქვე უნდა შემუშავებულიყო.

ლიტერატურა:

1. Проф. Тураев, История древн. Востока.
2. Ак. В. Бузескул, Открытия XIX в.
3. Проф. Г. Церетели, Архивы Кл. Древности, А. К.
4. Проф. А. Смирнов, Очерки по ист. арх. дела.
5. Рагозина, История Халдеи.
6. Рагозина, История Ассирии.
7. Рагозина, История Мидии.
8. Библиотека для чтения 1857 г. Путешествие и тр. Лейарда'
9. Масперо, Древняя история народов Востока.
10. **Botta et Flandin,** Monument de Ninivé, პარიზი, 1847—50, 5 ტომი.
11. **Victor Place,** Ninivé et l' Assyrie, პარიზი, 1865—66.
12. **Layard,** Nineveh and its remains, ლონდონი, 1854.
13. მისივე, Discoveries in the ruins of Nineveh and Babylon, ლონდონი, 1853.
14. **M. v. Niebuhr,** Geschichte Assurs und Babels seit Phul, ბერლინი, 1857.
15. **Oppert,** Histoire des empires de Chaldée et d' Assyrie, ვერსალი, 1865.
16. **Lenormant,** Manuel d'histoire ancienne de l'Orient, პარიზი, 1882.
17. **H. Winkler,** Geschichte Babyloniens und Assyriens, ლაიპციგი, 1892.

2. ეგვიპტე.

ძველ ეგვიპტეს ისტორიას ჩვეულებრივად სამ პერიოდად (ძველ, საშუალო და ახალ სამეფოდ) ჰყოფენ. ეგვიპტეს სახელმწიფოს დაარსების შესახებ მეცნიერებაში მტკიცედ მიღებული აზრი არ არსებობს, მაგრამ მკვლევართა უმეტესობას ფარაონების პირველ დინასტიის გამეფების ხანად მე-40 საუკუნე ქ. წ. მიაჩნია. ამ დინასტიის დამაარსებლად ითვლება მ ე ნ ა, რომელმაც გადმოცემით ეგვიპტე გააერთიანა და ქალაქი მემფისი გააშენა. მენას მემკვიდრეების დროს ეგვიპტეში ჩაისახა მეცნიერებისა და ხელოვნების ზოგიერთი დარგი. ამავე პერიოდში შემოდის მწერლობა და ლიტერატურა. ფარაონების მეოთხე დინასტიის წარმომადგენლებმა მოგვცეს მთელი რიგი დიდებული პირამიდებისა, რომელთაც თავისი გრანდიოზობით ჩვენს დროშიც მოჰყავთ მეცნიერები განცვიფრებაში: ამ დინასტიის ფარაონებს სნოფრუს, ხეოპსს, ხაფრას, მენკურას და სხვებს ეკუთვნით განთქმული და უდიდესი ეგვიპტეს პირამიდები.

მეექვსე დინასტიის შემდეგ იწყება ეგვიპტეს დაქვეითებისა და დაკნინების ხანა, რომელიც გაგრძელდა მე-XII დინასტიის გამეფებამდე. მე-XII დინასტიის წარმომადგენელთა მეფობის დროს ეგვიპტე კვლავ აღორძინდდა და მან წარსული ძლიერებაც დაიბრუნა. მაგრამ მე-XII დინასტიის დაცემის შემდეგ ეგვიპტეც დაცემისა და დასუსტების გზას დაადგა: დაიწყო არეულობები, ქვეყანა დაქუცმაცდა, კულტურული ცხოვრება დაკნინდა. მხოლოდ რამოდენიმე ხნის შემდეგ შესძლო ეგვიპტემ ხერხემალის გამაგრება და პოლიტიკურადაც გაერთიანება. უკვე ტუტმეს მე-II-ისა (1503—1449 წ. წ.) და მის მემკვიდრეების: ამენჰოტეპ მე-III-ისა, ტუტმეს მე-IV-ისა და ამენჰოტეპ მე-IV-ის დროს ეგვიპტე იმდენად გაძლიერდა, რომ ახლობელ ქვეყნებიც კი დაიპყრო და საზღვრებიც გაფართოვა: სირია, ნუბია, ფინიკია და მესოპოტამია ეგვიპ-

ტეს გავლენის ქვეშ მოექცენ და მისი მოხარკე გახდენ. ამენ-ჰოტეპ მე-III-ის მემკვიდრემ ამენჰოტეპ მე-IV-ემ კარნაკში დიდებული ტაძარი ააშენა, ხოლო შუა ეგვიპტეში ქალ. იახტ-ატონში (ახლანდელ ტელ-ამარნას ადგილას) თავისი რეზიდენ-ცია მოაწყო. შემდეგში მან ქ. თებედან იახტ-ატონში ყველა მთავრობის დაწესებულებები და მათთან ერთად სახელმწიფო არქივიც გადაიტანა.

მე-19-ტე დინასტიის წარმომადგენლების სეტი I-ისა და რამზეს მე-II-ის დროს (1348—1281 წ. წ.) ეგვიპტე ჩაება ხანგრ-ძლივ ომებში მეზობელ ქვეყნებთან, სხვათა შორის ხეთებთან. ხეთელების ქვეყანა ამ დროს იმდენად ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომ ეგვიპტე იძულებული იყო მასთან ზავი შეეკრა არა ხელსაყრელ პირობებში. მე-20-ე დინასტიის წარ-მადგენლები სენტენეპტი და რამსესი მე-III-მე ცდილობდენ აღე-დგინათ ეგვიპტეს ძლიერება, მაგრამ დაცემის გზაზე დამდგარ ეგ-ვიპტეს ხსნა ვერც ამათ და ვერც მომდევნო ფარაონებს აღარ შეეძლოთ: ეთიოპების მეფემ პიანხიმ ისარგებლა ეგვიპტეს და-უძლურებით და იგი მალე თავის ბატონობის ქვეშ მოაქცია. ფა-რაონ ტახარკის დროს ასურეთის მეფემ ასარგადონმა ეგვიპტე გაანთავისუფლა ეთიოპების ბატონობისაგან, მაგრამ სამაგიე-როდ თვით დაეპატრონა. მე-7 საუკუნეში, პსამეტიხ I-ის დროს (664—640 წ. წ.) ეგვიპტემ კიდევ ერთხელ სცადა თავის გან-თავისუფლება და ასურელების ბატონობა მოიშორა კიდეც. მაგრამ ეგვიპტეს ბედი ამდროს უკვე განწირული იყო: მას უახლოვდებოდა დიდი საფრთხე გაძლიერებულ სპარსეთის სა-ხით, რომელმაც 525 წელს კიდევაც მოუღო ბოლო ეგვიპ-ტეს დამოუკიდებელ არსებობას.

ამიერიდან ეგვიპტე ხან სპარსეთის, ხან საბერძნეთის, ხან კიდევ რომის გავლენის ქვეშ მოექცა. რომაელების ბატონობა ეგვიპტეში იწყება 1 საუკუნიდან (31 წ.) ქ. წ., რა დროიდა-ნაც ეგვიპტე გადაიქცა რომის პროვინციად.

რომაელებმა ისევე, როგორც ბერძნებმა თავის დროზე,

დიდი გავლენა მოახდინეს ეგვიპტეს სახელმწიფოებრივ და კულტურულ ცხოვრებაზე. მაგრამ თავის მხრივ ეგვიპტელების სახელმწიფოებრიობამ თავისი ბიუროკრატიული სისტემით და წერილობითი საქმისწარმოებით გავლენა მოახდინა იმ ქვეყნებზე, რომლებთანაც მას რაიმე ურთიერთობა ჰქონდა. აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურა მჭიდროდ არის დაკავშირებული ეგვიპტეს კულტურასთან, ხოლო ბერძნებისა და რომაელების სახელმწიფოებრიობამაც ბევრი რამ შეითვისა ძველ ეგვიპტესავან. არც მუსულმანური აღმოსავლეთი დარჩენილა ეგვიპტეს კულტურის გავლენის გარეშე: მუსულმანურმა აღმოსავლეთმა, კერძოდ სპარსეთმა, ეგვიპტესაგან სხვათა შორის მაროვა-გამგეობის სისტემის ზოგიერთი მხარეებიც გიდმოიღო.

აქედან გასაგებია ის დიდი ინტერესი, რომელსაც ეგვიპტე იწვევდა და დღესაც იწვევს თანამედროვე ევროპრიობაში. მეცნიერება დიდი ხანია, რაც დაინტერესდა ძველი ეგვიპტეს ისტორიით და ცდილობს მის შესწავლას. ამ დიდმა ინტერესმა ეგვიპტისადმი საძირკველი ჩაუყარა მეცნიერების მთელ დარგს — ეგვიპტოლოგიას, რომელიც თავის მიზნად ეგვიპტეს შესწავლას ისახავს.

პირველი მეცნიერი, რომელმაც ეგვიპტურ (კოპტურ) ტექსტების ამოკითხვას შეუდგა, იყო დანელი არქეოლოგი ცოეგა. ცოეგას შემდეგ ფრანგებმა სცადეს ეგვიპტეს ნანგრევების გათხრა და იქ აღმოჩენილ ძეგლების დახმარებით ძველ ეგვიპტეს შესწავლა. ამ დროის ფრანგულ ექსპედიციის შედეგი იყო ცნობილი „Discription de l'Egypte", რომელმაც ეგვიპტოლოგიას მტკიცე საძირკველი ჩაუყარა. 1802 წელს შვედმა აკერბლადმა შესძლო დემოტიური ალფაბეტის შედგენა და მით ეგვიპტურ ტექსტების წაკითხვის გაადვილება. მაგრამ ყველაზე უფრო მეტი დამსახურება ამ მხრივ მიუძღვის ფრანგ მეცნიერს შამპოლიონს, რომელმაც ინგლისელი იუნგის მიერ დაწყებული მუშაობა კიდევ უფრო გააღრმავა და გააფართოვა. 1832 წელს შამპოლიონი გარდაიცვალა ისე,

რომ დაწყებული მუშაობის სასურველად დაგვირგვინება ვერ მოასწრო. შამპოლიონის შემდეგ ეგვიპტეს შესწავლის საკითხი ერთხანს დავიწყებას მიეცა. ბუნზენისა, ზეიფარტისა და ულემანის მუშაობას, რომელსაც მეცნიერული საფუძველი აკლდა, შედეგი არ მოჰყოლია. ბოლოდ რამოდენიმე წლის შემდეგ, ნიშანდობლივ 1842-1845 წ.წ., ცნობილმა ლესპიუსმა კვლავ განაახლა ეგვიპტეს შესწავლა მეცნიერიული მეთოდით და თავისი დაკვირვებული გამოკვლევებით მრავალი საკითხი ეგვიპტოლოგიაში საფუძვლიანად და ერთხელ და სამუდამოდ გამოარკვია. ამავე დროს ფრანგ არქეოლოგმა ემანუილ დე-რუჟემ მთელ რიგ გამოკვლევებით იეროგლიფების წაკითხვის საქმე წინ წასწია. ემანუილ დე-რუჟეს შემდეგ ეგვიპტოლოგიაში მუშაობა არ შეწყვეტილა, პირიქით იგი უფრო ჩქარის ნაბიჯით წავიდა წინ. უკანასკნელ ხანებში ამ დარგში მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდენ ისეთი გამოჩენილი ეგვიპტილოგები, როგორიცაა, მაგალითად, ბრუგში, მასპერო, კლაპროტი, დიუმისენი, ერმანი და სხვები, რომლებმაც ეგვიპტეს შესწავლის საქმე სავსებით მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დააყენეს.

არქეოლოგიურმა გათხრებმა, რომელსაც მეცნიერთა მთელი თაობა აწარმოებდა ათეულ წლების განმავლობაში, ეგვიპტეს იმ ადგილებში, სადაც წინად კულტურა, მეცნიერება და ხელოვნება ჰყვაოდა, მრავალი საყურადღებო ძეგლები აღმოაჩინა და მეცნიერების შესწავლის ობიექტი გახადა. ამ ძეგლების წყალობით შესაძლებელი ხდება ძველი ეგვიპტეს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრების ვითარების საკმაო სისრულით გამორკვევა. ამ ძეგლების საშუალებითვე შესაძლებელი ხდება იმ საკითხის გამორკვევა, რომელიც ამ ჟამად ჩვენ გვაინტერესებს, სახელდობრ საკითხის ძველს ეგვიპტეში არქივებისა და სარქივო საქმის განვითარების შესახებ. ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ ამ აღმოჩენილ ძეგლებს შორის

მრავალი წერილობითი ძეგლებია, რომლებშიც არქივების შესახებ საკმაოდ საყურადღებო ცნობებია დაცული.

ძველ ეგვიპტეში არქივს ისეთივე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ასურეთსა და ბაბილონში. იოსები ფლაბიუსი მეტად გაკვირვებული იყო ეგვიპტელების არქივებით და მათ მეტის მეტი ქებით იხსენიებს. მაგრამ იოსები ფლაბიუსის გარდაც მოგვეპოვება მთელი რიგი უფრო ადრინდელი ცნობებისა, რომელნიც ადასტურებენ, რომ ეგვიპტეში არქივების მოწყობის საქმე ერთობ კარგად ყოფილა დაყენებული. ასეთი ცნობები დაცულია ეგვიპტეს იმ საარქივო მასალებში, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს. ამ მასალებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ე. წ. ტელ-ამარნას საბუთებს, რომლებიც 1887 წელს შემთხვევით აღმოჩენილ იქნა ფელახების მიერ შუა ეგვიპტეში, სოფელ ტელ-ელ-ამარნაში. ეს საბუთები წარმოადგენენ ფარაონ ამენჰოტეპ მე-IV-ის არქივის ნაწილს, რომელიც მან თებადან გადაიტანა მის მიერ გაშენებულ ქ. იახტ-ატონში (მე-14 ს. ქ. წ.).

ამ არქივის ჩვენამდე მოღწეული საბუთები წარმოადგენენ ბაბილონურ, ნაწილობრივ კიდევ ადგილობრივ ენებზე აგურებზე ლურსმულ ასოებით ნაწერ საბუთებს, რიცხვით 358 ცალს. საბუთების ერთი ნაწილი წარმოადგენს იმ დროის დიდ სახელმწიფოთა (ბაბილონის, მიდიის, ხეთების) წერილებს ეგვიპტეს ფარაონების მიმართ; მეორე ნაწილი—ეგვიპტესაგან ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფ სხვადასხვა მეფეებისა და მთავრების მოხსენებებს, დანარჩენი ნაწილი კიდევ—სხვადასხვა გვარ მიწერ-მოწერას და საქმეებს.

ძველ ეგვიპტეს ისტორიისთვის ჩვენამდე მოღწეულ ძეგლებს შორის, წარედ ამ საბუთებს აქვთ ყველაზე მეტი მნიშვნელობა და ღირებულება. მათი საშუალებით შესაძლებელი ხდება ფარაონ ამენჰოტეპ III-სა და IV-ის მეფობის დროიდან ისეთი დეტალების გამორკვევა, რომელთა შესახებ მანამდე მეცნიერთ ოცნებაც კი არ შეეძლოთ. ტელ-ამარნას საბუთები საშუალებას იძ-

ლევა იმის გამოსარკვევად, თუ როგორი თანდათანობით უძ-ლურდებოდა ეგვიპტე და როგორ ჩამოშორდენ მას თანდათა-ნობით მისი აზიის სამფლობელოები. საბუთების მიხედვით შე-საძლებელია აგრეთვე ეგვიპტის ფარაონების მოღვაწეობის, გან-საკუთრებით ომების, ისტორიის შესწავლა და სხვა.

ტელ-ამარნას არქივის გარდა ჩვენამდე მოღწეულ ეგვიპ-ტეს არქივებიდან საყურადღებოა კასრ-ელ-ბანატში ნა-პოვნი დომიციანუსისა და ტროიანუსის ეპოქის არქივი, რო-მელიც წარმოადგენს ერთი მდიდარი მიწათმფლობელისა და ძველი ვეტერანის, ლიუციუს ჰემელას საბუთებს. ეს არქივი შეიცავს ასამდე საბუთს. იგი აღმოჩენილ იყო ორი მომიჯნა-ვე ოთახში.

აღმოჩენილ საბუთებს შორის საყურადღებოა აგრეთვე ფრანგ არქეოლოგების მიერ ძველ ქალაქ მაგდოლის ადგი-ლზე გათხრის დროს მუმიების საფლავში აღმოჩენილი მთელი რიგი საბუთებისა პაპირუსსზე დაწერილი.

ყველა ეს საბუთები წარმოადგენენ უმეტეს შემთხვევაში ფარონისათვის მირთმეულ აჯებსა და საჩივრებს—სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსისას. მაგალითად, ერთ საბუთში მოთხრობი-ლია ვიღაც ძველი ვეტერანის საჩივარი მეზობლებზე, რომლებსაც მისთვის რვა ღორი დაეხოცათ; მეორე საბუთი მოგვითხრობს ორ მეგობრის შესახებ, რომელნიც სოფ. პოლუზიაში ტკბი-ლად ცხოვრობდენ, ვიდრე ორივეს ერთი ქალი, ვინმე თეო-დორა არ შეუყვარდათ და ამის გამო ერთმანეთთან შური და მტრობა არ გაუჩნდათ; მესამე საბუთი შეიცავს იმავე სოფ. პო-ლუზიის მცხოვრებ (უკვე განსვენებულ, ვინმე მახატის) ქვრივი ასის საჩივარს თავის მეზობელ პოორისზე, რომელმაც ქმრის სიკვდილის შემდეგ მას საშუალება არ მისცა ქმრის მიერ თავის სიცოცხლეში დაწყებული კედლის დამთავრებისა; მეოთხე სა-ბუთი წარმოადგენს ერთი კაპიტანის საქმეს, სადაც მოთხრო-ბილია მისი თხოვნა სათანადო ხელისუფლების მიმართ იმის შესახებ, რომ წამოსაღები ხორბლეულობა (პური) მას ჩაბარ-

დეს არსინეთში, ვანაიდან მის გემს სხვაგან, უფრო შორს, გამგზავრება არ შეუძლია ზღვის ღელვის გამო; შემდეგ საბუთში მოთხრობილია, თუ როგორ მოუვიდა ჩხუბი მინდვრის მეთვალყურე კრატევანს მწყემსებთან იმის გამო, რომ ისინი ცდილობდენ კრატევანის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ მინდვრებზე თავიანთი ცხვრები ეძოვებიათ, და როგორ დაუგლიჯეს ამ მწყემსებმა მას ჩხუბის დროს წამოსასხამი; შემდეგ მომდევნო საბუთი პატარა საქსოვი ფაბრიკის პატრონის განცხადებაა იმის შესახებ, რომ მას ნება დაერთოს თავის ქარხანაში გაფუჭებულ საქსოვი დაზგების მაგიერ დადგას ორი ახალი დაზგა[1]. საყურადღებოა აგრეთვე საბუთი, სადაც გლეხი უჩივის თავის ბოროტ მეზობელთ, რომ იმათ სარწყავ არხების განზრახ გაფუჭებით მის ყანაში წყალი გადაუშვეს და იგი სავსებით გაუფუჭეს; ერთ საბუთში სამი ღვინის ვაჭარი—სიპატრი, დიანოზი და პტოლომეუსი—უჩივის საბითუმო ღვინის ფირმას, რომ ფირმამ 126 კოკა ღვინის მაგიერ მხოლოდ 112 კოკა ჩააბარა მათ და ამით პირობა დაარღვია.

ეგვიპტეს საარქივო მასალებიდან მეტად საყურადღებოა მთელი რიგი საბუთებისა, რომლებშიაც კერძო ცხოვრებისა და ოჯახურ ინტიმური მომენტების შესახებაა საუბარი. ასეთი საბუთები მეტად საინტერესო მასალას წარმოადგენენ ძველ ეგვიპტელების ყოფა-ცხოვრებისა და ფსიქოლოგიის შესასწავლად. ამ კათეგორიის მასალათა შორის ჩვენ გვხდება ანდერძის საბუთები, ქონების გაყოფის აქტები, ქორწინების კონტრაქტები, გაყრის ოქმები, მოძრავი და უძრავი ქონების ნასყიდობის ხელწერილები და სხვა. ამ საბუთების წყალობით მეცნიერებას საშუალება ეძლევა ზედმიწევნით შეისწავლოს ეგვიპტელების ცხოვრების მრავალი მხარე. განსაკუთრებით მრავალი ცნობებია დაცული ქ. ოქსორინქეს შესახებ, რომლისაგან ახლა მხოლოდ ნანგრევებიღაა დარჩენილი.

[1] საფეიქრო მრეწველობა ეგვიპტეში სახელმწიფოს მონოპოლიად იყო გამოცხადებული.

ის გარემოება, რომ ჩვენამდე ასე მრავლად მოაღწია ეგვიპტის საარქივო მასალებმა თავისთავად ამტკიცებს იმას, რომ ეგვიპტელებს კარგად სცოდნიათ არქივების მნიშვნელობა და მათი მოვლა-პატრონობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხადია, ეს საბუთები ჩვენამდე ვერ მოაღწევდენ.

სად და როგორ ინახავდენ ეგვიპტელები თავიანთ საბუთებს? როგორ ჰქონდათ მათ მოწყობილი არქივთსაცავები? როგორი წესები ჰქონდათ მათ შემოღებული საარქივო საბუთების შენახვის დროს და როგორი ფუნქციები ჰქონდათ დაკისრებული არქივებს, როგორც დაწესებულებებს?—აი საკითხები, რომელთა გამორკვევა საინტერესოა ჩვენთვის ამ ჟამად.

ყველა ამ საკითხების გამორკვევა შეიძლება თვით იმ საარქივო მასალების მიხედვით, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს იმ უამრავ მასალებიდან, რომელნიც, საფიქრებელია, დაცული იქნებოდა ეგვიპტეს არქივოსაცავებში თავის დროზე. ჩვენამდე მოხწეული მასალებიც, სამწუხაროდ, მხოლოდ ნაწილობრივ არის გამოქვეყნებული და შესწავლილი. ეს გარემოება აძნელებს ეგვიპტეში საარქივო საქმის ჯეროვანად შესწავლას. მაგრამ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ამ მხრივ ეგვიპტეს უძველეს ხანის შესახებ.

ძველ ეგვიპტეს ჩვენამდე მოღწეულ წერილობითი ძეგლებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა, ე. წ. ტელ-ამარნას საბუთები, რომლებშიც დაცულია ცნობები ეგვიპტის მე-14-ე საუკუნის ფარაონების, ამენჰოტეპ III და IV მეფობის შესახებ. ტელ-ამარნას საბუთების მდგომარეობა ამტკიცებს, რომ ეგვიტელებს ჯერ კიდევ მე-14-ე საუკ. ქ. წ. ცოდნიათ არქივების მოწყობა იმდენად, რომ მათ შეეძლოთ მეცნიერული და პრაქტიკული მოთხოვნილება დაეკმაყოფილებიათ. საბუთები, როგორც სჩანს, ზედმიწევნით მოწესრიგებული და აღწერილი ყოფილა. ამას ამტკიცებს სხვათა შორის ის გარემოება, რომ თვითეულ საბუთს გაკეთებული ჰქონია ალებასტრის ეტიკეტი,

რომლის საშუალებით შესაძლებელი იყო ამა თუ იმ საბუთის მოძებნა და გამოქვეყნებაც, როდსაც ეს საჭირო იყო.

ტელ-ამარნას არქივი თავის დროზე წარმოადგენდა ეგვიპტეს სახელმწიფო არქივს. სწორედ ამიტომაც იმყოფებოდა იგი ამენჰოტეპ მე-IV-ის სატახტო ქალაქ იახტ-ატონში. აღმოჩენის დროს იგი მოთავსებული იყო პატარა დაბალ ოთახში, რომელიც მეცნიერთა აზრით, უნდა ყოფილიყო ამენჰოტეპ მე-IV-ის საელჩო დაწესებულების გვერდით. სახელმწიფო არქივში, ძმთავრესად სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის აქტები და საბუთები ინახებოდა, მაგრამ აქვე ინახებოდა ზოგჯერ კერძო საბუთებიც. ეს იმიტომ, რომ ეგვიპტეში არქივები თავის პირდაპირი დანიშნულების გარდა ნოტარიატის ფუნქციებსაც ასრულებდენ.

მთავარ სახელმწიფო არქივში აღრიცხული იყო მთელი ქვეყნის ადგილ-მამულები, აქვე ადგენდენ ანდერძების ოქმს, აქვეყნებდენ ამ ანდერძებისაგან გამომდინარე ახალ ტიტულებს და სხვა. მთავარ სახელმწიფო არქივის სათავეში იდგა ფარაონის „ვეზირთა“ უპირველესი, რომელიც ამავე დროს მთავრობის თავმჯდომარისა და უმაღლეს მსაჯულის მოვალეობასაც ასრულებდა. ეს გარემოება ვეზირთა უპირველესს ხდიდა სახელმწიფოში მეტად გავლენიან პირად და ფარაონის შემდეგ პირველ კაცად. ამის გამო მეოთხე დინასტიის ეპოქაში ეს თანამდებობა ჩვეულებრივად ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილებს ეჭირათ ხოლმე. აქედან ნათელია, თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას აძლევდენ არქივს ძველ ეგვიპტეში. არქივი რომ ფრიად მნიშვნელოვან დაწესებულებად არ ყოფილიყო მიჩენილი, მის გამგებლობას ვეზირთა უპირველეს და ისიც ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილს არ დააკისრებდენ.

როგორც ვთქვით, არქივები ნოტარიატების ფუნქციებსაც ასრულებდენ; სწორედ ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ აქ კერძო უფლებრივი საბუთებიც უნდა ყოფილიყო დაცული, თუ ყოველთვის არა, განსაზღვრულ ხანაში მაინც.

შემდეგ საუკუნეთა სიგრძეზე მდგომარეობა, როგორც სჩანს, შეცვლილა. ყოველ შემთხვევაში, პტოლომეოსი II-ის დროს ჩვენ ვხედავთ, რომ კერძო-უფლებრივ საბუთებს საეკ-ლესიო (ტაძრის) არქივებში ათავსებდენ. მაგრამ ტაძრის არქი-ვებთან ერთად ამავე ხანაში ჩვენ ვხედავთ, რომ კერძო საბუ-თებს, ე. წ. სინგრაფოფილაკებიც (συγγραφοφύλακες) ინახავდენ. სინგრაფოფილაკები იყვნენ კერძო პირები და სახელმწიფო არ-ქივთან მათ არავითარი კავშირი და დამოკიდებულება არ ჰქონდათ. მაგრამ ისინი პასუხისმგებელნი იყვნენ და თვალყუ-რი უნდა ედევნებიათ იმისათვის, რომ მათთვის გადაცემულ საბუთში დადებული პირობა ორივე მხარეს შეესრულებია. კონფლიქტის შემთხვევებში, როდესაც საქმე სასამართლომდე მივიდოდა, ორივე საბუთს, ე. ი. როგორც ტაძრის არქივში შენახულს, ისე სინგრაფოფილაკებისათვის მიბარებულს, თანა-სწორი ძალა ჰქონდათ.

ამრიგად ბერძნების პოლიტიკური გავლენის ხანაში ჩვენ ვხედავთ, რომ ეგვიპტეში სახელმწიფო არქივის გვერდით არსე-ბობდენ ტაძრის არქივები და სინგრაფოფილაკები. ტაძრის არქივები და სინგრაფოფილაკები არსებობდენ თითქმის 1-ლ საუკ. ქ. წ., როდესაც ეგვიპტეში ბერძნების მაგიერ რომაელებმა მოიდგეს ფეხი და თავიანთ გავლენის ქვეშ მოაქცეს ეგვიპტეს სახელმწიფოებრივი ცხოვრება. ამ დროიდან მცხოვრებთ ნება მიეცათ თავიანთი საბუთები სახელმწიფო არქივში მიებარებიათ. ამის გამო ტაძრის არქივებს დაეკარგათ უწინდელი მნიშ-ვნელობა და მათ მეორე ხარისხოვანი ადგილი დაეთმოთ. იგივე ბედი ეწვიათ სინგრაფოფილაკებსაც, რომელნიც სახელმწიფო არქივებში კერძო საბუთების შენახვის უფლების დაწესებით, სრულიად ზედმეტნი შეიქნენ. უკანასკნელად სინგრაფოფილა-კებისათვის საბუთების მიბარების შემთხვევებს ავგუსტოსის მე-ფობის დროს ჰქონდა ადგილი, რის გამო ეს ხანა სახელმწი-ფო არქივების ფართედ გამოყენების დასაწყისიდან უნდა ჩაი-თვალოს.

შემდეგში კერძო საბუთების შესანახად სახელმწიფო არქივებთან მოწყობილ იქნა ცალკე განყოფილებები, რომლებიც I-ლ. საუკუნიდან ქ. შ. თანდათანობით დამოუკიდებელ არქივებად გადაიქცენ. ამიერიდან კერძო საბუთების საცავი არქივები გაჩნდენ ეგვიპტის თითქმის ყველა, ასე თუ ისე, მნიშვნელოვან პროვინციაშიც. მაგალითად, ასეთი არქივი მოეწყო ქ. არსინიეში (67—72 წ. ქ. შ.), ქ. ოქსირინქეში (130 წ. ქ. შ.), ქ. ანტინუპოლში (არა უადრეს მე-II ს. ქ. შ.) და სხვაგან.

როგორი ტერმინოლოგია არსებობდა არქივის აღსანიშნავად ეგვიპტეში?

307 წლამდე ქ. შ. არქივის აღსანიშნავად ჩვენამდე მოღწეულ საარქივო საბუთებში ნახმარია სიტყვა ბიბლიოთეკა (βιβλιοθήκη).. ამ სიტყვას მიემატებოდა ხოლმე ზედსართივი სახელი δημοσία, როდესაც აღსანიშნავი იყო „სახელმწიფო არქივი", და არსებითი სახელი ἐγκτήσεων, როდესაც კერძო საბუთების შემცველ არქივის აღნიშვნა იყო ხოლმე საჭირო. ამას გარდა ლიტერატურულ ნაწარმოებებში ხშირად „არქივის" აღსანიშნავად გვხვდება ბერძნული ἀρχεῖον; ხანდისხან კიდევ იხმარებოდა არქივის მნიშვნელობით აგრეთვე ტერმინი γραφεῖον, რაც ჰნიშნავს საწერ ადგილს. მაგრამ, რაკი ამ შემთხვევაში უპირატესობა საარქივო საბუთებს უნდა მიენიჭოს, ამიტომ პროფ. გ. წერეთელი ჰფიქრობს, რომ ეგვიპტეს ოფიციალურ პრაქტიკაში არქივის აღსანიშნავად სპეციალურ ტერმინებად δημοσία βιβλιοθήκη და βιβλιοθήκη ἐγκτήσεων უნდა ჩაითვალოს.

როგორც პირველი, ისე მეორე ტიპის არქივები მოწყობილი იყო ყოველ ნომის მთავარ ქალაქში. ამასთანავე თვითეულ ქალაქში არ შეიძლებოდა ერთი δημοσία βιβλιοθήκη-სა და ერთიც βιβλιοθήκη ἐγκτήσεων-ის მეტი ყოფილიყო. თვითეულ ამ არქივის სათავეში იდგა თავისი გამგე, რომელსაც βιβλιοφύλακες-ის, ე. ი. წიგნის მცველის ტიტული ჰქონდა მიკუთვნილი. ორივე არქივი არსებითად ერთი და იმავე წესს ემორჩილებოდა და

ორივე სახელმწიფო დაწესებულება იყო. განსხვავება მხოლოდ იმაში-ღა იყო, რომ ერთში სახელმწიფო-უფლებრივი საბუთები და აქტები ინახებოდა, ხოლო მეორეში—კერძო საბუთები. ამ მხრივ ერთი ნომის ორივე არქივი ფაქტიურად ერთი დაწესებულების ორ განყოფილებას წარმოადგენდა.

ზემოდ დასახელებულ არქივების გარდა, რომელნიც თვითეულ ნომის მთავარ ქალაქში იყო ხოლმე მოწყობილი, ეგვიპტეს სატახტო ქ. ალექსანდრიაში არსებობდა ორი ცენტრალური არქივი: Ἀδριανὴ βιβλιοθήκη (ადრიანეს ტაძართან) და Ναναῖον (იზიდას ტაძართან). თვითეულ ამ ცენტრალურ არქივის სათავეში თავისი გამგე იდგა, მაგრამ „ადრიანეს ბიბლიოთეკის“ გამგე, ვითარცა პირველ რანგის არქივის გამგე, „ნანაონ“-ისაზე იერარქიულად მაღლა იდგა. ამის გამო „ნანაიონ“-ის გამგე ფაქტიურად ემორჩილებოდა „ადრიანეს ბიბლიოთეკის“ გამგეს და ყოველ საჭირო შემთხვევაში ვალდებული იყო მიემართა მისთვის რჩევისა და ნებართვისათვის. ასე, მაგალითად, „ნანაიონ“-ის გამგეს თავისი უფლებით არ შეეძლო არქივში შესვლისა და საბუთების პირის გადაღების ნება მიეცა ვინმესთვის, უკეთუ ამას „ადრიანეს ბიბლიოთეკის“ გამგე არ მოისურვებდა და წინასწარ სათანადო ნებართვას არ მისცემდა. „ნანაიონ“-ი რომ „ადრიანეს ბიბლიოთეკას“ ემორჩილებოდა, ამას ადასტურებს სხვათა შორის ის ფაქტი, რომ განსაკუთრებულ საბუთების, ე. წ. χειρόγραφα-ს დედნები „ადრიანეს ბიბლიოთეკაში“ ინახებოდა, ხოლო მათი პირები „ნანაიონ“-ში.

აქედან ცხადია, რომ მე-II-ე საუკ. ქ. შ., ალბად მომდევნო საუკუნეებშიც, ალექსანდრიაში მთავარ საარქივო ცენტრად Ἀδριανὴ βιβλιοθήκη ითვლებოდა. მის გამგეზე იყო დამოკიდებული გაეცა საჭირო განკარგულებები საარქივო დარგში; ამასვე ეკუთვნოდა საერთო კონტროლისა და ზედამხედველობის უფლება.

„ადრიანეს ბიბლიოთეკაში“, რა თქმა უნდა, პირველ რიგში სატახტო ქ. ალექსანდრიის მცხოვრებთა შესახები საბუ-

თები ინახებოდა, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში იქ აგზავნიდენ პროვინციის საბუთებსაც, იმის ნაცვლად, რომ ისინი ადგილობრივ არქივში მიეცათ. ამას ამტკიცებს ერთი ქ. ოქსირინქეს პაპირუსი 127 წ. ქ. შ., რომელიც წარმოადგენს ეგვიპტეს ვიცე-პრეფექტის ედიქტს, სადაც კერძო ნოტარიუსებს საყვედური აქვთ გამოცხადებული იმის გამო, რომ ისინი ზოგიერთ საბუთებს დასაცავად აგზავნიან ადგილობრივ არქივებში, „ადრიანეს ბიბლიოთეკაში“ გადაგზავნის მაგიერ.

ზოგიერთი საბუთების პირები, როგორც ზევითაც იყო აღნიშნული, ინახებოდა „ნანაიონ“-ში, ალბად იმ მიზნით, რომ ხანძრის შემთხვევებში ერთ-ერთ საცავში მაინც გადარჩენილიყო საბუთი დაღუპვისაგან. ეს შიში სავსებით საფუძვლიანი იყო, ვინაიდან ეგვიპტეში ხანძრები ხშირ მოვლენას წარმოადგენდენ: მონების ყოველ აჯანყებას, რაც ქრონიკული მოვლენა იყო ეგვიპტეში, თან უექველად ცეცხლის გაჩენა ახლდა. აჯანყებულები ცეცხლს წაუკიდებდენ ხოლმე უპირველესად ყოვლისა დაწესებულებებს და არქივებს, რათა თამასუქები და ვალების დამამტკიცებელი საბუთები გაენადგურებიათ.

ამრიგად ეგვიპტეში ცენტრალურ არქივებად ითვლებოდა „ადრიანეს ბიბლიოთეკა“ და „ნანაიონ“-ი, ხოლო პროვინციალურ არქივებად δημοσία βιβλιοθήκη და βιβλιοθήκη ἐγκτήσεων-ი, რომელნიც მოწყობილი იყვნენ თვითეულ ნომში. პროვინციის ბიბლიოთეკების (არქივების) სათავეში, როგორც ნათქვამი იყო, ბიბლიოფილაკები იდგნენ. ვის ემორჩილებოდენ ეს ბიბლიოფილაკები, „ადრიანეს ბიბლიოთეკას“, თუ ადგილობრივ ხელისუფლებას?

ბიბლიოფილაკები სავსებით დამოკიდებულნი იყვნენ იმ ნომის მართველისაგან (στρατηγός), სადაც არქივი იმყოფებოდა. ამ „სტრატეგოსისათვის“ უნდა მიემართათ მათ ყოველ საპირო შემთხვევაში, როდესაც საქმე სერიოზულ საკითხს შეეხებოდა. ასე, მაგალითად, არქივში საბუთების დასათვალიერებლად, ან პირის გადასაღებად ვინმე კერძო პირი რომ შეეშვათ, წინასწარ

საჭირო იყო მმართველის ნებართვა. ეს აიხსნება იმ გარემოებითაც, როგორც პროფ. გ. წ ე რ ე თ ე ლ ი ჰფიქრობს, რომ პროვინციის არქივებში დაცული არქივები ხშირად კერძო მოქალაქეთა საიდუმლოებას შეიცავდა და, რაკი სახელმწიფო (არქივის სახით) მათ მიიბარებდა, ამით ვალდებულიც იყო ეს საიდუმლოება საჭირო დრომდე არ გამოექვეყნებია და იგი (საიდუმლოება) იმ კერძო პირთათვის არ გაემჟღავნებია, რომელთაც ამ საბუთთან კავშირი არ ჰქონდათ. ამგვარი სიფრთხილის ზომა განსაკუთრებით საჭირო იყო βιβλιοθήκη ἐγκτήσεων-ის მიმართ, სადაც კერძო-უფლებრივი საბუთები ინახებოდა.

რაც შეეხება θηκεσία βιβλιοθήκη-ს, აქ, როგორც ვიცით, მხოლოდ ოფიციალური საბუთები და სახელმწიფო ხელისუფლების ქალალდები იყო შენახული. ასეთი იყო, მაგალითად, თანამდებობის პირთა და მოხელეთა მოხსენებები და ანგარიშები მუშაობა-მოქმედების შესახებ, ეგვიპტეს პრეფექტის და სხვა მაღალ მოხელეთა საერთო განკარგულებები და სხვა. ადგილობრივი, ე. ი. ნომის ხელისუფლების ანგარიშებისა და და მოხსენებებიდან არქივში ინახებოდა: პურის (გადასახადის) ამკრეფთა (σιτολόγοι) ანგარიშები, სასურსათო გადასახადისა (πράκτορες σιτικῶν) და ფულით გადასახადის (πράκτορες ἀργυρικῶν) ამკრეფთა წლიური სიები, საჯარო მუშაობის წარმოების შესახებ სათანადო მაგისტრატების მოხსენებები, მცხოვრებთა აღწერის შესახები საბუთები, თანამდებობის პირთა დღიურები და სხვა.

βιβλιοθήκη ἐγκτήσεων-ის მოვალეობაში შედიოდა საადგილმამულო დავთრების წარმოება. თუ მევალეს განზრახვა ჰქონდა დავალიანების გამო პატრონისათვის უძრავი ქონება ჩამოერთმია, ამის შესახებ მას წინასწარ განცხადება უნდა შეეტანა არქივში. არქივი განცხადების გასინჯვის შემდეგ ნებართვას მისცემდა ნოტარიუსს მოეხდინა პირობის თანახმად შესაფერი აქტი. კონტრაქტზე ხელის მოწერის შემდეგ ამის შესახებ ეცნობებოდა არქივს, შესაფერი განცხადების შეტანით იმ პირის

შიერ, რომლის სასარგებლოდ მოხდა უფლებრივი ცვლილება. არქივი დაიტოვებდა პირობის პირს, რომელიც განცხადებას ჰქონდა დართული, და შეძენის უფლებას დაუმტკიცებდა შემძენს მით, რომ პირობას ჩასწერდა მაჩვენებელში (διαστρώματα). ამ მაჩვენებლის საშუალებით არქივს შეეძლო მიეცა ცნობა სხვა დაინტერესებულ დაწესებულებისათვის ადგილ-მამულის პატრონის შესახებ.

აქედან ცხადია, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მაჩვენებლებს: უფლებრივი დამოკიდებულების დამტკიცება უძრავ ქონებაზე სწორედ ამ მაჩვენებლების მეოხებით სწარმოებდა. ამის გამო მაჩვენებლები მუდამ წესრიგში უნდა ყოფილიყვნენ მოყვანილი (თუმცა იყო შემთხვევებიც, როდესაც მოწესრიგებული არ იყვნენ). ხელისუფლება სასტიკად ადევნებდა თვალყურს მაჩვენებლების მდგომარეობას და, როდესაც აღმოჩნდებოდა, რომ სადმე მაჩვენებლები შესაფერად არ იყვნენ შედგენილი, ეგვიპტეს პრეფექტები საგანგებო ედიქტებით უძრავ ქონების მფლობელთ ავალებდენ ხელახლა წარმოედგინათ თავიანთი განცხადებები მაჩვენებლების შესამოწმებელად. ასეთი ედიქტის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ერთი ოქსირინქეს პაპირუსი 89 წ. ქ. შემდეგ, რომელიც შეიცავს ეგვიპტეს პრეფექტის ბრძანებას, სადაც მიწათმფლობელთ წინადადება ეძლევათ ექვსი თვის ვადაში წარმოადგინონ განცხადებები სწორი ცნობებით, ვინაიდანო, ნათქვამია ედიქტში, განცხადების სისწორეზე დამოკიდებული იქნება მაჩვენებლების სისწორეცო.

როგორი წესით ადგენდენ ამ მაჩვენებლებს, რომელნიც არსებითად საადგილ-მამულო დავთარს წარმოადგენდენ?

სამი პაპირუსი, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს,[1] საშუალებას იძლევა გავარკვიოთ მაჩვენებლების შედგენის ძირითადი წესები. ამ პაპირუსების მიხედვით ირკვევა, რომ მაჩვენებლების

[1] ერთი ამ პაპირუსთაგანი ინახება რუსეთში საკავშირო აკადემიის ბიბლიოთეკაში პაპირუსების კოლექციაში.

შედგენა დამყარებული იყო პერსონალურ ფოლიებზე, ე. ი. სიები შედგენილი იყვნენ მესაკუთრეთა სახელების მიხედვით ალფაბეტურ რიგზე. თვითეულ ფოლიოს თავში აღნიშნული იყო მესაკუთრეს სახელი. ახალი დამატებათა შეტანის მოსალოდნელ შემთხვევისათვის ჩვეულებრივად დატოვებული იყო თავისუფალი ადგილი. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ მაჩვენებლებში შეჰქონდათ ხოლმე მხოლოდ კერძო მფლობელობაში მყოფი მამულები და არა სახელმწიფო მიწები.

საადგილ-მამულო დავთრებისაგან განსხვავდებოდა ე. წ. კადასტრი, ე. ი. აღწერა, რომელიც შეიცავდა გადასახადთა შეფასებას და ხარისხს. კადასტრებს ადგენდენ ჩვეულებრივად სოფლის მწერლები და საადგილ-მამულო დავთრებთან მათ არაფერი ჰქონდათ საერთო. ამიტომ მათი წარმოება ამ არქივების მოვალეობაში არ შედიოდა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქმე შეეხებოდა საადგილ-მამულო გადასახადს კერძო მიწაზე და საიჯარო ქირას სახელმწიფო მიწაზე: βιβλιοθήκη ἐγκτήσεων-ში ინახებოდა გადასახდელ იჯარათა და გადასახადთა სიები. ამგვარი სიები და საერთოდ ადგილ-მამულის შესახები საბუთები შეადგენდენ კიდევაც ამ არქივის მთავარ შინაარს. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ჰნიშნავს, რომ βιβλιοθήκη ἐγκτήσεων მხოლოდ ისეთ საბუთებს ინახავდა, რომელნიც მიწათმფლობელობას შეეხებოდა: აქ ინახებოდა ქონებრივ უფლების (ყიდვა-გაყიდვის უფლება, იჯარის უფლება და სხვა) გამომხატველი ყოველგვარი საბუთი. ყველა ამგვარი საბუთები შედიოდენ ამ არქივში და საარქივო რეესტრში უნდა გატარებულიყვნენ. იმ ქალაქებში, სადაც „არქივი უძრავ ქონებაზე“ არ იყო, ასეთ ფუნქციებს ζημοσία βιβλιοθήκη ასრულებდა. ეს გარემოება ადასტურებს სხვათაშორის იმ ფაქტს, რომ ამ ორ სხვადასხვა ტიპის არქივთა ფუნქციების სასტიკი გამიჯვნა ყოველთვის დაცული არ იყო.

საყურადღებოა, რომ ნოტარიუსები ვალდებული იყვნენ მათ მიერ შედგენილი ხელშეკრულებებისა და პირობების ან-

გარიშები ბიბლიოთეკებისათვის წარედგინათ. მათი სახელზე-ვე უნდა წარეგზავნათ მათ ყოველგვარი განცხადებები, ხელ-შეკრულებების პირები და სხვა. პირობების აგნარიშში მათი შინაარსი უნდა ყოფილიყო მოკლედ მოყვანილი, ქრონოლო-გიური წესის დაცვით. უკანასკნელ გარემოებასთან დაკავშირე-ბით ანგარიშებში სხვადასხვას შინაარსის პირობები იყო ხოლმე მოყვანილი: ქორწინების შესახებ პირობას იჯარის შესახებ პი-რობა მისდევდა, უკანასკნელს მოსამსახურის დაქირავების შესახებ ხელშეკრულება და სხვა. ამრიგად, არქივმა იცოდა ყოველგვარი ხელშეკრულებისა და უძრავ ქონებაზე მომხდარ ცვლილებების შესახებ. მასვე ჰქონდა ცნობები გადასახადებისა და მათი აკ-რეფის შესახებ. ერთი სიტყვით, ბიბლიოფილაკები, როგორც სამართლიანად ჰფიქრობს პროფ. გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ასრულებ-დენ ნოტარიატების საკონტროლო ორგანოს ფუნქციებს და ამ მხრივ მათ კიდევაც ემორჩილებოდათ ნოტარიატები.

რაკი ბიბლიოფილაკები საკონტროლო ფუნქციებს ასრუ-ლებდენ, თავისდათავად ცხადია, მათ იურიდიული სწავლა-განათლება უნდა ჰქონოდათ და თანამედროვე კანონმდებლობას გაცნობილი უნდა ყოფილიყვნენ. ამასთანავე ისინი ჩვეულებ-რივი საარქივო მუშაობისაგან (როგორიცაა, მაგ., საქმეების მი-ღება, მათი რეგისტრაცია, ინვენტარიზაცია და სხვა) თავისუ-ფალი უნდა ყოფილიყვნენ. ამიტომ ასეთი მუშაობისათვის მათ უეჭველად თანაშემწეები და დაბალი ტეხნიკური პერსონალი ეყოლებოდათ. ბიბლიოფილაკები კი ასეთ შემთხვევაში ალბად მხოლოდ ხელმძღვანელობას გაუწევდენ, ვითარცა მაღალი კვა-ლიფიკაციის არქივისტები. თავისთავად ცხადია, რომ ეგვიპტეს ცენტრალურ არქივების „ა დ რ ი ა ნ ე ს ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ი ს ა“ და „ნ ა ნ ა ი ო ნ“-ის გამგეები, რომელთაც კიდევ უფრო რთული და პასუხსაგები მოვალეობა ჰქონდათ დაკისრებული თავიანთ თანამდებობასთან დაკავშირებით, ბიბლიოფილაკებზე გაცილე-ბით უფრო მეტი სწავლა-განათლებით და მომზადებით უნდა ყოფილიყვნენ აღჭურვული. საერთოდ დანამდვილებით შეგვი-

ძლია ვთქვათ, რომ ეგვიპტეს არქივების საკმაოდ რთულ და პასუხსაგებ სამსახურისათვის, უეჭველია, მხოლოდ საგანგებოდ მომზადებული მოხელე გამოდგებოდა, გარდა ტექნიკური პერსონალისა, რომელიც ალბად მონებისაგან შესდგებოდა, როგორც ეს საბერძნეთსა და რომში იყო.

ასეთია მოკლედ ეგვიპტეს არქივების ისტორია. ამ მოკლე მიმოხილვის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ: ეგვიპტეს არქივების მოწყობილობა, მიუხედავად მრავალი ნაკლისა, დამამტკიცებელია იმისა, რომ საარქივო საქმე იქ კარგად ყოფილა დაყენებული. მოღწეულ საბუთების მიხედვით, ცხადი ხდება ის გარემოება, რომ ეგვიპტელებს, არა ნაკლებ ასურელებისა და ბაბილონელებისა სოდნიათ საბუთებისა და აქტების მნიშვნელობა, მათი დაცვა და მოვლა-პატრონობა. ეგვიპტეს არქივებმა ბევრი რამ შეითვისეს ასურეთ-ბაბილონის არქივებისაგან, განსაკუთრებით პირველ ხანებში, მაგრამ შემდეგში საარქივო საქმე მათ უფრო განავითარეს და გაცილებით მაღალ დონეზე დააყენეს. ბერძნულ-რომაულ პერიოდში (ე. ი. III ს-დან ქ. წ.) ეგვიპტის არქივებზე გავლენას ახდენს ჯერ საბერძნეთის, ხოლო შემდეგ რომაელების სახელმწიფოებრივობა. განსაკუთრებით ამ ხანაში ეტყობა ეგვიპტეში საარქივო საქმეს ჩამოყალიბება და მკვიდრ ნიადაგზე დაყენება. თუ წინად არქივები იმავე დროს ნოტარიატის ფუნქციებსაც ასრულებდენ, ამ პერიოდში ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ორი დაწესებულების ფუნქციები ერთიმეორისაგან გამიჯნულია, და არქივებს მხოლოდ საკონტროლო ფუნქციები აქვთ დაკისრებული. ამასთან ერთად არქივებში შემოდის ინვენტარისა და მაჩვენებლების შედგენის გაუმჯობესებული წესები.

ორგანიზაციის მხრივ საყურადღებოა შემდეგი ფაზები: უძველეს ხანაში არსებობდა სახელმწიფო არქივი, რომელიც სასახლეებთან იყო ხოლმე მოწყობილი და ამ არქივში თავმოყრილი იყო სახელმწიფოს აქტები და ქაღალდები. არსებობდა

თუ არა ამდროს სხვა არქივებიც, ძნელი სათქმელია. მაგრამ შემდეგ ხანებში სახელმწიფო არქივების გვერდით ჩვენ ვხედავთ ტაძრის არქივებსა და სინგრაფოფილაკებს. ცოტა დაგვიანებით ტაძრის არქივებს მნიშვნელობა ეკარგებათ და სინგრაფოფილაკებიც ისპობა. მათ მაგიერ პროვინციაში თვითეულ ნომში ეწყობა δημοσία βιβλιοθήκη ოფიციალურ საბუთებისათვის და βιβλιοθήκη ἐγκτήσεων—კერძო ხასიათის საბუთებისათვის. ორივე არქივი ემორჩილება სათანადო ნომის მმართველს—სტრატეგოსს.

ეგვიპტეს სატახტო ქალაქში ალექსანდრიაში არსებობს ორი ცენტრალური არქივი „ადრიანეს ბიბლიოთეკისა“ და „ნანაიონ“-ის სახელწოდებით. თვითეულის სათავეში დგას ცალკე გამგე, მაგრამ „ნანაიონ“-ის გამგე იერარქიულად „ადრიანეს ბიბლითეკის“ გამგეზე დაბლა დგას და ᲛᲔᲡ ემორჩილება კიდევაც.

ამრიგად ეგვიპტეს პრაქტიკამ იცის ცენტრალური და პროვინციალური არქივები. ცენორალური არქივები ორი ტიპისა იყო: „ადრიანეს ბიბლიოთეკა“ და „ნანაიონი“, ᲑᲝᲚᲚᲝ პროვინციისაც ორი: δημοσία βιβλιοθήκη და βιβλιοθήκη ἐγκτήσεων.

ლიტერატურა:

1. Проф. Тураев, История др. Востока
2. Ак. Бузескул, Открытия XIX в.
3. Проф. Г. Церетели, Архивы клас. древн.
4. Проф. А. Смирнов, Очерки по ист. арх. дела.
5. Брэстед, История др. Египта 2 т.
6. Цибарт. Культурн. жизнь древне-греч. городов.
7. Журн. М. Нар Просв., 1896 г.
8. Масперо, Древняя история народов Востока.
9. Erman, Aegypten und aegyptisches Leben im Altertum, ტიუბინგენი, 1885 წ.
10. Brugsch, Die Aegyptologie, ლეიპციგი, 1891 წ.
11. Wiedemann, Aegyptische Geschichte, გოტა, 1884—88 წ.წ.
12. Ed. Meyer, Geschichte des alten Aegyptens, 1887 წ.

თავი მეორე.

ძველი კლასიკური ქვეყნები.

1. საბერძნეთი.

ძველ აღმოსავლეთთან შედარებით საბერძნეთში არქივებსა და საარქივო საქმეს გაკილებით უფრო გვიან ჩაეყარა საფუძველი. სამართლიანად ამბობს იოსებ ფლაბიუსი, რომ წინად ბერძნებს სახელმწიფოში მომხდარ ამბების წერილობით აღნუსხვისა და შთამომავლობისათვის ამ სახით მათი გადაცემის მისწრაფება არ ჰქონდათო. არამც თუ სხვა ბერძნებს, თვით ათინელებსაც კი, რომელნიც თავიანთ თავს ქვეყნის მკვიდრად და ამასთანავე სწავლა-განათლების მოყვარედ სთვლიდენ, ამბების ჩაწერის ჩვეულება და წესი არ ჰქონდათო.

თავისთავად ცხადია, რომ წერილობითი საბუთების უქონლობა, არქივების უქონლობაზედაც ლაპარაკობს. მართლაც, საბერძნეთში, ყოველშემთხვევაში ატიკაში, სოლონამდე არქივების არსებობის შესახებ ლაპარაკი შეუძლებელია. თვით ათინელების სიტყვითო, ამბობს მეორე ადგილას იგივე იოსები ფლაბიუსი, მათ უძველეს სახელმწიფო აქტებად დრაკონის კანონები ითვლებაო. მაშასადამე, ყველაფერი, რასაც ადგილი ჰქონდა დრაკონამდე, თვით თანამედროვეთა მიერ ისეთ რამედ ითვლებოდა, რისი ნახვაც შეუძლებელი იყო და რაზედაც მსჯელობა მხოლოდ სათუოდ შეიძლებოდა. აქედან ცხადია, რომ უძველეს საბერძნეთში არქივების საჭიროება ჯერ შეგნებული არ ყოფილა და ამიტომ, ბუნებრივია, რომ ძველ ბერძნებს მათი მოწყობაზედაც არ უზრუნვიათ.

შემდეგ ხანებში, დაახლოებით მე-VII—VI ს. ს. ქ. წ. საბერძნეთშიც, საფიქრებელია აღმოსავლეთის გავლენით, წერილობითი

საბუთებისა და აქტების საპირობების შეგნებამ თანდათან უფრო ფეხი მოიკიდა. ამგვარი შეგნება თავდაპირველად საბერძნეთის მკირე აზიის კოლონიებზე, სირია-ბაბილონის მეზობლობის გამო, განმტკიცდა, ხოლო შემდეგში მეტროპოლიაშიც შემოიჭრა. მართლაც, საყურადღებოა, რომ სპარტაში ჯერ კიდევ ლიკურგის დროს აკრძალული იყო წერილობითი კანონებით სარგებლობა, ხოლო კუნძულ ლესბოსზე უკვე მე-7-ე ს. ქ. წ. პიტაკ ლესბოსელმა ადათზე დამყარებული სამართლის ნაცვლად დაწერილი კანონები შემოიღო. ამასვე ეხედავთ ჩვენ მკირე აზიელ იონიანებშიც, სადაც დემოკრატიულ წესწყობილების დამყარებისა და პაპირუსის, ვითარცა საწერ მასალის, გაჩენასთან ერთად, – დაწერილი კანონებიც ჩნდება. ასეთი კანონები ჩვეულებრივად პაპირუსზე იწერებოდა, ხოლო პირი ქვაზე ან ბრინჯაოზე გამოიჭრებოდა ხოლმე. პირებს ჩვეულებრივად გამოქვეყნების მიზნით საჯარო ადგილას ათავსებდენ, პაპირუსზე დაწერილი დედნები კი ალბად სადმე არქივის მაგვარ ადგილას ინახებოდა.

რაც შეეხება ატიკას, იქ ამ მიმართულებით პირველ ნაბიჯების გადადგმა უნდა მიეკუთვნოს სოლონის დროს, ე. ი. მე-VI-ე ს. ქ. წ., როდესაც პირველად გამოცემულ იქნა კანონთა კრებული, რომელთა დაცვა სოლონმა სისხლის სამართლის უმაღლეს სასამართლოს ა რ ე ო პ ა გ ს დაავალა. ამით არეოპაგი, იმდენად ყოველშემთხვევაში, რამდენად საქმე კანონებსა და სხვა მსგავს ნაწერ საბუთებს შეეხებოდა, თავისებურ საარქივო ორგანოს ფუნქციების აღმასრულებელი შეიქნა. შემდეგში, უკვე პერიკლეს დროს, ე.ი. მე-5ე საუკუნეში ეფიალტეს წინადადებით ეს მოვალეობა ჩამოერთვა არეოპაგს და გადაეცა 7 ნომოფილაკებისაგან (კანონების დამცველები) შემდგარ საგანგებო კოლეგიას. ნომოფილაკების კოლეგიის შექმნით, ეფიალტემ საძირკველი ჩაუყარა სახელმწიფო არქივს.

ნომოფილაკების კოლეგიის გამგებლობაში მყოფი არქივი, თუმცა სახელმწიფო არქივად ითვლებოდა, მაგრამ სახელმწიფოს

ყველა სახელმწიფოებრივი საბუთების შემცველი არ იყო. პირიქით, იქ მოთავსებული იყო მხოლოდ ის საბუთები, რომელნიც საბჭოსა (βουλή) და სახალხო კრების (ἐκκλησία) მოღვაწეობას შეეხებოდენ. არქივი მიშენებული იყო საბჭოს შენობას, რომელიც ჩვეულებრივად ქალაქის შუაგულს იყო ხოლმე მოთავსებული. რაც შეეხება დანარჩენ საბუთებს, ასეთები სათანადო უწყებათა გამგებლობაში იმყოფებოდენ და იქვე იყვნენ მოთავსებული. ასე, მაგალითად, მეფის არხონტების საქმეები ინახებოდა მეფის სასახლესთან, თესმოთეტების საქმეები — თესმოთეტეიონში და სხვა. ასევე, დიმარხებიც, ვითარცა თემების წარმომადგენელნი, თვით ინახავდენ სათემო დავთრებს (ληξιαρχικὸν γραμματεῖον), სადაც ჩვეულებრივად სრულ ჰასაკის ყრმათა სახელები იყო ჩაწერილი. არქონტი პოლემარხიც ადგენდა და თვით ინახავდა ათინაში მცხოვრებ უცხოელების სიას და ასე სხვებიც.

ის ფაქტი, რომ თვითეული უწყება თავის საბუთებს თვით ინახავდა და ნომოფილაკების კოლეგიას, ე. ი. სახელმწიფო არქივს არ აბარებდა, ცხად ჰყოფს იმ გარემოებას, რომ ამ დროს საბერძნეთში საარქივო საქმეში არსებითად საუწყებო პრინციპი იყო დამკვიდრებული და, მაშასადამე, არავითარ ცენტრალიზაციის შესახებ ლაპარაკი არ შეიძლება.

მე-4-ე საუკუნეში ყველა სახელმწიფო საბუთები და აქტები გადატანილ იქნა ერთ შენობაში — ღმერთების დედის ტაძარში — მ ე ტ რ ო ო ნ ში (τὸ μητρῶον). ამრიგად მე-4-ე საუკუნის პირველ ნახევრიდან მეტროონი გადაიქცა ცენტრალურ სახელმწიფო არქივად, სადაც ინახებოდა ორიგინალები, ზოგჯერ კიდევ პირები იმ აქტებისა და საბუთებისა, რომელნიც უმაღლეს ხელისუფლების და თანამდებობის პირებისაგან გამომდინარეობდენ. ასეთ საბუთებს წარმოადგენდენ მთავრობის დეკრეტები და კანონები, საბჭოსა, სახალხო კრების და სასამართლოს საქმეები, საფინანსო ანგარიშები, ეფებების სიები და სხვა. მეტროონში ინახებოდა აგრეთვე სამი დიდი ტრაგიკო-

სების — ესხილესისა, სოფოკლესი და ევრიპიდეს ნაწარმოებთა ოფიციალური ეგზემპლიარები, რომელნიც ორატორ ლიკურგის წინადადებით იყვნენ მოთავსებულნი იმ მიზნით, რომ ტრაგედიების ტექსტები დაეცვათ მსახიობთა მიერ წარყვნისაგან. ამას გარდა მეტროონში ინახებოდა აგრეთვე ზოგიერთი კერძო საბუთებიც, რომელთაც რაიმე განსაკუთრებული ღირებულება და ინტერესი ჰქონდათ. მაგრამ ასეთი შემთხვევები გამონაკლისად და იშვიათ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, საერთოდ კი კერძო საბუთებს ბერძნები, ეგვიპტელების მსგავსად, მოწმეების თანდასწრებით კერძო პირთ აძლევდენ ხოლმე შესანახად. ჩვენ არ ვიცით, ჰქონდათ თუ არა ამ კერძო პირებს, განსაკუთრებული სახელწოდება ეგვიპტელების ბიბლიოფილაკებივით და, თუ ჰქონდათ, რა ეწოდებოდათ მათ, მაგრამ ამგვარი ჩვეულება რომ იყო საბერძნეთში, ეს უდავო ფაქტია.

ამრიგად მეტროონი ცენტრალური სახელმწიფო არქივი იყო და, როგორც დავინიხეთ, ყველა მნიშვნელოვან სახელმწიფო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა საბუთები იქ ინახებოდა; მაგრამ საბერძნეთში ამავე დროს არსებობდენ სხვა არქივებიც, უმთავრესად სხვადასხვა უწყებასთან, როგორც ეს მეტროონის დაარსებამდეც იყო. მეტროონის დაარსებას „საუწყებო“ არქივების გაუქმება არ მოჰყოლია. ამ შემთხვევაში განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ მეტროონის დაარსებით ყველა სახელმწიფო საბუთები და აქტები ერთ დაწესებულებაში იყრიდა თავს, მაშინ როდესაც მეტროონის წინამორბედის ნომოფილაკების კოლეგიის დროს ცენტრალურ არქივში მხოლოდ საბჭოსა და სახალხო კრების საბუთები იყო მოთავსებული. ამას გარდა „საუწყებო“ არქივებიდანაც საჭიროების განვლისას, განსაზღრული ხანის შემდეგ, ზოგიერთი საქმეებიც მეტროონში უნდა გადაეცათ. ასე, რომ მეტროონი არა მარტო ფორმალურად, არამედ ფაქტიურადაც სახელმწიფოს ცენტრალურ არქივის როლს ასრულებდა.

რა მიზანი უნდა ჰქონოდათ ბერძნებს, როდესაც ცენ-

ტრალურ არქივს აარსებდენ და რა მიზნით ინახებოდა იქ დაცული საბუთები? ალბად ორი მიზნით: პრაქტიკული და მეცნიერული, როგორც ეს აღმოსავლეთშიც იყო.

პირველი მიზნისთვის არქივების საჭიროება ამ დროს უკვე კარგად შეგნებული ჰქონდათ ბერძნებს. ყოველდღიური ცხოვრება და მასთან დაკავშირებული საქმიანობა ცხადჰყოფდა ბერძნებისათვის არქივების პრაქტიკულ საჭიროებას. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ძველი საბუთი აუცილებელი იყო თანამდებობის პირისა და დაწესებულებისათვის, როდესაც გასარჩევ საქმის გამოსარკვევად საჭირო იყო ცნობა, ან კერძო პირისათვის, როდესაც მას ძველი საბუთის მეოხებით, უნდა დაემტკიცებია თავისი უფლება და პრეტენზია. ასეთ შემთხვევებში თანამდებობის პირს, რომელსაც ცნობა სჭირდებოდა, შეეძლო მეტროონიდან გამოეთხოვა საჭირო საბუთი, ხოლო კერძო პირთაც შეეძლოთ მიემართათ სახელმწიფო არქივისათვის საბუთის პირის მისაღებად.

ასეთი პრაქტიკული მიზნით არქივების გამოყენების მაგალითს ძველ საბერძნეთში წარმოადგენს შემდეგი შემთხვევა: ლიკურგი პასუხისგებაში იყო მიცემული იმისათვის, რომ მან საფინანსო უწყების სათავეში ყოფნის დროს, ვითომც ზოგიერთი უსამართლობა ჩაიდინა. ლიკურგს რომ თავისი სიმართლე დაემტკიცებია, ხელთ უნდა ჰქონოდა ზოგიერთი ცნობები, რომელნიც მის მიერ მეტროონში შესანახად გადაცემულ ანგარიშებში იყო აღნიშნული. ამიტომ მან სიკვდილის წინ მოითხოვა წაეყვანათ ის მეტროონში, საჭირო ცნობების ამოსაკრეფად. ანალოგიური შემთხვევები საბერძნეთის ისტორიამ ბევრი იცის.

თავისთავად ცხადია, რომ მეტროონში დაცულ საბუთებს მარტო პრაქტიკული დანიშნულება არ ჰქონდათ; იქ იყო ისეთი ნაწერებიც, რომელნიც საისტორიო მეცნიერებისა და ხელოვნებისათვის გამოსაყენებლად იყვნენ განკუთვნილი. სხვას რომ თავი დავანებოთ, ასეთი მიზანი ჰქონდა მეტროონში ესხი-

ლესისა, სოფოკლესა და ევრიპიდეს დრამატიულ ნაწარმოებთა შენახვას. მაგრამ ამას გარდა მეტროონში დაცული მასალები წარმოადგენდენ ძველ ბერძენ-ისტორიკოსებისათვის პირველ წყაროს საბერძნეთის ისტორიის დასამუშავებლად. ჩვენ ვიცით, რომ მთელ რიგ ისტორიკოსებმა გამოიყენეს მეტროონში დაცული მასალები ამ მიზნით. სხვათა შორის საყურადღებოა, რომ ჯერ კიდევ მე-III-ე ს. ქ. წ. მაკედონიის მეფის ანტიგონე გონატის ძმამ კრატერმა გამოქვეყნების მიზნით შეადგინა სახალხო კრების დადგენილებათა კრებული მეტროონში დაცული მასალების მიხედვით, რათა იგი უფრო ხელმისაწდომი ყოფილიყო მეცნიერებისათვის.

მეტროონში დაცული მასალები იმყოფებოდენ საგანგებო ეზრუნველობისა და კონტროლის ქვეშ. მეტროონის მფარველად ითვლებოდა ღმერთების უფროსი დედა და ამიტომ ეს ადგილი ათინელებისათვის წმიდა ადგილად ითვლებოდა. მისი შეხება სასტიკად იყო აკრძალული, ხოლო საბუთების მოსპობისა ან ყალბ საბუთების წარმოდგენისათვის დამნაშავე კანონის ძალით სიკვდილით უნდა დასჯილიყო. კანონში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ მეტროონში ყალბი საბუთების შეტანა სასტიკად აკრძალულია, რადგან ამით ადგილის სიწმიდე დაირღვევაო.

მეტროონის ზედამხედველად ითვლებოდა პრიტანების თავმჯდომარე, ე. ი. საბჭოს მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, რომელიც თავის თანამდებობის მიხედვით მეტად საპატიო და პასუხისმგებელ პირად ითვლებოდა ათინაში. ასეთი საპატიო პირის დანიშვნა მეტროონის სათავეში აიხსნება მხოლოდ იმ გარემოებით, რომ მეტროონში დაცული საბუთები და თვით მეტროონი წმიდა ადგილად ითვლებოდა, ისეთ ადგილად, რომელსაც მთელი ათინა თაყვანსა სცემდა. ასეთი ადგილის გამგებლობა, ბუნებრივია, უნდა დაეკისრებინათ ისეთი პირისათვის, რომელსაც დიდი თანამდებობა ეპირა და ხალხის ნდობით იყო აღჭურვილი.

მაგრამ ამასთანავე პრიტანების თავმჯდომარე (ეპისტატი) არსებითად მეტროონის მხოლოდ საპატიო გამგე იყო, ხოლო ნამდვილ, ე. ი. ფაქტიურ გამგედ, საბჭოს მდივანი (γραμματεὺς τῆς βουλῆς) იყო. ამ მდივანს ჰყავდა თავისი თანაშემწე—ქვემდივანი, ე. წ. ὑπογραμματεύς, მაგრამ გარდა გამგისა და მისი თანაშემწისა, იყვნენ აგრეთვე განყოფილებათა გამგეები ან ეფროსები საჭიროებისდამიხედვით. ასე, მაგალითად, იყო საგანგებო მოხელე, რომელიც განაგებდა პსეფიზმატების განყოფილებას, ე. ი. სახალხო კრების დადგენილებათა განყოფილებას. არქივის შავ სამუშაოსათვის კიდევ იყო დაბალი ტეხნიკური პერსონალი, რომელიც მონებისაგან შესდგებოდა. მათი სამუშაოს შეადგენდა საბუთების მიღება, მოწესრიგება, ინვენტარში შეტანა, კათალოგების შედგენა, საბუთების მოძებნა, ცნობების გაცემა და სხვა.

რას წარმოადგენდენ, როგორც ნივთიერება, ის საბუთები რომელნიც საბერძნეთის არქივში ინახებოდენ და როგორი წესი არსებობდა მათი შენახვისათვის?

მეცნიერებაში უკანასკნელ დრომდე მიღებული იყო ის აზრი, რომ ძველ საბერძნეთის არქივში ინახებოდა ქვაზე ან ბრინჯაოზე ამოკრილი, ან კიდევ ხის ფიცრებზე დახაზული ნაწერები. პროფ. გ. წ ე რ ე თ ე ლ ი არ ეთანხმება ამ აზრს და მას ჰგონია, რომ ისეთ ფაქტებს შესაძლებელი იყო ადგილი ჰქონოდა მხოლოდ გამონაკლისის სახით. ასეთ გამონაკლისად მიაჩნია მას, მაგალითად, ის ფაქტი, რომ დელფოსის ტაძრის არქივში ფიცრებზე დაწერილი ორაკულთა (მისნების) სიტყვები (წინასწარმეტყველება) ინახებოდა [1].

[1] პროფ. ა. ს მ ი რ ნ ო ვ ს დასაშვებად მიაჩნია ის აზრი, რომლის თანახმად ძველ საბერძნეთის არქივებში თითქოს ქვაზე, ბრინჯაოზე და სხვა ასეთ ნივთიერებაზე გაკეთებული წარწერები ინახებოდა. იმ დროის არქივი მისი აზრით ლია ცის ქვეშ იყო ხოლმე მოწყობილი. „ძველი ელადის არქივები, ამბობს ის, მნიშვნელოვანად განსხვავდებოდენ სხვა ძველ ქვეყნებში არსებულ არქივებისაგან. თუ ბაბილონსა და ეგვიპტეში საარქივო მასალები სპეციალურად ამისთვის განკუთვნილ შენობაში ინახებოდენ, ძველ საბერძნეთში საარქივო მასალები დაწყობილი იყვნენ პირდაპირ ღია ცის ქვეშ და ეს მასალები არ ჰგავდენ ფიქალებსა და პაპიროსებს: ესენი იყვნენ ქვის არქივები“-ო.

საერთოდ კი მეტროონში შენახული საბუთები დაწერილი იყო პაპირუსზე, რომელიც საბერძნეთში ადრე შემოვიდა საყოველთაო ხმარებაში, როგორც საწერი მასალა. საწერად სახმარ პაპირუსის თვითეულ ფურცელს ეწოდებოდა χάρτης. შემდეგში ამ ტერმინს ეტრატის, ე. ი. საგანგებოდ საწერ მასალად დამზადებულ ტყავის, აღსანიშნავადაც ხმარობდენ. ის გარემოება, რომ საბუთები სწორედ პაპირუსზე იწერებოდა, უამრავი ფაქტებით მტკიცდება. ასე, მაგალითად, ერთ საბუთში, რომელიც რომელიღაც საზოგადო შენობის აგებაში დახარჯულ თანხის ანგარიშს წარმოადგენს, ნათქვამია: „ნაყიდია 4 დრახმად ორი ფურცელი პაპირუსი, რომელზედაც ჩვენ დავწერეთ ორი სიაო“. ე. წ. დელოსის არქივში დაცულ საბუთებშიც, რომელნიც დედნებიდან გადმოწერილ პირებს წარმოადგენენ, მოხსენებულია პაპირუსები, რომლებზედაც დედნები ყოფილან დაწერილი. ჩვენ მოგვეპოება სხვა ცნობებიც, რომელნიც ცხადჰყოფენ იმ გარემოებას, რომ პაპირუსი, ვითარცა საწერი მასალა, მეტად გავრცელებული იყო იმ დროს. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არქივში გარდა პაპირუსებზე ნაწერისა სხვა ნივთიერებაზე დაწერილი საბუთი არ იქნებოდა. პირიქით, აპრიორულად შეიძლება დაეუშვათ ის აზრი, რომ იქ ისეთი საბუთებიც იქნებოდა, რომელიც პაპირუსზე არ იყო ნაწერი: სანთლიან დაფაზე, ცბრალო ხის დაფაზე და სხვა. მართლაც ერთი ნაწილი (თუმც მცირე ნაწილი) მეტროონის საბუთებისა დაწერილი იყო ამგვარ მასალებზე.

ყველა ეს საბუთები, მიუხედავად იმისა, თუ რა ნივთიერებაზე იყო დაწერილი, არქივში ინახებოდა განსაზღვრული წესის მიხედვით. ის გარემოება, რომ საბერძნეთშიაც, ბოლო დროს მაინც, ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების მსგავსად, წერილობითი ძეგლების დაცვის საქმეს სერიოზულ სახელმწიფო საქმედ თვლიდენ, რაც ცენტრალურ სახელმწიფო არქივის დაარსებისა და მის მფარველად ღმერთების დედის არჩევის

ფაქტიდანაც სჩანს, - ცხადია, ლაპარაკობს იმაზე, რომ ბერძნებს სახელმწიფოს საარქივო საქმის სათანადო ნიადაგზე დაყენებისათვის უნდა ეზრუნათ და კერძოდ არქივებში მასალების შენახვისათვის რაიმე წესი შემუშავებული უნდა ჰქონოდათ.

ამას გარდა, მათ შეეძლოთ გადმოეღოთ და შეეთვისებიათ მეზობელ ქვეყნებიდან, ასურეთ-ბაბილონიდან და ეგვიპტიდან, რომლებთანაც მათ მუდმივი კავშირი ჰქონდათ, იქ ამ დარგში უკვე შემოღებული პრაქტიკა. მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ საბერძნეთშიც, ისევე როგორც ამ ქვეყნებში, საარქივო მასალების შენახვისათვის შემოღებული ჰქონდათ გარსაზღვრული წესები, რომლის მიხედვით საბუთები დაყოფილი იყო შინაარსის მიხედვით და ქრონოლოგიური წესის დაცვით. ერთი შინაარსის საბუთები ჯგუფებად იყო დაყოფილი პრიტანების მიხედვით; საბუთების თვითეული ასეთი წყება ერთგვარ ქვეგანყოფილებას შეადგენდა და შემოწმებული იყო იმ მდივნის ხელმოწერით, რომელიც სახალხო კრებაში ჩვეულებრივად ოქმს აწარმოებდა.

თუ რაში იყო შენახული ეს საბუთები, ცნობები არ მოგვეპოვება; მაგრამ ეგვიპტეს ანალოგიით თუ ვიმსჯელებთ, უნდა დავუშვათ, რომ მათ შესანახად შეიძლებოდა თიხის ჭურჭლები ეხმარათ. თიხის ჭურჭლებს ალბად სახურავი ექნებოდა გაკეთებული, საფიქრებელია, მასზე იქ დაცულ საბუთების ნომრისა და ეტიკეტის ხასიათისა და თარიღის დასახელებით. რაკი საბუთების უმეტესი წილი პაპირუსზე იყო დაწერილი და რაკი მათ ჩვეულებრივად გრაგნილად აკეთებდენ, ამიტომ თიხის ჭურჭლებში მათი შენახვა ადვილი საქმე იყო: მხოლოდ საჭირო იყო საბუთების დაცვა სინესტისაგან.

დასასრულ, საჭიროა ორიოდე სიტყვა ითქვას საარქივო ტერმინების და თვით სიტყვა „ა რ ქ ი ვ ი ს“ შესახებ. ეს მით უფრო საჭიროა, რომ სიტყვა „არქივი“, რომელიც ჩვენს დროშიც საყოველთაოდ მიღებულია, ბერძნული სიტყვაა და იქიდან არის სვების მიერ ნასესხები. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ეს სიტყვა თვით საბერძნეთში არ იხმარებოდა ამ მნიშვნელო-

პით ბოლო დრომდე, ნიშანდობლივ 1-ლ საუკუნემდე ქ. წ. ისევე-
როგორც ძველ აღმოსავლეთში, სადაც არქივს ბიბლიოთეკას
უწოდებდენ.

არქივი თანამედროვე მნიშვნელობით საბერძნეთში მხო-
ლოდ 1-ლ საუკ. შემოდის და შემდეგ აქედან ვრცელ-
დება სხვა ქვეყნებშიაც. მანამდე კი ამ მნიშვნელობით საბერ-
ძნეთში იხმარებოდა სიტყვა „მეტროონი". „არქივი"
წარმოსდგება ბერძნულ ἀρχεῖον-ისაგან, რაც თავის მხრივ ნა-
წარმოებია სიტყვა ἀρχή-საგან. ἀρχή—ჰნიშნავს ხელისუფლ-
ებას, ხოლო ἀρχεῖον 1-ლ საუკუნემდე ქ. წ. იხმარებოდა იმ
ადგილის აღსანიშნავად, სადაც ეს ხელისუფლება იმყოფებოდა.
1-ლ საუკუნიდან კი ეს ტერმინი, როგორც ნათქვამი იყო.
იქცევა იმ დაწესებულების აღსანიშნავ სიტყვად, სადაც სახელ-
მწიფოს საბუთები და აქტები ინახებოდა. საბუთების აღსანიშ-
ნავად ბერძნები სიტყვა χάρται-ს ხმარობდენ, მაგრამ უფრო
მიღებული იყო ტერმინი γράμματα. აქედან საბუთსაცავის
(არქივთსაცავის) აღსანიშნავად იხმარებოდა γραμματοφυλάκιον.
ხოლო ცოტა გვიან—χαρτοφυλάκιον.

ნათქვამის შემდეგ შეგვიძლია საბერძნეთის არქივის გან-
ვითარების შემდეგი მ ავარი მომენტები აღვნიშნოთ.

საბერძნეთში საარქივო საქმე განსაკუთრებით მტკიცე ნია-
დაგზე ეწყობა მას შემდეგ, რაც იქ დაიწყო წერილობითი ძეგ-
ლების კონცენტრაცია და ამ მიზნით გამოყენებულ იქნა
ღმერთების დედის ტაძარი—მ ე ტ რ ო ო ნ ი.

გარდა მეტროონისა, რომელიც სახელმწიფოს მთავარ არ-
ქივად ითვლებოდა, და „საუწყებო" არქივებისა, რომელთა შესა-
ხებ ზევით იყო ლაპარაკი, საბერძნეთში სხვა არქივებიც არსე-
ბობდენ. ამ არქივების შესახებ ცნობები, სამწუხაროდ, ისე ნა-
კლებად მოიპოვება, რომ შეუძლებელი ხდება ცოტად
თუ ბევრად, სრული სურათის წარმოდგენა.

ამ ჟამად საისტორიო მეცნიერების ხელთ მყოფ ცნობების მი-
ხედვით საბერძნეთის თვითეულ ქალაქს თავისი არქივი ჰქონ-

და. ასეთი პროვინციალურ არქივთა რიცხვი ამ ცნობების მიხედვით 30-ს აღემატებოდა. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ იყო მოწყობილი ეს არქივები. საფიქრებელია, რომ საერთოდ საბერძნეთის ყველა არქივებში ერთი წესი ყოფილიყო მიღებული და პროვინციის არქივებიც, ისევე როგორც ცენტრალური არქივები, სხელმწიფო და კერძო ხასიათის საბუთების საცავად ყოფილიყვნენ განკუთვნილი. უმთავრესად, რა თქმა უნდა, აქ იქნებოდა სათანადო ქალაქის ცხოვრებასთან დაკავშირებული საბუთები, როგორც, მაგალითად: მონების ყიდვა-გაყიდვის დი მათი გაგზავნების შესახები საბუთები, უძრავი ქონების აღწერა, გადასახადთა სიები და სხვა.

თუ როგორ ინახებოდა ეს საბუთები არქივში, ვის ემორჩილებოდენ პროვინციის არქივები და არსებობდა თუ არა მეტროონის მსგავსად სხვა ცენტრალური ან მათი გამაერთიანებელი მთავარი არქივი,—ჩვენ არ ვიცით. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მთავარი ცენტრალური არქივი—მეტროონი ღმერთების დედის მფარველობის ქვეშ ითვლებოდა და რომ მის ზედამხედველად საბჭოს მუდმივი კომისიის თავმჯდომარე იყო,—შესაძლებელია, ვიფიქროთ, რომ მხოლოდ მეტროონი ითვლებოდა ფაქტიურად და ფორმალურადაც სახელმწიფოს ცენტრალურ არქივად, რომელშიაც მთელი ქვეყნის, ცოტად თუ ბევრად, მნიშვნელოვანი საბუთები ინახებოდა, მიუხედავათ მათი წარმოშობის ადგილისა, და რომელსაც, ასე თუ ისე, ყველა სხვა ტიპის (საუწყებო, ქალაქის) არქივები ემორჩილებოდენ. ეს არქივები ამ მხრივ მეტროონის ერთგვარ ფილიალებად უნდა ჩაითვალონ, თვით მეტროონი კი ცენტრალურ არქივთსაცავად და სახელმწიფოებრივ ცხოვრების ერთი (საარქივო) დარგის რეგულიატორად.

სწორედ იმით არის საინტერესო საბერძნეთის არქივების ისტორია, რომ ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი თანდათანობით ვითარდებოდა ძველ საბერძნეთში საარქივო საქმე და როგორ ტარდებოდა ცხოვრებაში არქივების ცენტრალიზა-

ციის იდეა. თუ წინად, უძველეს დროს ბერძნებს შეგნებულიც არ ჰქონდათ წერილობითი ძეგლების მნიშვნელობა და საბუთების შენახვაზედაც არ ზრუნავდენ, შემდეგში, მე-VII-VI საუკუნეებიდან ქ. წ. მოყოლებული, ჩვენ ვხედავთ, რომ ამგვარი შეგნება მტკიცედ იკიდებს ფეხს ჯერ საბერძნეთის მკირე აზიის კოლონიებში, ხოლო ცოტა გვიან თვით საბერძნეთშიც. თუ პირველად, არქივების მოწყობის საქმეში ბერძნები ჩამორჩენილი იყვნენ აღმოსავლეთის ქვეყნებთან შედარებით, მე-4 საუკ. მათ შეეძლოთ ეამაყათ ცენტრალურ სახელმწიფო არქივით—მეტროონით, რომელიც ღმერთების დედის მფარველობისა და რესპუბლიკის თავმჯდომარის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა.

შემდეგ საუკუნეებში ჩვენ ვხედავთ, რომ იქ დაცული საბუთებით დაუბრკოლებლად სარგებლობდენ, როგორც პრაქტიკული, ისე მეცნიერულ მოთხოვნილებისათვის. თუ ერთის მხრივ მეტროონის საბუთებით სარგებლობდენ საბერძნეთის დაწესებულებანი, თანამდებობის პირნი და კერძო მოქალაქენი საჭირო ცნობების მიღების მიზნით, მეორეს მხრივ ჩვენ ვხედავთ, რომ მეცნიერებისა და ისტორიკოს მკვლევართა მთელი რიგი ძველადვე სარგებლობდენ ამავე მეტროონში დაცული საბუთებით საბერძნეთის ისტორიის შესასწავლად და მისი წარსულის სურათის აღსადგენად. საარქივო საბუთების მნიშვნელობის შეგნებითა და მათი ხელოხლებლად დაცვისათვის ზრუნვით აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენამდე მრავლად მოაღწია ძველი საბერძნეთის საბუთებმა, რომელნიც ასე მჭერმეტყველურად ღაღადებენ ბერძნების დიად კულტურაზე.

ბერძნებმა წერილობითი ძეგლების საცავ და გამგებელ დაწესებულებას სახელიც კი შესთავაზეს და ეს სახელი საბერძნეთის კულტურასთან ერთად შემდეგში შეითვისა მთელმა განათლებულმა ქვეყნიერებამ ამ დაწესებულების აღსანიშნავად; და ეს დაწესებულება დღესაც ამავე

საბელით აღინიშნება. ეს გარემოებაც ზედმეტად ამტკიცებს იმას, რომ არქივები და საარქივო საქმე არსებითად, თანამედროვე მნიშვნელობით, ბერძნების სახელმწიფოებრივ ცხოვრებასა და საზოგადოებრივ პრაქტიკასთან არის დაკავშირებული, და რომ ამ საქმემ, მიუხედავად იმისა, რომ იგი ძველ აღმოსავლეთის ხალხებისაგან იყო შეთვისებული, იქ ჰპოვა შემდეგი განვითარება და ჩამოყალიბება[1].

ლიტერატურა:

1. Проф. Г. Церетели, Арх. класс. древности, А. К.
2. მისივე, К истории греч. письма в Египте, ЖМНП, 1906 წ.
3. მისივე, Памятники греч. письменности из Египта, ЖМНП, 1909 წ.

---

[1] სხვათა შორის საყურადღებოა კუნძულ კრეტაზე არქეოლოგიურ გათხრის დროს აღმოჩენილი უძველესი საბერძნეთის არქივები, რომელნიც შეიცავენ კრეტა-მიკენის კულტურის ხანის (15 საუკ. ქ. წ.) საბუთებს. ასეთივე უძველეს არქივებს წარმოადგენენ აგრეთვე ახლა-ხან აღმოჩენილი დელფისა და ოლიმპიის სამლოცველოები. თუ კუნძულ კრეტაზე, კროსასა და ფესტში აღმოჩენილი არქივები დიდებული სასახლეებით და მდიდარი ფრესკებით მოწმობენ კრეტა-მიკენის აყვავებულ და მაღალ კულტურაზე, დელფოსა და ოლიმპიაში ნაპოვნი არქივები აოცებენ მეცნიერებას მრავალი წარწერებიანი ნივთებით: შუბის წვეტებით, ბრინჯაოს ფარებით და სხვა სამხედრო ხასიათის ნივთებით, რომლებზედაც გაკეთებულია წარწერები. შემდეგ საყურადღებოა დოდონაში, ადგილობრივ ტაძართან აღმოჩენილი ფრიად საყურადღებო არქივი, რომელიც შეიცავს მრავალ ბრინჯაოს დაფებსა და პაპირუსებს, რომლებზედაც დაწერილია ადგილობრივ ორაკულისათვის მიცემული კითხვები. მაგალითად, ასეთი კითხვები: ერთი ეკითხება ძევსს, გაჰყიდოს თუ არა მან ქალაქში მდებარე თავისი სახლი და მინდორი; მეორე სთხოვს რჩევას ცხვრის ფარის ყიდვის შესახებ; მესამეს სურს გაიგოს ღმერთებისაგან აზრი, წაიღოს თუ არა მან თავისი საქონელი საზღვარ გარედ გასასყიდად და სხვა. მაგრამ ყველაზე უფრო დიდ ჩვენამდე მოღწეულ ქვის არქივს წარმოადგენს ქ. პრიანში ათინას ტაძართან აღმოჩენილი არქივი. ამ არქივში დაცულია კედლების წარწერები, რომელნიც წარმოადგენენ მიწერ-მოწერას ქალაქისა—მეფეებთან, სასამართლოს პროცესს და ქალაქის მოღვაწეობის სხვა საბუთებს. დასასრულ, უნდა აღინიშნოს აგრეთვე უძველესი არქივი, რომელიც მოთავსებული იყო ათინას აკროპოლში; აქ დაცული იყო მრავალი წარწერები ქვაზე. აკროპოლიდან მე-4-ე საუკ. ქ. წ. ეს საბუთები გადატანილ იქნა სახელმწიფოს ცენტრალურ არქივში—მეტროონში, რომელიც ამიერიდან, როგორც ვამბობდით, გადაიქცა საბერძნეთის მთავარ არქივად.

4. Проф. Пельман, Очерки греч. ист. и источниковед.
5. Цибарт, Культ. жизнь др.-греч. городов.
6. Проф. Смирнов, Очерки по ист. арх. дела.
7. Ак. Бузескул, Открытия XIX в.
8. Проф. Белох, История Греции.
9. **Diehl**, Excursions archéologiques en Grèce, 1890. წ.
10. **Curtius**, Griechische Geschichte, 1887 წ., ბერლინი.
11. **Schuchardt**, Schlimann's Ausgrabungen in Troja, Tiryns, Mykenä, Orchomenos, Ithaka im Lichte d. heutigen Wissenschaft, ლეიპციგი, 1890 წ.
12. **Ch. Clermont—Ganeau**, Etudes d'archéologie orientale (Bibliothèque de l'École des Hautes Etudes, პარიზი, 1897 წ.)
13. **A. Kirchhoff**, Studien zur Gechichte des griechischen Alphabets, ბერლინი, 1887 წ.
14. **W. Larfeld**, Griechische Epigraphik, 1914 წ.
15. **V. Gardthausen**, Griechische Paleographie, 1913 წ.
16. **G. Hertzberg**, Geschichte der Griechen im Altertum, ბერლინი, 1885 წ.
17. **M. Duncker**, Geschichte des Altertums, ტ. V—IX, 1881—86. წ.
18. **Ed. Meyer**, Geschichte des Altertums, ტ. II, შტუტ-ჰარტი, 1893 წ.

2. რომი.

ძველს რომშიც, ისევე როგორც ყველგან საერთოდ, მას შემდეგ, რაც იქ მწერლობა შემოვიდა, სხვადასხვა სახელმწიფოებრივი და კერძო ხასიათის საბუთებიც გაჩნდენ; მაგრამ პირველ ხანებში ასეთ საბუთებს იქ არ ინახავდენ ერთ სპეციალურად ამისთვის განკუთვნილ ადგილას, არამედ ისინი ინახებოდენ იმ პირებთან, რომლებთანაც ბუნებრივად ჩნდებოდენ [1]. ასეთი წესი და ჩვეულება, რომელიც საყოველთაოდ შემოღებული იყო, შესაძლებელს ხდიდა ანგარებისა და სხვა გვარ ცუდი მიზნით საბუთების მოსპობას, გაყალბებას, შეცვლას და სხვა.

მეორეს მხრივ, ისეთი მნიშვნელოვანი საბუთები, როგორიცაა ხელშეკრულებები, თანამდებობის პირთა დადგენილებანი, მთავრობის განკარგულებანი და სხვა, რომელთა გამოქვეყნება იყო ხოლმე საჭირო, —ჩვეულებრივად უნდა გამოეკვეთათ ან აღებეჭდათ ქვაზე, ან ბრინჯაოზე, ან კიდევ ხეზე და გამოეკიდათ მოქალაქეთა წასაკითხავად საჯარო ადგილზე. ასეთ შემთხვევაში, საჯაროთ გამოფენილ საბუთებიდან, რომელთაც tabulae publicae ეწოდებოდა, პირების გადაღება არ იყო ხოლმე წესად მიღებული, რის გამო ორიგინალების დაკარგვის ან გაფუჭების შემთხვევებში შეუძლებელი იყო საბუთის ტექსტის აღდგენა: პირისა ან დუბლიკატის უქონლობის გამო შეუძლებელი იყო გაფუჭებულ საბუთის ტექსტის რესტავრაცია. ამის გამო ძველი რომის ადრინდელი ხანის მრავალი საბუთი უკვალოდ დაიკარგა ისტორიისათვის.

საბუთების დაკარგვამ, მათი გაყალბებამ და ტექსტში ან-

---

[1] ზოგჯერ საბუთებს საჭიროების განელის შემდეგ არც ინახავდენ, არამედ სრულიად სპობდენ. იმ შემთხვევაში კი, როდესაც საჭიროდ დაინახავდენ საბუთი შეენახათ, მას ჩვეულებრივად ათავსებდნენ იმ ოთახში (tablinum), რომელიც მისაღებ ოთახის გვერდით იმყოფებოდა ხოლმე, და რომელშიც ჩვეულებრივად საოჯახო და საგვარეულო ნივთებს ინახავდენ.

გარების მიზნით ცვლილებების შეტანამ თანდათან იმდენად ფართე ხასიათი მიიღო, რომ ბოლო დროს, ნიშანდობლივ 449 წ. ქ. წ., ხალხის უკმაყოფილებაც კი გამოიწვია. ხალხი მოითხოვდა, რომ ოფიციალურ საბუთების შესანახად მიჩენილი ყოფილიყო სპეციალური ადგილი, სპეციალური პასუხისმგებლი პირის მეთვალყურეობისა და გამგებლობის ქვეშ. ამგვარი მოთხოვნილება განსაკუთრებით შეეხებოდა სენატის დადგენილებებს (Senatus Consulta), რომლებსაც კონსულები ხშირად თავის ნებით ცვლიდენ ან არღვევდენ. ამ მოთხოვნილების თანახმად სენატის დადგენილებანი გადაეცათ სახალხო ედილებს ცერერას ტაძარში შესანახად. შემდეგში, ცერერას ტაძრიდან ეს დადგენილებები გადატანილ იქნენ სატურნის ტაძართან არსებულ საჯურჭლეში (ხაზინაში), რომელიც ძველ რომში პირველ არქივად, ან ყოველ შემთხვევაში არქივის მაგგვარ დაწესებულებად, უნდა ჩაითვალოს.

ამრიგად არქივის დაარსების დასაწყისად რომში უნდა ჩაითვალოს მე-5-ე საუკუნე ქ. წ., როდესაც ცერერას, ხოლო შემდეგ სატურნის, ტაძართან მოეწყო არქივისმაგგვარი ადგილი სენატის დადგენილებათა შესანახად. ცოტა ხნის შემდეგ ამ არქივში სენატის დადგენილებათა გარდა დაიწყეს სახალხო კრების დადგენილებათა, კანონებისა, ედიქტებისა, დეკრეტებისა, თანამდებობის პირთა აგნარიშების, სარგოს გარიგების წიგნების, საცენზორო სიების და სხვაგვარ tabulae publicae-ს შენახვა. აქედან უკვე ცხადია, რომ რომის ამ პირველ არქივსაც სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან იგი იმთავითვე შეიქნა სახელმწიფოსათვის აქტუალური მნიშვნელობის აქტების საცავ ადგილად.

სატურნის ტაძართან მოწყობილ არქივს პირველად, 449 წლიდან ქ. წ., ცენზორები განაგებდენ, ხოლო შემდეგ—ქალაქის ორი ქვესტორი (quaestores urbani), რომელთაც თანაშემწეებად არქივარიუსები (tabularii) და მდივნები (scri-

bae) ჰყავდით[1]. ეს არქივარიუსები და მდივნები იყვნენ კიდევაც არქივის ფაქტიური ხელმძღვანელები, რადგან ცენზორებსა და ქვესტორებს, რომელთაც ერთი წლით ირჩევდენ ხოლმე, არ შეეძლოთ ასეთი მოკლე ხნის განმავლობაში კარგად შეესწავლათ სარქივო საქმე და, მაშასადამე, ფაქტიური ხელმძღვანელობა გაეწიათ არქივისათვის. არქივარიუსები და მდივნები, რადგენ არქივი და იქ მოთავსებული საბუთებიც მუდამ მათ ხელში იყო, რის გამოც ისინი მათ შინაარსსაც კარგად იყვნენ გაცნობილი, ხშირად ბოროტად იყენებდენ ხოლმე თავიანთ მდგომარეობას და ცნობების გაცემის დროს სიყალბეს ჩადიოდენ არა სწორ ცნობების მიწოდებით.

თავისთავად ცხადია, რომ ამას ისინი ანგარების მიზნით ჩადიოდენ; მაგრამ ზოგჯერ ამ ბოროტებას ხელს უწყობდენ თვით ცხოვრების სხვა პირობებიც, როგორც, მაგალითად, პოლიტიკურ პარტიათა შორის გამწვავებული ბრძოლა და სხვა. ასეთი პირობების წყალობით მდივნებს უფრო ფართედ შეეძლოთ საბუთების გაყალბება და დამახინჯება. თუ რამდენად გახშირებული იყო ეს ბოროტმოქმედება, სჩანს ციცერონის ერთ თხუზულებიდან, სადაც ის იძულებული იყო ეთქვა: „ჩვენში არ არის კანონების არავითარი დაცვა და ამიტომ ისინი ხშირად ღებულობენ ისეთ სახეს, როგორსაც მათ მდივნები აძლევენო“.

მდივნების მოვალეობაში შედიოდა სენატის დადგენილებათა ოქმში შეტანა და არქივში შემოსულ საბუთებისა და აქტების აღწერა. ასეთ მუშაობისათვის მათ ჰყავდათ თანაშემწეები, რომელნიც ჩვეულებრივად სახელმწიფოს მონებისაგან შესდგებოდენ. ეს მონები უმეტეს შემთხვევაში უბრალო გადამწერები იყვნენ და, რადგან მათ ცოდნა და გამოცდილება ამ საქმეში

[1]. როგორც tabularii, ისე აგრეთვე scribae შედიოდენ მდივნების საერთო კათეგორიაში, მაგრამ მათ შორის მაინც იყო ერთგვარი განსხვავება: scriba—ეს უფრო საბუთის რედაქტორი იყო, ხოლო tabularius—საბუთის კლასიფიკატორი და შემნახველი. ეს განსხვავება ტარდებოდა მხოლოდ დიდ არქივებში; პატარა არქივებს კი ჩვეულებრივად საგანგებო არქივისტი (tabularius) არც ჰყავდათ და საბუთებიც მდივნის ხელში იყო.

ნაკლები ჰქონდათ, ამიტომ საბუთების გადაწერისა და აღწერის დროს მათ ძალაუნებურად შეცდომები მოსდიოდათ. ამ გარემოებასთან დაკავშირებით ობიექტიურადაც, ე. ი. მოსამსახურეთა სურვილის გარეშეც, სიყალბეს და საბუთების დამახინჯებას ბოლო არ ეღებოდა. რომის რესპუბლიკის უკანასკნელ წლებში ისე გაიზარდა ეს მოვლენა, რომ ციცერონი იძულებული იყო არქივისთვის „ყალბ საბუთების და აქტების ფაბრიკა“ ეწოდებია.

მეორეს მ̓ხრივ ამ გარემოებამ ნიადაგი მოამზადა საარქივო საქმეში ახალ ნაბიჯების გადასადგმელად და ზოგიერთ ცვლილებების მოსახდენად. ამგვარი ნაბიჯები გადაიდგა კიდევაც იმპერატორ ავგუსტოსის დროს (1 ს. ქ. წ.). ავგუსტომსა მთელი რიგი ზომებისა მიიღო იმისთვის, რომ საბუთები უზრუნველეყო გაყალბებისაგან და აღეკვეთა არქივის მოსამსახურეთა ბოროტმოქმედება. მანვე საძირკველი ჩაუყარა საიმპერატორო არქივს, რომელიც ამიერიდან სენატის (ე. ი. სატურნის ტაძართან არსებულ) არქივთან ერთად არსებობდა. საიმპერატორო არქივი სხვანაირად tabularium palatinum-ად, „პალატინის“ არქივად იწოდებოდა, რადგან იგი მოთავსებული იყო პალატინის გორაზე, იმპერატორის სასახლეში. პალატინის არქივს შემდეგში უბედურება ეწვია: იგი დაიწვა ხანძრისაგან ერთხელ ავგუსტოსის დროს, ხოლო მეორეგზის იმპერატორ კომმოდის დროს. მაგრამ ამისდა მიუხედავად, რაკი იმპერატორები ყოველთვის ცდილობდენ იგი განეახლებიათ და აახლებდენ კიდევაც, ამიტომ მან მაინც იარსება მე IV ს. ქ. შ., ე. ი. იმპერატორ იუსტინიანეს დრომდე, ხოლო ამ დროიდან იგი არსად არ იხსენიება. პაპა გრიგოლის მოწმობით პალატინის არქივი კონსტანტინოპოლში ტახტის გადატანის შემდეგ, სადაც ეს არქივიც იქნა გადატანილი, საესებით დაიღუპა და შემდეგ იგი არ განუახლებიათ.

საიმპერატორო არქივის, ე. ი. პალატინის არქივის, დაარსების შემდეგ სენატის არქივს, (რომელიც სატურნის ტაძარ-

თან არსებობდა), თანდათანობით დაეკარგა ცენტრალური არქივის მნიშვნელობა, რომელიც იმპერატორ ავგუსტოსამდე ჰქონდა. ამას ხელი შეუწყო სხვათა შორის იმ გარემოებამაც, რომ თანაბმად ავგუსტოსის მიერ გამოცემულ საგანგებო კანონისა, სენატის დადგენილებანი არ უნდა გამოექვეყნებიათ, როგორც ეს წინად იყო, არამედ მხოლოდ ოქმში უნდა შეეტანათ; ამის გამო სატურნის არქივში დაცულ საბუთების (რასაც სენატის დადგენილებები შეადგენდენ უმთავრესად) უმეტეს ნაწილს მნიშვნელობა ეკარგებოდა. მათ ადგილს ამიერიდან იმპერატორის ედიქტები და განკარგულებები იპერდენ, ხოლო ამგვარი საბუთები კი იქ უკვე აღარ ინახებოდა, არამედ პალატინის არქივში იგზავნებოდა. ამისდა მიუხედავად სენატის არქივი მაინც განაგრძობდა არსებობას სატახტო ქალაქ კონსტანტინოპოლში გადატანამდე, როდესაც მან სავსებით დაჰკარგა მნიშვნელობა და თავისი ფუნქციები საიმპერატორო არქივს გადასცა კიდევაც. სენატის არქივის სათავეში ნერონის დროიდან, ნიშანდობლივ 56 წ. ქ. შ., პრეფექტები (praefecti) იდგნენ, ხოლო მანამდე, ე. ი. ნერონის დრომდე, სენატის არქივის ზედამხედველობა ტიბერიუსის დროიდან მოყოლებული (16 წ. ქ. შ.) დავალებული ჰქონდა საგანგებო კოლეგიას, რომელიც სამი curatores tabularum publicarum-ისაგან შესდგებოდა. ამ curatores tabularum publicarum-ების მოვალეობაში სხვათა შორის, ყალბ საბუთების შესწორება, ხოლო დაკარგულ საბუთების მოძებნა შედიოდა.

როგორი საბუთები ინახებოდა საიმპერატორო არქივში? თავისთავად ცხადია, რომ იქ უპირველესად ყოვლისა იქნებოდა იმპერატორის პირადი დოკუმენტები, რომელიც სხვადასხვა ხასიათის კერძო მიწერ-მოწერას, მის ოჯახის წერილებს, ზოგჯერ საკუთარ ლიტერატურულ ნაწარმოებს და სხვას შეიცავდა. აქვე უნდა ყოფილიყო საიდუმლო საქმეები და მიწერ-მოწერა (secreta), რომელიც მეტად მნიშვნელოვან და ძვირფას საბუთებს წარმოადგენდენ პირადად იმპერატორისა და მის

ოჯახისათვის. დასასრულ, საიმპერატორო არქივში შენახული იქნებოდენ, საფიქრებელია, ისეთი საბუთებიც, რომელნიც ზოგიერთ პირთა შესახებ საიდუმლო (იმპერატორისათვის მიწოდებულ) ცნობებს შეიცავდენ და რომელნიც ამ პირთა მამხილებელ საბუთებს წარმოადგენდენ რამე ცუდ საქმეში. ასეთი საბუთები ჩვეულებრივად პირველ შეძლებისათანავე ნადგურდებოდენ ხოლმე დაინტერესებულ პირთა მოხერხებით, როგორც ეს ჩაიდინა, მაგალითად, იმპერატორ კლავდიუსის პირადმა მდივანმა (ab epistulis) ნარკისმა კლავდიუსის სიკვდილის შემდეგ, უკანასკნელის ცოლის აგრიპინას მამხილებელ საბუთების მიმართ.

მაგრამ იმპერატორებისა და მათი ოჯახის პირადი საბუთების გარდა, პალატინის არქივში ინახებოდა სხვადასხვა ფწყებისა და დაწესებულებათა საბუთებიც, რის მიხედვითაც პალატინის არქივს ჰქონდა სხვადასხვა განყოფილებები ან ქვეარქივები, თუ შეიძლება ასე ეწოდოს. აქვე ინახებოდა, რა თქმა უნდა, სასახლის, ე. ი. იმპერატორის კანცელარიის ოფიციალური მიწერ-მოწერაც სხვადასხვა ქვეყნის მეფეებთან, იმპერატორის სახელზე თანამდებობის პირთა მიერ მირთმეული მოხსენებები და კერძო მოქალაქეთა თხოვნები. ჩვეულებრივად თხოვნის შემომტან კერძო პირს უბრუნდებოდა თხოვნის პირი (exemplum precum) იმპერატორის რეზოლიუციით, ხოლო დედანი არქივში ინახებოდა. არქივში თანამდებობის პირთა მოხსენებების დედნებსაც ინახავდენ ხოლმე. არის ცნობები, რომ საიმპერატორო არქივში შემოდიოდა სენატის დადგენილებებიც, მაგრამ არა დედნები, რომლებიც ჩვეულებრივად სენატის არქივში ინახებოდა, არამედ მათი პირები, რომელთა დამზადება დავალებული ჰქონდა საგანგებო მოხელეს ab actis senatus (სენატის მდივნის) სახელწოდებით. მას თანაშემწეებად ჰყავდა მდივნები (scribae) და სახელმწიფო მონები (servi publici), რომელნიც მის ზედამხედველობის ქვეშ ასრულებდენ ამ საქმეს. დასასრულ, საიმპერატორო არ-

ქალაქში ინახებოდა ყოველგვარი კანონები, ედიქტები, დეკრეტები, მანდატები და სხვა. მთავრობის უწყებებიც, სადაც სხვადასხვა საყურადღებო ცნობები იყო მოთავსებული, რა თქმა უნდა, იქვე ინახებოდა. მთელი ეს აუარებელი საარქივო მასალა სხვადასხვა განყოფილებებში იყო განაწილებული და საგანგებო მოხელეების („questores candidati Augusti") გამგებლობაში იმყოფებოდა. განყოფილებათა სათავეშიც სპეციალური თანამდებობის პირები (praepositi tabulariorum) იყვნენ, ხოლო თავის მხრივ მათ ხელქვეით იმყოფებოდა მთელი რიგი არქივისტებისა (tabularii), სუბ-არქივისტებისა (adiutores tabulariorum), მწერალთა და მათი თანაშემწეებისა, რომელნიც მეტ წილად სახელმწიფოს მონებისაგან შესდგებოდენ.

საიმპერატორო არქივში თავისუფლად შესვლა არ შეიძლებოდა: რესპუბლიკისა და იმპერატორების პერიოდშიც იქ შესასვლელად და ცნობების ან საბუთის პირის მისაღებად საჭირო იყო სათანადო ხელისუფლების წინასწარი ნებართვა. იმპერატორების პერიოდში ამგვარი ნებართვა, რომელსაც „potestas inspiciendi describendique" ეწოდებოდა, უნდა მიეღოთ თვით იმპერატორისაგან, რაც თავისდათავად ცხადია, ერთობ აძნელებდა არქივში შესვლას და ცნობების მიღებას [1].

ამისდა მიუხედავად ჩვენ ვიცით, რომ რომში იმთავითვე ფართედ სარგებლობდენ არქივში დაცულ საბუთებით. ამას ჰმოწმობს სხვათა შორის ციცერონისა და აგრეთვე ტაციტის თხზულებებში შენახული ცნობები იმის შესახებ, რომ იურისტები და ორატორები ხშირად ვარჯიშობდენ არქივებში კანო-

[1] იმის დასამტკიცებლად, რომ მართლაც ამ გვარი ნებართვის მიღება აუცილებელი იყო, საკმარისია მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: 139 წ. ქ. შ. ანტონინე იმპერატორის დროს ქალაქ სმირნას უნდოდა მიეღო არქივიდან იმპ. ადრიანეს მიერ რამოდენიმე წლის წინედ გამოცემულ დეკრეტის პირი. ნებართვის მისაღებად იმპერატორთან გაგზავნილ იქნა სათანადო შუამდგომლობა. 18 აპრილს იმპ. ანტონინემ ნება დართო მიეცათ საბუთის პირი სმირნასათვის და ეს ნებართვა გაეგზავნა ქალაქს. მხოლოდ ამის შემდეგ გადაღებულ იქნა პირი საბუთიდან რვა მოწმის თანადასწრებით და ბეჭდების დასმით და გადაეცა მთხოვნელს, ე. ი. ქ. სმირნას.

ნებისა და სხვა საბუთების შესწავლის დროს. არქივში შესვლის უფლებების შეზღუდვა გამოწვეული იყო საბუთების დაკარგვისა და გაყალბებისაგან უზრუნველყოფის მიზნით. და ეს გასაგები იქნება ჩვენთვის, თუ გავიხსენებთ წინად რომში განმტკიცებულ ბოროტმოქმედებას—საბუთების მოსპობასა და ფალსიფიკაციას, რომლის შესახებ ჩვენ ზემოდ გვქონდა საუბარი. ამგვარი ბოროტება რომ აღეკვეთათ, იმპერატორები ცდილობდენ მიეღოთ სათანადო ზომები და ერთ-ერთ ასეთ ზომად არქივებში შესვლის უფლების შეზღუდვა იყო. ამ მიზნითვე იყო ნერონის მიერ გამოცემული საგანგებო ბრძანება, რომლის ძალით ძაფი, რომელზედაც მოწმეების ბეჭედი იყო ხოლმე მიმაგრებული, უნდა გაეყარათ გახვრეტილ დაფებში და არა შემოეხვიათ მის გარშემო, როგორც ეს წინად იყო მიღებული. ცხადია, საბუთზე ბეჭედის დასმისთვის საგანგებო ბრძანების გამოცემა იმისათვის იყო საჭრიო, რომ დოკუმენტების გაყალბებისა და ფალსიფიკაციის შესაძლებლობა მოსპობილიყო.

ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ სენატის არქივი და საიმპერატორო არქივიც რომში მთავარ სახელმწიფო არქივების დანიშნულებას ასრულებდენ. მაგრამ ამათ გარდა რომში სხვა არქივებიც იყო. ამათ შორის ყველაზე უფრო საყურადღებოა კაპიტოლიის არქივი. ამ არქივში უმთავრესად საერთაშორისო ურთიერთობის შესახები საბუთები ინახებოდა და ამ მხრივ იგი თავისებურ საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივს წარმოადგენდა. მაგრამ ეს ძვირფასი არქივი 88 წ. ქ. შ. ხანძრისაგან დაიღუპა. 3000-ზე მეტი უშესანიშნავესი და ამავე დროს უძველესი საბუთები რომის იმპერიისა სამუდამოდ დაიკარგენ ისტორიისათვის. [1]

---

[1] თუ რამდენად მნიშვნელოვანი საბუთები იყო მოთავსებული აკროპოლის არქივში, სჩანს იმპერატორ ვესპასიანეს სპეციალურ ბრძანებიდან, რომლითაც მთელს რომის იმპერიაში უნდა მოეძებნათ დაღუპულ ძეგლების პირები. მაგრამ ბრძანებას შედეგი არ მოჰყოლია, რადგან პირები არსად იყო.

შემდეგ, ასეთ არქივებიდან საყურადღებოა მარსის მოედანზე ნიმფების ტაძართან არსებული ცენზორთა არქივი, რომელშიც საცენზორო სიები იყო შენახული. ეს არქივიც ციცერონის დროს მთელი თავისი საბუთებით დაიღუპა ხანძრისაგან, რომელიც მას ტრიბუნ კლოდიუსმა წაუკიდა. დასასრულ, საყურადღებოა ქურუმების არქივი: ავგურების არქივი, პონტიფიკების არქივი და სხვა, რომლებიც მრავალ საყურადღებო და მნიშვნელოვან საბუთებს, (როგორც, მაგ. მათი საზოგადოების სხდომათა ოქმებს, დადგიენლებებს და სხვას) შეიცავდენ.

ყველა ამ არქივების შესახებ იმდენად მცირე ცნობები მოგვეპოვება, რომ ძნელია მათი ორგანიზაციის შესახებ სწორი სურათის აღდგენა. მხოლოდ აპრიორულად შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს არქივებიც მთავარ არქივების მსგავსად იქნებოდენ მოწყობილი, იმ განსხვავებით, რა თქმა უნდა, რომ ამ არქივებში დაცული საბუთები არ იქნებოდენ ისე სხვადასხვა ხასიათისა, სიდიდითაც ეს არქივები სენატისა და საიმპერატორო არქივებთან შედარებით პატარა უნდა ყოფილიყვნენ. ამასთანავე საფიქრებელია, რომ ეს არქივები (გარდა ქურუმების არქივისა) დროებითი ხასიათისა ყოფილიყვნენ და რომ შემდეგში ისინი მოისპენ.

რას წარმოადგენდენ რომაული საბუთები, რაზე იყვნენ ისინი დაწერილი და რით განსხვავდებოდენ ბერძნულ საარქივო საბუთებისაგან?

ჩვენ უკვე თავში გვქონდა აღნიშნული, რომ რომში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი საბუთები ისევე, როგორც საბერძნეთში, ქვაზე (უმთავრესად მარმარილოზე), ან კიდევ დაფაზე იწერებოდენ. ის საბუთები კი, რომელნიც არქივში უნდა შეენახათ, იწერებოდენ სანთელ გადაკრულ დაფებზე, რომელსაც დასაწერ, ე. ი. სანთელ გადაკრულ მხარეზე, შუა ადგილი (სიბრტკე)ოდნავ ჩაწეული, ხოლო ნაპირები ამოწეული ჰქონდა. დაფებს ნაპირები ამოწეული იმისთვის

ჰქონდათ, რომ ერთ-მეორეზე დაწყობის დროს ერთი დაფის სანთლიანი მხარე მეორეს არ მიწებებოდა და ნაწერი არ გაფუჭებულიყო. ორი, ერთი-მეორეზე მიმაგრებული, დაფა დიპტიხს შეადგენდა, ხოლო რამდენიმე დიპტიხი ერთი მეორეზე მიკრული—codex-ს. ეს codex-ი, იმის მიხედვით, თუ რამდენი დაფისაგან შესდგებოდა, შესაძლებელია ძალიან დიდი ყოფილიყო და მას ასეთ შემთხვევაში გადატან-გადმოტანის გასაადვილებლად პატარა ხელის მოსაკიდებელ ტარს უკეთებდენ. ტარი მიმაგრებული იყო ყველაზე ზევით მოქცეულ დაფაზე. ასეთი codex-ებისაგან შესდგებოდა საარქივო მასალების ერთი ნაწილი; არქივში შენახული თვითეული საქმე ასეთი codex-ის სახეს ატარებდა, მიუხედავად შინაარსისა; ხოლო თვითეული დაფა ამ კოდექსში პატარა ტომის როლს ასრულებდა.

მაგრამ საწერ მასალად მარტო ხე არ იხმარებოდა; მასალად ხმარობდენ აგრეთვე სპილოს ძვალს, ტილოს და სხვ. ბოლო დროს კიდევ ხმარებაში შემოვიდა პაპირუსი, რომლის ფურცლები (χάρται) ბერძნულის მსგავსად ერთი მეორეზე იყო მიწებებული. ამგვარი გრაგნილის (volumina) სიგრძე ხშირად 80 მეტრამდე აღწევდა. ცილინდრისებური ჯოხი, რომელზედაც დახვეული იყო გრაგნილი, ორივე ბოლოში აწეულ ნაპირებით თავდებოდა. ერთ ბოლოს ამოწეულ ნაპირზე მიმაგრებული იყო index-ი საბუთის სახელწოდების აღნიშვნით. სინესტისაგან დასაცავად გრაგნილს კედრის ზეთს წაუსვამდენ, ზოგჯერ კიდევ ტყავის ფუტლიარს უკეთებდენ ხოლმე.

ზემოხსენებულ საწერ მასალით რომაელები სარგებლობდენ მე-IV ს-მდე ქ. შ., ხოლო ამ დროიდან რომში ისევე, როგორც ძველს საბერძნეთშიც, შემოდის ეტრატი, და ეტრატის კოდექსებიც უკვე წიგნისა და რვეულის სახეს ღებულობს. მანამდე კი ასეთ ტყავს ხმარობდენ უბრალო მიზნისათვის, მაგ., ფუტლიარისთვის, სანთლიან დაფების მაგიერ, ან კიდევ შავისთვის და სხვა.

ყველა ეს მასალები შენახვის დროს დაწყობილი იყვნენ ქრონოლოგიურ წესზე, წლების მიხედვით. საბუთის თვითეული გვერდი დანომრილი იყო, დანომრილი იყო აგრეთვე თვითეულ გვერდზე (დაფაზე, თუ codex-ი იყო, და სვეტზე, თუ გრაგნილი იყო) მოთავსებული თავებიც[1]. ქრონოლოგიურ წესის გარდა მხედველობაში მიღებული იყო საბუთების შინაარსიც, ან უკეთ რომ ვთქვათ, საბუთების ერთგვაროობა წარმოშობის მიხედვით. ასე, მაგალითად, ერთი ეწყების ან დაწესებულების საარქივო მასალა ერთად იყო ხოლმე თავმოყრილი და არქივში ცალკე განყოფილებას შეადგენდა[2]. შემდეგ ეს მასალა წესრიგში მოყვანილი იყო ქრონოლოგიურად წლების, თვეებისა და დღეების მიხედვით. თვით საბუთის თარიღი ჩვეულებრივად ან თავში იყო ხოლმე მოთავსებული, ან ბერძნულ საბუთების მსგავსად, ბოლოში. დედნებიდან გადმოღებულ პირებზე ჩვეულებრივად აღნიშნული იყო, საიდან იყო იგი გადმოწერილი, და მათი სისწორეც დედნებთან სათანადო ხელრთვით იყო დადასტურებული. საყურადღებოა, რომ ზოგიერთი საბუთის, განსაკუთრებით კანონმდებლობითი აქტების, არქივში მოთავსებას ან უკეთ შეტანას, მათთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმიტომ, რომ მათ მხოლოდ ამიერიდან ეძლეოდათ იურიდიული ძალა და ამიერიდანვე ისინი გამოქვეყნებულად ითვლებოდენ. ხოლო ვიდრე ეს არ მოხდებოდა, ამ კანონებს თუ დადგენილებებს ძალა არ ჰქონდათ და, მაშასადამე, არავისთვის სავალდებულო არ იყვნენ. რაც შეეხება დანარ-

---

[1] საბუთების ასეთი წესით შენახვის საილუსტრაციოდ საკმარისია დასახელებულ იქნას ეტრურიის ქალაქ ცერეს ერთი საბუთი, რომელშიც ქალაქის მუნიციპალიტეტის Commentarius cottidianus-ში მოთავსებულ სამი საბუთის პირების გაცემაზეა ლაპარაკი: ერთი საბუთი თურმე მე-27-ე გვერდზე მე-6-ე თავის ქვეშ, 113 წლ. 13 აპრილის ქრ. შ. თარიღით ყოფილა მოთავსებული; მეორე—29 გვერდზე, 1 თავის ქვეშ, 13 აგვისტოს თარიღით; მესამე—37 გვ., 1 თავის ქვეშ, 12 სექტ. თარიღით. საერთო ზომა კი პაპირუსზე დაწერილ Commentarius-ისა იმდენად დიდი იყო, რომ 60 გვერდს შეიცავდა.

[2] თანამედროვე საარქივო პრაქტიკაში ამგვარ წესით საარქივო მასალების დაცვას— საფონდო სისტემა ეწოდება.

ჩენ საბუთებს, მათ შესახებ ცნობები არ არის შენახული; მაგრამ საეჭვოა, რომ მათ გადაცემას არქივში ასეთი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან ამგვარი საბუთები საერთოდ კანონმდებლობითი ხასიათს არ ატარებდენ. მიღების შემდეგ ამ საბუთებს სათანადო მოხელენი შეიტანდენ რეესტრში, რის შემდეგ მოათავსებდენ ხოლმე შესაფერ განყოფილებაში იმავე ხასიათის საბუთებთან ერთად ზემოაღნიშნულ წესების დაცვით.

დასასრულ, საჭიროა ორიოდე სიტყვა ითქვას რომის საარქივო პრაქტიკაში მიღებულ ტერმინოლოგიის შესახებ. რომაელების წარმოდგენით არქივი იყო ისეთი ადგილი, სადაც საბუთები და აქტები ინახებოდა სპეციალურ მიზნით—გამოქვეყნების, შესწავლის და პირის გადაღების მიზნით; ე. ი. რომაელები არქივს დაახლოვებით იმავე დანიშნულებას აკუთვნებდენ, რასაც ბერძნები. ეს გასაგებიც არის, ვინაიდან ბერძნებს საერთო კულტურულ გავლენასთან ერთად რომაელებზე ამ მხრივაც, ე. ი. არქივების მოწყობის მხრივაც, ჰქონდათ გავლენა. ამას ეგუება ის ფაქტიც, რომ რომში, საბერძნეთთან შედარებით, არქივები რამდენიმედ მაინც გვიან განვითარდენ და რომაელებს ამ საქმეში ახალი არსებითად არაფერი შეუტანიათ.

თვით არქივის აღსანიშნავი ლათინური ტერმინი archium ან, რაც იგივეა, archivum, ნაწარმოებია ბერძნულ ἀρχεῖον-საგან და შეთვისებულია მათგანვე II საუკუნეში ქრ. შ. თუ რა ტერმინს ხმარობდენ რომაელები მანამდე, ე. ი. მე-II-ე სეუკუნემდე ქრ. შ. და ჰქონდათ თუ არა მათ არქივის აღსანიშნავად სპეციალური ტერმინი, ჩვენ არ ვიცით. ტერმინი archivum-ი რომში იხმარებოდა იუსტინიანე დიდის დრომდე, შემდეგ კი ამ მნიშვნელობით შემოდის ახალი ტერმინი tabularium. ამ ტერმინით აღინიშნებოდა არქივის ცნება რესპუბლიკის დროიდან მე-V-ე საუკ. ქრ. შ. თავისდათავად სიტყვა tabularium ჰნიშნავს იმ ადგილს, სადაც tabulae, ე. ი. დაფები იმყოფებოდა, მიუხედავად იმისა ხის, ქვისა თუ ბრინჯაოს იყო

ეს დაფები [1]. „არქივის“ მნიშვნელობით რომაელები ხმარობდენ აგრეთვე სიტყვა scrinium ან scrinia-ს, რაც ჰნიშნავს პატარა განჯინას. მაგრამ ეს სიტყვები „არქივის“ მნიშვნელობით არ იყვნენ ისე გავრცელებული, როგორც archium-ი და tabularium-ი.

ამ სამ ტერმინის archivum, tabularium და scrinium-ის გარდა, რომაელები ზოგჯერ არქივის, ან უფრო არქივთსაცავის, აღსანიშნავად სარგებლობდენ ბერძნულიდან შეთვისებულ ტერმინებით chartophylacium, grammatophylacium-თ და სხვა, რომელთაც ჩვენ ჯერ ვიცნობთ.

ლიტერატურა:

1. Проф. **Гр. Церетели**, Архивы класс. древн., А. К.
2. Проф. **А. Смирнов**, Очерки по ист. арх. дела, 1922 წ.
3. Проф. **Б. Тураев**, История др. Востока.
4. **Ак. Бузескул**, Открытия XIX в.
5. **Mommsen**, Römische Geschichte, 1855 წ., 1885 წ.
6. **Ihne**, Römische Geschichte, 1868—90 წ. წ.
7. **D. Duruy**, Histoire des Romains.
8. **Marquardt**, Privatleben des Römer, ლაიპციგი, 1886 წ.
9. **Bender**, Rom nnd Römicshes Leben im Altertum, 1892 წ.
10. **Krüger**, Geschichte der Quellen und Litteratur des R. R., ლაიპციგი, 1886 წ,
11 **Niese** Grundriss der römischen Geschichte nebst Quellenkunde, მიუნხენი, 1896 წ.

---

[1] როგორც ვიცით, პაპირუსისა და ეტრატის შემოღებამდე რომაელები ოფიციალურ საბუთებს სწორედ ამგვარ დაფებზე (tabulae) სწერდენ და ეს tabulae-ბი ხან ხისა და ქვის იყო, ხან კიდევ ბრინჯაოსი.

თავი მესამე.

მუსულმანური აღმოსავლეთი.

1. სპარსეთი, 2. ხალიფატი, 3. მონღოლების იმპერია, 4. ოსმალეთი.

ეგვიპტელების სახელმწიფოებრივობამ თავისი ბიუროკრატიული წესწყობილებით და მდივან-მწიგნობრობით გავლენა მოახდინა აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებზე და კერძოდ სპარსეთზე.

სპარსეთში, მუსულმანურ პერიოდის წინადროინდელ ხანაში, საბუთების შენახვისა და არქივების არსებობის შესახებ თანამედროვეთაგან ცნობები ნაკლებად ან თითქმის სრულიად არ არის შენახული. იმ მცირე ცნობების მიხედვით, რომელიც დღეს მეცნიერების ხელშია, ირკვევა, რომ ძველ სპარსეთში საბუთებისა და საერთოდ წერილობითი ძეგლების მნიშვნელობა საკმაოდ ჰქონიათ შეგნებული და მათ საბუთების შესანახი ადგილების მოწყობაზედაც უზრუნვიათ. საბუთების შესანახ ადგილს სპარსელები წინათ ისევე, როგორც ძველი აღმოსავლეთის ხალხებიც, ბიბლიოთეკას უწოდებდენ. მაგალითად, ასეთ ბიბლიოთეკების შესახებ ცნობები შენახული აქვს ბიზანტიის ისტორიკოს აგათის თავის მოთხრობაში, სადაც ამ მოთხრობის მთარგმნელის, სერგის სიტყვით, ლაპარაკია „სამეფო ბიბლიოთეკის“ შესახებ. ამ „ბიბლიოთეკაში“ (რომელიც ცხადია, არქივის როლს ასრულებდა) ინახებოდა სხვადასხვა წერილობითი საბუთები. მის გამგედ „მეფის სიგლების მცველნი“ ითვლებოდენ. როდესაც ამ „სამეფო ბიბლიოთეკაში“ სერგი მისულა, მისთვის სიამოვნებით გაუღიათ კარები და უთქვამთ:

თუ რომაელებიც გაეცნობიან სპარსეთის ისტორიას, ეს მხოლოდ ხელს შეუწყობს სპარსეთის მეფეთა სახელის კიდევ უფრო განთქმასო.

სასანიდურ სპარსეთში საქმის წარმოებისა და საბუთების დაცვის შესახებ უფრო მეტი ცნობები შენახული აქვთ მუსულმანურ პერიოდის ავტორებს. ამ ცნობების მიხედვითაც ირკვევა, რომ ამ ხანაში სპარსელებს, როგორც ვთქვით, საბუთების საცავები მოწყობილიც ჰქონიათ. ამავე ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ კანცელარიისა და ბუხჰალტერიის აღსანიშნავად მაშინ სპარსეთში იხმარებოდა ტერმინი დ ი ვ ა ნ ი, რომელიც შემდეგში სპარსელებისაგან არაბებმაც შეითვისეს. სამეფო დივანს ჩვეულებრივად „ბეჭდის დამსობი დივანი“ ეწოდებოდა და ეს ტერმინიც შემდეგში შეითვისეს არაბებმა. საბუთები იწერებოდა ტყავზე (ეტრატზე), რომლის დამზადებაც სპარსელებმა კარგად იცოდენ. დამზადების დროს ტყავიდან არასასიამოვნო სუნის ასაცილებლად ვარდის წყალსა და ზაფრანას ხმარობდენ. ეტრატზე დაწერილს საბუთს სპარსელები ფურცელს უწოდებდენ, (არაბ.—საჰიფ), ზოგჯერ კი ბერძნულ ტერმინს τομάς ιον-საც ხმარობდენ (არაბ. —ტუმარ ან ტამურ).

მუსულმანურ პერიოდში სპარსეთში და საერთოდ მუსულმანურ ქვეყნებში სახელმწიფო ხაზინისა და საბუთების შესანახ ადგილად, ისევე როგორც სასამართლო წარმოებისა და სახელმწიფოებრივი ფუნქციათა შესასრულებელ ადგილად, ხშირად მიზგითი ითვლებოდა. მ ა ყ ს უ რ, რომელიც კონსტანტინოპოლის ეკლესიებში საიმპერატორო ლოჟას უდრიდა, იმ დროს, როდესაც მიზგითში წირვა-ლოცვა არ მიდიოდა, მოხელეთათვის სამუშაო ადგილად ითვლებოდა. ასე, მაგალითად, 744 წ., როდესაც აჯანყებულებმა ქ. დამასკში ხელში ჩაიგდეს მიზგითი, მაყსურში მათ სახელმწიფო ხაზინის მოხელენი დახვდათ.

საფოსტო დაწესებულების მოვალეობას ხალიფ-ში, ისევე როგორც ძველ სპარსეთსა და რომში, შეადგენდა მხოლოდ მთავ-

რობის შიკრიკებისა და საბუთების გადაგზავნა. ამიტომ ამ საფოსტო უწყებასთან დაკავშირებული იყო სატახტო ქალაქიდან პროვინციაში და პროვინციიდან სატახტო ქალაქში წარგზავნილი საბუთების, განსაკუთრებით გადასახადია და მათი აკრეფის შესახები საბუთების, შენახვაც. ხალიფატის ჩვენამდე მოღწეულ საბუთების უმრავლესობა, რომელიც ხალიფატისა და მისი პროვინციათა შემოსავლის აღწერას წარმოადგენს, ეკუთვნის სწორედ ამ უწყებაში მოსამსახურე მოხელეთ.

აბაზიდების დროს სახალიფატოში მოხდა საფინანსო საქმის წარმოების გაუმჯობესება სახელმწიფო კონტროლის დაწესებით: თვითეულ მდივნისთვის მიჩენილი იყო განსაკუთრებული კონტროლიორი, ხოლო სახელმწიფო კონტროლისათვის დაარსდა ცალკე დივანი, რომელსაც „კ ო ნ ტ რ ო ლ ი ს დ ი ვ ა ნ ი“ ეწოდებოდა. სიტყვა „დ ი ვ ა ნ ი“, რომელიც, როგორც ნათქვამი იყო, კანცელარიისა და საანგარიშოს აღსანიშნავად იხმარებოდა, ზოგჯერ საბუთების კრებულის მნიშვნელობითაც იხმარებოდა; ისეთი საბუთების აღსანიშნავად, რომლითაც გამოარკვეული იყო ცალკე გვარის ან განსაზღვრული კათეგორიის პირთა ხაზინიდან სარჩოს მიღების უფლება. ასე, მაგ., დაცულია ცნობა დამასკიდან მედინაში თვით აბაზიდების „დ ი ვ ა ნ ი ს“ გადატანის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში საბუთების დასაცავად საგანგებო წესებს მიმართავდენ ხოლმე. ეს ცხადად სჩანს შემდეგი მაგალითიდან: 802 წ. ჰარუნ-არ-რაშიდის ანდერძის თანახმად საბუთები, რომლითაც მისი სამი შვილის უფლებები იყო განსაზღვრული[1], ვერცხლის ბუდეში ჩააწყვეს და მუსულმანურ ქვეყნების ყველაზე უწმიდეს ტაძარში, კააბაში, ჩამოჰკიდეს, რათა რომელიმე მის შვილთაგანს

[1] წინასწარი განზრახვით, საბუთების მოსპობის შემთხვევები ხშირი იყო, განსაკუთრებით არეულობის დროს. ასე, მაგ., ხალიფ ომარ პირველმა, როდესაც გაბალიფდა, ხალიფის საკუთრებად გამოაცხადა სპარსეთის მეფის კუთვნილი მიწები სპარსეთში. სათანადო დივანი მოსპობილ იქნა 701 წ. აჯანყების დროს და ომარის უკანონო მოქმედებაც გაუქმებულ იქნა.

არ ჩამოეხსნა და მათი მოსპობით მამის ანდერძი არ დაერღვია. მაგრამ მისმა მემკვიდრემ ემინმა მამის სიკვდილის შემდეგ მაინც დაარღვია ძმების უფლებები და 810 წელს ეს საბუთები ჩამოახსნევინა და ბაღდადში გადაიტანა. შემდეგი წლების აჯანყებების დროს ყველა ბაღდადის დივნები (მათ შორის ემინის დივანიც) დაიღუპა ხანძრისაგან.

საბუთებს სპარსეთში, როგორც ნათქვამი იყო, უმთავრესად ეტრატზე, ხოლო იშვიათად პაპირუსზედაც სწერდენ. ასევე იყო არაბეთშიც. მაგრამ მე-8-ე საუკ. არაბებმა ჩინეთიდან ქაღალდი შემოიღეს და ამიერიდან ეტრატის მაგიერ ქაღალდს ხმარობდენ. პირველად ქაღალდს არაბები 751 წელს, ჩინეთთან ომის შემდეგ, თურქესტანიდან ტყვედ წამოყვანილ ჩინელების მეოხებით გაეცნენ. ქაღალდის დასამზადებელ მთავარ ადგილად სამარყანდი ითვლებოდა, და აქედანვე ქაღალდი ვრცელდებოდა მუსულმანურ აღმოსავლეთის დასავლეთ ქვეყნებში[1]. არაბულ წყაროებში დაცულია ცნობები იმის შესახებაც, თუ როგორი კალმები იხმარებოდა პაპირუსისა, ეტრატისა და ქაღალდისათვის. ქაღალდის აღსანიშნავად არაბები ჩინური წარმოშობის სიტყვას—„ქ ა ღ ა ზ ს“ ხმარობდენ[2].

მე-IX საუკუნიდან, როგორც ვიცით, დაიწყო ხალიფატის დაქსაქსვა და ზოგიერთ სახალიფატოში გაჩნდენ სპარსული შთამომავლობის დინასტიები. სპარსელების სამფლობელოებში არაბული ენა, რომელიც ოფიციალური ენა იყო მანამდე, თანდათან შეიცვალა სპარსული ენით. ამასთან დაკავშირებით კვლავ გაჩნდენ სპარსული ტერმინებიც. მაგალითად, მე-X-ე საუკ. ბოლოში შედგენილ წიგნში, „მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს გ ა ს ა ღ ე ბ ე ბ ი ს“ სახელწოდებით, რომელიც სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინების ტერმინოლოგიის შესახებ ტრაქტატს წარმოადგენს, განმარტებულ ტერმინებში მრავალია წმინდა

[1] თვით სამარყანდში ქაღალდის მრეწველობა არსებობდა რუსეთის მიერ მისი დაპყრობამდე, ე. ი. 1868 წლამდე.

აქედანვე უნდა იყოს ნაწარმოები ქართული „ქაღალდი“.

სპარსული წარმოშობის ტერმინები. ამ თხუზულებაში სხვათა შორის საკანცელარიო საქმისწარმოებასა და ტერმინოლოგიას საგანგებო თავი აქვს დათმობილი. აქ განმარტებულია, მაგ. ტერმინი — ფიჰრისტი, როგორც დივანში მოთავსებულ საქმეებისა და ქაღალდების აღწერა; შემდეგ განმარტებულია ტერმინი ჯუსქუდარ, მაგრამ სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა გვარად: იქ, სადაც „ფოსტის დივანზეა“ ლაპარაკი, ნათქვამია, რომ „ჯუსქუდარი“ არის გრაგნილი, სადაც შეაქვთ გასულ და შემოსულ ქაღალდებისა და წერილების სია და მისამართები; ხოლო იქ, სადაც სახელმწიფო კანცელარიაზეა ლაპარაკი, ნათქვამია, რომ „ჯუსქუდარი“ არის „გრაგნილი, სადაც ბეჭედის დასასობად წარსაგზავნ ქაღალდებს ჩასწერენო [1].

განსაკუთრებით მრავალი საყურადღებო ცნობები კანცელარიებში საქმისწარმოების შესახებ შენახული აქვს ისტორიკოს აბულ-ფაზლა-ბეისაკის, რომელიც თვით კანცელარიის მოხელეთა რიცხვს ეკუთვნოდა. მისი ცნობებით დივნები მოთავსებული იყვნენ იმ შენობაში, სადაც მეფეები ცხოვრობდენ, ე. ი. სასახლეში. საკანცელარიო მოხელეთა შორის მოხსენებული ჰყავს მოანგარიშეები, საფინანსო კონტროლიორები და სხვა. მისი ცნობით, საბუთები, დივანის გარდა, ხშირად სათანადო უწყების სათავეში მდგომ პირის ხელში ინახებოდა და მას მხოლოდ მაშინ ჩამოერთმეოდა, როდესაც ის სამსახურს მიატოვებდა თავის ნებით ან დათხოვნის გამო. ასეთ შემთხვევებში ჩამორთმეული საბუთები მეფის დივანში ინახებოდა, თუ კი მეფეს იგი შესანახად მიიჩნდა, ან, წინააღმდეგ შემთხვევაში, საბუთებს სპობდენ ხოლმე.

დივანი, მაშასადამე, ერთდაიმავე დროს კანცელარიას,

[1] სასანიდურ სპარსეთში, პროფ. ივ. ჯავახიშვილის მოწმობით, არამც თუ მეფეებს, ყველა დიდგვარიან აზნაურებსა და მოხელეებსაც თავიანთი ბეჭდები ჰქონდათ და ამ ბეჭდით, ნიშნად თანხმობისა და დამტკიცებისა, საბუთებს ბეჭდავდენ ხოლმე. სიგელს, სიმტკიცის ნიშნად, ჩამოკიდებული ჰქონდა ქსოვილის ნაკერში გახვეულ-შეკრული მარილი (ქართ. დიპლ. 68).

ბუხჰალტერიას და არქივსაც წარმოადგენდა, მაგრამ არქივის და ბიბლიოთეკის აღსანიშნავად ცალკე ტერმინიც—ხ ა ზ ი ნ ა ჰქონდათ. ხაზინასვე უწოდებდენ სახელმწიფო თანხების ფონდებს. არქივის აღსანიშნავად რომ ტერმინი ხ ა ზ ი ნ ა მართლა იხმარებოდა, სჩანს შემდეგი ცნობებიდანაც: მე-IX საუკუნის გეოგრაფიულ შრომის ავტორის იბნ-ხურადბეხის შესახებ ნათქვამია, რომ მას, ვითარცა ვეზირს, მართლმორწმუნეთა ემირის (ე. ი. ხალიფის) ხ ა ზ ი ნ ი ს სამეცნიერო კრებულთან მისვლის ნება ჰქონდაო. თავისდათავად ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ლაპარაკია სამეცნიერო ხასიათის დოკუმენტებზე, რომელნიც თურმე ხ ა ზ ი ნ ა შ ი ინახებოდენ; თუ „ხ ა ზ ი ნ ა“ ასეთი საბუთების და საერთოდ საბუთების საცავი იყო, აშკარაა, იგი არქივის მაგგვარი დაწესებულება ყოფილა.

როგორი წესით ინახებოდა საბუთები მუსულმანურ აღმოსავლეთის არქივებში—დივნებში და ხაზინაში? სამწუხაროდ, საბუთების შენახვისა და არქივების მოწყობილობის შესახებ ცნობები ნაკლებადაა შენახული, და ამიტომ ძნელია ოდნავ მაინც სრული სურათის წარმოდგენა. სამაგიეროდ ჩვენ გვაქვს შედარებით ძველი ხანის, მე-X საუკ. ბიბლიოთეკებში საბუთების დაცვის აღწერილობა. რადგან საბიბლიოთეკო საქმესა და საარქივო საქმეს შორის მჭიდრო კავშირი არის, განსაკუთრებით, როდესაც ძველ ხანაზეა ლაპარაკი, ამიტომ ამ ბიბლიოთეკების აღწერილობა საშუალებას მოგვცემს წარმოვიდგინოთ დაახლოვებით მაინც საბუთების დაცვის წესი არქივებშიც.

ჩვენამდის მოღწეულია ორი სამეფო ბიბლიოთეკების—ბუხარისა და შირაზის—მეათე საუკუნის ბოლოში შედგენილი აღწერილობები. ბიბლიოთეკაში ამ აღწერილობის მიხედვით რამდენიმე ოთახი ყოფილა. თვითეულ ოთახში წიგნებით გავსებული, ერთი მეორეზე დადებული სკივრები ეწყო. თვითეულ ოთახში მოთავსებული წიგნები ერთი რომელიმე სამეცნიერო დარგის წიგნები იყო. ასე, მაგილითად, ერთ ოთახში იყო ლიტერატუ-

რულ ხასიათის წიგნები, მეორეში — იურიდიული ხასიათისა და ასე სხვა ოთახებშიც. შედგენილი იყო წიგნების, კათალოგის მაგვარი სია, რომლითაც ბიბლიოთეკაში მომსვლელთ შეეძლოთ საჭირო წიგნების არჩევა. შირაზის ბიბლიოთეკაში წიგნები სკივრებში კი არ ინახებოდა, არამედ განჯინებში და თაროებზე. ბიბლიოთეკას ეჭირა განსაკუთრებული ოთახი, რომელიც წარმოადგენდა გრძელ პორტიკს დიდ ესტრადაზე. ოთახის კედლებში გაკეთებული იყო განჯინები სიგრძით — კაცის სიმაღლე, ხოლო სიგანით სამი წყრთა. განჯინის კარები ხისა იყო და შეიძლებოდა მათი ზევიდან ქვემოდ ჩამოწევა. ხელნაწერები დაწყობილი იყო თაროებზე. თვითეული სპეციალობის საბუთებისათვის ცალკე ყუთები და ცალკე სიები იყო წიგნების სახელწოდებით.

სპარსული ბიუროკრატიული სისტემა შეითვისეს თურქსელჯუკებმა, რომლებმაც მე- XI ს., როგორც ვიცით აღმოსავლეთში დიდი იმპერია შექმნეს. თურქულ სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბებამ თავის გავლენა მოახდინა საარქივო საქმის განვითარებაზე და კერძოდ საარქივო ტერმინოლოგიაზედაც. თურქულ ტერმინებიდან ამ დროიდან ხმარებაში შემოვიდა ბეჭედის აღმნიშვნელი ტერმინი „ტ უ ღ რ ა“ და ბეჭედის შემნახველის (ან მცველის) აღმნიშვნელი ტერმინი — „ტ უ ღ რ ა ი“. საყურადღებოა, რომ სელჯუკების დროს სათურქოში, მსგავსად რომისა, საბუთები ზოგჯერ კერძო პირებთან ინახებოდა. ასე, მაგალითად, მე-XVI საუკუნის ავტორის ჰამდალახ ყაზვინის ნაწარმოებებიდან სჩანს, რომ მის ოჯახში წინად წარსულ საუკუნეების, სელჯუკთა დროის, ზოგიერთი საყურადღებო საბუთები ინახებოდენ. ამ დროს თურქების იმპერიაში ხშირი მოვლენა იყო საბუთების გამოქვეყნება კრებულის სახით, მაგრამ ასეთ შეთხვევებში საბუთებს არა მარტო, როგორც საისტორიო მასალას, არ ამედ როგორც ლიტერატურულ ნაწარმოებებთ, ან კიდევ, როგორც საკანცელარიო სტილის ნიმუშს

აქვეყნებდენ. იყო შემთხვევები, როდესაც ასეთ კრებულს თვით ავტორები სცემდენ.

მონღოლებმა დაპყრობილ ქვეყნებში თან შემოიტანეს მმართველობისა და საქმისწარმოების მწყობრი და ჩამოყალიბებული სისტემა. ეს სისტემა ნაწილობრივ თვით მონღოლებმა შექმნეს საუკუნეთა განმავლობაში, ნაწილობრივ კიდევ ჩინელებისაგან შეითვისეს. რადგან ამ მხრივ მონღოლები ზოგჯერ, ან უფრო სწორედ რომ ვთქვათ, უმეტეს შემთხვევაში დაპყრობილ ხალხებზე უფრო მაღლა იდგნენ, ამიტომ ისინი, ბუნებრივად, მათზე გავლენას ახდენდენ. მონღოლების ყაენებს ჰქონდათ ოფიციალური ქრონიკა (მატიანე), რომელსაც „ო ქ რ ო ს წ ი გ ნ ს“ (ალთან დეფთერ) უწოდებდენ.

ეს წიგნი ჩვეულებრივად ყაენის საგანძეულოში ინახებოდა და მასთან მისვლა მხოლოდ განსაზღვრულ წრის პირებს შეეძლოთ. ამას გარდა შენახულია ცნობები „დ ი დ“ ან საერთო ბრძანებათა („იარლუყები“) შესახებ, რომლებიც მართვა-გაძგეობისა და კერძოდ კანცელარიებში საქმისწარმოების გარიგებას წარმოადგენდენ. საყურადღებოა, რომ მონღოლები ბეჭედის აღსანიშნავად თურქულ ტერმინს „ტ ა მ ღ ა“-ს ხმარობდენ.

შემდეგ, როდესაც მონღოლთა იმპერია დაიშალა, და დაპყრობილი ქვეყნები მისი ბატონობისაგან განთავისუფლდენ, ამ ქვეყნებმა საბუთების შენახვისა და საქმისწარმოების მონღოლების მიერ შემოტანილი წესები შეირჩინეს. ჯერ კიდევ მონღოლთა ბატონობის დროს სპარსეთში შემოღებულ საქმისწარმოების ფორმები სანიმუშოდ ითვლებოდა, ხოლო მონღოლთა ბატონობის შემდეგაც სპარსეთი ამ მხრივ მთელი მუსულმანურ აღმოსავლეთისათვის მისაბაძ ქვეყანას წარმოადგენდა. სპარსეთის ახალ სატახტო ქალაქში, თავრიზში, ყაზანყაენმა (1295—1304) საბუთების შესანახად ააშენა „კ ა ნ ო ნ ი ს ს ა ხ ლ ი“ (ბეით-ალ-კანუნ).

გადასახადთა სიები ჩვეულებრივად ბიბლიოთეკებში (ქითაბხანა) ინახებოდა. ბიბლიოთეკები თავრიზის სანახებში იმყო-

ფებოდენ. გადასახადთა სიები ჩვეულებრივად ორ ეკზემპლიარად დგებოდა: ერთი ბიბლიოთეკაში ინახებოდა, ხოლო მეორე — „დ ი დ - დ ი ვ ა ნ შ ი.“ მაგრამ ამას გარდა სდგებოდა ამ სიების ცალკე ეკზემპლიარები პროვინციაში გასაგზავნად, სადაც ისინი უნდა გამოეკიდათ საჯარო ადგილებზე მცხოვრებთა საყურადღებოდ.

რაც შეეხება თათრების სხვა სახელმწიფოებში საბუთების შენახვასა და საქმისწარმოებას, ზოგიერთი ცნობები მხოლოდ ყირიმის საყაენოს შესახებ მოგვეპოება.

ყირიმის საყაენოში საბუთის აღსანიშნავად იხმარებოდა არაბული ტერმინი „ს ა კ კ,“ რაც უდრის სპარსულ სიტყვა „ჩ ე კ“-ს[1]. ამ სიტყვას განსაკუთრებით ისეთ საბუთის აღსანიშნავად ხმარობდენ, რომელიც განსაზღვრულ თანხის მიღების უფლებას იძლეოდა. მაგრამ ამავე ტერმინით აღინიშნებოდა ზოგჯერ საბუთების კრებული ან კიდევ წიგნი (დავთარი). სასამართლოს განაჩენების საბუთებს ,,ყ ა დ ი ა ს ქ ე რ ი'' (ე. ი. მთავარი მოსამართლე) მიღებული წესით, ქრონოლოგიის დაცვით, ჩასწერდა „ს ა კ კ“-ებში, რომლის სიგრძე ჩვეულებრივ თაბახ ქალალდის სიგრძეზე ცოტათი მეტი იყო, ხოლო სიგანე მის ნახევარს უდრიდა[2]. ყირიმის სახანოში არსებობდა აგრეთვე ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ა რ ქ ი ვ ი თანამედროვე მნიშვნელობით, და ამ არქივში ინახებოდა საყაენოს მნიშვნელოვანი საბუთები. სამწუხაროდ, იგი 1736 წელს მინიხის ჯარების მიერ ბახჩისარაის აღების დროს ცეცხლისაგან დაიღუპა. ამ არქივის გადარჩენილი ნაწილი პროფ. ვ. ს მ ი რ ნ ო ვ მ ა შემთხვევით იპოვა 1907 წელს სიმფეროპოლის საგუბერნიო არქივში, სადაც დაცული აღმოჩდა 124 რვეული, ტყავის ყდაში გაკეთებული, სხვა და სხვა შინაარსის საბუთებით: სასამრთლოს საქმეე-

[1] აქედან უნდა იყოს თანამედროვე ჩ ე კ ი. (ჩვენში რუსულ чек-იდან შემოვიდა)

[2] ასეთივე დავთრები სასამართლოს განაჩენების ჩასაწერად ჰქონდათ საშუალო აზიის საყაენოებსაც და ისინი დიდ კულტურულ-ისტორიულ ინტერესს წეიცავენ.

ბის გარდა აქ აღმოჩნდა ყაენების ქონეპის აღწერაც გარდაცვალების მომენტში შედგენილი. ეს რვეულები ამჟამად მოთავსებულია ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში.

შუა აზიის ახალი სახანოები შექმნეს უზბეკებმა, რომელნიც დიდხანს მოხეტიალე ცხოვრებას მისდევდენ და ამის გამო კულტურულად დაბალ დონეზე იდგნენ. უზბეკების მიერ თურქმენების დაპყრობის შემდეგ ამ გარემოებამ ცუდი გავლენა იქონია თურქესტანის შედარებით მაღალ კულტურაზე. მაგრამ თურქესტანს ძველი კულტურის საბუთები მაინც შერჩა ამის შემდეგაც. რუსების მიერ თურქესტანის დაპყრობის დროს სახანოს ყველა მთავარი ქალაქები ოკუპაციაქმნილ იქნა. სამწუხაროდ, არავითარი ზომები არ იყო მაშინ მიღებული ყაენის არქივებისა და ბიბლიოთეკის გადასარჩენად, რისგამოც ამ არქივებსა და ბიბლიოთეკებში შენახული საბუთების უმრავლესობა დაიღუბა. არევ-დარევის დროს: ბეგების მოხსენებებს, ყაენის ბრძანებებს და სხვა საბუთებს, რომელნიც ამ დროს დაიკარგენ, დღესაც ჰპოულობენ კერძო პირების ხელში.

საერთოდ მუსულმანურ ქვეყნებში (ყოველ შემთხვევაში, რამდენად საქმე შეეხება შორეულ წარსულს), საკანცელარიო და საფინანსო საქმის წარმოების სისტემა ჯერ-ჯერობით არ არის კარგად შესწავლილი. მაგრამ ზოგადად მაინც თვალი რომ გადავავლოთ იმ ცნობებს, რომელიც დღემდე შესწავლილია, ცხადი ხდება, რომ ამ ქვეყნებში, ასე თუ ისე, ეს სისტემა საკმაოდ განვითარებული და ჩამოყალიბებული ყოფილა. საყურადღებოა, რომ მუსულმანურ ქვეყნებში მართვა-გამგეობის, განსაკუთრებით გადასახადთა რეგისტრაციისა და აკრეფის წესების შესახებ არსებობდა ოფიციალური სახელმძღვანელო, რომელსაც დასთურ-ალ-ამალს უწოდებდენ. [1] ამგვარი დასთურლამალები ინდოელებსაც ჰქონდათ.

[1] „დასთურ“ სპარსული სიტყვაა და აქედან აქვთ შეთვისებული სხვა მუსულმანურ ქვეყნებს.

მუსულმანურ ქვეყნებში საარქივო საბუთების გამოქვეყნების წესიც არსებობდა, მაგრამ გამომცემლობა ჩვეულებრივად კერძო პირთა ხელში იყო, და გამომცემლებად ან თვით საბუთების ავტორები, ან კიდევ არქივში მოსამსახურენი იყვნენ ხოლმე. ასეთ გამოცემას წარმოადგენს, მაგალითად, ინდოეთის მეფის აკბარის (1556—1605) მინისტრის აბულ-ფაზლის წერილების კრებული, რომელიც მე-17-ე საუკ. დასაწყისში, აბულ-ფაზლის სიკვდილის შემდეგ შეადგინა მისმა ახლობელმა ნათესავმა. სპარსეთსა და ოსმალეთში ამგვარ საბუთების, უმთავრესად მეფეების სიგლების, კრებულს შაჰებისა და სულთნებისთვის ამზადებდენ. ოსმალეთში, მაგ., 1575 წელს ასეთი კრებული სულთან მურადს მიართვა ფერიდუნმა. ფერიდუნმა ეს საბუთები (250 რვეული) არქივში აღმოაჩინა. კრებული დაყოფილი იყო 11 ნაწილად მურადის წინამორბედ სულთნების რიცხვის მიხედვით.[1] სპარსეთში მსგავსი კრებული დაამზადა შაჰი სეფისა (1628—1642) და მის მემკვიდრე აბაზ II-სათვის (1642—1667) სასახლის არქივის მოსამსახურემ აბულ-კასიმ-ივოღლუ ხაიდარმა. კრებული სპარსეთის სახელმწიფოს საბუთების გარდა შეიცავს საშუალო საუკუნის სიგლებსაც, როგორც, მაგალითად, სელჯუკების სულთანის ალფ-არსლანის (1064—1072) ფირმანს.

ამის გარდა საბუთებს აქვეყნებდენ ლიტერატურული მიზნითაც:—ან, როგორც ლიტერატურულ ნაწარმოებთა, ან კიდევ, როგორც ოფიციალური მჭევრმეტყველების ნიმუშს. იშვიათი იყო, სამაგიეროდ, საბუთების გამოქვეყნება სამეცნიერო მიზნით, თუმცა ზოგიერთ მუსულმანურ ქვეყნებში ოფიციალური ისტორიოგრაფია არსებობდა. საერთოდ მუსულმანურ ქვეყნებს არ სჩვევიათ ისტორიის შედგენა უშუალოდ არქივებში შეკრებილ წყაროების, ე. ი. საარქივო მასალების მიხედვით.

ასეთია ზოგადად მუსულმანურ ქვეყნებში საარქივო საქ-

[1] ფერიდუნის კრებული მე-XIX საუკ. ნახევარში ორ ტომად გამოიცა კონსტანტინოპოლში.

მისა და არქივების ისტორია წარსულში. რაც შეეხება საქმის მდგომარეობას უკანასკნელ ხანებში, ლაპარაკი მხოლოდ სპარსეთსა და ოსმალეთის შესახებ შეიძლება; თუმცა უნდა ითქვას, რომ მათ შესახებაც, განსაკუთრებით სპარსეთის შესახებ, ცნობები ერთობ ნაკლებია. ეს იმიტომ, რომ შედარებით ძველ და საშუალო საუკუნეებთან საარქივო საქმეს არსებითად ამ ქვეყანებში წინ არ წაუწევია. ეს განსაკუთრებით შეეხება სპარსეთს, რომელმაც პოლიტიკურ და სამხედრო ძლიერებასთან ერთად მე-18-19-ე საუკ. კულტურული სიძლიერეც დაჰკარგა; ხოლო კულტურულ დაკნინების ხანაში საარქივო საქმე, ცხადია, ვერ აღორძინდებოდა. და მართლაც, როგორც ვთქვით, საარქივო საქმის ახალი პრინციპები, რომლებიც ჩვენს დროში უკვე საყოველთაოდ ფეხს იკიდებს კულტურულ ქვეყნებში, სპარსეთისათვის სრულიად უცნობი ხილია. რა თქმა უნდა, მართვა-გაბგეობის ბიუროკრატიული მხარე შედარებით აქაც წინანდელთან შეცვლილია: საფინანსო-სამეურნეო საქმისწარმოების სისტემა და საგადახადო წესებიც სხვანაირია, ხოლო ამასთან დაკავშირებით საკანცელარიო საქმისწარმოებაც ახალ სისტემასთან სათანადოდ შეფარდებულია. პროფ. ე. ბ რ ო უ ნ ი ს ცნობებით, სპარსეთი 1909 წ. დაყოფილი იყო 340 საგადასახადო ოლქად. თვითეულ ოლქისთვის არსებობა ცალკე რეესტრი (ქითაბჩა—წიგნაკი), რომელსაც საგანგებო მოხელე (მუსთოფი) აწარმოებდა. მთელი საგადასახადო საქმის სათავეში იდგა სახელმწიფოს მოანგარიშე (მუსთოფი-ალ-მემალიქი).

რაც შეეხება ოსმალეთში საარქივო საქმის მდგომარეობას, ამის შესახებ ზოგიერთი ცნობები მოთავსებულია ოსმათის საისტორიო საზოგადოების თურქულ ჟურნალში „Revue Historique, რომელიც 1910 წელში დაარსდა. ამ ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ ოსმალეთში, უკანასკნელ ხანაში გადადგმული იყო ზოგიერთი ნაბიჯები საარქივო საქმის ახალ საფუძველზე მოსაწყობად. ჟურნალის პირველ ორ ნომერში მოთავსებულია ორი ავტორის სტატიები „Nos

archives-ს საერთო სათაურით. პირველ წერილში არქივის აღსანიშნავად ნახმარია მთელი წინადადება—„ჩ ვ ე ნ ი ძ ვ ე ლ ი ქ ა ღ ა ლ დ ე ბ ი დ ა ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ს ა ბ უ თ ე ბ ი“, ხოლო მეორეში—„ისტორიული საბუთები‘‘. ფრანგულად გაკეთებულ სათაურში, როგორც ვხედავთ, საყოველთაოდ მიღებული ტერმინი „ა რ ქ ი ვ ი“ არის ნახმარი, ხოლო თურქულად დაწერილ წერილებში არც ეს სიტყვა და არც სხვა შესატყვისი თურქული სიტყვაა ნახმარი. აქედან ცხადია, რომ თანამედროვე თურქულ ენაზე არ არსებობს „არქივი“-ს ცნების აღსანიშნავი ტერმინი.

პირველ წერილში ავტორი არჩევს საბუთების ოთხ კათეგორიას: 1) მართვა-გამგეობის საქმეები, 2) საადგილ-მამულო საქმეები, 3) საბუხჰალტერო-საანგარიშო საქმეები და 4) სასამართლოს საქმეები. ამ აღწერილობის მიხედვით ყველაზე უფრო გაფრთხილებით შესანახად მეორე კათეგორიის საქმეები ითვლებოდა, თუმცა ყველა კი არა, არამედ მხოლოდ ის საბუთები, რომელთაც იურიდიული მნიშვნელობა დაკარგული არ ჰქონდა. ასეთი მნიშვნელობის მქონე საბუთები მოწესრიგებული და ყდაში გაკეთებული ინახებოდა საგანგებო ორ სართულიან რკინის კარებიან სახლში. ხოლო იურიდიული მნიშვნელობა დაკარგული საბუთები კი ცალკე შენობაში იყო ხოლმე მოთავსებული. პირველ და მესამე კათეგორიის საბუთებს იმდენი ყურადღება არ ექცეოდა, რამდენიც მეორე კათეგორიის საბუთებს.

პირველი ნაბიჯების გადადგმა ოსმალეთში საარქივო საქმის გასაუმჯობესებლად და ახალ წესზე მოსაწყობად ეკუთვნის მინისტრ-რეფორმატორს მ უ ს ტ ა ფ ა-რ ე შ ი დ-ფ ა შ ა ს, რომელიც მინისტრად დაინიშნა ევროპაში მოგზაურობიდან დაბრუნებისას, 1846 წელს. იმავე წელს მან გასცა ბრძანება გაეშენებიათ „ქ ა ღ ა ლ დ ე ბ ი ს ს ა ც ა ვ ი“. შემდეგში ამ საცავში გადაიტანეს საბუთები საფინანსო დეპარტამენტიდან, რიცხვით 62,312. ეს საბუთები შეეხებოდენ ხანას მუჰამედ

I -დან (1730) მუჰამედ II – დე (1839 წ.), ე. ი. 109 წელს. 1884 წელს მთელი საქმეებისათვის შედგენილ იქნა ინვენტარი, ხოლო 1893 წლისთვის დამთავრებულ იქნა საბუთების სისტემაზიცია და დალაგება. მთლად 350,000 საბუთი იყო. აქედან ზემოხსენებულ 62.312 საბუთის გარდა, დანარჩენი 1839 წლის შემდეგდროინდელი საქმეები იყო.

ამისდა მიუხედავად ოსმალეთში ცენტრალიზაციის პრინციპი საარქივო საქმეში მაინც ვერ განხორციელდა. ახლად გაშენებულ „საცავის“ გარეშე მრავალი არქივი დარჩა, მათ შორის ძველ სასახლის, თოფქაფუ-სერაის არქივიც. უკანასკნელ დროს, სულთან აბდულ-ჰამიდის სიკვდილის შემდეგ, ეს არქივი დათვალიერებულ იქნა საისტორიო საზოგადოების წევრების მიერ. არქივში აღმოჩნდა 500.000-ზე მეტი საბუთი სრულიად უწესრიგოდ. საბუთების ნაწილი მოთავსებულ იქნა სასახლესთან არსებულ ძველ მიზგითის შენობაში, ხოლო ნაწილი—ბიბლიოთეკაში. მიზგითში მოთავსებული საბუთები შემდეგში მოაწესრიგეს და ყდებიც გაუკეთეს. სულ 1592 ტომი გამოვიდა, ხოლო თვითეულ ტომში 300 საბუთი იყო მოთავსებული. თვითეულ ტომში მოთავსებული საბუთები ჩვეულებრივად ერთი განსაზღვრული წლისა იყო; მაგრამ თუ ერთი წლის საბუთების რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ ერთ ტომში ვერ მოთავსდებოდა, მაშინ ისინი ორ ან კიდევ რამოდენიმე ტომად იყო დაყოფილი. ქრონოლოგიურ წესის გარდა განაწილების დროს მხედველობაში მიღებული იყო საბუთების შინაარსი და ხასიათიც. ასე, მაგალითად, ერთ ტომში მოთავსებული იყო მხოლოდ იერუსალიმში ქრისტიანულ ეკლესიების შესახებ დადებული ხელშეკრულებანი და მასთან დაკავშირებული საბუთები.

საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ „Revue Historique“-სა და სხვა ახალი დროის თურქულ გამოცემებში საარქივო საკითხებისადმი მიძღვნილი წერილები და თვით ოსმალეთის ხე-

ლისუფლების მიერ გადადგმული ზოგიერთი ნაბიჯებიც ამტკიცებენ, რომ ოსმალეთში გამოღვიძებულია ინტერესი ისტორიულ ძეგლების მეოხებით წარსულის შესწავლისადმი და, მაშასადამე, თვით ამ ძეგლებისადმიც.

ცხადია, ამგვარი ინტერესი, თუ კი მომავალში იგი პოლიტიკურ ან სხვაგვარ ხასიათის მოვლენებმა არ შეაფერხეს, თავის ნაყოფს გამოიღებს და ერთხელ დაწყებულ საქმეს სათანადოდ განავითარებს. მაგრამ მეორეს მხრივ საარქივო საქმის თანამედროვე მდგომარეობა ოსმალეთში და თვით ოსმალეთის არა სახარბიელო სახელმწიფოებრივი მდგომარეობა გვაფიქრებინებს, რომ ამ დარგში ძირითადი პრინციპების ცხოვრებაში გასატარებლად ოსმალეთს ხანგრძლივი მუშაობა და შემოქმედება დასჭირდება. საჭიროა წლების და, ვინ იცის, ათეულ წლების მუშაობა, რომ ოსმალეთის არქივებმა შესძლონ თავიანთი დანიშნულების გამართლება და იმ მეცნიერულ თუ პრაქტიკულ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რომელსაც მათ თანამედროვე სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრება უკარნახებს.

ლიტერატურა:

1. Акад. В. Бартольд, Хранение документов в государст. мусульманскаго Востока, А. К.
2. E. Brawne, The Persian Revolution of 1905—1909, კემბრიჯი, 1910 წ.
3. Проф. Тураев, История древняго Востока.
4. Акад. В. Бартольд, Туркестан. в эпоху монгольск. нашествия, II ч. პეტერბურგი, 1900 წ.
5. В. Вяткин, Материалы к историч. географии Самаркандского Вилайета.
6. პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული დიპლომატიკა.
7. მისივე, ქართული პალეოგრაფია.
8. A.Kremer, Culturgeschichte des Orients, ვენა, 1875 წ.
9. შარდენი, Voyage en Perse 1677 წ.

10. პეტერმანი, Reisen in den Orient, ლეიპციგი, 1861 წ.

11. პოლაკი, Persien, ლეიპციგი, 1865 წ.

12. შმიდტი, Geschichte der Ost-Mongolen, პეტერბურგი, 1829 წ.

13. ზოტტი, Die Aeltesten Nachrichten von Mongolen und Tataren, 1864 წ.

14. **Hammer Purgstall**, Geschichte des Osmanischee Reichs პეშტი, 1834 წ.

15. **Zinkeisen**, Geschichte des Osmanischen Reichs in Europa ჰამბურგი, 1840—1863 წ.

თავი მეოთხე.

დასავლეთი ევროპა.

1. საშუალო საუკუნეები.

ძველი აღმოსავლეთისა და კლასიკურ ქვეყნების, მათ შორის განსაკუთრებით რომის იმპერიის, წერილობითი საბუთების შენახვისა და არქივების მოწყობის პრაქტიკა და ტრადიცია საფუძვლად დაედო საშუალო საუკუნეების საარქივო საქმეს. სწორედ ძველ ქვეყნების არქივების მიბაძულობით საშუალო საუკუნეების რომანულმა ევროპამ დაიწყო სახელმწიფო საბუთების დაცვა და არქივების მოწყობა. ძველ კლასიკურ ქვეყნებში შემუშავებული არქივის ცნების აღსანიშნავი ტერმინებიც-კი: ἀρχεῖον, archivum, tabularium, chartophilatium და სხვა,— საშუალო საუკუნეების დასავლეთ ევროპის არქივებსაც შერჩათ თავისი სახელწოდებად.

მაგრამ საშუალო საუკუნეების არქივები სხვა ფაქტორების ზეგავლენით ვითარდებოდენ და სხვა ხასიათისა იყვნენ, ვიდრე ძველ საუკუნეების არქივები. თუ ძველ აღმოსავლეთისა და კლასიკურ ქვეყნების არქივის შექმნაში უმთავრესად უმაღლესი ხელისუფლალი და მისი ნებისყოფა იყო მამოძრავებელი ფაქტორი, საშუალო საუკუნეების არქივის ჩამოყალიბების პროცესში ასეთ ფაქტორად უმთავრესად მიწათმფლობელი და ეკლესია გახდენ.

არქივების განვითარების საშუალო საუკუნეების ისტორიაში ღრმა კვალი დასტოვა „ხალხთა დიდ გადასახლებამ“ თავისი გამანადგურებელი შედეგებით. ბარბაროსთა ტალღამ სტი-

ქიური შეუბრალებლობით წალეკა მთელ რიგ კულტურულ ქვეყნების ტერიტორია და აღგავა დედამიწის პირიდან არა მარტო წარსული ცხოვრების უძვირფასესი ძეგლები, არამედ მთელ რიგ ადგილებში თვით ცხოვრების ნიშან წყალიც. მთელი ადგილები ცარიელდებოდა და უკაცრიელდებოდა, მცხოვრებნი გარბოდენ ან ულმობელი მტრის ხმლისაგან იღუპებოდენ; ქალაქები და სოფლები ინგრეოდა, ხოლო ყველაფერი ამასთან იღუპებოდა ის კულტურის ძეგლები და მათი საცავები, რომელნიც ამ ქალაქებსა და სოფლებში იმყოფებოდენ.

ასეთ საერთო ნგრევის დროს საბუთების საუკეთესო თავშესაფარს ეკლესია-მონასტრები წარმოადგენდენ, ვინაიდან მხოლოდ ეს ადგილები გადურჩენ შედარებით განადგურების ბედს. მაგრამ მშვიდობიანობის დროსაც ეკლესია საბუთებისათვის საუკეთესო თავშესაფარს და უზრუნველყოფილ შესანახ ადგილს წარმოადგენდა. რომის პაპის უფლებების გაფართოება და სასულიერო მემამულეთა კლასის გაძლიერება ეკლესია-მონასტრებს შეუვალობისა და, მაშასადამე, საბუთების უზრუნველყოფის მხრივ, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა. მეორეს მხრივ ფეოდალების ციხე-კოშკებსაც შეეძლოთ ასეთი როლის შესრულება, ვინაიდან ესენიც საბუთებისათვის შედადებით უზრუნველყოფილ ადგილებს წარმოადგენდენ. საქმე იმაშია, რომ სახელმწიფოებრივ ცვლილებებისა და მტრის შემოსევის, ან გადატრიალების დროს ყურადღებას მიიპყრობდა ხოლმე დიდი საცავი, სადაც პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საბუთები იყო შენახული; ისეთი საბუთები კი, რომელთაც ახალი ხელისუფლების ინტერესებისათვის ღირებულება აღარ ჰქონდათ, შეიძლებოდა განადგურებულიყო და ნადგურდებოდა კიდეც. ამ მხრივ კერძო ფეოდალის არქივი ყურადღებას ვერ მიიპყრობდა და, მაშასადამე, საფრთხიდანაც უზრუნველყოფილი იყო. ამას გარდა თვით ფეოდალური ვითარება ხელს უწყობდა თვითეულ ფეოდალის ხელში ცალკე წვრილ არქივების შექმნას.

ამრიგად საერო და სასულიერო მიწათმფლობელთა ბატონობამ დასავლეთ ევროპაში წარმოშვა წვრილი ფეოდალური არქივები, რომელნიც მიწათმფლობელთა საგვარეულოს და საეკლესიო ორგანიზაციების უფლება-პრეტენზიების საბუთებს შეიცავდენ. ამავე დროს ეკლესიამ, რომელიც ცდილობდა თავისი გავლენა და ბატონობა საყოველთაოდ დაემკვიდრებია, ფეოდალებისა და ეკლესია-მონასტრების გვერდით შექმნა მსხვილი ცენტრალისტურ საფუძველზე მოწყობილი პაპის არქივი.

პაპის არქივს საშუალო საუკუნეების სხვა არქივებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ამიტომ საშუალო საუკუნოებში არქივების ისტორიის განხილვის დროს საჭიროა უპირველესად ყოვლისა შევჩერდეთ პაპის არქივის განვითარების ისტორიაზე.

პაპის არქივის შესახებ ლეგენდარული ცნობები მე-III-ე საუკუნიდან მოიპოვება [1], ხოლო კონსტანტინე დიდის სიკვდილის შემდეგ პაპის არქივის შესახებ უკვე სანდო და დანამდვილებითი ცნობები გვაქვს. საყურადღებოა ამ მხრივ წმ. ლავრენტის ეკლესიაზე შენახული პაპი დამაზის მე-4-ე საუკ. წარწერა, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: „მე გადავწყვიტე ავაშენო არქივისათვის ახალი შენობა-“ ო. პაპის არქივის შესახებ ცნობები შენახულია აგრეთვე იერონიმეს მე-V-ე საუკ. მიწერ-მოწერაში; ხოლო ამ დროიდან უკვე თითქმის ყველა პაპებს ხშირად აქვთ ლაპარაკი თავიანთ არქივების შესახებ. გრიგოლ დიდის დროს პაპების არქივი უკვე სავსებით ჩამოყალიბებული და განმტკიცებულ დაწესებულებას წარმოადგენდა.

რა ინახებოდა ამ დროს პაპების არქივში? პაპის არქივში ინახებოდა: წმ. პეტრეს ქონების აღწერა, ქონების შემოსავლის კადასტრები, ეპისკოპოსების მიერ ხელმოწერილი აქტები და

[1] Liber Pontificalis-ში შენახულ ლეგენდაში ლაპარაკია მე-III-ე საუკ. პაპა ანთერის მიერ დაარსებულ არქივის შესახებ.

პაპის კურიების მიწერ-მოწერა. უკანასკნელი ხასიათის მასალები, ე. ი. კურიების მიწერ-მოწერა ერთობ მდიდარ და მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს. პაპების წერილები იმდენად მდიდარია თავისი შინაარსით, რომ მათი მიხედვით სავსებით შესაძლებელი ხდება კათოლიკურ ეკლესიის დოგმისა, მისი ისტორიის და კანონმდებლობის შესწავლა.

ეს წერილები თავისი ფორმითა და შინაარსით მოციქულთა წერილებს მოგვაგონებს. პაპების, ისევე როგორც მოციქულთა, წერილებში ჯერ მოხსენებულია ის ვინც სწერს. შემდეგ ვისაც სწერენ და ბოლოს მისდევს მისალმება. ასე, მაგალითად, პავლე მოციქულის წერილში ვკითხულობთ: პავლე მოციქული არჩეული არა კაცთა, არამედ ქრისტეს მიერ და ყველა ჩემთან მყოფი ძმანნი (ვინ სწერს), გალაითის ეკლესიებს (ვის სწერენ) წყალობა თქვენ და მშვიდობა უფლისაგან (მისალმება). ასეთივეა პაპების წერილების ფორმაც.

პაპის გავლენისა და ძლიერების გაფართოებასთან ერთად ვითარდებოდა და ფართოვდებოდა მისი არქივიც. პირველად პაპის არქივი მოთავსებული იყო პატარა ეკლესიაში, რომელიც დამაზმა ააშენა, ხოლო შემდეგ იგი პაპი ილარიუსმა გადაატანინა ლატერანის სასახლეში, ვინაიდან, პაპის კურიის მოქმედების გაფართოების გამო, მასალები იმდენად გაიზარდა, რომ ძველ ბინაზე უკვე ვეღარ ეტეოდა.

მე-XI საუკუნეში პაპის მთლიანი არქივი დანაწილებულ იქნა პალატინის გორაზე არსებულ კოშკსა (Turris Chartularia), წმ. პეტრეს ტაძარსა და თვით ლატერანის სასახლეს შორის. პალატინის გორაზე მოთავსებული არქივი არ იყო საფრთხისაგან უზრუნველყოფილი, ვინაიდან ეს ადგილი იმყოფებოდა ფორუმის ახლო, სადაც ჩვეულებრივად სახალხო კრებები იმართებოდა და სადაც პოლიტიკურ ბრძოლის პერიოდში ამბოხებასა და მღელვარებას ხშირად ჰქონდა ხოლმე ადგილი. არ იყო იგი დაცული არც გერმანელებისა და ნორმანების შემოსევისაგან: მეთერთმეტე საუკუნის დასასრულს, ნი-

შანდობლივ 1084 წელს, რობერტ გვისკარდმა რომში შემოსევის დროს ცეცხლით და მახვილით მოვლო ეს ადგილი და ნაცარ-ტუტად აქცია ყველაფერი. ამის შედეგად დაიღუპა ყველაფერი, რაც პალატინზე იყო და სხვათა შორის პაპის არქივის ის ნაწილიც, რომელიც იქ იყო მოთავსებული.

შემდეგი საუკუნეების სიგრძეზე პაპის არქივის ბედი მეტად ცვალებადი და უკულმართი იყო: რომის პაპებს იგი ხან ტიბრის კუნძულზე, ხან ასიზსა და პერუჯაში, ხან კიდევ ლუკკასა და ავინიონში გადაჰქონდა ხოლმე, ვიდრე პაპმა პიუს მე-5-ემ მას საბოლოო ბინა რომში, ახლად გაშენებულ ვატიკანსა და წმ. ანგელოზის ციხე-კოშკში არ მიუჩინა. შემდეგში, უკვე მე-XVIII საუკუნეში, წმ. ანგელოზის კოშკში მოთავსებული საბუთები, რომლებიც უმთავრესად იმპერატორების დიპლომებისაგან შესდგებოდა, გადატანილ იქნა ვატიკანში, რითაც დანაწილებული პაპის არქივი კვლავ გაერთიანდა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ პაპის არქივი, მისი ცვალებადობისა და მდგომარეობის მიუხედავად, თუ საშუალო საუკუნეების მთელი ხნის განმავლობაში არა, ყოველ შემთხვევაში ეპოქის დასაწყისში მაინც, დასავლეთ ევროპაში ერთადერთი არქივი იყო, რომელიც ორგანიზაციულად კარგად იყო მოწყობილი. მან თავის განვითარებაში რამდენიმე ფაზა განვლო და საეკლესიო-ფეოდალურ არქივების გვერდით, როგორც ნათქვამი იყო, მსხვილი, შედარებით ცენტრალისტურად მოწყობილ არქივის ტიპი შექმნა. მაგრამ პაპის არქივის გვერდით მე-VI —VII-ე საუკუნეებიდან არქივები ჩნდება აქა-იქ, მეფეების სასახლეებთანაც.

ანტიურმა კულტურამ ძალაუნებურად დაიმორჩილა და თავის გავლენის ქვეშ მოაქცია თვით დამპყრობელები. შემოსეული ბარბაროსები ცდილობდენ დამორჩილებულ კულტურულ ხალხების მაგალითი და ჩვეულებანი გადმოეღოთ. სხვათა შორის ცდილობდენ მიებაძათ მართვა-გამგეობისა და ბიუროკრატიულ აპარატების მოწყობის საქმეშიაც. ასე, მაგალითად, მე-

როვინგთა მეფეები და მათი დაწესებულებები, ძველი საუკუნეების საკანცელარიო საქმისწარმოების წესების მაგალითის მიხედვით, თვით აწყობდენ რთულ ბიუროკრატიულ აპარატს. ბიუროკრატიულ სისტემის გადმოღებას შედეგად საბუთების და საარქივო მასალების გამრავლება მოჰყვა. ხოლო თავის მხრივ საბუთების გამრავლებამ არქივის აღორძინებაც გამოიწვია.

ამას გარდა შენახულია ცნობები ოსტგუთების და ლანგობარდების არქივების არსებობის შესახებ, მაგრამ თვით ამ არქივებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ. მათ არც შეეძლოთ ჩვენამდე მოეღწიათ, ვინაიდან ისინი ე. წ. „მოხეტიალე არქივები„ იყვნენ, და მეფეებს ჩვეულებრივად თავიანთი მოგზაურობის დროს თან დაჰქონდათ. ხოლო ამ გადატან-გადმოტანის დროს ისინი ადვილად ზიანდებოდენ, ზოგჯერ სავსებით იღუპებოდენ კიდეც.

ჩვენამდე მოღწეული მეროვინგთა ქარტიები მხოლოდ მონასტრის წყალობით გადურჩენ განადგურებას. ბერები განსაკუთრებულის ყურადღებით და სიფრთხილით ინახავდენ მონასტერში წყალობის სიგელს, რომელიც დაუფლებულ მამულზე მათი უფლების დამამტკიცებელი იურიდიული საბუთი იყო. მაგრამ თვით ზოგიერთი მეფეებიც საყურადღებო საბუთების უკეთ დაცვისა და უზრუნველყოფისათვის ასეთ საბუთებს სამონასტრო არქივებს აბარებდენ.

ამრიგად თითქმის ყოველ მონასტერთან ეწყობოდა უფრო საყურადღებო და მნიშვნელოვან საბუთების შემცველი არქივი.

შეიძლება ითქვას, რომ საშუალო საუკუნეების, განსაკუთრებით მე-X-ე საუკუნის, ევროპაში, იმდენი არქივი იყო, რამდენიც ეკლესია-მონასტერი. რომის დიდ და ცნობილ ეკლესია-მონასტრების გარდა, შესაძლებელია დასახელებულ იქნას ამ დროის რამდენიმე მონასტერი, სადაც მნიშვნელოვანი არქივთსაცავები იყო მოწყობილი. მაგალითად: 1) ი ტ ა ლ ი ა შ ი—მონტე-კავა, მონტე-კასინო, სუბიაკო, ფარფა, ბობბიო და სხვა, 2) ს ა ფ რ ა ნ გ ე თ შ ი—წმ. გერმანე, წმ. დიანოზი, წმ. გენოვეფა, პარი-

ზის, წმ. ვანდრეგიზელი, წმ. ბერტინი, წმ. მასტონი, წმ. მარციალი და სხვა, 3) გერმანიაში—ფულდა, სენ-გალენი, პრიმი, მიურბახი და სხვა, 4) ინგლისში—წმ. ალბანი, წმ. ოსვალდი და სხვა, 5) ირლანდიაში—იონა, ბანგორი, კლონარი და სხვა.

იმ დროინდელ არქივებისა საერთოდ, ხოლო სამონასტროსა კერძოდ, ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას იქ დაცულ საბუთების ნატყუარობა შეადგენდა. ამ მოვლენას ხელი შეუწყო Mont-Saint-Michel-ის არქივის ცეცხლისაგან დაღუპვამ მე-XII-ე საუკუნეში. მაგრამ ყალბი, ნატყუარი საბუთების გაჩენის უმთავრესი მიზეზი ეკლესიასა და საერო ხელისუფლებას შორის (პაპებსა და იმპერატორებს შორის) განუწყვეტელი ბრძოლა იყო, რომელიც იმ ხანის ისტორიის მთავარ შინაარსს შეადგენს. ეკლესია, პაპების მეთაურობით, თავის უფლებების დასამტკიცებლად ყალბ საბუთებს ამზადებდა; მეფეებიც ამასვე სჩადიოდენ პაპების პრეტენზიების გასაბათილებლად და თავისი უფლებების სიმართლის დასამტკიცებლად. ეს ბოროტება იმდენად გავრცელებული იყო მაშინ, რომ მეროვინგების დროს ნატყუარ საბუთების რაოდენობა იმ დროის მთელი საარქივო მასალების ნახევარს, ხოლო კაროლინგების დროს—ერთ მესამედს შეადგენდა.

საყურადღებოა, რომ იგივე ხელისუფლება, როგორც საერო ისე სამოქალაქოც, რომელიც ასე თავგამოდებით ამრავლებდა ნატყუარ საბუთებს, —თვითვე სცემდა კანონებს, რომლითაც სასტიკად აკრძალული იყო ყალბ საბუთების შედგენა: სამოქალაქო ხელისუფლება ასეთ შემთხვევაში დამნაშავეს ხელის მოკვრით ეწუქრებოდა, ხოლო ეკლესია—წყევლითა და ეკლესიიდან გაძევებით.[1]

საერო და სამოქალაქო არქივებიდან ყველაზე უფრო ადრინდელად ფრანგული არქივები უნდა ჩაითვალოს, ყოველ

[1] ნატყუარ საბუთების წინააღმდეგ ბრძოლამ ამ ხანებში საძირკველი ჩაუყარა მეცნიერების ახალ დისციპლინას—დიპლომატიკას.

შემთხვევაში იმდენად მაინც, რამდენად საქმე არქივების ორგანიზაციულ ჩამოყალიბებას შეეხება. საფრანგეთში ასეთ არქივის გაჩენისა და ჩამოყალიბების საქმეს ხელს უწყობდა ხელსაყრელ გარემოებათა მთელი რიგი. ერთ-ერთ ამგვარ გარემოებად უნდა ჩაითვალოს საფრანგეთის შედარებითი ადრე გაერთიანება და მთლიან პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბება—მეფით სათავეში. ძლიერი ცენტრალისტური ტენდენცია, რომლითაც ხასიათდება, განსაკუთრებით მე-XII—XIII-ე საუკუნეების საფრანგეთი, ხელს უწყობდა მეფის მუდმივი სარეზინდეციოდ ერთი ადგილის ამორჩევას და ცენტრალური სამეფო არქივის—Trésor des Chartes—შეექმნას. ამ ცენტრალური სამეფო არქივში ინახებოდა ერთის მხრივ, მეფის კანცელარიიდან გასული აქტების რეგისტრი, ხოლო მეორეს მხრივ პაკეტში გაერთიანებული შემოსული ქაღალდები.

ლიუდოვიკ წმიდანის დროს Trésor des Chartes გადატანილ იქნა Saint-Chapelle-ში, სადაც მას რევოლიუციამაც მოუსწრო. მე-XVI საუკუნემდე აქ ინახებოდა ყველა მთავარ დაწესებულებათა არქივები, მაგრამ Trésor-ში ნაწილობრივ ზოგიერთ პროვინციის საბუთებიც იყო მოთავსებული. ასე, მაგ., მე-XIII საუკუნეში მას შეუერთეს ტულუზის არქივი, რომელიც მთელს სამხრეთს აერთიანებდა, ხოლო მე-XIV ს-ში—შამპანისა და ოვერნის არქივებიც.

არქივების ცენტრალიზაციის ტრადიცია დარჩა მხოლოდ მე-XVI-ე საუკუნემდე, რომლის შემდეგ Frésor des Chartes-ის გვერდით, მთავარ დაწესებულებებთან თანდათანობით გაჩნდენ საუწყებო არქივები, რომელნიც თავის უწყების მასალებს აღარ უთმობდენ Trésor des Chartes-ს. ამიერიდან Trésor des Chartes უკვე აღარ იყო ცენტრალური არქივი წინანდელ მნიშვნელობით, როდესაც საუწყებო არქივები ჯერ არ არსებობდენ, და როდესაც იქ თავს იყრიდა სახელმწიფოს ყველა ასე თუ ისე მნიშვნელოვანი საბუთები. ფილიპე ლამაზის სახელმწიფოს ადმინისტრატიულ მექანიზმში გარკვეული ადგილის მქონე Tré-

sor des Chartes-ი ლიუდოვიკი მე-X-სა და მის ახლო მემკვიდრეების დროს უმოძრაოდ დარჩა. მაგრამ სამაგიეროდ კარლოს მე-V-ე-ს დროს იგი ძალიან გაიზარდა და ფართე მნიშვნელობა მოიპოვა. კარლოს მე-VI-ს დროს მან კვლავ დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა და ქაოტიურ მდგომარეობაში ჩავარდა. კარლოს მე-VII-სა და ლიუდოვიკ მე-XI-ს დროს Trésot des Chartes-ი ისევ აღორძინდა.

საფრანგეთის გარდა საშუალო საუკუნეებში არქივების ადრინდელ გახვითარების ნიშნებს ესპანეთშიც ვხედავთ, თუმცა არქივების ისეთი გაერთიანება, როგორსაც ადგილი ჰქონდა საფრანგეთსა და რომში, იქ არ მომხდარა. ეს აიხსნება იმ თავისებური პირობებით, რომელნიც არქივების განვითარებისათვის არსებობდენ ესპანეთში. ამ პირობებთან დაკავშირებით იქ ერთნაირად ვითარდებოდენ სახელმწიფო და სამონასტრო არქივები იმ განსხვავებით, რომ სამონასტრო არქივები უფრო მდიდარი იყვნენ, ვიდრე სახელმწიფო არქივები. სამონასტრო არქივებს შორის განსაკუთრებით ადრე გაჩნდენ ტარაგონის, სარაგოსას, მერსედების ორდენთა, რიპპოლისა, წმ. კუკუფატისა და სხვა არქივები. შემდეგში ყველა ეს არქივები გაერთიანებულ იქნენ არაგონის ცენტრალურ არქივში, რომელიც ჩვენამდე მოღწეულ არქივთა შორის ყველაზე უფრო კარგად არის დაცული. ა რ ა გ ო ნ ი ს არქივი, რომელშიც, როგორც ტყავზე (მე-XII ს-მდე), ისე აგრეთვე ქაღალდზე (მე-XII ს-დან) დაწერილი საბუთებია დაცული, მეტად მდიდარ და საყურადღებო არქივს წარმოადგენს.

სხვა სამეფო არქივებიდან საყურადღებოა ნ ა ვ ა რ ი ს ა და კ ა ს ტ ი ლ ი ი ს ცენტრალური არქივები, რომლებშიც დაცულია დომინიკანელებისა და ჰოსპიტალიერების ორდენთა და იეზუიტების ინკვიზიციის საბუთები. ნავარისა და კასტილიის არქივები შეიცავენ ერთობ მდიდარ მასალას, რომელსაც თანამედროვე საისტორიო მეცნიერებისათვის მეტად აკტუალური მნიშვნელობა აქვს. საერთოდ ესპანეთის შესახებ შეიძლება ით-

ქვას, რომ იქ საარქივო ტრადიცია ერთობ დიდი იყო, მაგრამ იგი ვერ დაუკავშირდა ერთ საეკლესიო კერას, როგორც ეს რომში მოხდა.

ესპანეთის შემდეგ შეიძლება ორიოდე სიტყვა ითქვას ორივე სიცილიის ნორმანთა სამეფოს არქივების შესახებ. საყურადღებოა, რომ საარქივო ტრადიციები აქაც შედარებით ძალიან ადრე გაჩნდენ. საყურადღებოა აგრეთვე, რომ აქ უკვე მე-XII-ე საუკუნეში დაიწყეს მეფეთა რეგისტრის წარმოება. თუ რამდენად კარგად ყოფილა საარქივო საქმე დაყენებული ნორმათა სამეფოში, სჩანს იქიდანაც, რომ ჰოჰენშტაუფენების დინასტიამ საარქივო საქმე სიცილიაში შეისწავლა.

ფრიდრიხ მე-II-ე ჰოჰენშტაუფენი პირველი ხელმწიფე იყო, რომელმაც თავის ქალაქების რეგისტრი შემოიღო. მაგრამ საშუალო საუკუნეების გერმანიაში მაინც ვერ მოიკიდა ფეხი საარქივო საქმემ. ამას ცხადად ამტკიცებს იტალიაში შემთხვევით გარდაცვლილ ჰენრიხ მე-VII-ს არქივი, სადაც აღმოჩნდა მხოლოდ რამდენიმე ათეული სიგელი სპეციალური ხასიათისა, ამდენივე რეგისტრი და სხვა. აქედან ირკვევა, რომ გერმანიაში ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული იმპერიის საერთო რეგისტრი და რომ იქ მხოლოდ დინასტიისა და ცალკე იმპერატორების არქივები არსებობდენ, სახელმწიფო ცენტრალურ არქივის ნაცვლად. შემდეგში, უკვე 1495 წ. კურფიურსტ ბარტოლდ მაინცელმა გარკვეული წინადადება შეიტანა რეიხსტაგში: „რეიხსტაგმა უნდა მიიღოს ყველა წერილები, სიგელები, იმპერიის გარეშე საქმეთა შესახები რეგისტრები, აგრეთვე სასამართლოს საქმეების რეგისტრებიც, სადაც და ვისთანაც არ უნდა იყვნენ ისინი, შეინახოს ახალი საარქივო საბუთებთან და მოიხმაროს ისინი იმპერიის სასარგებლოდ“-ო.

ეს წინადადება არქივების ცენტრალიზაციის იდეას ჰგულისხმობდა, მაგრამ იგი ვერ განხორციელდა. იმპერატორ მა-

ქსიმილიანე პირველმა საწინააღმდეგო მაგალითი უჩვენა, რადესაც თავისი არქივი პირად განკარგულების ქვეშ დაიტოვა.

ამრიგად პაპების რომი, სამეფო საფრანგეთი და ძველი ესპანეთი,—აი ის ქვეყნები, სადაც საშუალო საუკუნეებში შედარებით ადრე განვითარდენ და ჩამოყალიბდენ არქივები. ამას მისდევს ორივე სიცილიის ნორმანთა სამეფო, სადაც სარქივო ტრადიცია აგრეთვე შედარებით ადრე დამკვიდრდა. გერმანიის ქვეყნები ისევე, როგორც დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებიც, ამ მხრივ რამდენიმე საუკუნეებით უკან ჩამორჩენ დასახელებულ სახელმწიფოებს.

როგორ იყვნენ საშუალო საუკუნეების არქივები მოწყობილი და როგორ ასრულებდენ ისინი დაკისრებულ ფუნქციებს?

შენახულია ცნობები იმის შესახებ, რომ მე-XVI საუკ., ნიშანდობლივ 1539 წელს, მეფე ფრანსუა I მეტად უკმაყოფილო იყო არქივების მდგომარეობით. მისი სიტყვით, არქივები იმდენად მოუწესრიგებელი იყვნენ, რომ მათი გამოყენება რაიმე საჭიროებისათვის სრულიად შეუძლებელი იყო, ან შეიძლებოდა მათი გამოყენება მხოლოდ დიდი შრომისა და დროის დაკარგვით. „ჩვენ გავიგეთ, ამბობს ის, რომ მრავალი მასალა ინვენტარში სრულიად ჩაწერილი არ არის, ხოლო ის მასალა, რომელიც ჩაწერილია, ერთი მეორეში არეულია“-ო. ფრანსუა I არ იყო მეცნიერი, მაგრამ იგივე შეეძლო ეთქვა მეცნიერსაც, რომელიც მოისურვებდა სამეცნიერო მიზნით არქივით საარგებლობას.

ფრანსუა I-ის დროს არქივები ასეთ მდგომარეობაში ჩავარდენ იმიტომ, რომ სახელმწიფო ცხოვრების ტემპის გაძლიერებასთან ერთად სწრაფად იმატა საარქივო მასალების რაოდენობამაც არქივებში, ხოლო არქივის მოსამსახურენი, რომელთა რიცხვის გადიდება მასალების გადიდებას ვერ უსწრებდა, ველარ ახერხებდენ მიღებულ საბუთების კლასიფიკაციასა და ინვენტარიზაციას.

ამრიგად მასალების სწრაფად გამრავლება, ხოლო არქი-

ვებში მომუშავეთა პერსონალის სიმცირე, — აი ერთი მიზეზი იმისა, რომ საშუალო საუკუნეების არქივები სათანადო სიმაღლეზე არ იდგნენ. ამას უნდა მიემატოს ის გარემოებაც, რომ საშუალო საუკუნეების არქივებს არ ჰყავდათ მომზადებული არქივისტები. პაპის არქივებში, მაგალითად, ხშირად კანცელარიის მოხელენი, ან კიდევ სრულიად გამოუცდელი ახალგაზრდები მსახურობდენ. ასევე მოუმზადებელი მოსამსახურეები იყო საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების არქივებშიც. მე-XIV საუკუნის არქივისტი ჟერარ დე მონტეგიუ არქივების მოუწყობლობისა და ცუდი მდგომარეობის ერთ-ერთ მიზეზად სხვათ შორის იმ გარემოებასაც ასახელებს, რომ არქივისტები ნივთიერად უზრუნველყოფილი არ იყვნენ, რის გამოც მათ მუყაითად არ შეეძლოთ თავისი საქმის გაკეთებაო. „ყველაზე უფრო სასარგებლო და ბრწყინვალე არქივისტები, ამბობს ის, გაიტაცა მაღალ სამსახურის კარიერამ, სხვები დაწყებულ საქმეს არ ამთავრებენ, რადგან მათ ჯამაგირს არ აძლევენ-“ ო.

მაგრამ სწორი არ იქნება ვთქვათ, რომ საშუალო საუკუნეებში დადებითი საარქივო მუშაობა სრულიად არ სწარმოებდა და რომ საშუალო საუკუნეების არქივებს მომზადებული და მცოდნე არქივისტები სრულიად არ ჰყავდათ. პირიქით, არა ერთი და ორი ფრიად მომზადებული და თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე არქივისტები მოუცია საშუალო სათკუნეებს, განსაკუთრებით საფრანგეთში. ასეთები იყვნენ, მაგ.: Pierre d' Etampes, რომელმაც 1318 წელს მშვენიერი ინვენტარი შეადგინა, Jean de la Queu (1333—1350), Adam Boucher, Gerard de Montaigu, რომლის შესახებ ზემოდ გვქონდა ლაპარაკი, და სხვა. მათ შრომას უნდა მიეწეროს ის, რომ საშუალო საუკუნეების არქივმა ჩვენს დრომდე მთელ რიგ საუკუნოების ძვირფასი მასალა მოწესრიგებულად შეგვინახა. კერძოდ მათი შრომის ნაყოფია იმ დროის კლასიფიკაციის სისტემები და ინვენტარის შედგენის წესები.

როგორი იყო კლასიფიკაციის ეს სისტემები და რა წესით სდგებოდა მაშინ ინვენტარი?

უპირველესად ყოვლისა არქივისტების მოვალეობას შეადგენდა მასალების მიღება და, მიღების რიგის დაცვით, საინვენტარო აღწერის შედგენა. ამის შემდეგ არქივისტი ვალდებული იყო სისტემატიური კათალოგი შეედგინა. მიღებულ მასალის რეგისტრაციისა და საინვენტარო აღწერის დროს საჭირო იყო: 1) თვით მასალის — ეტრატის, პაპირუსის, ქაღალდის — აღწერა, 2) საბუთის ზომის აღნიშვნა[1], 3) მისი შინაარსის აღნუსხვა, რაც აღწერის დროს ყველაზე ძნელი მომენტი იყო, და, ბოლოს, 4) შემოსულ საბუთებზე არქივში განკუთვნილი ადგილისა და ინვენტირის №№-ს გაკეთება. თვით საცავიც დაყოფილი იყო ნაწილებად, რომელთაც ასოებითა და ციფრებით აღნიშნავდნენ ხოლმე.

საბუთების ინვენტარში შეტანის დროს ჩაიწერებოდა მისი სათაურიც, თუ ის მას ჰქონდა[2], ხოლო თუ ასეთი არ ჰქონდა, მოყვანილი იყო საბუთის დაწყებითი სიტყვები. უკანასკნელ შემთხვევაში ინვენტარს ეწოდებოდა „ინვენტარი პირველი სიტყვების დახმარებით“ (repertorium per incipit). ინვენტარში შეტანის შემდეგ შეუდგებოდენ ხოლმე საბუთების თაროებზე და შკაფებში დაწყობა-დალაგებას და საალფაბეტო მაჩვენებლების შედგენას. კათალოგთან ერთად უნდა შეედგინათ სპეციალური ინდექსები, დაწესებულებათა ინდექსები, ქრონოლოგიური მაჩვენებლები და სხვა. ინვენტარისა და კათალოგის შედგენა არქივისტების საქმე იყო, ხოლო ინდექსებისა—სწავლული არქივისტების.

საშუალო საუკუნოების ხანის უძველეს ინვენტარებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ. პირველი ძველი ინვენტარი, რომელმაც

---

[1] ძველად ასეთ შემთხვევებში აღნიშნავდნენ: in folio, in quarto, in octavo, ჩვენს დროში კი უფრო დაწვრილებით (სანტიმეტრებით) აღინიშნება ხოლმე საბუთების ზომა.

[2] ზოგიერთ ქარტებსა და სიგელებს სათაური ჰქონდათ, ზოგიერთს კი—არა, და ასეთ შემთხვევაში ტექსტი პირდაპირ იწყებოდა.

ჩვენამდე მოაღწია, დათარიღებულია 1295 წლით. საერთოდ ადრინდელ ინვენტარებში ნუმერაციის სისტემა თითქმის არ არის დაცული, სამაგიეროდ სჭარბობს აღწერის სისტემა. უკანასკნელ შემთხვევაში ჩვეულებრივად აღწერილია უჯრები, ტომრები (collinum, sacculum) და სხვა, სადაც საბუთები იყო მოთავსებული. აღწერის დროს მიღებული იყო გარეგნული ნიშნები: ფერი, მდგომარეობა, ფორმა და სხვა. ასე, მაგ., ხშირად აღნიშნული იყო, რომ საბუთი დაცულია „მწვანე უჯრაში“ (in coffino viridi coloris), „დამტვრეულ უჯრაში“ (in coffino fracto) და სხვა. ზოგჯერ საბუთების საცავები აღნიშნული იყო რაიმე პირობითი ნიშნით, მაგ., ჯვრით, ხოლო იქ მოთავსებული საბუთები დანომრილი არ იყო. უკანასკნელ შემთხვევაში აღწერის დროს ბუნდოვანად აღნიშნავდენ: „სხვა და სხვა სიგელები“ (diversae litterae), „მრავალი სიგელები“ (multae litterae) და სხვა. ან კიდევ მოკლედ მოყვანილი იყო შინაარსის მიხედვით საბუთის სახელწოდება — ექსცერპტი, როგორც, მაგ., „ორი სიგელი, გერმანიის იმპერატორის ალბერტის ბეჭდით დაბეჭდილი, იმპერიის დამორჩილების აღიარების შესახებ (Duae litterae, sigillatae sigillo Alberti regis Allemanniae super recognitione subiectionis Imperii).

Pierre d'Etampes-ის 1318 წლის ინვენტარში 17 განყოფილება არის შინაარსის მიხედვით. ყველა ესენი შეიძლება გაიყოს სამ ჯგუფად: 1. ქრონოლოგიური, 2. ტოპოგრაფიული და 3. საქმის ხასიათის მიხედვით. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საბუთები, მაგ., ორიგინალური სიგელები Pierre d'Etampes საგანგებო კათალოგში აქვს შეტანილი, სადაც აღწერილია 229 საბუთი, 9 უჯრაში მოთავსებული. უჯრების აღსანიშნავად ნახმარი აქვს პირობითი ნიშნები: ვარდი, გვიმრა და სხვა. Gerard de Mantaigu-ს 1371 წლის ინვენტარში საბუთები შეტანილია დამახასიათებელ სიტყვების ალფაბეტის რიგზე, ხოლო 1391—1400 წ. წ. ინვენტარში მოცემულია:

1) საბუთების საალფაბეტო მაჩვენებელი და 2) რეგისტრების აღწერილობითი ცხრილები.

ასეთია მოკლედ საშუალო საუკუნეების სიგრძეზე არქივების განვითარების მთავარი მომენტები.

ნათქვამის მიხედვით საშუალო საუკუნოების სიგრძეზე არქივების განვითარების შემდეგი ზოგადი სურათი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ.

საშუალო საუკუნოებმა არამც თუ ვერ განავითარეს ძველი აღმოსავლეთის და კლასიკურ ქვეყნების მიერ შექმნილი არქივების და საარქივო საქმის ტეხნიკა, არამედ ზოგჯერ ამ დარგში უკვე არსებულ მიღწევების შენარჩუნებაც ვერ შესძლეს. მათ ვერ შეინარჩუნეს აგრეთვე არქივთმოწყობისა და ორგანიზაციის ერთიანი სისტემა, ერთიანი წესი. თუ ძველად საარქივო საქმე უმთავრესად ხელისუფლების მზრუნველობისა და მეურვეობის საგანი იყო, რითაც არქივების ორგანიზაციული ერთიანობა (ცენტრალიზაცია) დაცული იყო, საშუალო საუკუნოების მთელს საგრძეზე ამ ერთიანობის დამყარების ცდებსაც ადგილი არ ჰქონია არც ერთ სახელმწიფოში. პირიქით, არქივების სრული დაქსაქულობა და თითოეულის მათგანის განკერძოებული ცხოვრება—აი რა ახასიათებს საშუალო საუკუნოების ეპოქას საერთოდ. ეკლესია-მონასტერი, რომის პაპი, მეფე, ფეოდალი და სხვა—აი ვის ხელში იყო ამ ეპოქის განმავლობაში არქივებისა და საარქივო საქმის ბედიღბალი. თვითეული მათგანი სრულიად დამოუკიდებლად და ისე აწარმოებდა ამ საქმეს, როგორც მას უნდოდა და ესმოდა. საერთოდ საშუალო საუკუნოები არქივების განვითარების ისტორიაში დაკნინებისა და დაქვეითების ხანად უნდა ჩაითვალოს.

ლიტერატურა:

1. Проф. Добиаш-Рождественская, История архивов романской Европы при старом порядке, А. К.

2. Проф. **А. Смирнов**, Очерки по истории арх. дела
3. **Bordier**, Les Archives de France.
4. **И. Маяковский**, Развитие архивов в Зап. Евр., БСЭ.
5. **ᲐᲑᲔᲢᲘᲐ**, არქივთმეცნიერების შესავალი.
6. **И. Андреевский**, Архивы (Энцикл. Словарь, Брок.-Ефр.)
7. **Monumenta Germaniae historica**, 1926 წ.-დან.
8. **Dahlmann**, Qwellenkunde der deutsche Geschichte, 1883 წ.
9. **Wattenbach**, D. Geschichtsquellen im Mittelalter, 1885 წ.
10. **Muratori**, Rerum italicarum scriptores, 1723—51 წ. წ. მილანი.
11. **Fessler**, Versuch einer Geschichte der spanischen Nation, 1810. წ.
12. **H. Martin**, Histoire de France, 1845—67 წ.
13. **Monteil**, Histoire des Français des diver états.
14. **Hume**, History of England, ლონდონი, 1754—1764 წ. წ.
15. **Coote**, The Romans of Britain, ლონდონი, 1878 .წ.

2. ახალი დრო.

საარქივო საქმის ისტორიაში რეფორმაციის ეპოქა უნდა აღინიშნოს საბუთებისადმი კრიტიკული და ექვიანი დამოკიდებულებით. ახალმა საზოგადოებამ მიმავალ ზაშუალო საუკუნეების დაწესებულებებსა და ხელისუფლებას გასამართლებელი საბუთები მოსთხოვა; ნატყუარ საბუთებისა და მათი საშუალებით მოპოებულ მდგომარეობის მხილება და გამოაშკარავება დაიწყო. ახალმა საზოგადოებამ წამოაყენა საკითხები იმის შესახებ, თუ რაზეა დამყარებული პაპის უფლება, იმპერატორების სამართალი, მონასტრებისა და ეპისკოპოსების პრეტენზიები და სხვა. ზთგჯერ ამ უფლებებისა და პრეტენზიების დამამტკიცებელი საბუთები ახალი საზოგადოების მხრივ სასტიკ კრიტიკას იწვევდენ და მრავალ მათგანის სიყალბის გამოაშკარავება იყო საჭირო. დიპლომები, ქარტიები და სიგელ-გუჯრები ამიერიდან გადაიქცენ გენეალოგებისა და ფეოდისტების, ისტორიკოსებისა და იურისკონსულტების, არქივისტებისა და სხვათა დავისა და კრიტიკის საგნად: დაიწყო „დიპლომატიკური ომი“, bella diplomatica [1].

მაგრამ რეფორმის მომხრენი ძველი საბუთების გაკრიტიკების დროს ხშირად ვერ იყვნენ სამართლიანი და ობიექტური მსაჯულები. პროტესტანტური წრიდან გამოსულნი, ისინი ეკლესიისა და საეკლესიო ძეგლებისაგან შორს იდგნენ. ამიტომ მათ არ შეეძლოთ ამ ძეგლების გაგება და შეფასება, მით უფრო, რომ არ იცოდენ საეკლესიო ლათინური ენა. საშუალო საუკუნოების კალენდრებისა და ძველი ტერმინებისაც მათ მაინც და მაინც ბევრი არაფერი გაეგებოდათ. ამ გა-

[1] პირები, რომელნიც საბუთებს აკრიტიკებდენ და „დიპლომატიკურ ომში“ მონაწილეობას იღებდენ იძულებული იყვნენ მოენახათ ნატყუარ საბუთების სიყალბის გამოს

რემოებასთან დაკავშირებით რეფორმატორების აღგზნებული და მძაფრი კრიტიკა ხშირად ცალმხრივი და მიკერძოებითი იყო. ამას გარდა მათ, როგორც რევოლიუციონერებს, ხშირად მთავრობა სდევნიდა, რის გამოც ისინი ნივთიერ ხელმოკლეობას განიცდიდენ. ეს გარემოება კი შეუძლელს ხდიდა მათთვის დინჯ და კოლექტიურ სამეცნიერო მუშაობას. ამისდა მიუხედავად მე-XVII-ე საუკუნემ საბუთების მოგროვებისა და გაკრიტიკების დარგში მოგვცა გამოჩენილ მოღვაწეების მთელი რიგი, როგორც სასულიერო, ისე საერო წრიდანაც[1].

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბენედიქტელების ორდენმა, რომელიც, როგორც ვიცით, მე-Vს-ში ჩაისახა. მე-VI საუკუნეში უკვე ეს ორდენი ბერების მრავალრიცხოვან და ძლიერ ორგანიზაციას წარმოადგენდა. მე-XI—XII საუკუნეებში მან ერთგვარი დაკნინების ხანა განიცადა; მაგრამ ტრიდენტის რეფორმების შემდეგ მას კვლავ გაძლიერება დაეტყო. ამავე ხანებში ჩნდება წმ. მავრის კონგრეგაცია, რომელმაც მტკიცე საძირკველი ჩაუყარა ბენედიქტელების განახლებულ ორდენის სახელოვან სამეცნიერო მოღვაწეობას. მავრისტების სამეცნიერო მოღვაწეობის ცენტრად St. Germain des Prés-ს საბატო გადაიქცა.

1648 წელს მავრისტების კონგრეგაციამ გამოიმუშავა: 1) საისტორიო და საარქივო მასალების შეკრებისა და გამოცემის ფართე გეგმა, 2) არქივთსაცავთა ორგანიზაციისა და საარქივო მასალების გამოყენების წესები[2].

გეგმა მოწონებულ იქნა გენერალურ კაპიტულის მიერ და ამიტომ კონგრეგაციამ მიმართვა გაუგზავნა ყველა საეკლესიო ორგანოთ და კერძოდ ყველა მღვდლებს საინტერესო მასალების გადმოგზავნის შესახებ. ამავე დროს კონგრეგაციამ

[1] ასეთები იყვნენ, მაგ. André Duchesne, Etienne Baluze, ძმები Valois, Brussel, Thomassières, Charles du Fresne, sieur du Cange და სხვები.

[2] ეს წესები შეიცავდა სხვათა შორის ინვენტარის შედგენისა, ხელნაწერთა შენახვისა და სხვა წესებს.

თავისი წარმომადგენლები გააგზავნა შორეულ არქივთსაცავებში ასეთ მასალების მოსაგროვებლად. ბენედიქტელების ორდენის ფართე კავშირის გამო მუშაობა უცბად გაჩაღდა: გაჩნდა დიდი მიწერ-მოწერა, რომელმაც შემდეგში 70 ტომი შეადგენა [1].

ბენედიქტელების მუშაობა ძლიერი იყო არა გენიოსებით, არამედ ჩუმი მუშაკებით, რომელნიც დაკისრებულ საქმისათვის არ ზოგავდენ პირად კეთილდღეობასა და შრომას. ერთ ერთი უმთავრესი საქმე, რომელსაც ისინი თავგანწირვით ასრულებდენ, იყო ხელნაწერების დაგროვება. ამ მიზნისათვის მათ შორეულ ქვეყნებში, როგორც მაგ., იტალიაში, შვარცვალდის მთებზე, კალიბრიაში, სიცილიაში და სხვაგან უხდებოდათ ხოლმე მოგზაურობა. მოგზაურობდენ ისინი უმეტეს წილად ფეხით. (მათ ანგარიშებში არის ზოგჯერ ცხენებისა და სახედრების, ხოლო უფრო ხშირად ფეხსაცმელების ხარჯების ანგარიშები).

მასალების დაგროვების შემდეგ ბენედიქტელები ამ მასალების სისტემატიზაციასა და კატალოგიზაციას ახდენდენ, ხოლო სწორი ტექსტის დადგენისა და ძარითადი რედაქციის ამორჩევის შემდეგ გამოაქვეყნებდენ ხოლმე[2]. მთელი ორდენი, მასალების შეკრებისა და გამოცემის საქმეს კოლექტიურად ეწეოდა. უანგარო და ჩუმი მუშაკების მთელი რიგი მოთმინებით ეზიდებოდა ამ მძიმე უღელს; მაგრამ მათ შორის განსაგანსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ბერს Jean Mabillon-ს, რომელიც კონგრეგაციის მუშაობის გეგმის შედგენაშიც აქტიურ და უახლოეს მონაწილეობას ღებულობდა. უბრალო გლეხის შვილი, მაბილიონი, ბავშობიდანვე გატაცებული იყო ძველი საბუთებისადმი სიყვარულით. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ის Collège des bons enfants-ის მოწაფე იყო, შეუდგა ძველ ხელნაწერების მოგროვებას ეკლესიებიდან

---

[1] ეს მიწერ-მოწერა შემდეგში პარიზის ბიბლიოთეკას გადაეცა.

[2] საბუთების გამოცემისთვის გამომცემელი შეასწორებდა მხოლოდ გადამწერის მსაყილ შეცდომებს, გამომცემლის მოვალეობაში შედიოდა აგრეთვე ქარაგმების გახსნა და სასვენი ნიშნების გაკეთება.

და კერძო პირებისაგან. St. Germain des Prés-ს წრე, სადაც ის ახალგაზრდობიდანვე მოხვდა, მაბილიონზე კარგ გავლენას ახდენდა. აქ თავს იყრიდენ ბიბლიოფილები, ბიბლიოგრაფები, წიგნის გამომცემლები და გამყიდველები. აქვე ჩაეყარა საფუძველი საფრანგეთის სიძველეთა შესწავლის სკოლას, რომლის სულის ჩამდგმელი შემდეგში მაბილიონი გახდა. მაბილიონმა მთელ რიგ თავის ნაწარმოებებში გამოარკვია ამ სკოლის მოვალეობათა ძირითადი მომენტები; მანვე შეიმუშავა საბუთების შეკრებისა და გამოცემის მეთოდები. ერთი სიტყვით, მაბილიონს ეკუთვნის დიპლომატიკის ძირითადი პრინციპების დადგება და ჩამოყალიბება. ამ დისციპლინის პრინციპებს მან საგანგებო შრომაც კი მიუძღვნა, „De re diplomatica libri sex"-ის სახელწოდებით[1].

ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ საშუალო საუკუნოების შემდეგ საარქივო საქმის განვითარების ისტორიაში, მიუხედავად საბუთებისადმი უნდო და ექვიანი დამოკიდებულებისა, იწყება ერთგვარი განახლების ხანა, რომელიც აღსანიშნავია ერთის მხრივ, როგორც საარქივო მასალების შეკრებისა, ხოლო მეორეს მხრივ, როგორც მათი კრიტიკულად შესწავლის ხანა. ამ მუშაობას, როგორც ნათქვამი იყო, ეწეოდა ერთის მხრივ ეკლესია, ხოლო მეორეს მხრივ საერო ხელისუფლებაც. ორივენი უპირველეს ყოვლისა დაინტერესებული იყვნენ მოეხდინათ გაბნეული საბუთების, რამდენად შესაძლებელი იყო, კონცენტრაცია და დაგროვება ერთ ადგილას. ბენედიკტელების ორდენის გარდა, რომლის შესახებ უკვე ზევით იყო ლაპარაკი, ამ მუშაობას ეწეოდენ სხვა რელიგიური საზოგადოებებიც, მათ შორის ბოლლანდისტების იეზუიტური კოლეგია[2],

[1] მაბილიონი გარდაიცვალა 1707 წ. დასაფლავებულია St. Germain des Prés-ში.

[2] 1773 წელს იეზუიტების ორდენის დაღუპვასთან ერთად მათ არქივს კონფისკაცია უყვეს. 1789 წელს ამ არქივის ნაშთი გადაეცა პრემონსტრანცელების საძმობოს, ხოლო 1791 წელს, საფრანგეთის რევოლიუციის დროს, იგი სავსებით განადგურდა.

რომელიც ჰაბსბურგების მფარველობის ქვეშ მუშაობდა. მაგრამ მეორეს მხრივ ამგვარ მუშაობას ეწეოდა სახელმწიფო და საერო ხელისუფლებაც. მაგალითად, საფრანგეთის Trésor des Chartes-ის არქივისტი მ ო ნ ო ცდილობდა პარიზში თავი მოეყარა ყველა, ასე თუ ისე, მნიშვნელოვან საბუთებისათვის, თუ დედნებისათვის არა, მათ პირებისათვის მაინც. ამ მიზნით იგი, ბენედიკტელების ორდენის მსგავსად აგზავნიდა მწერლებს მთელი საფრანგეთის სხვადასხვა მხარეში, ხოლო შემდეგ იტალიასა და ინგლისშიც და ავალებდა მათ შეეძინათ აქტუალური მნიშვნელობის მქონე საბუთები—დედნები ან მათი პირები.

ასე მოუსწრო დასავლეთ ევროპაში საარქივო საქმეს საფრანგეთის რევოლიუციამ, რომელმაც „გუთნით გადაიარა წმინდა ადგილზე, ამდენი შრომისა და მოგონებათა თავშესაფარზე". რევოლიუციამ ქარს გაატანა და ცეცხლში დასწვა წარსულ ცხოვრების მრავალი ძვირფასი საბუთი, ადამიანის გონებრივი შემოქმედების მრავალი შესანიშნავი ძეგლი.

მაგრამ ამ გამანადგურებელ ტენდენციასთან ერთად, საშინელი კატასტროფისა და ნგრევის მომენტშიც, საზოგადოებასა და ხელისუფალთა წრეშიც აღმოჩნდენ საკმაო კულტურული ძალები, რომლებმაც შესძლეს არქივების წინაშე აღმართულ საფრთხის შენელება, ზოგჯერ კიდეც აცდენა. ჯერ კიდევ თვით რევოლიუციის დროსაც არქივების განადგურებასთან ერთად ჩვენ ვხედავთ დადებითი აღმშენებლობითი მუშაობას ამ დარგში. თუ ერთის მხრივ პარიზში მარსის მოედანზე ზარბაზნების გრიალისა და ზარების გუგუნის ქვეშ, დიდი ზეიმით, დროშებით და მუსიკით „papiers dangereux"-ს (სადაც titres et privilèges, papiers féodaux, titre noblesse, მეფეების სიგელები და სხვა ძვირფასი საბუთები შედიოდა) სწვავდენ, მეორეს მხრივ ჩვენ ვხედავთ, რომ სენიორალურ იუსტიციის არქივი, პრინცებისა და ემიგრანტების არქივი იმავე პარიზში თანდათან გადააქვთ Assemblée Nationale-ში და იქ ინახავენ. თუ პირველ ხანებში égalité-სა და „ფილოსოფიისადმი" სიყვა-

რულით, ხოლო ,,superstition''-სადმი სიძულვილით, გამსქვალული ფრანგები ეტრატსა და ქაღალდს განურჩევლად ანადგურებდენ, შემდეგში ასე განურჩევლად საბუთების განადგურებას უკვე ადგილი აღარ აქვს. კონვენტი საარქივო საქმის სათავეში ნიშნავს გამოჩენილ იურისტს კამიუსს, რომელიც ენერგიულად ცდილობს არქივების ცენტრილიზაციისა და მოწესრიგების საქმე მოაგვაროს. მისი ხელმძღვანელობით მუშაობს არქივისტების კომისია, რომელიც ორ მთავარ ამოცანას ისახავს მიზნად:

1. ,,ერთ საცავში მოაგროვოს ყველა ის საბუთები, რომელნიც მონარქიის წინანდელ მდგომარეობას შეეხებიან, აგრეთვე ყველა აქტები, რომელნიც გამომდინარეობენ ამიერიდან გაუქმებულ დაწესებულებებიდან, იმ დაწესებულებებიდან, რომელნიც მომავალში გაუქმებულ იქნებიან, რათა შესაძლებელი იყოს ყველა აქტების, ვითარცა ისტორიული ძეგლების, შენახვა''.

2. გაულოს ეს საცავები ყველა მსურველთ ცნობების მისაღებად და შესასწავლად. ,,ყოველ მოქალაქეს ამიერიდან უფლება აქვს მოიკითხოს ყველა არქივთსაცავებში ყველა საბუთები, რომლებიც იქ ინახებიან. ეს საბუთები მიეცემათ მათ უფასოდ განსაზღვრულ დღეებსა და საათებში, აუცილებელ გარანტიის ქვეშ''.

1726 წელს არსდება ,,დროებითი ბიურო საბუთების გადასარჩევად'', რომელსაც დავალებული აქვს მოახდინოს საარქივო მასალების განცხრილვა და სამ ჯგუფად დანაწილება შემდეგნაირად: პირველ ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს პრაქტიკულად საჭირო და სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი საბუთები (Domaniales et judiciaires); მეორე ჯგუფს—ისეთი საბუთები, რომელთაც პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვთ და მხოლოდ ,,ისტორიულ ძეგლებს'' წარმოადგენენ (monuments historiques); ხოლო მესამეს—გამოუსადეგარი საქმეები—(inutiles ou dangereux).

საფრანგეთის რევოლიუციის მნიშვნელობასა და შედე-

გებზე. როგორც თვით საფრანგეთში, ისე აგრეთვე დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში, ლაპარაკი გვექნება ქვემოდ, როდესაც თვითეული ამ ქვეყნების და კერძოდ საფრანგეთის არქივების ისტორიას ცალცალკე შევეხებით; აქ ვიტყვით მხოლოდ იმ საერთო მომენტებზე. რომელნიც საარქივო საქმის მდგომარეობას ახასიათებენ რევოლიუციის შემდეგდროინდელ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ზოგადად კი რევოლიუციის მნიშვნელობის შესახებ საარქივო დარგში, Delabord-ის სიტყვები რომ გავიმეოროთ, შეიძლება ითქვას: ,,რევოლიუცია არქივისთვის იგივე იყო, რაც თვით საზოგადოებისათვის: დიდი შემარყეველი, მაგრამ იმავე დროს დიდი ამაღორძინებელი ძალა. ნგრევას, რომელსაც ნაჯახი და ჩირაღდანი ჩადიოდა, მიჰყვებოდა ხოლმე თავისუფლება. რომელიც ყველაფერს ანაყოფიერებდა. საუკუნეებით დაგროვილმა მდიდარ საცავებმა, რომელნიც თავის განძეულობათ საიდუმლოდ ინახავდენ, ადგილი დაუთმო საჯარო დაწესებულებებს, რომელნიც სულგრძელად მიაწოდებდენ ხოლმე მსურველთ იმას, რაც წარსული სიმდიდრისაგან დარჩა''.

თუ საფრანგეთის რევოლიუცია მსოფლიო ისტორიაში ძველ ფეოდალურ და ახალ თანამედროვე საზოგადოებათა გამმიჯვნელ მომენტად ითვლება, იგივე რევოლიუცია საარქივო დარგში ძველი პრინციპების ნაცვლად ახალის შემოღების დასაწყისად უნდა ჩაითვალოს. საარქივო საქმის რეფორმა არსებითად—საფრინგეთის რევოლიუციის იდეაა, მისი ახალი პრინციპი, პრინციპი ცენტრალიზაციისა, თანამედროვე მნიშვნელობით—უმთავრესად იმავე რევოლიუციის შედეგია.

საფრანგეთის რევოლიუციის შემდეგ დასავლეთ ევროპაში თანდათანობით გაჩნდენ ახალი ტიპის არქივები: ა) ქალაქის დაწესებულებათა, ბ) ცენტრაურ სახელმწიფო მმართველობათა ორგანოების და გ) სამეფო.

სამეფო არქივის გაჩენა დას. ევროპაში, განსაკუთრებით კი საფრანგეთში, სადაც ის სახელმწიფო ძალაუფლების ცენტრალიზაციის ტენდენციის ნიადაგზე წარმოიშვა, როგორც

ვნახეთ, უფრო ადრინდელ საუკუნეებს ეკუთვნის; მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა სამეფო არქივს, ვითარცა არქივის ცალკე ტიპს, მხოლოდ მე-18-ე საუკუნიდან მიენიჭა. თუ ფეოდალურ ხანაში მეფე იგივე დიდი ფეოდალი იყო, ხოლო მისი არქივი თავისი შინაარსითა და მოცულობით დიდად არ განსხვავდებოდა ფეოდალების წვრილი არქივებისაგან, ამიერიდან იგი წარმოადგენს საკავს, სადაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ყველა საყურადღებო აქტები და საბუთები ინახება: აქ ინახება არა მარტო მეფის ფისკალური უფლებისა და საგარეო პოლიტიკის აქტები, არამედ დამორჩილებულ ფეოდალებისაგან ჩამორთმეული საბუთებიც.

სამეფო არქივის მნიშვნელობის გაფართოებასთან დაკავშირებით მე-18 საუკუნეში შემუშავდა მთელი დოქტრინა იმის შესახებ, რომ მხოლოდ სამეფო არქივს, სადაც თავმოყრილია წინად დამოუკიდებელ მართველთა და მ ვლობელთა საბუთები, შეიძლება მიენიჭოს დამოუკიდებელი სახელმწიფო დაწესებულების უფლებები, ხოლო იქ მოთავსებულ საბუთებს პოლიტიკური ძალა და მნიშვნელობა. ქალაქის დაწესებულებათა და სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურ ორგანოთა არქივები კი ამ დოქტრინის მიხედვით, ბუნებრივია, ჩათვლილი იყო მხოლოდ კანცელარიის დამატებად.

მაგრამ ასეთი მდგომარეობა და შეხედულება არქივზე დიდხანს არ გაგრძელებულა. მე-18-ე საუკ. დასასრულსა და მე-19-ე ს. დასაწყისის რევოლიუციონურ და ეროვნულ მოძრაობათა შემდეგ წინანდელი მდგომარეობაც შეიცვალა. ძველ დაწესებულებათა გაუქმებამ და ფეოდალურ პრივილეგიების მოსპობამ ახალი ხელისუფლების განკარგულებაში უამრავი საარქივო მასალა მოაქცია. ამ მასალას მომხდარ ცვლილებების გამო პრაქტიკული მნიშვნელობა უკვე დაკარგული ჰქონდა. ამასთანავე იგი ამავე მიზეზების გამო უპატრონოდ იყო მიტოვებული.

მეორეს მხრივ ამავე გარემოებათა ზეგავლენით ეროვ-

ნულ საკითხის გამწვავებამ და მასთან დაკავშირებით საისტორიო მეცნიერების აღორძინებამ გაფანტულ საისტორიო წყაროებისადმი ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ამის გამო სხვადასხვა უკვე გაუქმებულ დაწესებულებებში გაფანტულმა საარქივო მასალამ, რაკი იგი ისტორიისათვის უხვსა და სანდო წყაროს წარმოადგენდა, მეტად აქტუალური და ფართე მნიშვნელობა მოიპოვა. საისტორიო მეცნიერებისათვის აუცილებელი იყო ამ ძველი, ე. ი. პრაქტიკულ მნიშვნელობა დაკარგულ, მასალების დამუშავება და გამოყენება. ერთი სიტყვით, რევოლიუციის პირველ ხანებში მივიწყებული საისტორიო მეცნიერების ინტერესი და, მაშასადამე, მასალების მეცნიერული მნიშვნელობაც ახლა კვლავ მიღებულ იქნა მხედველობაში.

მართალია, კონვენტის დროს კამიუსის ხელმძღვანელობით მომუშავე არქივისტების კომისიაც კი ჰყოფდა საარქივო მასალას სამ კათეგორიად (პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე, სამეცნიერო მნიშვნელობის მქონე და უსარგებლო მასალად), მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მესამე კათეგორიის, ე. წ. უსარგებლო (inutiles ou dangereux), ქაღალდებს ეს კომისია ბევრი ისტორიისათვის საყურადღებო საბუთებს აკუთვნებდენ. ამ ჟამად კი საბუთების ბედის გადაწყვეტის დროს მეცნიერული თვალსაზრისი უფრო მნიშვნელოვანი კრიტერიუმი იყო, რის გამოც მათ ახლა უკვე ნაკლები საფრთხე მოელოდათ.

მეცნიერულ საჭიროებისათვის არქივების ფართედ გამოყენების აუცილებლობამ თავის მხრივ ცხოვრებაში წამოაყენა საკითხი არქივების ცენტრალიზაციის შესახებ. არქივების სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაციის პრინციპი, რომელიც თანამედროვე საარქივო საქმის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია, მდგომარეობს იმაში, რომ დაწესებულებათა და უწყებათა ცალკე არქივები, როგორც ასეთნი, გაუქმებულია და ისინი შეადგენენ ერთიან სახელმწიფო საარქივო ფონდს. ერთიანი სახელმწიფო საარქივო ფონდს განაგებს ცენტ. საარქივო სამმართველო, რომლის განკარგულებაში თანდათანობით, განსაზღვრული ვა-

დის განვლისას, გადადის მომქმედ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მიმდინარე არქივიც. ცენტრალიზაციის საფუძველზე საარქივო საქმის მოწყობა ჰგულისხმობს ყველა არქივების გაერთიანებას განსაკუთრებულ უწყებაში, ერთი მმართველობის ქვეშ, რომელიც მისი ერთად ერთი რეგულიატორია ამა თუ იმ სახელმწიფოებრივი ერთეულის ფარგლებში.

ცენტრალიზაციის საფუძველზე საარქივო საქმის მოწყობა დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა დროს დაიწყო. საფრანგეთში არქივების ცენტრალიზაციის დასაწყისად შეიძლება ჩავთვალოთ 1794 წელი, როდესაც პარიზში დაარსებულ იქნა ეროვნული არქივი (Archives Nationales). დაახლოვებით ამავე ხანებშივე, ნიშანდობლივ 1796 წელს, დაიწყო არქივების ცენტრალიზაცია ბელგიაშიც. არქივების კონცენტრაცია პრუსიაში და გერმანიის სხვა ქვეყნებში პირველად ეროვნულ მოძრაობის დროს და შტეინის ბურჟუაზიულ რეფორმების დროს (1810—1821 წ. წ.) დაიწყო. საირქივო საქმის ცენტრალიზაციის შესახებ ძირითადი კანონი ინგლისში 1838 წელს, ჩარტისტულ მოძრაობის პირველ პერიოდში, გამოიცა. ავსტრიაში არქივების რეფორმა მე-19 საუკუნის 60 წლების დასასრულს, სწორედ ავსტრიასა და პრუსიას შორის ომის ლიკვიდაციის შემდეგ შეუდგნენ.

სხვადასხვა გარემოებებთან დაკავშირებით არქივების ცენტრალიზაციის ფორმებიც სსვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა ნაირად ჩამოყალიბდა და ამ ხაზით არქივების განვითარების საფეხურებიც ყველგან ერთნაირი არ არის. მაშინ, როდესაც საფრანგეთში, ბელგიაში, იტალიაში [1], გერმანიასა და ავსტრიაში ცენტრალური და პროვინციალური არქივები საარქივო მმართველობის სპეციალურ ორგანოთა გამგებლობაშია, დას. ევროპის სხვა ქვეყნებში არქივების ორგანიზაციული მთლია-

[1] იტალიაში სახელიწიფოებრივი ცენტრალიზაცია არ შეხებია ზოგიერთ საეკლესიო არქივებს; ასეთებია, მაგ., Monte Cava-ს, Monte Cassino-ს და სხვა არქივები. თვით უდიდესი საეკლესიო არქივიც, ვატიკანის არქივი, დღესაც საეკლესიო მმართველობის ქვეშ იმყოფება.

ნობა პროვინციალურ არქივების მთავარ არქივებისადმი ცოტად თუ ბევრად დამორჩილებაში გამოიხატება. ამასთანავე ორივე შემთხვევაში საარქივო საქმე სამინისტროს მეურვეობის ქვეშ იმყოფება და ჩვეულებრივად განათლების სამინისტროს ფუნქციებში შედის. ამ მხრივ განცალკევებით სდგას ინგლისი, სადაც სახელმწიფო არქივი უკვე 1838 წლიდან სხვა უწყებისაგან გამოყოფილია და არსებითად ცალკე უწყებას წარმოადგენს. ინგლისის არქივებისა და საარქივო საქმის ნაკლს ამ თვალსაზრისით მხოლოდ ის გარემოება წარმოადგენს, რომ იქ ამ საქმეს, ორი დაწესებულება—Public Record Office და ბრიტანეთის მუზეუმი—უდგას სათავეში, რის გამოც ინგლისში ერთიანი საარქივო საქმე ფაქტიურად გაორებულია. ამასთანავე ინგლისში ცენტრალურ და პროვინციალურ არქივებს შორის ჯერ კიდევ სათანადო კავშირი და ურთიერთობა დამყარებული არ არის.

ასევე განცალკევებით სდგას ესპანეთი, სადაც არქივებს ცენტრალიზაციის რეფორმა არსებითად არ შეხებია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ესპანეთის არქივები ორგანიზაციის მხრივ ერთგვარ საერთო ფედერაციას მაინც შეადგენენ. Iunta facultativa de archivos y bibliothecas, აქვთ საერთო ორგანო, Rivista de bibliothecas, archivos y museos სარგებლობენ არქივების ზოგიერთ საერთო სახელმწიფო უფლებებით და ემორჩილებიან არქივების ზოგიერთ საერთო კანონებს. მაგრამ ამას იქით მათი მთლიანობა არ მიდის და თვითეული მათგანის ცხოვრება ცალკე და განსაკუთრებულად მიმდინარეობს.

ასეთია დასავლეთ ევროპის ქვეყნებში საარქივო საქმის განვითარების მთავარი მომენტები საშუალო საუკუნეების შემდეგ ჩვენს დრომდე. ახლა განვიხილოთ არქივებისა და საარქივო საქმის განვითარება დას. ევროპის უმთავრეს ქვეყნებში. საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიასა და ავსტრიაში.

ლიტერატურა:

1. Проф. Добиаш-Рождественская, Развитие архивов ром. Европы при старом порядке, А. К.

2. Проф. А. Смирнов, Очерки по истории арх. дела.

3. И. Маяковский, Развитие архивов в зап. Евр., БСЭ.

4. Андреевский, Архивы (Энциклоп. слов. Брак.-Ефр.)

5. Проф. Е. Тарле, Национальный архив в Париже, А. К.

6. Проф. Добиаш-Рождественская, Ecole des Chartes, А. К.

7. Инна Любименко, Французская школа архивистов „Ecole des Chartes".

8. **Carlyle**, French revolution, 1837 წ.

9. **Wachsmuth**, Ceschichte Frankreichs im Revolutionszeitaltes, 1833-45 წ.

10. **Mavidal et Laurent**, Archives parlementaires.

11. **Erler**, Gesch. in den Erzählungen vaterländischer Geschichtschreiber, 1882-84 წ.

12. **Baumgarten**, Geschichte Spaniens vom Ausbruch der franz. Revolution bis auf unsere Tage, ლაიპციგი, 1865-71 წ.

13. **Guttenstein**, Geschichte des span. Volkes, 1836-38 წ. წ.

14. **Sismondi**, Histoire des républiques italienes du moyen âge, 1840-44 წ.

თავი მეხუთე.

დასავლეთ ევროპის თანამედროვე ქვეყნები.

1. საფრანგეთი.

საშუალო საუკუნეებმა, როგორც დავინახეთ, ახალ ეპოქას ვერ უანდერძა საარქივო საქმისა და არქივების მოწყობის ერთიანი სისტემა. თუ შორეულ წარსულში, ძველ აღმოსავლეთსა და კლასიკურ ქვეყნებში, საარქივო საქმის საქე ხელთ ეპყრა უმთავრესად სახელმწიფოს და მით უმეტეს შემთხვევაში არქივების ორგანიზაციული ერთიანობაც დაცული იყო, საშუალო საუკუნოებმა ეს ერთიანობა ვერ შეიგუა და არქივები დაქსაქსა.

ეკლესია-მონასტერი, კერძო ფეოდალი, რომის პაპი, მეფე, რელიგიური საზოგადოებანი და საძმობონი,—აი ვის ხელში ვხედავთ არქივებს მთელ საშუალო საუკუნეების სიგრძეზე. თვითეული მათგანი სრულიად დამოუკიდებელი იყო ამ საქმეში; თვითეულ მათგანს, როგორც ზევით ვამბობდით, ისე შეეძლო წარემართა არქივების საქმე, როგორც ეს მას საჭიროდ მიაჩნდა. თვით მეფეც თავის მოვალეობად სთვლიდა მხოლოდ მის განკარგულებაში მყოფ არქივის (რომელიც უმთავრესად პირადად მისი და მისი ოჯახის საბუთებს შეიცავდა) მოვლა-პატრონობას. სახელმწიფოს, როგორც ასეთის, მოვალეობაში არქივისა და საარქივო საქმისათვის მზრუნველობა არ შედიოდა.

ახალ ეპოქის მიჯნაზე ზოგიერთ სახელმწიფოებრივად

განვითარებულ ქვეყნებში მმართველობის ცენტრალურ დაწესებულებების გაჩენასთან ერთად ახალი ტიპის—საუწყებო — არქივები ჩაისახენ. თუ წინედ უმთავრესი სახელმწიფო ფუნქციები მეფის ხელში იყო მოქცეული და ამ ფუნქციების შედეგად აღმოცენებული წერილობითი აქტებიც მას ჰქონდა, ამიერიდან ეს ფუნქციები სხვა-და-სხვა ცენტრალურ დაწესებულებათა მოვალეობას შეადგენდა და იქ წარმოშობილი აქტებიც მათ ეკუთვნოდათ: დაწესებულებები, როგორც ზევით თავის ადგილას აღნიშნული იყო, თავიანთ საბუთებს აღარ აბარებდენ სამეფო არქივს, არამედ თვით ინახავდენ თავიანთ არქივში.

რევოლიუციის წინადროინდელ საფრანგეთის არქივებსა და საარქივო საქმეს ღრმად ამჩნევია საშუალო საუკუნეების კვალი. აქ ჩვენ ვხედავთ არქივებს, როგორც მეფისა და სახელმწიფო ცენტრალურ დაწესებულებათა ხელში, ისე აგრეთვე ეკლესია-მონასტრებისა და კერძო ფეოდალთა ხელშიც. მაგრამ ამას გარდა, რაკი საფრანგეთში საქალაქო ცხოვრება შედარებით ადრე განვითარდა, თვითეულ ქალაქსაც თავისი არქივი ჰქონდა. ამ რიგად, თუ საშუალო საუკუნეებმა საფრანგეთს საარქივო საქმის ერთიანი სისტემა ვერ უანდერძა, სამაგიეროდ ახალი დროისათვის უამრავი სხვადასხვა ხასიათის და შინაარსის არქივები დაუტოვა.

ამ დროს საფრანგეთში იმდენად ბევრი არქივი იყო, რომ მათ მე-18 საუკ. დასასრულისთვის ათასობით ითვლიდენ. მაგალითად, ინტენდანტების მეოხებით შედგენილ ანგარიშის თანახმად, საფრანგეთში 1770 წელს 6.100 არქივთსაცავი ითვლებოდა. აქედან მარტო პარიზს 400 არქივთსაცავი ხვდებოდა, დანარჩენი-კი პროვინციას. Giry-ს აზრით საფრანგეთში არქივთსაცავთა რიცხვი ამ დროისთვის არა ნაკლებ 10.000-სა იყო. აქედან მისი გამოანგარიშებით 1.700 სამონასტრო, ხოლო 1.800 სენიორალური არქივი იყო. ყველა ეს არქივები დაფანტული იყო საფრანგეთის მთელ ტერიტორიაზე, მათ არ ჰქონდათ გამაერთიანებელ-რეგულიატორი ცენტრი. თვითეუ-

ლი მათგანი თავისი განკერძოებულ წესსა და საფუძველზე იყო მოწყობილი და მათ შორის ამ მხრივ არსებული მსგავსება, თუ ასეთი იყო, სრულიად შემთხვევითი იყო.

არქივების ამგვარი დაქსაქსულობა, მათი მუშაობის წესების სხვადასხვაობა, ხოლო ამასთან დაკავშირებით მათი გამოყენების შეუძლებლობა ჰქმნიდა სრულიად არა ხელსაყრელ პირობებს საარქივო საბუთების გამოყენების დროს, როგორც სამეცნიერო მუშაკისათვის, ისე აგრეთვე პრაკტიკულ მოღვაწისათვისაც. ამ უხერხულობას აძლიერებდა ერთის მხრივ ის გარემოება, რომ ზოგიერთი არქივი, განსაკუთრებით კერძო პირის ხელში მყოფი, სრულიად მიუწვდომელი იყო მსურველთათვის, ხოლო მეორეს მხრივ ის, რომ არც ერთ მათგანში არ იყო თავმოყრილი სიფრანგეთის ეროვნულ ისტორიის შესასწავლად ოდნავ მაინც საყოფი მასალა.

არქივების დაქსაქსულობამ და ამასთან დაკავშირებით მათი გამოყენების შეუძლებლობამ ნიადაგი მოუმზადა საფრანგეთში საარქივო ფონდებისა და საბუთების ცენტრალიზაციის იდეას. ისტორიოგრაფ მ ო რ ო მ, რომლის შესახებ ჩვენ ზემოდ გვქონდა ლაპარაკი, ჯერ 1762-ს, შემდეგ კიდევ 1774 წელს პირველმა აღიმაღლა თავისი ხმა ამ იდეის დასაცავად. მან წამოაყენა ის აზრი, რომ სახელმწიფოსა და მის დაწესებულებათა ისტორიის შესასწავლად (მეცნიერისათვის მუშაობის გაადვილების მიზნით) აუცილებელია ცნობაში მოყვანილ იქნეს მთელი საფრანგეთის საისტორიო მასალები და მოხდეს მათი ცენტრალიზაცია შესაძლებელ ფარგლებში. ეროვნულ ისტორიის დამუშავების დროს მ ო რ ო ს აზრით, მთავარ დაბრკოლებას ისტორიკოსისათვის წარმოადგენდა ის გარემოება, რომ გამოურკვეველი იყო, თუ სად ინახებოდა ამ ისტორიკოსისათვის საინტერესო მასალები.

ამ დაბრკოლების ასაცილებლად მ ო რ ო საჭიროდ სთვლიდა მრავალი წვრილი არქივთსაცავების ნაცვლად რამოდენიმე მსხვილი არქივის მოწყობას და მთელი მასალების იქ მოთავ-

სებას. ცენტრში თავმოყრილი უნდა ყოფილიყო ისტორიულ თვალსაზრისით ყველა საჭირო საბუთების პირები და მთელი სახელმწიფოს არქივების შინაარსის მოკლე აღწერა (ინვენტარი). ასე საქმის მოწყობა, მოროს აზრით, საშუალებას აძლევდა მეცნიერს გამოერკვია, თუ რა მასალას შეიცავდა საფრანგეთის არქივები და სად იმყოფებოდა მისთვის აუცილებელი საბუთები.

Moreau-მ თავის იდეის განხორციელება და ცხოვრებაში გატარებაც სცადა და, როგორც ნათქვამი იყო, ჯერ საფრანგეთის ყველა პროვინციაში, ხოლო შემდეგ იტალიასა და ინგლისშიც თავისი წარმომადგენლები—მწერლები—დაგზავნა. ამ მწერლებს დავალებული ჰქონდათ მოეგროვებიათ „უფრო მნიშვნელოვანი“ საბუთები, ან უკიდურეს შემთხვევაში გადმოეღოთ ასეთი საბუთების პირები. მოროს იდეის განხორციელებას მრავალი დამაბრკოლებელი გარემოებები გადაეღობა წინ. მის იდეის განხორციელებას სხვათა შორის აბრკოლებდა ის გარემოება, რომ ამ მიზნით სხვადასხვა ადგილას წარგზავნილ პირებისათვის ძნელი იყო იმის გამორკვევა, თუ რომელი საბუთი იყო „უფრო მნიშვნელოვანი“.

მაგრამ ამას გარდა ამ საქმის მოგვარება თავის თავადაც სიძნელეს წარმოადგენდა. ამის გამო საბუთების მოგვარების საქმე ერთობ ნელის ნაბიჯით მიდიოდა. მხოლოდ ინგლისში, სადაც გაგზავნილი იყო ფრიად კომპეტენტური Brequigny, და ნაწილობრივ კიდევ იტალიაში, სადაც მუშაობდა La Porte du Theuil, საქმე შედარებით გვარიანად მიდიოდა, ყოველ შემთხვევაში მუშაობამ ერთგვარი ნაყოფი გამოიღო. 1762 წელს პარიზში მ ო რ ო ს გამგებლობის ქვეშ დაარსდა ხელნაწერების კაბინეტი (Cabinet des chartes). კაბინეტში შედიოდენ სწავლული ბერებიც, უმთავრესად ბენედიქტელების ორდენიდან, და მათ მოვალეობას შეადგენდა საბუთების გადაწერა დიპლომატიკურის სისწორით. მოგროვილ საბუთების საცავად მიჩენილი იყო საგანგებო სა-

ხლი, სადაც 1778 წლისთვის 25.000-ზე მეტი საბუთის პირი მოგროვდა[1]. შემდეგში ამ საბუთებისაგან შესდგა ე. წ. „მ ო რ ო ს ფ ო ნ დ ი''.

Cabinet des chartes-ის დაარსება პირველი ცდა იყო საფრანგეთში საარქივო მასალების ცენტრალიზაციის იდეის განხორციელებისა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბენედიქტელების ორდენისა და მავრისტების კონგრეგაციის ანალოგიურ მუშაობას, რომელსაც ამაზე ადრე ჰქონდა ადგილი. სამწუხაროდ, Cabinet des chartes-მა ვერ შესძლო თავის მუშაობის გაფართოება და ორგანიზაციულად გამაგრება—მას მოუსწრო საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ, რომელმაც სტიქიურად მოსპო იგი, ხოლო იქ თავმოყრილი მასალებიც პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკას გადაეცა.

საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ, რომელმაც საერთოდ ყველა ქვეყნების საარქივო საქმეზე გავლენა მოახდინა, განსაკუთრებით ღრმა კვალი თვით საფრანგეთის არქივების ისტორიაში დასტოვა. რევოლიუციამ საფრანგეთის ძველი ხელისუფლება მოსპო, ხოლო დარჩა ამ ხელისუფლების მდიდარი დოკუმენტალური მემკვიდრეობა. ახალ ხელისუფლებისათვის ბუნებრივად დაიბადა საკითხი, თუ რა უნდა ეყო მას ამ მემკვიდრეობისათვის. ხალხის აღშფოთება და გულისწყრომა, რო-

---

[1] საყურადღებოა, რომ მ ო რ ო მ ლეოპოლდ რანკეზე ნახევარი საუკუნით ადრე მიაკუთვნა საარქივო მასალას, როგორც წყაროს, უპირატესობა ლიტერატურულ და ისტორიულ ნაწარმოებებთან შედარებით. რ ა ნ კ ე ს მიერ ისტორიოგრაფიაში შემოტანილი მეთოდი, როგორც ცნობილია, მდგომარეობს იმაში, რომ მკვლევარმა თავის მუშაობის ბაზად უნდა გაიხადოს არა უკვე შედგენილი შრომები, არამედ პირველი წყაროები—ოფიციალური და არა ოფიციალური აქტები და საბუთები. ამ აქტებისა და საბუთების მეოხებით მან უნდა შეიმუშაოს საკუთარი სქემა და მხოლოდ აქის შემდეგ შეუძლია ისარგებლოს სხვა მკვლევარის შრომით, რომელიც ამავე დროს შეიჯერებული უნდა იქნეს საბუთებთან სინამდვილის გამოსარკვევად. ყოველ იმ შემთხვევაში, როდესაც მეცნიერის გამოკვლევა საბუთებში დაცულ ცნობებს არ უდგება, უპირატესობა საბუთს უნდა მიეცესო. ეს მეთოდი მოროს რანკესავით თეორიულად არ დაუსაბუთებია, მაგრამ დოკუმენტების მნიშვნელობა და უპირატესობა მან, როგორ ვთქვით, რანკეზე ნახევარი საუკუნით ადრე აღიარა.

მელიც მიმართული იყო გაბატონებულ კლასების პრივილეგიების მოსპობისაკენ, იმდენად ძლიერი იყო, რომ პრივილეგიების მოსპობის დროს ამ პრივილეგიების დამამტკიცებელ საბუთებსაც ანადგურებდა. ბასტილიის აღების შემდეგ მთელი ორი-სამი კვირის განმავლობაში ცენტრალურ და აღმოსავლეთ საფრანგეთში ცეცხლი ანადგურებდა ფეოდალთა ციხე-კოშკებს, სადაც მრავალი სიგელ-გუჯარი და სხვა ძვირფასი საბუთები ინახებოდა. გლეხები დარწმუნებული იყვნენ, რომ „les titres"-ის მოსპობით, ისპობოდა ფეოდალიზმი და ფეოდალური პრივილეგიები [1]. პროფ. ტარლეს მოსწრებული თქმისა არ იყოს, აგრარული საკითხი ფრანგი გლეხისათვის იმ მომენტში მდგომარეობდა ყველა იმ საბუთების მოსპობაში, რომელნიც მიწაზე უფლების შესახებ ლაპარაკობდენ.

მაგრამ გლეხკაცობასთან ერთად არქივების განადგურებას ხელს უწყობდა, ყოველ შემთხვევაში პირველ ხანებში მაინც, თვით რევოლუციონური მთავრობაც. მთავრობამ მთელ რიგ დეკრეტებით სასტიკი განაჩენი გამოუტანა საფრანგეთის არქივებს და წარსული ცხოვრების იშვიათი ძეგლი ან ფერფლად აქცია ან სხვა საშუალებით გაანადგურა. ასე, მაგ., საკანონმდებლო კრების 1792 წლის 12 მარტის დეკრეტით პარიზში ვანდომის მოედანზე ხელისუფლებისა და აღტაცებულ ბრბოს თანდასწრებით დასწვეს საფრანგეთის ყველა გამოჩენილ გვა-

[1] არქივებს სპობდენ და ანადგურებდენ, არა მარტო გლეხები და არა მარტო პროვინციაში, არამედ პარიზშიც თვით მთავრობა ცეცხლით ჰბუგავდა ისტორიისათვის უძვირფასეს საბუთებს. შენახულია არქივების დაწვის აღწერები. მოვიყვანთ ერთ მათგანის ექსცერპტს: „ზარბაზნების გრიალისა და ზარების გუგუნის ქვეშ, დროშებითა და მუსიკით მოდის პროცესია მარსის მოედანზე. პირველ რიგში მიდის ჟანდარმერიის ცხენოსანი რაზმი, შემდეგ დეპარტამენტის არქივისტი, თანამდებობის პირები და ბოლოს აუარებელი ხალხის ბრბო. ფურგუნზე დაწყობილი მიაქვთ „papiers dangereux" წარწერით: „A livrer aux flammes." Papiers dangereux-ში შედის: titres et privilèges, papiers féodaux, titres de noblesse, მეფის სიგელები, პაპების ბულები და სხვ. მოედანზე ყველა ამ საბუთებს ცეცხლში აგდებენ. აღტაცებით უყურებს ბრბო, თუ როგორ იწვის მონობის ნაშთი. ცეცხლის გარშემო თამაში იმართება. 9 წლის გოგონა ცეცხლში აგდებს თავის ბაბუას ფეოდალურ ქარტიებს... „ძირს ტიტულები, გაუმარჯოს თანასწორობას".

რების არქივები. იმავე წლის 19 ივნისის დეკრეტით ნაბრძანები იყო ცეცხლში დაეწვათ ყველა გენეალოგიური ხასიათის საბუთები, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი. კონვენტის 1793 წლის 17 ივლისის დეკრეტით ყველას, ვისაც ფეოდალურ უფლებების დამამტკიცებელი საბუთები ჰქონდა, უნდა გადაეცა დასაწვავად მთავრობისათვის, ხოლო ვინც დამალავდა მათ, ხუთი წლის ციხით დაისჯებოდა.

იმავე წლის 5 იანვრის დეკრეტის ძალით გამოცხადებული იყო მთელს სახელმწიფოში არტილერიის საჭიროებისათვის ეტრატის და ქაღალდის ზოგიერთ ძველ საბუთების კონფისკაცია და ზარბაზნების გასატენად მათი გამოყენება. ეს საბუთებიც „ფეოდალურ საბუთებს“ წარმოადგენდენ. ამ დეკრეტის სისრულეში მოყვანა (არქივებში საბუთების გადარჩევა) ჯარის წარმომადგენელთ ჰქონდათ მინდობილი. ამ დეკრეტის შესასრულებლად მარტო პროვანსის ოლქმა გადასცა არტილერიას 38.405 ფურცელი ეტრატი და ასევე სხვა ოლქებმაც. ხელნაწერ ეტრატებისა და ქაღალდების მრავალი ათასი შეკვრა მოგროვილი იყო საარტილერიო საწყობებში, სადაც მათ ნაშთებს დღესაც ჰპოულობენ [1].

საბედნიეროდ ამგვარი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა ⁄ საფრანგეთის რევოლიუციის სტიქიურ ქარიშხალის დროსაც ამ ვანდალიზმის შემაჩერებელი ფაქტორებიც აღმოჩნდა. მალე თვით მთავრობას დასჭირდა საადგილ-მამულო საბუთები ეროვნული საადგილ-მამულო ფონდის შესადგენად. საჭირო შეიქნა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და საქმიანობის ძველი გამოცდილების გამოყენება და ამასთან დაკავ-

[1] საინტერესოა შინაგან საქმეთა მინისტრის გ ა რ ა ს პასუხი ქ. ლილის არქივების მოსპობის წინააღმდეგ „ულშემატკივართა მიერ გადადგმულ ღონისძიებაზე: „ყველა ძველი ქაღალდები გოტიურ დამწერლობისა ქ ლილის არქივში ისევე, როგორც სხვა ადგილებშიც, წარმოადგენენ ფეოდალიზმის საბუთებს, იმ ფეოდალიზმის საბუთებს, რომელიც ამტკიცებს სუსტის დამორჩილებას ძლიერისადმი და ამყარებს გონების, ადამიანის და სიმართლის შეურაცხმყოფელ წესებს. ამიტომ ფიქრობია ეს უვარგისი ქაღალდები შეიცვალოს ადამიანის უფლებათა დეკლარაციით“-ო.

შირებით ძველი საბუთებით სარგებლობა. ახლა კი მიხვდა მთავრობა თავის შეცდომას და ცხადად დაინახა, რომ მრავალი პრაქტიკულად აუცილებელი საბუთი განადგურებული და მოსპობილი იყო.

ასეთი ბარბაროსული გზით საარქივო მასალების მოსპობა შეჩერებულ იქნა. მთავრობა დარწმუნდა, რომ არქივების მოსპობის დროს საჭირო იყო გარკვეული ობიექტური პრინციპის მიღება და მით ხელმძღვანელობა. მალე მთავრობის მიერ გამოცემულ იქნა საგანგებო დადგენილება, რომლის თანახმად საარქივო მასალების მოსპობა დასაშვები იყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათი გადარჩევა (triage) მოხდებოდა. საბუთების გადასარჩევად დაარსებულ იქნა საგანგებო კომისიები, რომელთაც ევალებოდათ საარქივო მასალების სამ კათეგორიად (სექციად) დანაწილება.

პირველ სექციაში, რომელიც Section domaniale-დ იწოდებოდა, უნდა შესულიყო ყველა ის საბუთები, რომელნიც მიწათმფლობელობას შეეხებოდენ და რომელნიც აუცილებელი იყვნენ იმ საკითხის გამოსარკვევად, თუ რომელი მიწა ეკუთვნოდა უშუალოდ რესპუბლიკას.

მეორე სექციას Section judiciaire—უნდა მიჰკუთვნებოდა ყველა ის საბუთები, რომელნიც მოქალაქეთა კერძო საკუთრების უფლების გამოსარკვევად იყვნენ საჭირო, ე. ი. სასათლოს საბუთები და საქმეები.

დასასრულ, მესამე სექციაში, რომელიც Section historique-დ იწოდებოდა, შეეიდოდენ ყველა ის მასალები, რომელთაც მეცნიერებისათვის ჰქონდათ მნიშვნელობა. ხოლო ის მასალა, რომელიც არც ერთ სექციაში არ მოხვდებოდა, შეადგენდა à livrer aux flammes-ს, ან papiers inutiles-ს.

ამ უკანასკნელ კათეგორიაში უნდა შესულიყო აგრეთვე ის საბუთებიც, რომელნიც ფეოდალურ პრივილეგიების მოწმობას წარმოადგენდენ, ე. წ. „documents purement féodaux“. ამ პრინციპის წამოყენება და დამუშავება ეკუთვნოდა

დეპუტატ ბოდენს და იმ კამიუსს, რომელიც შემდეგში საარქივო საქმეს სათავეში მოექცა.

Triage-ის პრინციპის შეტანას, რა თქმა უნდა, თავისი დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ მხრივ, რომ არქივების ბედის გადაწყვეტაში წინანდელი უპასუხისმგებლობა მოისპო, და განუკითხავად და განურჩევლად საბუთების მოსპობა აღიკვეთა. მაგრამ მას თავისი უარყოფითი მხარეებიც ჰქონდა და, ვინ იცის, უფრო მეტიც, ვიდრე დადებითი. საქმე იმაშია, რომ პრაქტიკულად ამ პრინციპის გატარების დროს კომისიების მუშაობას მრავალი დამაბრკოლებელი და შემაფერხებელი გარემოებები გადაეღობა წინ თვით ამ პრინციპთან დაკავშირებით. პირველ ასეთ დაბრკოლებას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ძნელი იყო გარჩევა „documents purement féodaux-ს „documenis domaniaux"-საგან, ვინაიდან „ფეოდალური საბუთები" ამავე დროს მიწათმფლობელობის შესახები საბუთებიც იყვნენ.

მაგრამ ულმთავრესი უბედურება იმაში მდგომარეობდა, რომ ეს „ფეოდალური საბუთები", რომელნიც მიღებული პრინციპის თანახმად მოსასპობად იყვნენ განკუთვნილი, წარმოადგენდენ ძვირფას ისტორიულ მასალას, და მათი განადგურება ყოველგვარ შეცდომის გარეშე, პრინციპის სისწორით გატარებისდა მიუხედავად, თავის თავად უდიდესი შეცდომა და არქივებისათვის საბედისწერო ნაბიჯი იყო. ამას გარდა თვით papiers inutiles-ის გამოყოფაც ერთობ ძნელ საქმეს წარმოადგენდა, ვინაიდან არ არსებობდა არავითარი კრიტერიუმი, რომელიც შეცდომის აცდენის გარანტიად გამოსადეგი ყოფილიყო. ამ შემთხვევაში შეცდომის აცდენა დამოკიდებული იყო კომისიის წევრების ცოდნა-გამოცდილებაზე და სწორედ ამ მხრივ საქმე ყველაზე უფრო ცუდად იყო: კომისიის წევრებს და თვით ხელმძღვანელ კამიუსს მეტად ნაკლები წარმოდგენა ჰქონდათ მეცნიერების მოთხოვნილებისა და საბუთების ისტორიულ მნიშვნელობის შესახებ.

თუ მხედველობაში ყველა ამ გარემოებას მივიღებთ, ცხადი გახდება, რომ triage-ის პრინციპის შემოღება მაინც და მაინც დადებითი მოვლენა არ იყო არქივების ცხოვრებაში. პირიქით, იგი ზოგჯერ პირდაპირ დამღუპველი და გამანადგურებელი შედეგების მქონე აღმოჩნდა. მრავალი ძვირფასი საბუთები, ვითარცა „documents inutiles“ ფერფლად იქცა და უკვალოდ დაიკარგა ისტორიისათვის triages-ის პრინციპის შემოღების შედეგად.

თუ რამდენად ფართე ხასიათი ჰქონდა საბუთების მოსპობას და გაფლანგვას იქიდანაც სჩანს, რომ რევოლიუციის შემდეგ ლიუდოვიკე-ფილიპეს დროს მრავალი შესანიშნავი საბუთი ბაზარზე იყიდებოდა, როგორც გასახვევი მასალა. ეს იყო „documents inutiles“, რომელიც შემთხვევით გადურჩა მოსპობას. მაგრამ უფრო საყურადღებოა ამ მხრივ თვით იმ დროის ოფიციალური ცნობები, რომლებიც საარქივო კომისიების მოღვაწეობას შეეხებიან. ერთ-ერთ ასეთ 1795 წელში გამოქვეყნებულ ცნობაში სწერია: ტერორმა და ვანდალიზმმა იქამდე მიაღწიეს, რომ მათგან რესპუბლიკის არქივები საშინლად დაზიანდენ. ისინი დარბეული, გატაცებული, მოსპობილი, დაბუგული, მელნით დათხუპნული, დაგლეჯილ და გაყიდულ იქნენ განურჩევლად და შეუბრალებლად, საშინელი სიბოროტითა და განადგურების სურვილითო.

საყურადღებოა, რომ კომისიების მუშაობას ასეთი გამანადგურებელი შედეგები ჰქონდა არა მარტო პროვინციებში, სადაც ეს უფრო მოსალოდნელი იყო კომისიის წევრების გამოუცდელობის გამო, არამედ თვით პარიზშიაც, სადაც კომისიაში მეტწილად ინტელიგენტები შედიოდენ. იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორის დაუდევრობით და შეცდომით მუშაობდა გამრჩევი კომისია პარიზშიც საკმარისია დავასახელოთ სასახლის არქივის გარჩევის შემთხვევა. კომისიამ ზერელედ დაათვალიერა მეფის არქივის ინვენტარი და მაშინვე დასკვნა გაუკეთა, რომ ეს არქივი წარმოადგენს სრულიად უსარგებლო

და საზიზღარ მასალათა გროვასო. კომისიის დასკვნის შედეგად ამ არქივიდან განადგურებულ იქნა 12.000-მდე მეტად მნიშვნელოვანი საბუთები, რომელთა მოწესრიგებაზე სწავლული ბენედიქტელების მრავალი შრომა დაიხარჯა.[1]

ნათქვამის შემდეგ არ შეიძლება, თუ სავსებით არა, ნაწილობრივ მაინც, არ დავეთანხმოთ Dalebord-ს, რომელმაც თავის წიგნში Les archives de la France pendant la Revolution", მეტად სამწუხარო სურათი დახატა „რევოლიუციონურ ვანდალიზმის" შესახებ. შესაძლებელია Delabordeს ბევრი გადამეტებულად ჰქონდეს წარმოდგენილი და რევოლიუციონურ მთავრობის მოქმედებაში საარქივო საქმის დარგში უმთავრესად უარყოფითი მხარეებს ხედავდეს, მაგრამ ამ უარყოფითი მხარეების შესახებ თვით განადგურებულ საბუთების რაოდენობის უტყუარი ციფრები ღაღადებენ და მათი უარყოფა შეუძლებელია.

თვით Bordier, რომელიც მეორე წინააღმდეგობაში გადავარდა, და პროფ. დობიაშ-როჟდესტვენსკაიას მოსწრებული თქმით, რევოლიუციის ადვოკატის პოზიცია დაიჭირა, აღიარებს, რომ დაღუპულ მასალების 3/20 ისტორიულ საბუთებს წარმოადგენდა და მათი რიცხვი, მისი გამოანგარიშებითვე, რამდენიმე მილიონი იყო. Bordier-საც რომ დავეთანხმოთ და დაღუპულ ისტორიულ საბუთების ის მცირე პროცენტი, რომელსაც იგი აღიარებს, მივიღოთ, არ შეიძლება უარვყოთ, რომ საფრანგეთის რევოლიუციამ ამ მხრივ არ-

[1] აღსანიშნავია, რომ ხშირად დადებითი რეფორმების გატარების დროსაც ზიანდებოდა არქივები იმის გამო, რომ ამ რეფორმის გატარების დროს დაუდევრობას იჩენდენ. ასე, მაგ., 1790 წლ. 20 აპრილის კანონით პროვინციის ცენტრალურ დაწესებულებათ დავალებული ჰქონდათ გადაეცათ თავიანთი საქმეები მათ ნაცვლად ახლად დაწესებულ დეპარტამენტების კანცელარიებში. ამ კანონის გამოცემისას წინდაწინ არ იყო მიღებული ზომები ახალ დაწესებულებებში საარქივო მასალების მოსათავსებლად შესაფერი ბინების მოსაწყობად. ამის გამო ახლად დაარსებულ დეპარტამენტების მთავარ ქალაქებში თავის მოყარა აუარებელმა საარქივო მასალამ. ბინის უქონლობის გამო მათ სხვენზე ჰყრიდენ ხოლმე. ასე უპატრონოდ დაყრილი მასალა თანდათან ნადგურდებოდა თაგვებისა და სინესტისაგან

ქივების მდგომარეობაში საბედისწერო როლი ითამაშა. მაგრამ ამასთანავე, თავისთავად ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ყოველთვის მთავრობის შეგნებული განზრახვა და „რევოლიუციონური ვანდალიზმი" კი არ იყო ხოლმე ამის მიზეზი, როგორც Delaborde-ს ჰგონია, არამედ უმთავრესად ობიექტიური პირობები, რომელსაც რევოლიუციის სტიქიურ ხანაში, ყოველ მთავრობის ნებისა და სურვილის წინააღმდეგ აქვს ხოლმე ადგილი.

ამ დებულებას მტკიცება არ სჭირია, ვინაიდან იგი თავისთავად გასაგებია. მაგრამ ახალი მთავრობის დადებითი მუშაობა ამ დარგში უფრო ცხადი იქნება ჩვენთვის, თუ გავითვალისწინებთ იმ აუარებელ რაციონალურ ღონისძიებათ და დადებითი რეფორმებს, რომელიც საფრანგეთის რევოლიუციონურმა მთავრობამ რევოლიუციის სიგრძეზე, რამდენიმე წლის განმავლობაში შემოიღო და ცხოვრებაში გაატარა არქივებისა და საარქივო საქმის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად. საფრანგეთის რევოლიუციონურ მთავრობის თაოსნობითა და მეცადინეობით მრავალი ახალი პრინციპი და იდეა, რომელიც შემდეგში საფუძვლად დაედვა საარქივო საქმის რეფორმას მთელ რიგ ქვეყნებში, პირველად საფრანგეთში დაკანონდა სწორედ რევოლიუციის დროს.

რევოლიუციის ხანის საფრანგეთის მთავრობის ერთ-ერთ ასეთ დადებით მოღვაწეობად საარქივო საქმის დარგში არქივების ცენტრალიზაციისა და მთავრობის დაწესებულებათა საქმის წარმოების აქტების სახელმწიფო საკუთრებად აღიარების იდეა უნდა ჩაითვალოს. ცენტრალიზაციის იდეის განხორციელების პირველი ნაბიჯი იყო კონვენტის 1794 წლის 25 ივნისის დეკრეტი ეროვნული არქივის (Archives Nationales) დაარსების შესახებ.

Archives Nationales აღიარებული იყო რესპუბლიკის ცენტრალურ არქივად, ხოლო დანარჩენ არქივებს ნაწილობრივ მაინც ამიერიდან ეკარგებოდათ დამოუკიდებელი არსე-

ბობა და განკერძოებული მდგომარეობა. ცენტრალური არქივში უნდა მოგროვილიყო ყველა მნიშვნელოვანი სახელმწიფო აქტები და საადგილ-მამულო საბუთები. აქვე უნდა ყოფილიყო მოთავსებული პროვინციალურ არქივების აღწერები. Archives Nationales-ის ასეთი მდგომარეობა ჰგულისხმობდა, რომ იქ იქნებოდენ შედარებით უფრო მომზადებული და კვალიფიციური საარქივო მუშაკები, ხოლო ამასთან დაკავშირებით საარქივო საქმის ყოველგვარი ახალი წესები და ტეხნიკური გაუმჯობესებანი Archives Nationales-ს არქივისტების საქე უნდა ყოფილიყო. ამრიგად Archives Nationales ერთგვარ რეგულიატორ ცენტრის როლს თამაშობდა ამიერიდან საფრანგეთის არქივების ცხოვრებაში.

რობესპიერის დაცემისა და სახელმწიფოს საქის ნაპოლეონის ხელში გადასვლის შემდეგ, შედარებით მშვიდობიან პირობებთან დაკავშირებით, იწყება არქივების მდგომარეობის გაუმჯობესების ახალი ხანა. ჯერ კიდევ 1800 წლის 8 თებერვალს, კამიუსის წინადადებით, გამოცემულ იქნა კანონი საკანონმდებლო კორპუსისაგან არქივის განცალკავების შესახებ, ოითაც არქივებს მიენიჭათ საკანონმდებლო დაწესებულებისაგან დამოუკიდებელი არსებობა.

ნაპოლეონს განზრახული ჰქონდა ერთ ცენტრალურ არქივში მოეთავსებია ყველა საქმეები ლიუდოვიკე მე-XV-ის წინადროინდელ ხანისა, ხოლო 50 წლის შემდეგ თვით ლიუდოვიკე მე-XV-ს და ლიუდოვიკე მე-XVI-ს მეფობათა დროის არქივებიც. იქვე უნდა ყოფილიყო მოთავსებული ის საბუთებიც, რომელიც საფრანგეთის გარედ იმყოფებოდენ, მაგრამ საფრანგეთის ისტორიისათვის მნიშვნელობა ჰქონდათ. ასეთი ცენტრალური არქივის მოსათავსებლად პირველად მას გადაწყვეტილი ჰქონდა გამოეყენებია ჰერცოგ სუბიოზების სასახლე. ამ მიზნით მან 1808 წლის 6 მარტს საგანგებო დეკრეტი გამოსცა, რომლის თანახმად ეს სასახლე უნდა შეეძინათ და იქ ცენტრალური არქივი მოეწყოთ. ხოლო შემდეგში, როდესაც

გამოირკვა, რომ ეს შენობა ამისათვის საკმარისი არ იყო, მან გადასწყვიტა ცენტრალური არქივის საჭიროებისათვის გამოეყენებია ჯერ ტიუილიერის სასახლის გალერეა, შემდეგ ლუვრის სასახლე და ბოლოს ლიუქსემბურგის სასახლე[1].

1809 წლიდან ნაპოლეონს თანდათან გრანდიოზული გეგმა დაებადა თავში. მან განიზრახა პარიზში დაეარსებია მთელი ევროპის ერთიანი არქივი, სადაც უნდა მოგროვილიყო ყველა იმ სახელმწიფოთა არქივები, რომელნიც მის მიერ დაპყრობილი იყვნენ და მას ემორჩილებოდენ. ამ ახალ კონცეპციაში პარიზის ცენტრალური არქივი, რომელსაც იგი ხშირად საიმპერიო არქივს უწოდებდა, ევროპის საერთო არქივის ნაწილი უნდა ყოფილიყო.

1812 წლის 29 მარტს მან შემდეგი შინაარსის საგანგებო დეკრეტი გამოსცა: „სენის მარცხენა ნაპირზე, იენისა და თანხმობის ხიდეთა შუა, გაშენებული იქნება ყველა სახელმწიფო არქივების საცავად განკუთვნილი შენობა 100.000 კუბ. მეტრის სივრცით. შენობის აგების გეგმა ასეთია: პირველად დამთავრებული და გამოყენებული იქნება შენობის მეოთხედი ნაწილი, ხოლო დანარჩენები თანდათანობით იმას მიემატებიან. შენობის გარშემო არსებული სივრცე იქნება თავისუფალი და გამოყენებული ბაღისათვის, რათა შემდეგში შესაძლებელი იყოს განზრახული შენობის გადიდება, უკეთუ საჭირო იქნება. მთელი შენობა იქნება მხოლოდ ქვისა და რკინისაგან ხის მასალის ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე“[2].

ამ გრანდიოზულ ცენტრალურ არქივის გვერდით განზრახული იყო მოეწყოთ საარქივო ინსტიტუტი, უნივერსიტეტი და სამეცნიერო აკადემია.

---

[1] არქივის სათავეში ახლა უკვე ნაპოლეონის მიერ დანიშნული, გამოჩენილი Daunou იდგა (Camus-ი უკვე 1804 წელს გარდაიცვალა). Daunou ნაპოლეონის განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდა და ეს გარემოება საშუალებას აძლევდა მას საარქივო საქმეში, რაც შეიძლება მეტი, დადებითი ცვლილებები შეეტანა.

[2] ნაპოლეონმა ჯერ კიდევ 1810 წელს გამოუცხადა თავის ვასალურ მეფეებს, თავადებს და ჰერცოგებს გამოეგზავნათ თავიანთი არქივი პარიზში, სადაც მათ მოსათავსებლად 1812 წელს დაიწყეს მისი ბრძანების თანახმად სასახლის

არქივების განახლებასთან დაკავშირებით ბუნებრივად იბადებოდა საკითხი ახალ საფუძველზე მოწყობილ საარქივო დაწესებულებათა თანამშრომლების შესახებ. Archives Nationales-სა და სხვა მომავალში მოსალოდნელ საარქივო დაწესებულებებისათვის საჭირო იყო კადრი სპეციალურად მომზადებულ აქტივისტებისა. ჯერ კიდევ ნაპოლეონი უშუალოდ დაინტერესებული იყო ამ საკითხის მოგვარებით და ამიტომ მან დაავალა ბარონ დე-ჟირარდოს შეედგინა რევოლიუციამდე არსებულ და რევოლიუციის დროს გაუქმებულ ბენედიქტელების დიპლომატიკოსთა საზოგადოების აღდგენის პროექტი. 1807 წელს ბარონ დე-ჟირარდომ კიდევაც წარუდგინა ნაპოლეონს დავალებული საკითხის განხორციელების პროექტი, რის შედეგად ნაპოლეონის დროსვე გახსნილ იქნა პატარა სკოლა 12 კაცისათვის პალეოგრაფიისა და დიპლომატიკის შესასწავლად. ნაპოლეონს არ დასცალდა მიეღო ზომები ამ სკოლის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად. მაგრამ მის შემდეგ, ნიშანდობლივ 1821 წელს, საგანგებო ორდონანსით ეს პატარა სკოლა გადაკეთდა სპეციალურ საარქივო სკოლად „L'Ecole Nationales des Chartes" სახელწოდებით[1].

(Palais des archives) აგება. ავსტრიის იმპერატორმა ფრანცი I-მა, რომელიც თუმცა ფორმალურად ნაპოლეონის ვასალად არ ითვლებოდა, მაგრამ შიშით გაგებისთანავე 30.000 ფურგუნი მასალა გამოაგზავნა ვენის არქივიდან. რომმა პარიზს 500 უძვირფასესი მანუსკრიპტი—„ულამაზესი ხელნაწერები" გამოუგზავნა პირველ რიგში, ხოლო შემდეგ ყოველ თვიურად უნდა გამოეგზავნათ 100 ფურგუნი საარქივო მასალა პაპის არქივიდან. ამავე დროს ესპანეთიდან პარიზის მიმართულებით 500 ფურგუნი დაიძრა. შემდეგ წამოვიდენ ჰოლანდიისა და გერმანიის არქივები. ამათ შემდეგ პარიზს უნდა მიეღო დანარჩენ სახელმწიფოების: პოლონეთის, რეინის სახელმწიფოთა, ბალკანეთის სახელმწიფოთა, ბელგიისა, ჰამბურგის, ლიუბეკის, ბრემენისა და სხვა არქივები. მაგრამ 1814 წლ. ამბებმა ხელი შეუშალეს ნაპოლეონს მოეყვანა სისრულეში თავის განზრახვა, რომელიც მაშინ არც ისე ფანტასტიური იყო, როგორც ახლა გვეჩვენება. ამის გამო 1814 წლიდან იწყება პარიზში გადმოგზავნილ არქივების უკან მოგზაურობა. სამწუხაროდ, ამ მოგზაურობის დროს მრავალი მათგანი საგსებით დაიღუპა, ხოლო რაც დარჩა, საშინლად აირ-დაირია და დაზიანდა.

[1] ამის შემდეგ Ecole des chartes მალე დაიხურა, მაგრამ 1829 წელს იგი კვლავ განახლებულ იქნა, ხოლო 1846 წელს შემუშავებულ იქნა მისთვის ახალი წესდება.

ნაპოლეონის შემდეგ არქივების საქმე საფრანგეთში რამოდენიმე ხანს ერთგვარ დაკნინებას განიცდიდა, და ამ პერიოდის საფრანგეთის კანონმდებლობაშიც ახალი ნაბიჯების კვალი არ არის. მხოლოდ ნაპოლეონ III-სა და ლიუდოვიკო—ფილიპეს დროს, 20-30-ან წლებში, საარქივო საქმეს კვლავ გამოცოცხლება დაეტყო. არქივების სათავეში მოექცა ნაპოლეონის დროს კამიუსის მაგიერ დანიშნული, ხოლო შემდეგში გადაყენებული დონუ. ამავე დროს ჩვენ ვხედავთ, რომ საფრანგეთის საზოგადოება და მთავრობაც ეროვნულ არქივს წინანდელ გულცივობის მაგიერ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. ამიერიდან იგი თანდათანობით იზრდება და ფართოვდება, როგორც საარქივო ფონდების გამრავლების მხრივ, ისე აგრეთვე ორგანიზაციულად და უფლებრივად. მე-19-ე საუკ. მეორე ნახევრის დასაწყისიდან ეს ზრდა განსაკუთრებული ჩქარი ტემპით წავიდა, და უკვე 80-ან წლებისთვის ეროვნული არქივი თითქმის საესებით ჩამოყალიბდა, როგორც საფრანგეთის რესპუბლიკის ცენტრალური არქივი.

Archives Nationales განვითარებასთან და მით პარიზის უმთავრეს არქივების ცენტრალიზაციასთან ერთად 30-40 წლებში იწყება საფრანგეთის პროვინციალურ არქივების ცენტრალიზაცია და სადეპარტამენტო არქივების ორგანიზაცია. სადეპარტამენტო არქივების არსებობა, როგორც აღნიშნული იყო, ფაქტიურად 1790 წლიდან იწყება, როდესაც საგანგებო კანონით პროვინციათა ყველა დაწესებულებათ დაევალა გადაეცათ თავიანთი არქივი ახლად დაარსებულ დეპარტამენტების არქივებისათვის. მაგრამ მხოლოდ 1839 წლიდან მიექცა მათ განსაკუთრებული ყურადღება განათლების მინისტრის გიზოს წყალობით. უკანასკნელმა შინაგან საქმეთა მინისტრ დიუშატელზე ისეთი დიდი გავლენა მოახდინა, რომ მან საგანგებო ბრძანებით სადეპარტამენტო არქივები უზრუნველჰყო სათანადო შენობით და შტატით. 1841 წელს იმავე გიზომ

ამ ჟამად მთელი საფრანგეთის არქივები იყოფა ორ კა-თეგორიად: სატახტო ქალაქის (ე. ი. პარიზის) და პროვინციალური ცენტრალური არქივები. პირველს შეადგენს ეროვნული არქივი, რომელიც საერთოდ ყველა არქივებზე მაღლა დგას და რესპუბლიკის ცენტრალურ არქივთსაცავად ითვლება, ხოლო მეორეთ—სადეპარტამენტო არქივები შეადგენენ. ეროვნულ არქივის შინაგანი წყობილება დაფუძნებულია რესპუბლიკის პრეზიდენტის 1887 წლის 14 მაისის დეკრეტზე და სახ. განგ. მინისტრის იმავე წლის 16 მაისის „განკარგულებაზე". ამ დეკრეტის თანახმად მთელი მასალა, რომელიც იქ. ინახება, იყოფა ოთხ სექციად: 1. ისტორიული სექცია, 2. საკანონმდებლო და სასამართლო სექცია, 3. დომანიალური და ადმინისტრატიული სექცია და 4. სამდივნო სექცია.

1897 წლის 23 თებერვლის დეკრეტის თანახმად, რომელსაც წინანდელთან შედარებით არსებითი ცვლილებები არ შეუტანია ეროვნულ არქივის შინაურ ცხოვრებაში, პირველ სექციაში შედის მასალები 1790 წლ. (ე. ი. რევოლიუციის) შემდეგდროინდელი; მეორეში—სასამართლო და ადმინისტრატიული დაწესებულებათა—1790 წლის (ე. ი. რევოლიუციის) წინადროინდელი, მესამეში—პოლიტიკური, სამხედრო და რელიგიურ ხასიათის უძველესი მასალები 1790 წლამდე[1], ხოლო მეოთხე სექციას—სამდივნოს—დაკისრებული აქვს ახალი ფუნქცია: სადეპარტამენტო არქივების ზედამხედველობა და კონტროლი.

თვითეულ სექციის სათავეში დგას უფროსი, ან როგორც საფრანგეთში უწოდებენ, შეფი (Le chef de la section). შეფებს ჰყავთ თავისი ხელქვეითი მოსამსახურეები—არქივისტები, რომელთაც აბარიათ განსაზღვრული სერიები ამა თუ იმ სექციისა.

რას წარმოადგენენ ჩვენს დროში საფრანგეთის არქივები გარეგნულ მოწყობილობის მხრივ? ეროვნული არქივი, რო-

[1] ქარტიები, საეკლესიო სიგელები, გენეალოგიური საბუთები, ისტორიული ბეჭდები და სხვა.

გორც ნათქვამი გვქონდა, 1808 წლიდან მოთავსებული იყო პარიზში ჰერცოგ სუბიოზის სასახლეში. შემდეგში, მე-XIX საუკუნის სიგრძეზე, ამ ძირითად შენობას თანდათანობით ემატებოდა არქივისათვის სპეციალურად აგებული შენობები. შენობების ქვედა სართულში მოთავსებულია: ა) სამეცადინო დარბაზი [1], ბ) ბიბლიოთეკა, გ) საგანგებო დარბაზი, სადაც მოსამსახურეთ მოაქვთ საქმეები, ვიდრე მათ მკვლევართ მიაწოდებენ, დ) ორი დარბაზი მუზეუმისათვის (ერთ მათგანში სწარმოებს უმაღლეს საარქივო კომისიის სხდომები, ე) კათალოგებისა და ცნობათა დარბაზი, ვ) საკლასიფიკაციო დარბაზი, სადაც საბუთების წინასწარი განაწილება სწარმოებს.

ქვედა სართულში საარქივო მუზეუმს აღნიშნულ ორ ოთახის გარდა უჭირავს მთელი რიგი ოთახებისა, სადაც მინების ქვეშ გამოფენილია უფრო საინტერესო საბუთები სხვადასხვა ეპოქისა მე-VII საუკუნიდან 1815 წლამდე. განზრახულია ახლო მომავალში მოეწყოს მე-XIX ს. საბუთების გამოფენაც საარქივო მუზეუმში.

მთელი სივრცე, რომელიც ეროვნულ არქივს უჭირავს, უდრის 13,383 კვ. მეტრს, ხოლო სტელაჟების სიგრძე 100 კილომეტრს აღემატება. სტელაჟები მოწყობილია 10 სართულად. შენობას არ ათბობენ და არც განათება აქვს.

სადეპარტამენტო არქივები, საერთოდ რომ ავიღოთ, ამ მხრივ უფრო კარგადაა მოწყობილი, ვიდრე ეროვნული არქივი. ზოგიერთ ქალაქებში სადეპარტამენტო ოქივები მოთავსებულია არქივისათვის გადაკეთებულ ძველ შენობებში, ხოლო ზოგიერთში ახლად აგებულ სპეციალურ სახლებში. უკანასკნელთა შორის მრავალი ისე კარგადაა აგებული, რომ დღესაც საარქივო შენობის ნიმუშად გამოდგებიან. ასეთებია, მაგ., ომის შემდეგ აშენებული არქივთსაცავები ქალ. მლენში, ნეველრში, არრასში, სტრასბურგში (ელზასში) და სხვა.

---

[1] ერთბაშად იტევს 100-მდე მომუშავეს.

როგორი წესია საფრანგეთის არქივებში საარქივო მასალების შენახვისა? საარქივო მასალებში განირჩევა: პაპირუსი, ეტრატი, ქაღალდი, რეესტრი, გეგმები და რუკა.

ა) პაპირუსები ინახება ეროვნულ არქივში დახურულ შკაფებში ისე, რომ მათ სინათლე ვერ მიეკარება. მუზეუმში გამოფენილია მხოლოდ მათი ფოტოგრაფიული პირები.

ბ) ეტრატი ინახება მუყაოს კოლოფებში და არა ქაღალდის პარკებში, როგორც ეს გერმანიაში არის ხოლმე მიღებული. ზოგიერთ ეტრატს შერჩენილი აქვს ბეჭდები. ასეთ შემთხვევაში ბეჭდებს გაკეთებული აქვთ ბუდეები [1].

გ) საბუთების უმეტესობა, რა თქმა უნდა ქაღალდზეა ნაწერი. ქაღალდების საბუთებს თუ საქმეებს ინახავენ ნაკრაულში, რომელიც გრეხილით არის შეკრული. თვითეული ნაკრაული მოთავსებულია ქაღალდის პაპკაში, რომელზედაც გაკეთებულია წარწერა შემდეგი ცნობებით: მოკლე ჩამოთვლა მოთავსებულ საბუთებისა, თარიღისა და სერიის ნომერი კათალოგის მიხედვით. თვითეულ საბუთზე თუ საქმეზე ნაკრაულში მოთავსებამდე უკეთდება შტამპი წარწერით: „ეროვნული არქივი“.

დ) ზოგიერთ რეესტრებს გაკეთებული აქვთ ყდა, ზოგს არა, იმისდა მიხედვით, თუ როგორაა გადმოცემული დაწესებულების მიერ. მეორე შემთხვევაში ყდას უკეთებს თვით არქივის საკინძავი სახელოსნო. ყველა რეესტრები ადგილის ეკონომიის მიზნით ერთად ინახება და არა სერიების ნუმერაციის მიხედვით.

ვ) გეგმები და რუკები პრაქტიკული მოსაზრებით ინახება ცალ-ცალკე და სხვა მასალებიდანაც განკერძოებულად. გეგმებსა და რუკებს აკეთებენ გრაგნილად და ათავსებენ საგანგებო მუყაოს კოლოფებში. მომავალში განზრახულია ახალი წესის შემოღება—გაშლილად შენახვა.

---

[1] აღსანიშნავია, რომ ეროვნულ არქივში მეტად მდიდარი კოლექციაა ასეთი ბეჭდებისა.

საერთოდ მასალების წესრიგში მოყვანისა და კლასიფიკაციის დროს მიღებულია საფონდო სისტემა, ხოლო ვიდრე კლასიფიკაცია მოხდებოდეს, სწარმოებს საარქივო ფონდის გარჩევა და ე. წ. „routines papiers“ გამოყოფა მოსასპობად. მოსპობა შეიძლება მხოლოდ უმაღლესი საარქივო კომისიის დასტურის შემდეგ. სადეპარტამენტო არქივებში მასალების კლასიფიკაციისა და მოსპობის წესები შემოღებულია 1921 წლიდან. ამ წესების მიხედვით სამუდამოდ ინახება: 1) ყველა საბუთები 1830 წლამდე, 2) ყველა საბუთები, რომელნიც არკვევენ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და კერძო პირთა ამა თუ იმ უფლებას, 3) ყველა საბუთები, რომელთაც აქვთ ან შესაძლებელია მომავალში ექნეთ ისტორიული მნიშვნელობა. ისპობა: 1) საბუთები, რომელთა ძირითადი ცნობები დაცულია სხვადასხვა საბუთში, განსაკუთრებით, თუ იგი იყო გამოქვეყნებული და 2) ქაღალდები, რომელთაც მხოლოდ დროებითი მნიშვნელობა აქვთ.

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის არქივებში სამეცნიერო და პრაქტიკული მიზნით მასალებით სარგებლობა, სათანადო წესების დაცვით, თავისუფლად შეიძლება; მაგრამ საგანგებო ნებართვა არის საჭირო იმ შემთხვევაში, თუ საბუთს 50 წელიწადი არ შესრულებია. ასეთი ნებართვა საჭიროა იმ სამინისტროდან ან დაწესებულებებიდან, საიდანაც ეს საბუთი მიღებული აქვს არქივს.

დასასრულ, საჭიროა ორიოდე სიტყვა ითქვას არქივების ცენტრალიზაციის თვალსაზრისით იმ არანორმალურ მდგომარეობის შესახებ, რომელსაც ადგილი აქვს საფრანგეთში იმის გამო, რომ მთელი რიგი არქივებისა დღესაც არ შედიან საერთო საარქივო უწყების სისტემაში და კვლავ განაგრძობენ დამოუკიდებელ არსებობას, ამ უწყებისაგან სრულიად განკერძოებულად. ასეთია, მაგ., საზღვაო საქმეთა სამინისტროს არქივი, რომელიც 1688 წლიდან არსებობს; საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი, რომელიც ლიუდოვიკო მე-XIV-დან

არსებობს; აგრეთვე კოლონიათა სამინისტროს, დეპუტატთა პალატის, სენატისა და სხვა არქივები.

ამ უწყებებიდან ეროვნულ არქივში არქივების გადაცემის საკითხი ჯერ კიდევ სავსებით მოგვარებული არ არის. პრაქტიკაში გამტკიცებულ წესის თანახმად ყველა უწყება ვალდებულია გადასცეს ეროვნულ არქივს თავისი საქმეები, რომელთაც 50 წელიწადი შეუსრულდათ; მაგრამ სინამდვილეში ამას დასახელებული უწყებები არ მისდევენ და ზოგჯერ ეროვნულ არქივს სრულიადაც არ აბარებენ საქმეებს, ზოგჯერ კიდევ— ნაწილობრივ, თავიანთი სურვილის მიხედვით. ეს იმიტომ ხდება ასე, რომ საფრანგეთის საარქივო კანონმდებლობა არ აიძულებს დაწესებულებათ ჩააბარონ თავიანთი არქივი ცენტრალურ სახელმწიფო არქივს (მხოლოდ ურჩევს), ხოლო „საუწყებო პატრიოტიზმი“, რომელიც დღესაც ახასიათებს საფრანგეთის ზოგიერთ დაწესებულებათა წარმომადგენლებს, უგულებელსჰყოფს ცენტრალიზაციის პრინციპის მნიშვნელობას.

ლიტერატურა:

1. Проф. **О. Добиаш-Рождественская**, История архивов ром. Европы при стар. порядке, А. К.

2. Проф. **Е. Тарле**, Национальный архив в Париже, А.К.

3. **Инна Любименко**, Французская школа архивистов „Ecole des Chartes“, А. К.

4. Проф. **А. Смирнов**, Очерки по истории арх. дела.

5. **Ж. Буржен**, Парижский Национальный Архив, А. Д. VIII—IX, 1927 წ.

6. **Charles Chmidt**, ფრანგული არქივები და მათი ტეხნიკური ორგანიზაცია, А. Д., XI—XII, 1927 წ.

7. **Bordier**, Les archives de la France.

8. **Langlois et Stein**, Les archives de l'histoire de France, 1891 წ.

9. **Ch. Chmidt**, Les sources de l'histoire de France aux Archives Nationales.

10. **Laborde,** Les archives de la France etc., 1867 წ.

11. **Самонвасов,** Централизация госуд. архивов зап. Европы.

12. **F. Ghampollion,** Manuel de l'archiviste des préfectures des mairies et des hospices.

13. **Fournier,** Conceils pratiques pour le classement et l'inventaire des archives et l'edition des documents historiqus écrits, პარიზი, 1924 წ.

14. **Bulletin des biblioteques et des archives,** პარიზი, 1883 წ-დან.

15. **Richu,** Traite historique et pratique des archives publiques, პარიზი, 1883 წ.

16. **L. Panier,** Etat des inventaires sommaires et des autres traveux relatifs aux diverses archives de la France, პარიზი, 1875 წ.

27. **Henri Sée,** Провинциальные архивы Франции со времени мировой войны, А. Д. VII, 1926 წ.

18. **H. Waquet,** Les archives départamentales, communales hospitalieres et privées (Revue de l'histoire de l'église de France, 1925 წ.)

19. **E. Lelong,** Archives, პარიზი, 1889 წ.

არსებობს; აგრეთვე კოლონიათა სამინისტროს, დეპუტატთა პალატის, სენატისა და სხვა არქივები.

ამ უწყებებიდან ეროვნულ არქივში არქივების გადაცემის საკითხი ჯერ კიდევ სავსებით მოგვარებული არ არის. პრაქტიკაში გამტკიცებულ წესის თანახმად ყველა უწყება ვალდებულია გადასცეს ეროვნულ არქივს თავისი საქმეები, რომელთაც 50 წელიწადი შეუსრულდათ; მაგრამ სინამდვილეში ამას დასახელებული უწყებები არ მისდევენ და ზოგჯერ ეროვნულ არქივს სრულიადაც არ აბარებენ საქმეებს, ზოგჯერ კიდევ— ნაწილობრივ, თავიანთი სურვილის მიხედვით. ეს იმიტომ ხდება ასე, რომ საფრანგეთის საარქივო კანონმდებლობა არ აიძულებს დაწესებულებათ ჩააბარონ თავიანთი არქივი ცენტრალურ სახელმწიფო არქივს (მხოლოდ ურჩევს), ხოლო „საუწყებო პატრიოტიზმი“, რომელიც დღესაც ახასიათებს საფრანგეთის ზოგიერთ დაწესებულებათა წარმომადგენლებს, უგულებელსჰყოფს ცენტრალიზაციის პრინციპის მნიშვნელობას.

ლიტერატურა:

1. Проф. О. Добиаш-Рождественская, История архивов ром. Европы при стар. порядке, А. К.

2. Проф. Е. Тарле, Национальный архив в Париже, А.К.

3. Инна Любименко, Французская школа архивистов „Ecole des Chartes“, А. К.

4. Проф. А. Смирнов, Очерки по истории арх. дела.

5. Ж. Буржен, Парижский Национальный Архив, А. Д. VIII—IX, 1927 წ.

6. Charles Chmidt, ფრანგული არქივები და მათი ტეხნიკური ორგანიზაცია, А. Д., XI—XII, 1927 წ.

7. Bordier, Les archives de la France.

8. Langlois et Stein, Les archives de l'histoire de France, 1891 წ.

9. Ch. Chmidt, Les sources de l'histoire de France aux Archives Nationales.

10. **Laborde,** Les archives de la France etc., 1867 წ.

11. **Самоквасов,** Централизация госуд. архивов зап. Европы.

12. **F. Ghampollion,** Manuel de l'archiviste des préfectures des mairies et des hospices.

13. **Fournier,** Conceils pratiques pour le classement et l'inventaire des archives et l'edition des documents historiqus écrits, პარიზი, 1924 წ.

14. **Bulletin des biblioteques et des archives,** პარიზი, 1883 წ-დან.

15. **Richu,** Traite historique et pratique des archives publiques, პარიზი, 1883 წ.

16. **L. Panier,** Etat des inventaires sommaires et des autres traveux relatifs aux diverses archives de la France, პარიზი, 1875 წ.

27. **Henri Sée,** Провинциальные архивы Франции со времени мировой войны, А. Д. VII, 1926 წ.

18. **H. Waquet,** Les archives départamentales, communales hospitalieres et privées (Revue de l'histoire de l'église de France, 1925 წ.)

19. **E. Lelong,** Archives, პარიზი, 1889 წ.

2. ინგლისი.

ინგლისის არქივების ისტორია პირობით შეიძლება გაიყოს ოთხ პერიოდად.

პირველი პერიოდი, რომელიც ყველაზე უფრო ხანგრძლივი იყო, იწყება უძველეს დროიდან, როდესაც საარქივო საქმე ინგლისში პირველად ჩაისახა, და თავდება მე-XVI საუკუნით. მეორე პერიოდი შეიცავს ორ საუკუნეს, მე-XVII-სა და მე-XVIII-ე ს. ს. მესამე პერიოდი—ეს ის ხანაა, რომლის სიგრძეზე მოღვაწეობდა ე. წ. „საარქივო კომისია", ე. ი. 1800-1838 წლამდე. დასასრულ, მეოთხე პერიოდი იწყება 1838 წლიდან და გრძელდება ჩვენს დრომდე. განვიხილოთ ცალ-ცალკე თვითეული პერიოდი.

პირველი პერიოდი. ადრინდელი ინგლისური საბუთები, რომელთა შესახებ ცნობები შენახულია, წარმოადგენ-დენ მიწათმფლობელობის შესახები საბუთებს, ე. წ. „landbocs"-ს. ეს საბუთები, რომელთა რიცხვი ერთობ განსაზ-ღვრული და მცირე იყო ინახებოდა სამეფო ხაზინაში, ვინჩეს-ტერში. ხაზინა, სადაც საბუთების გარდა, ფული, ოქრო-ვერ-ცხლი, რეგალიები, რელიკვიები და სხვა ძვირფასი ნივთებიც ინახებოდა, მოთავსებული იყო არა მეფის სასახლეში, არამედ საკრებულო ტაძრის კაპელაში [1].

ზოგიერთი ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ ვინჩესტე-რის გარდა ასეთი არქივი ვესტმინსტერშიც არსებობდა და ისიც აგრეთვე მოთავსებული იყო საკრებულო ტაძრის კაპე-ლაში სამეფო ხაზინასთან ერთად [2]. ვინჩესტერისა და ვესტ-მინსტერის არქივების ადგილმყოფელობა მუდმივი იყო: ისინი

---

[1] ის გარემოება, რომ ძველად ინგლისში საბუთები ძვირფას განძეულობასთან ინახებოდა, ჰმოწმობს მაშინდელ ინგლისელების განსაკუთრებული ყურადღებითა და სიფრთხილით მოპყრობას საბუთებისადმი.

[2] აქვე იყო „ჰადრიის დაფის" პალატის ხაზინაც.

არ მოგზაურობდენ მეფესთან ერთად, როგორც ეს საერთოდ მიღებული იყო ხოლმე მაშინდელ დროში [1].

სამეფო ხაზინაში საბუთების დაცვა-პატრონობა დავალებული ჰქონდა მეფის სასახლის საქმეთა მთავარ მმართველს, ე. წ. Cubicularius-ს.

ედუარდ მე-III დროიდან, ე. ი. მე-XIV საუკუნიდან ვინჩესტერისა და ვესტმინსტერის არქივებთან ერთად მოხსენებულია მესამე არქივი—ტოუერი, რომელიც მოთავსებული იყო ლონდონის კოშკში; პირველ ხანებში არქივი მოთავსებული იყო, ე. წ. თეთრ კოშკში ან ცეზარის კოშკში, მაგრამ შემდეგში იგი გადატანილ იქნა Wakefield-ის კოშკში, რომელსაც ამიერიდან საარქივო კოშკი (Record Tower) დაერქვა.

ამ საარქივო კოშკში შემდეგში გადატანილ იქნა სხვა არქივებიდან ის საბუთები, რომელნიც თავის სიძველის გამო უკვე საჭირო არ იყვნენ ცნობებისათვის: სიგელ-გუჯრები, სტატუტები და სხვა ისტორიული საბუთები [2]. მათი ზედამხედველობა დაკისრებული ჰქონდა ჯერ სახელმწიფო მდივანს, ხოლო შემდეგ განსაკუთრებულ მოხელე-მცველს (Deputy-Keeper).

ამავე ხანებს ეკუთვნის მეოთხე არქივის დაარსებაც, რომელსაც შემდეგში Rolles House ან Rolles Chapel დაერქვა სახელად. Rolles House დაარსა ედუარდ მე-III-მ, რომელმაც 1377 წელს ამ მიზნით მონათლულ ებრაელებისათვის ჰენრიხ I-ის მიერ 1233 წელს ნაჩუქარი სახლი შეიძინა [3].

ამ რიგად მე-XIV საუკუნისთვის ინგლისში ოთხი მთავარი არქივი არსებობდა: Winchester, Westminster, Tower და Rolls House.

---

[1] შენახულია, მაგ., ცნობები 1162 წელს Hertford-იდან საბუთების ვესტმინსტერში გადატანის შესახებ, ხოლო 1164 წელს—ვინჩესტერიდან Northhampton-ში.

[2] Record Tower-ში საბუთების გადატანის შესახებ ცნობები 1841 წ. მიეკუთვნება.

[3] ამ ადგილას დღეს ამაყად დგას Public Record Office-ს მშვენიერი გოტიური შენობა.

მე-XVI საუკუნეში, ელისაბედის დროს, ნიშანდობლივ 1578 წელს ამათ მიემატა კიდევ ერთი სახელმწიფო არქივი— State Papers Office. ეს არქივი სხვათა შორის განკუთვნილი იყო რუსეთის მეფეთა სიგელებისათვისაც, რომლებთანაც ინგლისის მეფე ელისაბედს, როგორც ცნობილია, მუდმივი მიწერ-მოწერა ჰქონდა.

ყველა ამ არქივებში მოთავსებული საარქივო მასალის რაოდენობა ერთობ დიდი იყო. საბუთები, რეგალიებისა და ფულების მსგავსად, უმთავრესად დიდ რკინის სკივრებში ინახებოდა, ხოლო ზოგჯერ უსკივროდაც. შენახულ ცნობებიდან ირკვევა, რომ ინგლისში მასალების მოწესრიგებაზედაც ზრუნავდენ. ყოველ შემთხვევაში ედუარდ I-დან შენახულია თვით მეფეების არა ერთი განკარგულება არქივების მოწესრიგების შესახებ. ჩვენამდე მოღწეულ ამ პერიოდის ინგლისის სახელმწიფო აქტებიდან ყველაზე უფრო ძველი ჰენრიხ I-ის მეფობის დასაწყისს, ნიშანდობლივ 1105 წელს, ეკუთვნის.

მ ე ო რ ე პ ე რ ი ო დ ი. მე-XVII საუკუნიდან, როგორც ნათქვამი იყო, იწყება ინგლისის არქივების ისტორიის მეორე პერიოდი, რომელიც პირველ პერიოდთან შედარებით, მთელ რიგ პოლიტიკურ პირობებთან დაკავშირებით, წარმოადგენს საარქივო საქმის დაკნინებისა და ნაწილობრივ საარქივო მასალების განადგურების ეპოქას. უმთავრესი მიზეზი, რომელმაც განსაკუთრებით საბედისწერო როლი ითამაშა არქივების ცხოვრებაში ამ პერიოდში, მდგომარეობდა მე-XVII—XVIII საუკუნეებისათვის დამახასიათებელ სამოქალაქო ომებსა და პოლიტიკურ პარტიათა შორის განუწყვეტელ ბრძოლებში. რევოლიუცია, სამოქალაქო ომი, ვიგებისა და ტორების ბრძოლა და სხვა— აი ის პოლიტიკური პირობები, რომლებშიც მე-XVII საუკუნისათვის საკმაოდ განვითარებულ და ჩამოყალიბებულ ინგლისის არქივებს უხდებოდათ არსებობა და გაფართოება.

თუ პირველ პერიოდში არქივებს შედარებით ნორმალურ და მყუდრო სახელმწიფოებრივ ცხოვრების პირობებში უხდებოდათ

ფესვების გაშლა და მხოლოდ იშვიათად. ზოგიერთ რეფორმების დროს, როგორც, მაგალითად, სტეფანესა, იოანე უმიწაწყლოსა ან კიდევ ჰენრიხ III-ის დროს, ოდნავ შენელდებოდა სახელმწიფოს მზრუნველობა არქივებზე, მეორე პერიოდში, უკვე დასახელებულ მიზეზების გამო, არქივები დაზიანებასა და სხვაგვარ უკულმართობას პერმანენტულად განიცდიდენ და მისგან საგრძნობლად ზიანდებოდენ. მართალია, ინგლისში რევოლიუციისა და არეულობის დროს საბუთების ისეთ სტიქიურ მოსპობას, როგორც ეს საფრანგეთის რევოლიუციის დროს იყო, ადგილი არ ჰქონია, მაგრამ ფაქტია, რომ ინგლისშიც პოლიტიკურ პარტიათა შორის განუწყვეტელ ბრძოლისა და და სამოქალაქო ომის დროს მრავალი შესანიშნავი ისტორიული საბუთი განადგურდა. ამას გარდა, რაც უმთავრესია, ამ მუდმივ არეულობისა და ქიშპობის ხანაში თანდათანობით მოისპო ის ფაქიზი, უანგარო და მზრუნველობითი მოპყრობა წარსულის ძეგლებისადმი, რაც უეჭველად პირველ პერიოდს ახასიათებდა. თუ ერთის მხრივ საბუთებს პოლიტიკური პარტიები (როგორც, მაგ., პურიტანები პაპის საბუთებს) ანადგურებდენ, მეორეს მხრივ, თვით პარლამენტი და მეფე არქივების ინტერესს ივიწყებდენ და სრულიად მათ ბედ-იღბალზე არ ზრუნავდენ. ბუნებრივად ამის შედეგი იყო არქივების განადგურება არა მარტო შეგნებულად (გატაცება, ცეცხლში დაწვა, პრაქტიკულ საჭიროებისათვის გამოყენება და სხვა), არამედ უპატრონობის გამო სტიქიური მოსპობაც (მტვერი, ნოტიო, თაგვი და სხვა).

იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა არქივი მაშინ, შეიძლება მოვიყვანოთ იმდროინდელ პოლიტიკურ მოღვაწის, ტოუერის მცველად დანიშნულ პრინის მოხსენებიდან შემდეგი ადგილი: „მაშინათვე, როგორც თქვენი უმაღლესობისაგან მივიღე პატენტი თქვენი უძველესი სიგელების ლონდონის ტოუერში დაცვის შესახებ, მე მიუხედავათ საპარლამენტო მუშაობისა, რომელიც

მთელ დროს მართმევდა, მისწრაფებად და მიზნად დავისახე გადამერჩინა საბუთების უმეტესი ნაწილი უპატრონობისა, უწესრიგობისა და გაფუჭებისაგან, რასაც ისინი მრავალ წლების სიგრძეზე ცეზარის კაპელას თეთრ კოშკის კუთხეში მიგდებულნი, საერთო ქაოსში დამარხულნი და სიდამპლით, ობობის ქსელით, მტვერით და ქოროტით დაფარულნი წინანდელ მცველების დაუდეგრობისა, უვიცობისა და უმეცრების წყალობით განიცდიდენ, ვითარცა ზედმეტი რელიკვიები, რომელნიც ღირსი არ არიან აღწერისა და სასარგებლო ნივთებთან მოთავსებისა. ამ მიზნით მე პირველ ხანებში გამოვიყენე რამოდენიმე ქალი და ჯარისკაცი, რათა გადამეტანა და დამესუფთავებია სიგელები, მაგრამ მომუშავენი ასეთი მძიმე სამუშაოსაგან მალე დაიღალნენ და დასტოვეს სიგელები ისევე გასვრილ-გამტვერიანებული. მაშინ თვითონ მე, პარლამენტის დათხოვნის უმალ, დავიწყე ჩემი კლერკებით მათი გასუფთავება და მომავალ სისტემიტიზაციის მიზნით სხვადასხვა ნაკრაულებში მოთავსება. მოხუცებულ კლერკებს არ უნდოდათ ჩვენი დახმარება, რადგან ეშინოდათ მტვერისა და სუნისო-.

ცხადია, ასეთ პირობებში ბევრი საბუთი უნდა დაღუპულიყო და ერთად-ერთი ხსნა მდგომარეობდა იმაში, რომ აუარებელ მასალებიდან გამოცემულიყო ის მიინც, რაც შედარებით უფრო ძვირფასი იყო. მართლაც, დედოფალ ანას დროს, ე. ი. მე-XVIII ს. დასაწყისში, ლორდ გალიფაქსისა და მანუსკრიპტების ცნობილ შემკრებლის Harley-ს წყალობით დაიწყო გამომცემლობითი მუშაობა ინგლისში. გამომცემლობითი მუშაობას საარქივო საქმის დარგში ზოგიერთი სხვა გაუმჯობესებანი და ახალი ნაბიჯებიც მოჰყვა. ასე, მაგ., 1719-სა და 1731 წლებში ამ მიზნით დაარსებულ იქნა პირველი საარქივო კომისიები, რომელთაც საარქივო საქმის რეგულიაციის ზოგიერთი საკითხები უნდა დაემუშავებიათ, და სხვა. მაგრამ ყველაფერი ეს უნიადაგო აღმოჩნდა და მალე საარქივო საქმეში კვლავ დაუდეგრობა, ბარბაროსობა და

უპასუხისმგებლობა გიბატონდა. მთელი დანარჩენი ორი მესამედი მე-XVIII საუკუნისა იყო ხანა საარქივო მასალების გატაცებისა, მოსპობისა და განადგურებისა: ძვირფასი საბუთები იყიდებოდა, როგორც შესახვევი მასალა, მრავალი მათგანი მკინძავებს წიგნების ყდად მიჰქონდათ, მრავალი კიდევ ვაჭრებს —სხვადასხვა საჭიროებისათვის და სხვა.[1]

ამავე დროს State Papers Office-ს ქრღალდებიც უპატრონობისა და დაუდევრობის გამო ხან ერთ ადგილას გადააქვთ, ხან კიდევ—მეორე ადგილას. ხშირად ამ ქაღალდებს სახლების სხვენზედაც ვხედავთ, სადაც მათთან ერთად მტრედებიც ცხოვრობენ. ერთი სიტყვით სრული დაუდევრობა და ბარბაროსობა გამეფდა საარქივო საქმეში. მართალია Edwards-ი, რომელიც 1800 წლისათვის აღიარებს, რომ არქივების მდგომარეობა ამ დროს გაცილებით უარესია, ვიდრე ასი წლის წინად იყო.

მ ე ს ა მ ე პ ე რ ი ო დ ი. ამ მდგომარეობაში მოუსწრო ინგლისის არქივებს „საარქივო კომისიის“ დაარსებამ, რითაც მათი ისტორიაში დაიწყო მესამე პერიოდი. მთელი ეს პერიოდი ამოიწურება ამ კომისიის მოღვაწეობით. მეორე პერიოდის სიგრძეზე საარქივო საქმის დაკნინებამ და სამწუხარო მდგომარეობაში ჩავარდნამ ინგლისის საზოგადოებაში და მმართველ წრეებში დაჰბადა აზრი ზოგიერთი რეფორმის გატარების აუცილებლობის შესახებ. ამის შედეგი იყო ის, რომ 1800 წელს დაარსებულ იქნა ზემოდ დასახელებული „საარქივო კომისია“, რომელმაც თავისი არსებობის 38 წლის განმავლობაში შესძლო ნაწილობრივ მაინც მე-XVII—XVIII-სს სიგრძეზე დანგრეულ არქივებისა და მათდამი მივიწყებულ პატივისცემის აღდგენა. იგივე Edwards ამ კომისიის მოღვაწეობას უკავშირებს საარქივო საქმეში მომხდარ დადებითი გარდატეხას, რომელმაც ნა-

---

[1] ამ გზით სახელმწიფო არქივებიდან გაზიდული საბუთების მხოლოდ მცირე ნაწილი გადურჩა დაღუპვას განათლებულ პირთა კერძო ინიციატივის წყალობით. ამ დროს ეკუთვნის სწორედ საბუთების კერძო კოლექციების გაჩენაც.

წილობრივ მაინც შეანელა წინა პერიოდში დაწყებული არ-ქივების განადგურების ძლიერი ტენდენცია.

მაგრამ, სამწუხაროდ, კომისიამ მაინც ვერ გაამართლა იმედები ისე, როგორც ამას მაშინდელი საზოგადოება მოელოდა. კომისიის წევრები უმთავრესად სახელმწიფო მოხელეები იყვნენ და თავისი პირდაპირი მოვალეობით ერთობ დატვირთული იყვნენ. ამიტომ ისინი ვერ აღმოჩნდნენ იმდენად გამოცდილნი, რომ საარქივო საქმეში გარკვეულიყვნენ და იგი სათანადოდ მოეგვარებიათ. ამიტომ კომისიის მოღვაწეობამ დიდი საყვედური და უკმაყოფილება გამოიწვია, როგორც საზოგადოებასა, ისე აგრეთვე ოფიციალურ წრეშიც. კომისიას უსაყვედურებდენ უმთავრესად იმას, რომ მან ძველი საბუთების გამოცემის დროს ვერ გამოიჩინა სათანადო გამოცდილება და მრავალი უმნიშვნელო საბუთების გამოქვეყნებისათვის დიდძალი სახელმწიფო ფული დახარჯა, ხოლო უფრო საყურადღებო და მნიშვნელოვანი მასალა უყურადღებოდ დატოვა. განსაკუთრებით თავგამოდებით იბრძოდა ამ კომისიის წინააღმდეგ Harris N colas, რომელმაც 1830 წელს პრესაც კი გამოიყენა ამ მიზნით და მით ბრძოლას გარკვეული სახე მისცა. Nicolas ამხილებდა კომისიას უვიცობაში, უმოქმედობაში და მოითხოვდა კათეგორიულად კომისიის წევრებად უფრო კომპენტენტურ და მცოდნე პირების დანიშვნას.

Nicolas მეთაურობით კომისიის წინააღმდეგ გამართულმა კამპანიამ, რომელსაც მხარს უჭერდენ იმ დროის ცნობილი ისტორიკოსებიც, მიაღწია თავის მიზანს, ტ 1836 წელს დაინიშნა ახლად არჩეული კომიტეტი „Select Committy", Charles Buller-ის თავმჯდომარეობით. ახლად არჩეული კომიტეტი წინანდელ კომისიის შეცდომების გასწორებას შეუდგა, და მისი მუშაობა მართლაც ნაყოფიერი გამოდგა. ამიერიდან წინანდელ დაუდევრობისა და გულცივობის ნაცვლად არქივებისადმი კვლავ სერიოზული და გულშემატკივარი დამოკიდებულება იჩენს თავს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საარქივო

მასალების კლასიფიკაციასა და მოწესრიგების საქმეს. საერთოდ კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებელი შეიქნა არა მარტო სხვებისთვის, არამედ თვით Nicolas-სთვისაც. ასე მოახლოვდა 1838 წელი, როდესაც გამოცემული იქნა აქტი Public Record Office-ის დაარსების შესახებ.

მ ე ო თ ხ ე პ ე რ ი ო დ ი. Public Record Office-ს შესახებ აქტის გამოქვეყნებით ინგლისის არქივის ისტორიაში იწყება მეოთხე პერიოდი, რომელიც ამავე დროს არის ინგლისის არქივების განვითარებაში ახალი ერაც იმ მხრივ, რომ ამ დროიდან ინგლისში ფეხს იკიდებს და განხორციელების გზას ადგება საფრანგეთის რევოლიუციის მიერ ჯერ კიდევ 1790 წელში წამოყენებული არქივების ცენტრალიზაციის იდეა. უნდა აღინიშნოს, რომ არქივების ცენტრალიზაციისადმი მისწრაფებამ ინგლისში ამაზე ცოტა ადრეც იჩინა თავი, მაგრამ მაშინ ეს კერძო ინიციატივა იყო და მას არავითარი რეალური შედეგი არ მრჰყოლია. ასე, მაგ., 1832 წელს გამოცემულ წიგნში — „საერთო სახელმწიფო არქივის დაარსების შესახებ წინადადება“-ში კუპერს ნათქვამი აქვს, რომ ინგლისში ჯერ კიდევ 1800 წელს დასმული იყო ოფიციალურად საკითხი საარქივო საქმის ცენტრალიზაციის შესახებ და მაშინ მის განხორციელებას ხელი შეუშალა უსახსრობამ. კ უ პ ე რ ი ამ თავის ბროშურაში კვლავ აყენებდა ამ საკითხს და მოითხოვდა სახელმწიფოს ცენტრალურ არქივის დაარსებას..

1838 წელს არქივის დაარსების შესახებ ოფიციალური აქტის გამოცემა არქივების ცენტრალიზაციის საკითხის პრაქტიკულად მოგვარების დასაწყისს ჰგულისხმობდა, მაგრამ ამას გარდა აქტში გათვალისწინებული იყო არქივების ცენტრალიზაცია ნიშანდობლივ Master of the Rolls-ის უმაღლესი გამგებლობის ქვეშ. 1838 წლიდან კიდევაც იწყება ამ მიმართულებით გაცხოველებული მუშაობა: ჯერ საბუთების მოგროვება და რამოდენიმე არქივთსაცავში მოთავსება, ხოლო შემ-

დეგ, უკვე 1851 წელს, თვით ცენტრალურ არქივის (Public Record Office) შენობის აგება.

ცენტრალურ არქივისთვის არჩეულ იქნა ლონდონის ერთ-ერთ მთავარი ქუჩის (Oxsford Steet) მახლობლად სწორედ ის ადგილი, სადაც ედუარდ მე-III-ის დროს, როგორც მოხსენებული გვქონდა, მონათლულ ებრაელების სახლში მოწყობილი იყო Rolls House. თვით ეს სახლი უკანასკნელ დრომდე არსებობდა და მხოლოდ რამოდენიმე წლის წინად სიძველის გამო დანგრეულ იქნა. Public Record Office-ს შენობის ძირითადი კორპუსის აგება 1854 წელს დამთავრდა [1].

შენობის დამთავრების უმალ დაიწყო არქივების კონცენტრაცია. პირველ რიგში გადმოტანილ იქნა State Papers Office-ს ქაღალდები, შემდეგ (1855 წ.) სამხედრო სამინისტროს და საზღვაო უწყების (1857 წ.) საქმეები. არქივების კონცენტრაცია სწარმოებდა არა მარტო ცენტრში, არქივები გადმოჰქონდათ პროვინციიდანაც, როგორც, მაგალითად, ჩესტერიდან და უელსიდან.

არქივების გადმოტანასთან დაკავშირებით Public Record Office-ს საარქივო მასალების რაოდენობა იმდენად გაიზარდა, რომ მალე საჭირო გახდა შენობის გადიდება. 1892—94 წლებში მართლაც ძირითად სორპუსს მიემატა ახალი შენობა, საკმაოდ დიდი მოცულობისა. ამ ჟამად Pupblic Record Office წარმოადგენს უზარმაზარ გოტიურ შენობას, რომლის 228 საცავში, ცეცხლისაგან უვნებელ რკინის შკაფებში განისვენებენ თითქმის მთელი ინგლისის წარსული ცხოვრების, ასე თუ ისე, მნიშვნელოვანი ძეგლები. საცავების გარდა აქვე მოწყობილია: სამეცადინო დარბაზი, რომელიც ოთხ ოთახს შეიცავს, საარქივო მუზეუმი, წიგნთსაცავი, მოსამსახურეთა ბინები და სხვა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ინგლისის არქივების კონცენტრაციის საქმე იმთავითვე მაინც ნელის ნაბიჯით მიმდინარე-

[1] ეს მთავარი კორპუსი ერთ მილიონამდე დაჯდა.

ობდა და დღესაც, როგორც ქვემოდ დავინახავთ, ეს კონ-ცენტრაცია დამთავრებული არ არის. ამით აიხსნება ის გარე-მოება, რომ ინგლისში საარქივო საქმეში ერთიანი ადმინის-ტრატიულ-ორგანიზაციული სისტემა ჯერ კიდევ დამკვიდრე-ბული არ არის. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო არქივე-ბის სათავეში დაყენებულია საერთო უფროსი—Master of the Rolls—ჯერ კიდევ 1849 წლიდან,—.მრავალ ქალაქებს თა-ვისი დამოუკიდებელი არქივები აქვთ და ეს არქივები საერთო სისტემაში არ შედიან. მაგრამ უფრო საყურადღებო მოვლე-ნას ამ მხრივ წარმოადგენს ბრიტანეთის მუზეუმის (British Museum) არქივის არსებობა Public Record Office-ის გვერდით.

ბრიტანეთის მუზეუმის გაჩენა შედეგია საზოგა-დოებრივი ინიციატივისა და მასში ოფიციალურ ხელისუფლე-ბას გვიანამდე მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ ამ ჟამად იგი წარმოადგენს ინგლისის და ამავე დროს მთელს მსოფ-ლიოში ერთ-ერთ უმდიდრეს საცავს, რომელიც თავის წიალ-ში ინახავს მრავალ ათას ძვირფას ხელნაწერს.

ბრიტანეთის მუზეუმს საფუძვლად დაედვა ოთხი კოლექცია: Cotton, Harlean, Sloane და Royal, რომელთა-გან ქრონოლოგიურად პირველი ადგილი უჭირავს Cotton-ის კოლექციას. Sir Robert Cotton-მა თავისი მდიდარი კოლექ-ცია სიკვდილის შემდეგ თავის ერს უანდერძა და ეს კოლექ-ცია შეიქნა პირველი, თუ შეიძლება ასე ეწოდოს, უჯრედი ძველი ბრიტანეთის მუზეუმისა. სამწუხაროდ, 1731 წელს ცეცხლისაგან დაიღუპა კოტონის კოლექციის 100-მდე ტომი, ხოლო დანარჩენი 900 ტომი დღესაც ამშვენებს ბრიტანე-თის მუზეუმს. შემდეგში კოტონის კოლექციას მიემატა ჯერ ოქსფორდელ გრაფის რობერტ Harley-ს კოლექცია და სლონის მანუსკრიპტები (1741—1753 წ.წ.), ხოლო შემდეგ მარკიზ ლან-სდოუნის (1805 წ.) და Royal Society-ს (1831 წ.) ხელნა-წერთა ფონდები. ამ ძირითად ფონდების გარდა იმავე ხანებში

ბრიტანეთის მუზეუმს მიემატა: 1841—47 წ. წ. საკმაოდ მდიდარი კოლექცია ასურულ ხელნაწერებისა, 1847 წელს ებრაული და ჩინური ხელნაწერები, 1864—აღმოსავლურ ხელნაწერთა მდიდარი კოლექცია, 1868 წ. — ჰაბაშური მანუსკრიპტები და სხვა.

ბრიტანეთის მუზეუმის დაარსების შესახებ ოფიციალური აქტი 1753 წელს გამოიცა, მაგრამ სათანადო შენობის მოძებნასა (მონტეგიუს სახლი—Montegue House) და მოწყობას 5 წელიწადი დასჭირდა და ამიტომ მისი გახსნა მხოლოდ 1759 წელს მოხდა. მონტეგიუს სახლი წარმოადგენდა დიდ და ლამაზად მოწყობილ შენობას; მაგრამ საარქივო ფონდების რაოდენობის გადიდებასთან დაკავშირებით მალე ეს შენობა თავის დანიშნულებისათვის მცირეა ალმოჩნდა და ამიტომ მე-XIX-ე ს. მეორე ნახევრის დასაწყისისათვის აგებულ იქნა სპეციალური შენობა.

ბრიტანეთის მუზეუმი იმყოფება განსაკუთრებულ კომისიის—„Board of Trusties"-ს უმაღლესი კონტროლისა და მზრუნველობის ქვეშ. პირველად ამ კომისიაში შედიოდა 45 წევრი, მათ შორის ძირითად კოლექციების შემწირველთა (კოტონის, ჰარლეის, სლონის) ოჯახების წარმომადგენელნიც და აგრეთვე ოფიციალური პირები: კენტერბერიის ეპისკოპოსი, ლორდი-კანცლერი, თემთა პალატის სპიკერი, ლორდი-ხაზინადარი, ლორდი-ბეჭედის მცველი და სხვა.

ბრიტანეთის მუზეუმში, როგორც ნათქვამი იყო, ხელნაწერთა ფონდები თანდათან იზრდებოდა. ამ ჟამად ხელნაწერთა საერთო რიცხვი 50.000 ტომზე და 70.000 გრაგნილზე მეტია. ამათში განსაკუთრებით ძვირფას მასალას შეიცავენ: Cotton-ისა Harley-სა და Lansdowne-ს ფონდები და აგრეთვე ე. წ. დამატებითი მანუსკრიპტების ფონდიც. უკანასკნელთა რიცხვი ერთობ დიდია; ასე, მაგ., 1890 წლისათვის ამ ფონდში 35.348 ხელნაწერი ითვლებოდა.

Public Record Office-სა და British Museum-ის გარდა, როგორც ნათქვამი იყო, ინგლისში არსებობენ სხვა არქივებიც, როგორც ლონდონში, ისე აგრეთვე პროვინციაშიც. მათ შორის, უპირველესად ყოველისა საჭიროა აღინიშნოს ბოდლეენის ბიბლიოთეკის არქივი, რომელსაც თავისი ხელნაწერთა სიმდიდრით ინგლისის არქივებს შორის ფრიად საპატიო და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

ბოდლეენის ბიბლიოთეკას, რომელიც ჩვენამდე მოღწეულ ბიბლიოთეკებს შორს უძველესია, პირველი საფუძველი მე-14 საუკუნეში (1367—1409 წ.წ.) ჩაეყარა ეპისკოპოს თომა კობჰამის (Thomas Cobham) თაოსნობით და მეცადინეობით. მე-15 საუკუნეში ბიბლიოთეკისათვის გლოუჩესტერის გრაფის ფულით აშენებულ იქნა ახალი შენობა, სადაც იგი კიდევაც გადაიტანეს 1488 წლებში. მისივე მეცადინეობით იმ დროისათვის მანუსკრიპტების რიცხვი 600-მდე გაიზარდა. მაგრამ მალე დაიწყო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა რიცხვის კლება: ნაწილი საბუთებისა იკარგებოდა ბიბლიოთეკარის დაუდევრობის გამო, ნაწილი შეგნებულად იყიდებოდა სხვადასხვა საჭიროებისათვის, ხოლო ერთი ნაწილი საბუთებისა განადგურებულ იქნა მე-16 საუკუნეში ედუარდ VI-ისაგან გამოგზავნილ კომისიის მიერ, რომელმაც ეს ხელნაწერები პაპის საბუთებად იცნო.

მე-XVI საუკ. დასასრულისათვის ოქსფორდის უნივერსიტეტის სტუდენტ თომა ბოდლეის (Thomas Bodley) მეცადინეობით განადგურებულ ბიბლიოთეკას და თითქმის მოსპობილ არქივს კვლავ ხელმეორედ ეყრება საფუძველი, რომელიც ამ შემთხვევაში მტკიცე და შეურყეველი აღმოჩნდა. ამიერიდან ბიბლიოთეკა და მის ხელნაწერთა ფონდი თანდათანობით იზრდება და მრავლდება. ამასთან დაკავშირებით აღიძრა საკითხი ბიბლიოთეკის შენობის გაფართოების შესახებ (ჯერ მე-17 საუკუნეში, ხოლო შემდეგ მე-19 საუკუნის დასაწყისში). ახალი შენობის აგების შემდეგ ბოდლეის ძველი ბიბ-

ლიოთეკიდან ახალ (რადკლიფის) შენობაში გადატანილ იქნა ახალი წიგნები და ჟურნალები, ხოლო ბოდლეის ძველ ბიბლიოთეკაში დატოვებულ იქნა ხელნაწერები და ძველი გამოცემები.

ბოდლეის ბიბლიოთეკის ხელნაწერებს შორის განსაკუთრებით საყურადღებოა აღმოსავლური მანუსკრიპტები, რომელიც არქიეპისკოპოს Laud-იმ შემოსწირა მას XVII საუკუნეში. მათი საერთო რიცხვი აღემატება 500-ს. 1677 წელს Laud-ის მანუსკრიპტებს მიემატა Vernon-ის მდიდარი ფონდი, შემდეგ Selden-ის ფონდიც, რომელიც 8.000-მდე ტომ ხელნაწერს შეიცავდა. XVIII საუკუნის დასაწყისში ბიბლიოთეკამ შეიძინა Tanner-ის ფონდი, რომელიც 46 ტომს შეიცავდა, ხოლო რამოდენიმე წლის შემდეგ (1839 წ.) Francis Douce-ის მდიდარი კოლექცია (4000 ხელნაწერი). ასე რომ მე-19 საუკუნის დასასრულისათვის ხელნაწერთა საერთო რიცხვი 25.000-მდე გაიზარდა.

სხვა არქივებიდან საჭიროა აღინიშნოს: 1) ლონდონში— ბიბლიოთეკა Inner Temple, ბიბლიოთეკა Lincolns Inn, Lambeth Palace, College of Arms, East India Office და სხვ. 2) პროვინციაში—უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა კემბრიჯში (დაარსდა 1475 წ.), დევონშირის ბიბლიოთეკა, კენტერბერიის საკრებულო ტაძრის ბიბლიოთეკა, ვესტმინსტერის სააბატოს ბიბლიოთეკა და მრავალი სხვა.

როგორი წესით სწარმოებს ამ უამრავ არქივებში საარქივო მასალების კლასიფიკაცია და აღწერა? შენახულ ცნობების მიხედვით, საარქივო მასალების კლასიფიკაციის ცდებს ადრევე ჰქონდა ადგილი ინგლისში. საინტერესოა, მაგალითად, ჩვენამდე მოღწეული უძველესი კათალოგისმაგვარი აღწერა, სადაც საბუთების შინაარსი აღნიშნული არის ნახატ პირობითი ნიშნებით (როგორც, მაგ., კარდინალის სახე — რომის კურიის სიგელი, სიგელის მიმწოდებელი ხელები—მეფის წყალობის სიგელი, სამი თევზი—ზღვის ნაპირზე მდებარე ქალ.

Varmauth, ორი გადაჭდომილი ხელები—მეფის ქორწილი და სხვა). ასევე ადრინდელ ხანას ეკუთვნის ცნობები „Calendars"-ის შესახებაც. ედუარდ I-სა და ედუარდ II-ს დროს საგანგებო ბრძანებები იყო გამოცემული, რომ მეფისა და ტახტის შესახები საბუთები ცალკე ყოფილიყვნენ გამოყოფილი, ხოლო 1327 წელს გამოიცა ბრძანება ყველა მასალების ხელახლა მოწესრიგებისა და აღწერის შესახებ.

მე XVI საუკუნეში ელისაბედის დროს შედგენილი იყო ყველა საბუთების პანდექტები, რომელთაც მათი ავტორები პირადად თვით დედოფალს უკითხავდენ ხოლმე. იაკობ I-ის დროს State Papers-ის დეტალური კლასიფიკაცია მოახდინეს და ჯგუფებად დაჰყვეს.

ოქსფორდის ბიბლიოთეკის არქივის უძველესი კლასიფიკაციის შესახებ შენახული ცნობები 1605 წელს ეკუთვნიან, ხოლო ბრიტანეთის მუზეუმში სისტემატიური მუშაობის დასაწყისი კათალოგიზაციისთვის მე-XVIII-ს. ეკუთვნის. ბოდლეის ბიბლიოთეკის პირველი კათალოგი მე-XVIII საუკუნიის დასაწყისში გამოიცა. 1780 წლებიდან კიდევ ბოდლეენის ბიბლიოთეკა სცემს ყოველ წლიურად ახლად შეძენილ საბუთების კათალოგს.

ჩვენს დროში ინგლისის ყველა არქივები უზრუნველყოფილია კათალოგებისა და მაჩვენებლების დიდი რიცხვით. Public Record Office-ს სამეცადინო დარბაზი სავსეა ასეთი კათალოგებითა და მაჩვენებლებით. ასევე ბრიტანეთის მუზეუმის სამეცადინო დარბაზშიც ჩვენ ვხედავთ კათალოგებითა და საინვენტარო დავთრებით გავსებულ შკაფებს. ლონდონის სხვა არქივებსაც, მათ შორის პროვინციის, არქივებსაც, თუ სავსებით არა, ნაწილობრივ მაინც მოწესრიგებული და ცნობაში მოყვანილი აქვთ თავისი მასალები.

მაგრამ საერთოდ რომ ავიღოთ, ინგლისის არქივებს ჯერ კიდევ ბევრი შრომა და დრო სჭირდებათ იმისათვის, რომ ინვენტარიზაციისა და კათალოგიზაციის საქმე ისე დააყენონ,

როგორც ეს ინგლისის არქივების სიმდიდრეს შეეფერება. ტყუილად არ სჩივოდა ამერიკელი პროფესორი Andrews, რომელიც Public Record Office-ში მუშაობდა, რომ იქ ინვენტარი ჯერ კიდევ მკვლევარის მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებსო. რაც შეეხება ბრიტანეთის მუზეუმის კათალოგებს, მათი ნაკლი უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ ისინი უკვე მოძველებულნი არიან, ამასთანავე ზოგიერთ ფონდების კათალოგი არც დაბეჭდილია და არც სრული არის.

მაგრამ უმთავრესი ნაკლი ინგლისის არქივებისა იმაში მდგომარეობს, რომ იქ არ არის ერთი სისტემა და წესი. ინგლისის არქივების უმეტესობა საარქივო მუშაობას დამოუკიდებლად აწარმოებს. ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს უმთავრესად, რომ, როგორც ნათქვამი იყო, ინგლსში არქივების ცენტრალიზაციის საქმე სათანადო ნიადაგზე ვერა სდგას. ის გარემოება, რომ სახელმწიფო არქივების სათავეში საერთო უფროსი—Master of the Rolls—სდგას, და რომ მთელი ინგლისის, ზოგჯერ კიდევ სხვა ქვეყნების საბუთების პირები,[1] ზოგჯერ დედნებიც, Public Record Office-ში თავსდება, რა თქმა უნდა, ცენტრალიზაციის საქმეში არსებულ ხარვეზს და ნაკლს სავსებით ვერ შეავსებს. მართალია, არქივები და საარქივო საქმე ინგლისში თითქმის ერთი საუკუნეა, რაც სხვა უწყებებისაგან გამოყოფილია და სამინისტროს მეურვეობის ქვეშ არ იმყოფება, მაგრამ ეს გარემოებაც არ ნიშნავს ცენტრალიზაციის იდეის სრულიად განხორციელებას. და ეს გარემოება—მთლიანი ადმინისტრატიული და ორგანიზაციული სისტემის უქონლობა საარქივო ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს არქივების შინაგან წესებზედაც.

მეორეს მხრივ ინგლისის არქივებში სხვადასხვა სისტემის და წესების არსებობას ხელს უწყობს ის, რომ არქივებში მომუშავე პერსონალი სხვადასხვანაირი ცოდნითა და გამოცდი-

[1] მაგ. მე-XIX საუკ. ამ მიზნით ინგლისელები მუშაობდენ პარიზში, ვენეციაში და ვატიკანში.

ლებითაა აღჭურვილი. ინგლისში არამც თუ არ არსებობს სპეციალური სკოლა არქივისტებისა, არამედ იქ 20 წლის წინად უნივერსიტეტებში პალეოგრაფიისა და დიპლომატიკის კურსიც არ იკითხებოდა. ამ ჟამადაც ამ დისციპლინებში მხოლოდ ორიოდე სპეციალისტი მოიპოვება იქ. ინგლისელებისათვის ფრანგების Ecole Nationales des Chartes დღესაც იდეალია, მაგრამ ინგლისის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურება ასეთ ინსტიტუტის შექმნას ხელს უშლის. [1]

ნათქვამის შემდეგ ინგლისის არქივებისა და საარქივო საქმის განვითარების ისტორიას ზოგადად რომ თვალი გადავავლოთ, მისი მდგომარეობის შემდეგი სურათი წარმოგვიდგება.

1. საარქივო მასალების სისრულისა და სიმდიდრის მხრივ ინგლისს მთელს მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს. ამ ქვეყნის თვით ისტორიული ცხოვრების პირობები ხელს უწყობდა აუარებელ წერილობით საბუთების წარმოშობას და მათი უვნებლად შენახვას: არც ერთ ქვეყანაში არ არის ისეთი სისრულით და მთლიანად დაცული საარქივო ფონდები და კოლექციები, როგორც ინგლისში. ადრიდანვე შემუშავებული და განმტკიცებული შეხედულება საარქივო საბუთებზე, ვითარცა მეფისა და აგრეთვე მოქალაქის უფლების იურიდიულ საფუძველზე, ხელს უწყობდა ინგლისში საბუთების ძვირფას განძად აღიარებას.

ამით აიხსნება ის, რომ იქ ძველად საბუთები სამეფო ხაზინაში ფულთან, რელიკვიებთან და სხვა სახელმწიფო განძეულობასთან ერთად ინახებოდა, ხოლო შემდეგ არქივისათვის საუკე-

[1] იდეალურად მოწყობილი არქივები და საარქივო საქმე შემდეგ მთავარ მოთხოვნილებებს უნდა აკმაყოფილებდეს: 1) სიმდიდრე და სისრულე საარქივო მასალებისა; 2) მათი კონცენტრაცია რამდენიმე კარგად მოწყობილ საცავში; 3) არქივთსაცავებში მკვლევართა თავისუფლად დაშვება და მათთვის სამუშაოდ საკმაო დროის მიცემა; 4) საარქივო მასალების სისტემატიზაცია, ინვენტარისა, კათალოგისა და აღწერათა შედგენა და მათი მიწოდება მომუშავეთათვის; 5) არქივების უზრუნველყოფა მუყაით და კომპეტეტურ მოსამსახურეთა პერსონალით.

თესლ და უზრუნველყოფილი ბინები იყო მოწყობილი: ჯერ ვინჩესტერსა და ვესტმინსტერში, შემდეგ კიდევ ტოუერში. ამ ჟამად Public Record Office-სა და ბრიტანეთის მუზეუმის არქივებით ჰეშმარიტად შეუძლია ინგლისს იამაყოს.

2. არქივების კონცენტრაციისა და კარგად მოწყობილ საცავებში მათი მოთავსების საქმეც ინგლისში შედარებით კარგადაა დაყენებული. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით მუშაობა ინგლისში შედარებით ძალიან დაგვიანებით, მხოლოდ მე-XIX საუკ. პირველ ნახევარში დაიწყო, მაინც ბევრი რამ არის გაკეთებული, და მრავალი ცენტრალური თუ პროვინციალური არქივები იქ ჩვენს დროში უკვე გაერთიანებულია რამოდენიმე კარგად მოწყობილ საცავებში. ამ მიზნით 1851 წელს დაარსებული იყო Public Record Office, ხოლო პარალელურად საზოგადოებრივი ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა მეორე დიდ არქივს—ბრიტანეთის მუზეუმის არქივს.

მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ არქივების კონცენტრაციის საქმე ინგლისში მაინც არ არის ისე კარგად დაყენებული, როგორც, მაგალითად, საფრანგეთში. თუ რევოლიუციებს ინგლისის არქივებისათვის იმდენი ზიანი არ მიუყენებია, როგორც საფრანგეთში, სამაგიეროდ მას იქ არც დადებითი შედეგები მოჰყოლია. საფრანგეთის არქივებისათვის რევოლიუციის ერთ-ერთი დადებითი შედეგი იყო მათი ცენტრალიზაციის და საარქივო მასალების კონცენტრაციის იდეა და ამ იდეის ხორცის შესხმა. ინგლისში ამ მხრივ, როგორც აღნიშნული იყო, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ამას გარდა არქივებისა და კოლექციების მთელი რიგი იქ დღესაც კერძო პირების ხელშია, და ამ არქივებით სარგებლობა მეცნიერებისათვის შეუძლებელია.

3. ისტორიკოს—მკვლევართა და საერთოდ მეცნიერთათვის ინგლისის არქივების კარები ფართედაა გაღებული. ინგლისში ისე, როგორც

საფრანგეთში, დიდი ხანია განმტკიცებულია ის აზრი, რომ არქივების მთავარი საზრუნავი საგანი და დანიშნულება ნდგომარეობს მკვლევარისათვის მასალების მიწოდებასა და მუშაობისათვის ხელსაყრელ პირობების შექმნაში. მართლაც, იშვიათია შემთხვევა, რომ მკვლევარს ინგლისის არქივებში ემუშაოს და იქაური პირობებით უკმაყოფილო დარჩენილიყოს. პირიქით, ისინი სრულ კმაყოფილებას გამოსთქვამენ იმ წესებისა და პირობების შესახებ, რომელიც ინგლისის არქივების სამეცადინო დარბაზში არის შემოღებული.

Public Record Office-ის სამეცადინო დარბაზი ღიაა 10-დან 4 საათამდე, ხოლო ბრიტანეთის მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში მუშაობა დაშვებულია 5 საათამდეც. იქაც და აქაც სამეცადინო დარბაზი მოცულობისა, სინათლისა და სხვა მხრივაც საუცხოოდაა მოწყობილი.

თვით არქივში მომუშავე თანამშრომლები თავის მოვალეობად სთვლიან ხელი შეუწყონ და ყოველგვარი დახმარება გაუწიონ მკვლევართ მასალების მოძებნასა და ამოარჩევაში. ამ მხრივ სრული კონტაქტი და განუსაზღვრელი ნდობაა განმტკიცებული მკვლევარსა და არქივისტს შორის. მაგრამ ეს გარემოება, ე. ი. კონტაქტი და ნდობა მკვლევარსა და არქივისტს შორის, ხელს არ უშლის ინგლისელ არქივისტს სამეცადინო დარბაზში განსაკუთრებული სიფხიზლით თვალყური ადევნოს საარქივო მასალებს, რათა ისინი მკვლევართა უდიერი მოპყრობით არ დაზიანდეს. ასე, მაგ., Public Record Office-ში მორიგე კლერკი ვალდებულია ეცოდეს, თუ რა ხდება სამეცადინო დარბაზში, და პასუხისმგებელია მკვლევართათვის სამუშაოდ გაცემულ მასალების დაზიანებისათვის.

სრულიად დაუშვებელია მელნით სარგებლობა. მის მაგიერ ხმარებაშია საგანგებო (მელნის) ფანქრები. დიდი rolls და სხვა ამგვარ საბუთების გაშლა შეიძლება მხოლოდ სათანადო წესის დაცვით და ისიც განსაკუთრებული სიფრთხილით. ბრიტანეთის მუზეუმში მელნის ხმარება დაშვებულია, მაგრამ გად-

მოწერის დროს აკრძალულია საბუთზე ქაღალდის დადება. ამასთანავე თვითეული ტომის წაკითხვა შეიძლება პორტატიულად დასაკეტ პიუპიტრზე.

4. მაგრამ მკვლევართათვის ხელსაყრელი პირობები არქივში მაშინაა შექმნილი, როდესაც ის უზრუნველყოფილია კათალოგებითა და აღწერებით, როდესაც საარქივო მასალა მოწესრიგებულია და ცნობაში მოყვანილია. ინგლისის არქივებში ამ მხრივ დიდი მიღწევებია, მაგრამ ამასთანავე ზოგიერთი დეფექტები და ჩამორჩენილობაც არის. საერთოდ რომ ვთქვათ, ინგლისის არქივებში კათალოგიზაციის საქმე უფრო წინაა, ვიდრე სისტემატიზაციის. უკანასკნელი უეჭველად საგრძნობლად კოჭლობს: მასალების კათეგორიებად და სექციებად დანაწილება ინგლისში დღესაც მომავლის საქმეა. ამ მხრივ Public Record Office-ში შედარებით უკეთაა საქმე დაყენებული, ვიდრე ბრიტანეთის მუზეუმში ან ოქსფორდის ბოდლეენის ბიბლოთეკაში.

რაც შეეხება კათალოგებისა და ინვენტარის შედგენის საქმეს, უნდა ითქვას, რომ ინგლისის არქივებში მათი რაოდენობა იმდენად დიდია, რომ საყვედურის თქმა სრულიად უმართებულაა. თუ სხვაგან, როგორც, მაგალითად, ვატიკანში ან კიდევ გერმანიის ზოგიერთ არქივებში ძალიან ძუნწობენ, და ინვენტარით სარგებლობას ერთგვარი დაბრკოლება თან სდევს, ინგლისის არქივებში ინვენტარებით ფართე სარგებლობის სრული შესაძლებლობაა.

მაგრამ კათალოგებისა და ინვენტარის გარდა მკვლევარისათვის აუცილებელია ზოგიერთი დამხმარე და ცნობათსაძიებელი წიგნები, და ეს გარემოებაც ინგლისის არქივებში გათვალისწინებულია: Public Record Office და სხვა არქივებშიც მოწყობილია ცნობათსაძიებელი ბიბლიოთეკა, რომლითაც სარგებლობა შეუძლია, როგორც თვით არქივის მოსამსახურეს, იმე მკვლევარსაც.

საყურადღებოა, რომ ინგლისის არქივებში, მაგალითად, ბრიტანეთის მუზეუმში, საბუთებს გაკეთებული აქვთ საგანგებო ეტიკეტი, რომელიც შეიცავს ცნობებს საბუთის გამოქვეყნებისა ⁄ სხვაგვარად გამოყენების შესახებ. ეს გარემოება შესაძლებლობას აძლევს მკვლევარს უკვე გაწეული მუშაობა ხელმეორედ არ გასწიოს და ერთხელ გამოქვეყნებული საბუთი მეორედ არ გამოაქვეყნოს, რაც ასე ხშირია გამოუცდელ მეცნიერთა პრაქტიკაში.

როდესაც კათალოგებისა და მაჩვენებლების შესახებ ვლაპარაკობთ, საჭიროა დასახელებულ იქნას ცნობილი „Calendars", რომელნიც ყველაზე უკეთეს დახმარებას უწევენ მკვლევარს მუშაობის დროს. არაფერი ამ Calendars-ების მსგავსი გამოცემა სხვა ქვეყნებში არ არის. მათ საშუალო ადგილი უჭირავთ კათალოგსა და თვით საბუთების გამოცემას შორის და ამიტომ მათ, როგორც ინგლისის არქივების ყულაუზებს, უდიდესი ზნიშვნელობა აქვთ მკვლევარისათვის. ასეთივე მნიშვნელობა აქვთ აგრეთვე არქივების მთავარ მცველის ყოველწლიურ ანგარიშებსაც - „Reports of the Deputy Keeper", სადაც სხვათა შორის მრავალი საყურადღებო და საჭირო ცნობებია თვით საარქივო საბუთების შესახებაც.

5. დასასრულ, რაც შეეხება არქივებში მოსამსახურეთა პერსონალს, უკვე აღნიშნული იყო, რომ ინგლისში არ არსებობს სპეციალური საარქივო სკოლა საფრანგეთის Ecole des Chartes-ის მსგავსად და არც უნივერსიტეტებშია შემოღებული არქივთმეცნიერების კურსები. ამიტომ ინგლისში არქივისტებს საარქივო ცოდნა და გამოცდილება უფრო პრაქტიკული გზით აქვთ მიღებული, ვიდრე თეორეტიულ მომზადების საშუალებით. საარქივო სამსახურისათვის ინგლისში სპეციალური მომზადება და სწავლა-განათლება საჭირო არ არის, და არქივების მოსამსახურეთა უმრავლესობას იქ შესვლისას საარქივო სამსახურის არაფერი გაეგებოდათ.

მაგრამ ინგლისელის მომქმედი ბუნება აიძულებს ახალგაზრდა ნაკლებად მომზადებულ მოსამსახურეს ცოცხალი ინტერესით მოჰკიდოს ხელი საქმეს. ინგლისში არქივისტი, როგორც სამსახურში, ისე სახლშიც მუშაობს, ცოდნას იძენს და პრაქტიკულად შეძენილ გამოცდილებით თანდათანობით ავსებს თეორეტიულ მოუმზადებლობით წარმოშობილ ნაკლს.[1]

მრავალი მაგალითი გვაქვს იმისი, რომ ინგლისის საარქივო პრაქტიკამ მაღალი კვალიფიკაციის არქივისტის ტიპი შექმნა. მეცნიერული სული, რომელიც ფრანგ არქივისტს Ecole des Chartes-დან გამოაქვს მზამზარეულად, ინგლისის არქივისტთა წრეში ფეხს იკიდებს არქივისტსა და მკვლევარს შორის არსებული ცოცხალი კავშირის წყალობით. ინგლისელი არქივისტი ჰეშმარიტად ისტორიკოსის თანაშემწეა.

ინგლისის საარქივო საქმის უარყოფითი მხარე მდგომარეობს ერთის მხრივ იმაში, რომ იქ არქივების სახელწიფოებრივი ცენტრალიზაცია სათანადოდ არ არის განხორციელებული: საარქივო უწყება არ წარმოადგენს მთლიან სისტემას. მრავალი კერძო არქივი დღესაც საარქივო უწყებისა და სახელმწიფოს ზედამხედველობის გარეშე იმყოფება. თვით სახელმწიფო არქივების ერთი ნაწილი თავის ყოველდღიურ მუშაობას და საქმიანობას ისე აწარმოებს, როგორც მას ეს საჭიროდ მიაჩნია.

მეორეს მხრივ, ინგლისის საარქივო საქმის უარყოფითი მხარედ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ინგლისის არქივებში მასალის კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის დროს მათი განჯგუფება ფონდებად სწარმოებს არა შინაარსის თანახმად, არამედ არქივში შემოსვლის პირობების მიხედვით: ეს გარემოება თავის მხრივ გავლენას ახდენს კათალოგებსა და მაჩვე-

---

[1] ამის საუკეთესო მაგალითია Hilary Jenkinson, რომელსაც Public Record Office-ში სამსახურის დაწყებისას საარქივო საქმის არაფერი გაეგებოდა. ხოლო ამ ჟამად ერთი საუკეთესო არქივისტად ითვლება და არა მარტო ინგლისში

ნებლებზე, რომელნიც სწორედ ამის გამო ზოგიერთ დეფექტებს შეიცავენ.

დასასრულ, ინგლისის საარქივო საქმის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ იქ დღემდის არ არსებობს სპეციალური საარქივო სკოლა. ეს გარემოება ხელს უწყობს ინგლისში უმთავრესად პრაქტიკოს არქივისტების შექმნას, რასაც ჩვეულებრივად წინ უსწრებს მოსამსახურის ხანგრძლივი და ბეჯითი მუშაობა არქივებში.

ინგლისის საარქივო საქმის დადებითი მხარეს წარმოადგენს: გასაოცარი სიმდიდრე და კარგი მოვლა საარქივო მასალებისა, კათალოგების სიმრავლე, მკვლევარისათვის ამ მასალებით და აღწერებით დაუბრკოლებლად სარგებლობის შესაძლებლობა და, დასასრულ, არქივის ყოველდღიური სამუშაო ცხოვრების ტემპი, რომელიც მკვლევართა და არქივისტთა შეერთებულ გაცხოველებულ მუშაობის ბეჭედს ატარებს და მით მიბაძვის ღირსია.

ლიტერატურა:

1. Проф. А. Смирнов, Очерки по истории арх. дела.
2. Инна Любименко, Архивы Великобритании в их прошлом и настоящем, А. К.
3. Самонвасов, Централизация гос. арх. в Зап. Европе. Архивное дело на западе.
4. **Cooper**, An account of the most important Public Records of Great Britain and the publications of the Record Commission (1832 წ., ლონდონი).
5. **Edwards**, Lives of the founders of the British Museum (1870 წ. ლონდონი).
6. **Thomas**, Nandbook to the Public Records (1853 წ. ლონდონი).

7. **Emald,** Our Public Records, a brief handbook to the National Archives (1873 წ. ლონდონი).

8. **Hub. Hall.** The antiquities and curiosities of the Exche quer (1891, ლონდონი).

9. **Jenkinson,** A Manuel of Archives administration (1922 წ., ოქსფორდი).

10. **Giuseppi,** A Guide to the manuscripts in the Public Record Office (1923 წ., ლონდონი).

11. **W. Rye,** Records and Record searching (1888 წ., ლონდონი).

12· **G. Hawkins,** Index to the Records with direction to the several places where they are to be found.

3. გერმანია და ავსტრია.

არქივის ან უკეთ არქივის პროტოტიპის ჩანასახს გერმანიაში ჩვენ ვხედავთ საშუალო საუკუნეების დასაწყისში, როდესაც ჯერ კიდევ საქალაქო ცხოვრება არ იყო აყვავებული. ამ დროიდან თანდათანობით ჩნდება სხვადასხვა ტიპის სიძველეთა საცავები და საბუთების კოლექციები, რომლებიც არქივს მოგვაგონებენ შემდეგდროინდელი მნიშვნელობით: საეკლესიო-სამონასტრო ბიბლიოთეკები, სადაც ჩვეულებრივად საარქივო საბუთები და ძველი აქტები იყო ხოლმე მოთავსებული, ფეოდალის კოშკში თავშეფარებული (ფეოდალისა და მისი ოჯახის პირადი) სიგელ-გუჯრების კოლექციები და სხვა,—ეი ამ დროის არქივები.

საერთოდ ამ ხანებში გერმანიაში ჩვენ ვხედავთ არქივების განვითარების იმავე სურათს, რასაც საფრანგეთში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გერმანიაში ყველაფერი ეს შედარებით უფრო ნელის ტემპითა და პატარა მასშტაბით მიმდინარეობდა. ეს იმიტომ, რომ გერმანიაში საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრება ამ ხანებში არ იყო ისე განვითარებული, როგორც საფრანგეთში ან, თუ გინდ, ინგლისში, რომლებიც უფრო ძველ და განუწყვეტელ კულტურულ ტრადიციის ქვეყნებს წარმოადგენენ.

საშუალო საუკუნეების გერმანია არ იყო კულტურული ცხოვრების ცენტრი, ის შედარებით სხვა ქვეყნებთან უფრო პროვინციის ელფერს ატარებდა. მხოლოდ საშუალო საუკუნეების მეორე ნახევრიდან იწყება გერმანიაში კულტურულ ტრადიციების ერთგვარი განახლება და მასთან ერთად გერმანიის არქივების უმნიშვნელო აღორძინებაც.

მე-XVI საუკუნიდან, ოცდაათწლიან ომისა და ლიუდოვიკო მე-XIV დაპყრობითი ომების გამო, განახლებისა და აღორძინების საქმემ საერთოდ და კერძოდ საარქივო საქმემ გერმანიაში იწყო ბორძიკი და კვლავ დეგენერაციის გზას დაადგა. ხელახალი

განახლება და აღორძინება მხოლოდ მე-XIX საუკ. შეიქმნა შესაძლებელი.

ამრიგად გერმანიის არქივების განვითარებაში შეიძლება აღინიშნოს ოთხი პერიოდი: პირველი პერიოდი,— როდესაც არქივების ჩანასახი ჩნდება; მეორე პერიოდი,—როდესაც არქივი ორგანიზაციულად ერთგვარ ჩამოყალიბებულ და გარკვეულ სახეს იღებს; მესამე პერიოდი,—არსებითად არქივების დაკნინებისა და ჩამოქვეითების ხანაა, ხოლო უკანასკნელი—მეოთხე პერიოდი—ის ხანაა, როდესაც არქივების ხელახალი აღორძინება იწყება.

ამ ოთხი პერიოდის ერთი მეორისაგან გამიჯვნა და თვითეული მათგანის ზედმიწევნით გარკვეულ თარიღებში მოქცევა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მაგრამ დაახლოვებით რომ განვსაზღროთ, სინამდვილესთან ახლოს შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ქრონოლოგიური ფარგლები.

პირველი პერიოდი იწყება მე-XIII საუკუნიდან და გრძელდება მე-XV-ს. მეორე ნახევრის დასაწყისამდე. ეს ის დროა, როდესაც კულტურულ ცხოვრებას ტონს აძლევს და ამ მხრივ მნიშვნელოვანი ფაქტორია ქალაქი. განვითარებული საქალაქო ცხოვრება ნიადაგს უმზადებს საქალაქო არქივების წარმოშობას. რა თქმა უნდა, ეს არქივები საგრძნობლად განსხვავდებოდენ ქალაქის დაწესებულებათა (მუნიციპალურ) იმ არქივებისაგან, რომელნიც, როგორც არქივების განსაკუთრებული ტიპი, საფრანგეთის რევოლიუციის შემდეგ წარმოიშვენ დასავლეთ ევროპაში საერთოდ და კერძოდ გერმანიაშიც[1]. ამ არქივებს მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიკული ხასიათი და დანიშნულება ჰქონდათ და ამ მხრივ ისინი თანამედროვე რეგისტრატურას უფრო ემსგავსებოდენ, ვიდრე არქივს.

მეორე პერიოდი იწყება მე-XV ს. მეორე ნახევრიდან

---

[1] მუნიციპალური არქივები, რა თქმა უნდა, საფრანგეთის რევოლიუციამდეც იყვნენ, მაგ., თვით საფრანგეთში, მაგრამ მათი ჩამოყალიბება რევოლიუციის შემდეგდროინდელ ხანას ეკუთვნის.

და გრძელდება მე-XVII ს. პირველ მეოთხედამდე, როდესაც გერმანია ძლიერი დეცენტრალისტური ტენდენციის შედეგად მრავალ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებად დანაწილდა. ამ ხანაში ჩნდება არქივი უკვე თანამედროვე მნიშვნელობით. არქივის გაჩენას ამ ხანაში თითქოს ხელს უწყობს გერმანიის პოლიტიკური მთლიანობის დაშლა და დაქუცმაცება. ახალი არქივები წარმოადგენენ უმთავრესად ადგილობრივ პატარა, ზოგჯერ კიდევ დიდ და ძლიერ, მეფეების საბუთების სასაცავებს. ესენიც ისევე, როგორც პირველი პერიოდის საქალაქო არქივები, უფრო პრაქტიკულ ხასიათს ატარებენ, მაგრამ უკანასკნელისაგან განსხვავდებიან იმით, რომ წარმოადგენენ, ასე თუ ისე, მთავრობის დაწესებულებას. მთავრობის მფარველობაში არქივების გადასვლა კიდევ უფრო აძლიერებს მათ მნიშვნელობას და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში წინანდელი ხანასთან შედარებით უფრო მეტ მნიშვნელობასაც ანიჭებს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამ ხანაშივე ჩვენ ვხედავთ საარქივო საქმის არა მარტო პრაქტიკულად შესწავლის, არამედ მისთვის თეორეტიულ საფუძვლების მოძებნის ცდასაც.

მესამე პერიოდი, იწყება მე-XVII ს. მეორე მეოთხედიდან და თავდება მე-XVIII ს. დასასრულით. ამ პერიოდში მთელი რიგი პოლიტიკური ხასიათის მოკლენებისა აფერხებს წინა პერიოდში დაწყებულ არქივების განვითარების წინსვლასა და გაფართოებას. ერთი ასეთი მოვლენათაგანი იყო ოცდაათწლიანი ომი, რომელმაც გერმანიის კულტურულ ცხოვრების ღრმა დაცემა გამოიწვია. ამ ომით გამოწვეული დაკნინება უფრო გააღრმავა ნაპოლეონის ომებთან დაკავშირებულ ამბებმა. ნაპოლეონამდე-კი სასახლის ცხოვრების განვითარებასთან და ლიუდოვიკო XIV-ს სასახლეს ცხოვრებისადმი მიბაძულობის ტენდენციის წარმოშობასთან დაკავშირებით არქივი სასახლის დაწესებულებად გადაიქცა. ამ გარემოებამ არქივი სასახლის ყველა დაწესებულებათა ბედის თანაზიარი გახადა:

იკი ხან მბრუნველობის ქვეშ იმყოფება, ხან კიდევ სრულიად დავიწყებულია.

მეოთხე პერიოდი არქივების ისტორიაში იწყება მე-XIX საუკუნიდან, როდესაც ნაპოლეონის გამანადგურებელი ომების შემდეგ გერმანია თანდათან მყუდრო პირობებში იწყებს ცხოვრებას და ბოლოს მე-XIX საუკუნის დასასრულსათვის ძლიერ იმპერიად გადაიქცევა. მე-XIX ს. სიგრძეზე მნიშვნელოვან მსოფლიო ძალად გადაქცეული გერმანია ახერხებს კულტურულ ცხოვრების საერთოდ და კერძოდ საარქივო საქმის მტკიცე ნიადაგზე დაყენებას. უკანასკნელ წლების ამბებმა, რომლის მოწმენი ჩვენა ვართ, თითქოს ხელი შეუშალეს ამ დაწინაურებას, მაგრამ სამაგიეროდ ამავე ამბებმა გარკვეულ ფორმებში ჩამოაყალიბეს და ხორციც შეასხეს დიდი ხნით ადრევე დაწყებულ არქივების სახელმწიფოებრივ ცენტრალიზაციის იდეას.

ამ პერიოდების მიხედვით განვიხილოთ მოკლედ გერმანიის არქივების თანდათანობითი განვითარებისა და ჩამოყალიბების ფაზები.

1. ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ საშუალო საუკუნეების დასაწყისიდან, ვიდრე საქალაქო ცხოვრება განვითარდებოდა, არქივთსაცავად გერმანელებს უმთავრესად ეკლესია-მონასტრები და ფეოდალების ციხე-კოშკები ჰქონდათ. ესენი ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ, რა თქმა უნდა, პრიმიტიულ ტიპის არქივთსაცავებად ისევე, როგორც პრიმიტიული იყო მთელი მაშინდელი ნატურალურ მეურნეობაზე აშენებული კულტურა. ამის გამო პირველ პერიოდში არქივზე, როგორც ასეთზე, ლაპარაკი არც შეიძლება.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც გერმანიაში ფეოდალურ არტახებისაგან განთავისუფლებული ქალაქი, ქალაქის კომუნა, პოლიტიკურ დამოუკიდებლობის მოპოებასთან ერთად, კულტურულ ცხოვრების ცენტრად და, მაშასადამე, სახელმწიფოებრივ ცხოვრების მნიშვნელოვან ფაქტორად გადაიქცა,

—მდგომარეობაც საერთოდ და კერძოდ საარქივო საქმის დარგშიც შეიცვალა. ამ დროის ქალაქები, რომელნიც ფედერატიულ საფუძველზე გაერთიანებულ თავისებურ სახელმწიფოებს წარმოადგენდენ[1], იმავე დროს საკანონმდებლო ცენტრადაც გადაიქცენ, საიდანაც სხვადასხვა გვარი განკარგულებები და წესები იცემოდა ხოლმე.

ქალაქის რთული ფინანსიური ცხოვრება მოითხოვდა ერთის მხრივ ხაზინისა, ხოლო მეორეს მხრივ სასამართლოს მოწყობას. ამასთან დაკავშირებით-კი ქალაქის ყოველდღიურ საქმიანობისა და თავისი ფუნქციების შესრულების შედეგად მრავალი საბუთი წარმოიშვა: ქალაქის საბჭოს დადგენილებები, სასამართლოს პროცესების ოქმები, სავაჭრო ხასიათის ქაღალდები, დიპლომატიური მოხსენებები, ქალაქთა და ქალაქთა კავშირების ყრილობების ოქმები და სხვა.

ყველა ამ საბუთებს ქალაქი ინახავდა მხოლოდ პრაქტიკული საჭიროებისათვის, ხოლო ამ საჭიროების განვლის შემდეგ ეს საბუთები ქალაქს აღარ ესაჭიროებოდა. ამისათვის ამ დროის არქივი ჯერ კიდევ არ შეიძლება იწოდოს არქივად, ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით: იგი, როგორც ნათქვამი იყო, უფრო რეგისტრატურა იყო, ვინემ არქივი. ამისდა მიუხედავად ქალაქს თავისი არქივისათვის ცალკე ბინა ჰქონდა მოწყობილი.

მაგრამ საბუთების შენახვისა და დაცვის პირობები ყველგან ერთნაირი არ იყო. ასე, მაგ., კელნში—საბუთების დასაწყობად მიჩენილი იყო ოდნავ გადახურული ეზო; ლიუბეკში—საბუთებს საგანგებო საკანში ინახავდენ; საკანი ადგილობრივ საკრებულო ტაძრის შენობაში იმყოფებოდა და დანარჩენი ოთახებისაგან რკინის კარით იყო გამიჯნული. სხვა ქალაქებში კიდევ არქივებს ჩვენ ვხედავთ რატუშის შენობაში, ე. წ. Briefkammer-ში.

[1] ასეთები იყო, მაგ., რეინის, განზის და ქალაქთა სხვა კავშირები.

საერთოდ ამ დროს არქივსა და კანცელარიას შორის არ არის არსებითი განსხვავება: არქივი კანცელარიის საწყობია და ამ საწყობს განაგებს იმავე კანცელარიის რომელიმე მოხელე; არქივარიუსის თანამდებობა ჯერ კიდვ არ არსებობს. ერთი სიტყვით, არქივი ჯერ არ არის ცალკე დაწესებულება, ის დაწესებულების ერთი ნაწილის, კანცელარიის, დამატებაა.

ამ დროის აღწერები ერთობ პრიმიტიულადაა შედგენილი და წარმოადგენენ უფრო იმ სკივრისა ან უჯრის აღწერას, სადაც საბუთებია შენახული, ვიდრე თვით ამ საბუთების აღწერას. საბუთების რეგისტრაცია სწარმოებს ასოების მიხედვით და მდგომარეობს იმაში, რომ აღნიშნული არის, თუ რომელი საბუთი სად არის დაბინავებული[1]. არქივში შესვლა არ არის თავისუფალი, რადგან იგი ზოგჯერ ისეთ საბუთებსაც შეიცავს, რომელიც საიდუმლოდ უნდა იყოს შენახული გარეშე პირთათვის, ყოველ შემთხვევაში განსაზღვრულ დრომდე მაინც.

2. მე-XV-XVI სს-ში მდგომარეობა საკმაოდ შეიცვალა. თუ საფრაეგეთში ამ ხანებში სახელმწიფოებრივი ცხოვრება ეწყობოდა ცენტრალიზაციის გავლენის ქვეშ, გერმანიაში, პირიქით, ძლიერი დეცენტრალიზაციის ტენდენცია კითარდებოდა. ამ ტენდენციამ გერმანია მიიყვანა დაშლამდე და მთელ რიგ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულების წარმოშობამდე: გერმანია დაიყო მრავალ სამთავროებად, რომელნიც ამავე დროს იყვნენ ცალკე კულტურული ერთეულებიც.

ამ ერთეულებს შორის უკმაყოფილება და დავა ხშირი მოვლენა იყო, ხოლო ამასთან დაკავშირებით თავის უფლებების დასაცავად თვითეულ მათგანს საბუთი სჭირდებოდა. ამით საბუთებს ერთის მხრივ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ხოლო მეორეს მხრივ, მათი რიცხვიც მატულობდა.

---

[1] მაგ., ასე, ამა და ამ ჰერცოგის სიგელი, ეთქვათ, B ასოს ქვეშ აღნიშნულია, დევს, ოთახის მარცხენა კუთხეში და სხვა.

ამ გარემოებას ხელს უწყობდა სხვადასხვა ქვეყნებიდან, განსაკუთრებით კი იტალიიდან, შემოჭრილი ჰუმანისტური იდეები, რომელნიც სხვათა შორის ფეოდალურ პრინციპების წინააღმდეგაც იყვნენ მიმართული.

ამ იდეებთან ერთად წერილობითი ძეგლებისადმი მეტი პატივისცემისა და მათი მნიშვნელობის შეგნებაც შემოვიდა. ამავე დროს ფეხი მოიკიდა რომის სამართალმაც, ვითარცა სახელმწიფოებრივი მმართველობის იურიდიულ ნორმების საფუძველმა.

ფეოდალიზმს თანდათან ნიადაგი ეცლებოდა და მის მაგიერ აბსოლიუტიზმის ტენდენციებს ეყრებოდა საფუძველი. გერმანია, როგორც ვამბობდით, სამთავროებად იყო დაყოფილი, მაგრამ თვითეული ამ მონარქიის მეთაური — მთავარი თავის ფეოდალების დამორჩილებასთან ერთად ცდილობდა ხელში ჩაეგდო მოწინააღმდეგის საბუთები და ეს საბუთები მას გადმოჰქონდა თავის არქივში, რომელიც ჩვეულებრივად სამთავროს ცენტრში იყო მოთავსებული. ამ რიგად საფუძველი ეყრებოდა სამთავროს არქივს ან, რაც იგივეა არსებითად, სამეფო არქივს. წარმოიშვა არქივი უკვე თანამედროვე მნიშვნელობით. იგი ამავე დროს მთავრობის და არა კერძო პირთა ან ორგანიზაციათა (ფეოდალების, ეკლესია-მონასტრების, ქალაქისა და ქალაქთა კავშირების) ხელშია, როგორც ეს იყო პირველ პერიოდში.

ამასთან დაკავშირებით არქივი უფრო მეტ ყურადღებას იქცევდა და განსაკუთრებულ მბრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა. მთავრის სასახლეში მას მეტად საიმედო და ამასთანავე საიდუმლო ადგილი ჰქონდა მიჩენილი. არქივის საიდუმლოდ შენახვას საფუძვლად ედვა არა კომერციული მოსაზრება, როგორც ეს წინად იყო, არამედ პოლიტიკური. არქივი, რა თქმა უნდა, კანცელარიისაგან გაიმიჯნა და მას სათავეში საგანგებო მოხელე არქივარიუსი ჩაუდგა.

ამავე ხანებში ჩვენ ვხედავთ საარქივო საქმის თეორეტიკული დასაბუთების ზოგიერთ ცდებსაც[1]. პარალელურად მუშავდებოდა საარქივო მმართველობის წესებიც. ამ მხრივ საყურადღებოა ბავარიის 1586 წლის სტატუტი, რომელიც შეიცავს არქივარიუსის მოვალეობათა დაწვრილებითი რეგლამენტს. ამ სტატუტის თანახმად არქივარიუსის მოვალეობაში შედიოდა: არქივის შენობისათვის ყურადღების მიქცევა; იქ მოთავსებულ საბუთების მოვლა-პატრონობა; არქივში მასალების წესიერად მიღებისათვის თვალყურის დევნება და სხვ. იგი ვალდებული იყო მისულიყო არქივში და უშუალოდ გასცნობოდა მის მდგომარეობას. მასვე ებარა შენობის გასაღებიც. არქივარიუსის მოვალეობაში შედიოდა აგრეთვე საბუთების აღწერების შედგენა, მოწესრიგება, მტვერისაგან და სინესტისაგან მათი დაცვა და სხვა.

არქივის განვითარებასთან ერთად საბუთების დაცვისა და სისტემატიზაციის უფრო რაციონალური წესები მუშავდებოდა. საბუთები უკვე აღარ ინახებოდა სკივრსა და ყუთებში, როგორც წინად, არამედ შკაფებში. ნუმერაცია წინანდებურად ასოების მიხედვით სწარმოებდა, მაგრამ შემოვიდა საგანგებო ე. წ. „შვიდფერიანი ალფაბეტი“ საარქივო მასალების მასაში მეტი გარკვეულობის შეტანის მიზნით. ამავე ხანებში ჩვენ ვხედავთ არქივების სწორი აღწერების ცდებსაც, როგორიცაა, მაგ., ლორენცო ფრიზის მიერ შედგენილი ვიურცბურგის არქივის აღწერა.

3. ოცდაათწლიან ომის დაწყებასთან ერთად იწყება გერმანიის არქივების დაკნინების ხანაც, რომელიც თითქმის მე-XIX ს. პირველ მეოთხედამდე გრძელდება. მთელი მე-XVII—XVIII

[1] ასე, მაგალითად, მე-XV საუკუნის დასასრულში yac. von Ramingen-ი სწერს: „Abhandlung von der Registratur und summarischer Bericht... von etlichen fürtrefflichen Nutzbarheiten, welche aus Ausstellung und Haltung einer ganz Vollkommenen Registratnr entstehen“.

ს.ს. სიგრძეზე გერმანია მუდმივი ვარეშე საფრთხის წინაშე იმყოფებოდა და ეს გარემოება განადგურებას უქადდა არქივებსაც. მუდმივი ომები და მასთან დაკავშირებით პოლიტიკური ხასიათის მოვლენები შეუძლებელს ხდიდა გერმანიისათვის დამშვიდებულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას და კერძოდ კულტურულ აღმშენებლობასაც. მაგრამ ამავე დროს დროგამოშვებით სდგებოდა ისეთი მომენტებიც, როდესაც ასეთი დადებითი მუშაობისათვის ხელსაყრელი პირობები იქმნებოდა, და უკულმართ მოვლენებით გამოწვეულ დეფექტების გამოსწორებაც შესაძლებელი ხდებოდა. არქივისათვის ამ პერიოდში ცვალებადი პირობებია: ხან ხელსაყრელი, ხან კიდევ არა ხელსაყრელი.

თუ ერთის მხრივ ომები შეუძლებელს ხდიდა წყნარ ცხოვრებასა და დადებით მუშაობას, მეორეს მხრივ ამავე მოვლენების შედეგად ფართოვდებოდა გერმანიის პოლიტიკური ინტერესები: გერმანიაც მონაწილეობას იღებდა მსოფლიო პოლიტიკაში. ხოლო ეს გარემოება აუცილებელს ხდიდა გერმანიის წარსულის შესახებ არქივებში დაცულ საბუთების მეოხებით საჭირო ცნობების შეკრეფას. ამით-კი საბუთებსა და მათი საცავებს საერთოდ მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ეს საბუთები და საბუთთასაცავები ამ ხანაში მეფეების ხელში იყო. არქივი სასახლის დაწესებულება იყო და, რაკი მეფეები თუ მთავრები ცდილობდენ ყველაფერში საფრანგეთის „მზე მეფისთვის“ ლიუდოვიკო მე-XIV-სთვის მიებაძათ, ამიტომ გერმანიაშიც საფრანგეთის მსგავსად სამეფო არქივს ან უკეთ მის ჩანასახს საფუძველი ჩაეყარა. ეს არქივი შეიცავდა მეფეთა პირად და საგვარეულო საბუთებს; იმავე დროს იგი იყო დიპლომატიური ურთიერთობის საბრძოლველი იარაღის,—საერთაშორისო მნიშვნელობის საბუთების — არსენალიც.

ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ ამ მესამე პერიოდშიც არქივებს უმთავრესად პრაქტიკული თვალსაზრისით აფასებდენ. ეს

თვალსაზრისი მაშინდელ გერმანიის პირობების მიხედვით სამ მომენტს ჰგულისხმობდა: მეფეებისა და მისი საგვარეულოს პირადი ინტერესებს, სახელმწიფოს, როგორც ასეთის, პოლიტიკურ და დიპლომატიურ საჭიროებებს და ქვეყნის შინაგან მართვა-გამგეობისა და ყოველდღიური ცხოვრების იურიუდიულ-კულტურულ მოთხოვნილებებს.

ამასთან დაკავშირებით მე-XVII—XVIII ს.ს. სიგრძეზე თანდათან ჩამოყალიბდა არქივების სამი ძირითადი ტიპები: 1) სასახლის არქივი, ე. წ. Hausarchiv ან Hofsarchiv, სადაც მეფის პირადი და მისი საგვარეულოს საბუთები იყო შენახული; 2) სახელმწიფოს არქივი, ე. წ. Staatsarchiv, სადაც სახელმწიფო და დიპლომატიური მნიშვნელობის აქტები ინახებოდა; და 3) ე. წ. Landesarchiv, სადაც ქვეყნის შინაგანი მართვა-გამგეობის საბუთებს ინახავდენ.

ამათში ყველაზე უფრო მეტი ყურადღებით Hausarchiv სარგებლობდა; ხოლო ყველაზე ნაკლებით—Landesarchiv. ეს გარემოება ხელს უწყობდა სამეფო არქივის განვითარებასა და გაფართოებას. მეფეები ცდილობდენ თავიანთი არქივი, რაც შეიძლება, უკეთ მოეწყოთ და იქ წესრიგი დაემყარებიათ. ასე, მაგ., კურფიურსტმა კარლოს თეოდორემ 1786 წელს განკარგულება გამოსცა, რომ მის Hausarchiv-ში მოეხდინათ სიგელების განცალკევება აქტებისაგან, ძველი აღწერების განახლება, საბუთების წესრიგში მოყვანა და სხვა. მის ინსტრუქციაში აღნიშნული იყო წესები, თუ როგორ უნდა ინახებოდეს საბუთები, როგორ უნდა სდგებოდეს აღწერები ცენტრში და პროვინციაში და სხვა.

არქივების ორგანიზაციულად და მათი გარეგნულ ფორმების ჩამოყალიბებასთან ერთად ჩვენ ვხედავთ საარქივო ცხოვრების შინაგანი პირობების გაუმჯობესების ცდასაც. საბუთის იურიდიულ-პრაქტიკულ მნიშვნელობის შეგნებასთან ერთად, მისი მეცნიერული მნიშვნელობის შეგნებაც გაჩნდა: საარქივო საბუთები ისტორიულ კვლევა-ძიებისა და შესწავლის ობიექტი გახდა.

თვით საარქივო საქმეც აინტერესებდა მეცნიერებას და იგი მისთვის თეორეტიულ საფუძვლებსაც ეძებდა. თუ მე-XV-XVI ს-ში ადგილი ჰქონდა ამ მიმართულებით მეტად სუსტ ცდას, ამ ხანაში მოიპოვება მთელი რიგი შრომებისა, რომელნიც არქივებისა და საარქივო საქმისადმია მიძღვნილი. ასეთი შრომებია, მაგალითად: Fladt-ის „Registraturwissenschaft" (1765 წ.), Bachmann-ის „Ueber Archive, deren Natur und Eigenschaften (1801 წ.), Zinkernagel-ის „Handbuch für angehende Archivare" (1802), Oegg-ის „Ideen einer Theorie der Archivwissenschaft" (1804) და სხვა. საფუძველი ეყრება დამხმარე საისტორიო დისციპლინას —არქივთმეცნიერებას.

მაგრამ, როგორც ნათქვამი გვქონდა, ამ პერიოდში მომხდარ ამბებს უფრო უარყოფითი და საბედისწერო მნიშვნელობა ჰქონდათ არქივებისათვის, ვიდრე დადებითი. მე-XVII-XVIII ს. გერმანიის არქივების ისტორია —ეს მათი ევაკუაციის და რეევა კუაციის ისტორიაა. ამ გადატანა-გადმოტანის დროს ნაწილი ფრიად მნიშვნელოვან არქივებისა დაიღუპა. ასე, მაგ., 1681 წელს სტრასბურგის დარბევის დროს არქივი ფრანკფურტში გადაიტანეს, ხოლო შემდეგ კვლავ უკან დააბრუნეს, და ამ დროს მრავალი ფრიად საყურადღებო საბუთები დაიღუპა. 1689 წელს ფრანგების მიერ შპეიერის აღების შემდეგ ადგილობრივი არქივი ფრანგების ხელში გადავიდა, ხოლო რისვიკის ზავის თანახმად ეს არქივი კვლავ გერმანიას დაუბრუნდა, მაგრამ უკვე დაქუცმაცებული და დაზიანებული[1].

1792 წელს, ე. ი. უკვე საფრანგეთის რევოლიუციის ხანაში, ფრანგების ჯარების შემოსვლის დროს მაინციდან არქივის ნაწილი გადატანილ იქნა ამსტერდამში, ხოლო 1793 წელს კვლავ უკან დააბრუნეს. მაინციდან ამსტერდამში გადატა-

[1] ქ. ტულის, მეცისა და ვერდეხის საარქივო მასალები საფრანგეთს დარჩა. შემდეგ 1782 წელს ამ მასალების ნაწილი ქ. ვეცლარში, ნაწილი კიდევ აშაფენბურგში იქნა დაბინავებული.

ნის შემდეგ იქ დარჩენილი არქივის ნაწილი მთლიანად დაიღუპა.

1795 წელს ეს არქივი ვიურცბურგში და პრაგაში იქნა გადატანილი, ხოლო 1797 წელს კვლავ მაინცში დააბრუნეს. 1812 წელს მაინცის არქივი ხელმეორედ, თუ მესამედ გერმანიას დაუბრუნდა და დაბინავებულ იქნა ქ. ფრანკფურტში.

1815 წელს, გერმანიის კავშირის დაარსების შემდეგ ამ არქივის ნაწილი ავსტრიამ მიითვისა, და ამის შემდეგ ის დღემდის ვენაში იმყოფება, ხოლო მეორე ნაწილმა კვლავ ვიურცბურგში ამოყო თავი, სადაც იგი ბავარიის სხვა არქივებთან ერთად დღესაც იქ იმყოფება, რა თქმა უნდა, საგრძნობლად დაზიანებული და დაქუცმაცებული.

4. მე-XIX საუკუნიდან გერმანიის არქივების ისტორიაში იწყება მეოთხე, უკანასკნელი პერიოდი. ამ პერიოდში გერმანიის არქივები საფრანგეთის რევოლიუციის მიერ წამოყენებულ ცენტრალიზაციის იდეის გავლენის ქვეშ ვითარდებოდენ. საფრანგეთის რევოლიუციის შემდეგაც გერმანია კვლავინდებურად მონარქიად დარჩა, მაგრამ იგი ცდილობდა ახალი ეპოქიდან შეეთვისა სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობის გაუმჯობესებული ტეხნიკა. მართვა-გამგეობის ძველი ტრადიციების შენახვის მისწრაფებამ და ამავე დროს ახალი ტეხნიკის შეთვისების სურვილმა მე-XIX ს. პირველ ნახევრის გერმანია ტიპიურ ბიუროკრატიულ ქვეყანად გადააქცია. ამ გარემოებამ კი ერთობ გაამრავლა საარქივო მასალების რიცხვი და წამოაყენა საკითხი ახალი საბუთების ბედ-იღბალის შესახებ.

მეორეს მხრივ ამავე ხანებში ახალგაზრდა მეცნიერის ლეოპოლდ რანკეს სამეცნიერო მოღვაწეობით გერმანიაში საფუძველი ჩაეყარა ახალ მიმართულებას ისტორიაში. ეს მიმართულება ძირიანად სცვლიდა წინანდელ შეხედულებას არქივსა და საარქივო მასალაზე. რანკეს სკოლის მიერ შემოღებული და შემდეგში განმტკიცებული მეთოდი ისტორიოგრაფიაში პირველ რიგში იყენებდა საარქივო მასალას, ვითარცა

საისტორიო მეცნიერების ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და სანდო წყაროს.

ამ გარემოებასთან დაკავშირებით გერმანიაში თანდათან უფრო მეტად მოიკიდა ფეხი არქივების მეცნიერულ მნიშვნელობის შეგნებამ, ხოლო მეორეს მხრივ თვით არქივისა და საარქივო საქმის მეცნიერულ ნიადაგზე დაყენების სურვილმაც. მთავრობა ცდილობდა გაუმჯობესებანი შეეტანა არქივებისა და საარქივო მმართველობის ორგანიზაციაში და ამ მიზნით გამოეყენებინა გერმანიის სამეცნიერო ძალები უნივერსიტეტებიდან.

მე-XIX ს. მეორე ნახევრიდან იწყება გერმანიის პოლიტიკური ორგანიზმის გადაკეთების ახალი პერიოდი, რის შედეგად გაჩნდა ახალი გერმანიის იმპერია. გერმანიის იმპერიის ჩამოყალიბების პროცესში მომხდარ ცვლილებებმა (მაგ., ავსტრიის ჩამოშორება გერმანიისაგან, ჰანოვერის საკურფიურსტოს მოსპობა, პრუსიისა და ბავარიის საზღვრების შეცვლა და სხვა) გამოიწვია გერმანიის თვითეულ სახელმწიფოებში არქივების სისტემატიზაციის აუცილებლობა. ახალ გერმანიის იმპერიამ Reichstag-ით სათავეში მაინც ვერ შექმნა არსებითად ერთიანი საიმპერიო არქივი, ვიდრე 1918 წლის რევოლიუციამ კვლავ არ შესცვალა გერმანიის პოლიტიკური ორგანიზმი. მხოლოდ 1920 წელს დაარსდა გერმანიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი.

ცენტრალური სახელმწიფო არქივის დაარსებას, რა თქმა უნდა, წინ უსწრებდა გერმანიის თვითეულ სახელმწიფოში არქივების ცენტრალიზაცია და ახალ საფუძველზე მოწყობა ამა თუ იმ სახით.

როგორ ჩამოყალიბდა თვითეულ ამ სახელმწიფოებში არქივების ორგანიზაცია? ამ ორგანიზაციის პროცესი უფრო დამახასიათებელ თვისებებს ბავარიასა და პრუსიაში ატარებდა. ამ ქვეყნებში შემუშავდა თანამედროვე გერმანიის არქივების ტიპი და ამიტომ განვიხილოთ ეს ორი ქვეყანა: ჯერ ბავარია, შემდეგ—პრუსია.

ბავარიაში სახელმწიფო არქივის პროტოტიპი არსებობდა ჯერ კიდევ მე-XIV საუკუნეში. იქ ინახებოდა წყალობის წიგნები, ნასყიდობის წიგნები, ხელშეკრულებები და სხვა საბუთები. არქივის გასაღები ჰქონდა ზემო ბავარიის ჰერცოგს მიუნხენში და ქვემო ბავარიის ჰერცოგს ლანდეგუტში. თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას აძლევდენ ამ არქივს მაშინ, სჩანს იქიდან, რომ ჰერცოგი ვილჰელმი მე V-ე ამ არქივს თავის „მთავარ საგანძურს“ უწოდებდა. შემდეგში ბავარიაში, ისევე როგორც საერთოდ გერმანიაში, ჩვენ ვხედავთ Hausarchiv, Staatsarchiv და Landesarchiv-ს. მაგრამ მათ შორის პირველ ხანებში Landesarchiv უფრო დაწინაურებულია.

ბავარიის არქივის ისტორიის უკეთესი ხანა დაკავშირებულია მ ო ნ ე ე ლ ა ს მოღვაწეობის ეპოქასთან. მ ო ნ ე ე ლ ა მ მიზნად დაისახა მოეხდინა ბავარიის არქივების ცენტრალიზაცია. ამ მიზნით საარქივო საქმის სათავეში დანიშნულ იქნა სამართლისა და ისტორიის პროფესორი Gottfried Krepper, მაგრამ მან, სამწუხაროდ, როგორც საარქივო საქმეში არა სპეციალისტმა, ვერ შესძლო საქმის გაძღოლა და იმედები ვერ გაამართლა: მის დროსაც ვერ მოხერხდა ერთიან სისტემის შემოღება საარქივო საქმეში და ძველი დაყოფა Haus—Staats—და Landesarchiv-ად ისევე დარჩა. ამასთანავე მათ შორის მასალების განაწილების პრინციპი კიდევ უფრო აირია ისე, რომ მასალების კლასიფიკაცია შეუძლებელი შეიქნა.

მხოლოდ კ რ ე პ ე რ ი ს თანამშრომლის—არქივისტი Sammet-ის თავგამოდებული მოღვაწეობის წყალობით შესაძლებელი შეიქნა Landesarchiv-ისათვის რაციონალური წესების შემუშავება და მათი ცხოვრებაში გატარებაც. ამ გარემოებამ გაანცალკევა Landesarchiv-ი სხვა არქივებისაგან და მას მათ შორის პირველი ადგილი მიაკუთვნა. 1808 წელს Landesarchiv-ს საერთო სახელმწიფო არქივი—Allgemeiner Reichsarchiv დაერქვა. ამავე ხანებში არქივის დირექტორი Lange ცდილობდა არქივების გაერთიანება მოეხდინა და ისინი

Reichsarchiv-ისთვის დაემორჩილებია, მაგრამ ამ ცდას რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

1812 წელს ბავარიაში შემუშავდა ახალი სტატუტი, რომლის თანახმად Haus და Staatsarchiv-ები კვლავინდებურად დამოუკიდებელ არქივებად დარჩენ, ხოლო Reichsarchiv-ს დაემორჩილენ ადგილობრივი არქივები, ან უკეთ, არქივთსაცავები,—ამიერიდან Archivconservatorium-ად წოდებულნი. ამ გარემოებით არქივების ცენტრალიზაციისა და ერთიანი სისტემის შემოღების საქმეში თითქოს კიდევ მეტი გაურკვევლობა იქნა შეტანილი. ამ დეფექტის ვითომ შესასწორებლად და მასში კორექტივის შესატანად Lange დაინიშნა სამივე ამ არქივის დირექტორად. 1815 წელს საერთო დირექტორის ნაცვლად დაინიშნა ყველა სამინისტროების საერთო საარქივო საქმეთა სამმართველო (Ministerialarchivs-Kommission), რომელიც სამივე არქივების სათავეში მდგომ მმართველებისაგან შესდგებოდა და მათ მოქმედებას აერთიანებდა.

1825 წელს ეს გარეგნული გაერთიანებაც დაიშალა, და ამის ნაცვლად არქივები სხვადასხვა უწყებათა შორის დანაწილდა: Haus და Staatsarchiv-ი გარეშე საქმეთა სამინისტროს გადაეცა, ხოლო Reichsarchiv-ი—შინაგან საქმეთა სამინისტროს. მაგრამ არქივების ცენტრალიზაციის ტენდენცია საესებით არ წარხოცილა, და 1830-იან წლებში,ლიუდვიგ I-ის დროს ჩვენ ვხედავთ არქივების კვლავ გაერთიანების ცდას. ამიერიდან Haus და Staatsarchiv-ის გავლენის სფერო თანდათან Reichsarchiv-ის სასარგებლოდ ვიწროვდება. ამავე ხანებში საფუძველი ეყარება მეფის ბიბლიოთეკისა და მთლიან საყოველთაო არქივის (Allgemeines Archivsgebäude) შენობას. განზრახულია სამივე არქივის ერთ შენობაში მოთავსება.

მეორეს მხრივ ამავე ხანებში ჩვენ ვხედავთ საარქივო გამომცემლობის გაფართოებას. უკვე მე-XVIII ს. მეორე ნახევრიდან გამოდის Monumenta Boica, რომელიც განაგრძობს

გამოსვლას მთელი მე-XIX საუკუნის სიგრძეზე. 1850 წელს დაარსებული „საგანგებო საარქივო კომისია“, რომელიც 1858 წელს გერმანიის საბუთების საგამომცემლო კომისიად გადაკეთდა (Kommission für Deutsche Geschichte und Quellenforschung), ამ მიმართულებით მოღვაწეობას კიდევ უფრო მეტის ენერგიით განაგრძობს. იგი სხვათა შორის სცემს: 1) „Quellen und Erörterungen zur bayrischen Geschichte,“ 2) „Monumenta Wittelbazensia“ და სხვა. 1850 წლებში ბავარელ იურისტები და ისტორიკოსები სცემენ „Bayrische Geschichtsquellen“-ს. 1881 წლიდან გამოსვლას იწყებს ჟურნალი „Archivalische Zeitschrift“, Landesarchiv-ის დირექტორის, ცნობილ არქივისტის Löher-ის თაოსნობით; ცოტა დაგვიანებით (1890 წ.) იბეჭდება იმავე Löher-ის მეტად საყურადღებო შრომა „Archivlehre“, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

მეცნიერულ მნიშვნელობასთან ერთად ბავარიაში არქივებს, როგორც სახელმწიფო დაწესებულებათ, რა თქმა უნდა, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდათ მიკუთვნებული. ასეთი მნიშვნელობა, რომელიც მას დღემდის შერჩა, დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ ბავარიის არქივებში ისტორიულ საბუთებთან ერთად პრაქტიკული ხასიათის საბუთებიც ინახება. ამიტომ ბავარიის არქივების მოვალეობაში შედის რა მარტო საისტორიო მეცნიერებისა და მკვლევარის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, არამედ სახელმწიფო დაწესებულებათა და კერძო პირთათვის საჭირო ცნობების გაცემაც.

საარქივო კანონების თანახმად ყველა სახელმწიფო დაწესებულება ვალდებულია გამოითხოვოს დასკვნა ყველა იმ საკითხების შესახებ, რომელიც საარქივო მასალასთან არის დაკავშირებული, არა სასამართლოსა და ადმინისტრაციის მოხელეებისაგან, არამედ არქივისტებისაგან. როდესაც მთავრობის რომელიმე დაწესებულებაში წამოიჭრება საკითხი წინანდელ კანონის შესახებ, ან რომელიმე სახელმწიფო თუ

კერძო ინსტიტუტისა და პიროვნების უფლებების შესახებ, ეს დაწესებულება ვალდებულია შეკითხვა გაუგზავნოს მთავარ სახელმწიფო არქივს და მისგან გამოითხოვოს სათანადო დასკვნა. არქივი თავის მხრივ ვალდებულია შეაგროვოს ყველა ცნობები, რომელიც ამ საკითხს შეეხებიან, და თავისი დასკვნითურთ, — თუ რამდენად მნიშვნელოვანია მიწოდებული ცნობები საკითხის გამოსარკვევად, — წარუგზავნოს შემკითხველ დაწესებულებას.

ბავარიის არქივისტების დანიშნულებას მარტო საარქივო მასალების მოვლა-პატრონობა და მათი სისტემაში მოყვანა კი არ შეადგენს, როგორც ეს საერთოდ არის, არამედ ისინი იმავე დროს არიან ერთგვარი ექსპერტები სასამართლო, ადმინისტრატიულ და საკანონმდებლო ხასიათის იმ საკითხებში, რომელთა შესწავლისთვის საჭიროა საარქივო მასალა. ამგვარ შემთხვევებში, შემოღებულ წესების თანახმად, არქივისტები ვალდებული არიან გამოარკვიონ შეკითხვის შინაარსის მიხედვით, თუ რა მიზნით არის საჭირო საარქივო მასალა, და მხოლოდ ამის შემდეგ გამოარკვიონ საკითხი მათ განკარგულებაში მყოფ საბუთების მიხედვით. პასუხის გაცემის დროს სისწორით უნდა იყოს აღნიშნული, შეიძლება თუ არა წამოჭრილ საკითხის შესახებ გაიცეს დადებითი ან უარყოფითი პასუხი, თუ შეკითხვა დატოვებულ უნდა იქნეს იქვის ქვეშ. სამივე შემთხვევაში დასკვნა დადასტურებულ უნდა იყოს სათანადო საბუთებით.

როგორია ყოველდღიური ჩვეულებრივი საქმიანობა ბავარიის არქივისა, როგორც დაწესებულებისა? საარქივო მასალების დაცვა ცეცხლისა, სინესტისა და გატაცებისაგან, მათი სისტემატიზაცია და აღწერა, კათალოგებისა და მაჩვენებლების შედგენა, კერძო პირთა და დაწესებულებებისათვის ცნობების გაცემა, მკვლევართათვის საჭირო საბუთების მიწოდება და სხვა — აი ის ჩვეულებრივი საქმიანობა, რომელსაც არქივი ეწევა. ამას გარდა, რაკი მთავარ სახელმწიფო არქივს Reichs-

archiv-ს საოლქო არქივები, ე. წ. Kreisarchiv-ები ექვემდებარებიან, ამიტომ იგი ვალდებულია ხელმძღვანელობა გაუწიოს მათ: Reichsarchiv-ს ევალება მუდმივი საინსპექტორო და სარევიზიო მეთვალყურეობა და ადგილობრივად საქმის გამორკვევა. თავის მხრივ Kreisarchiv-ები ვალდებული არიან Reichsarchiv-ს გადმოუგზავნონ თავიანთი აღწერების პირები და აგრეთვე, პერიოდიულად, მუშაობა—მოქმედების წერილობითი ანგარიშები. Reichsarchiv-ს, ვითარცა მთელი ბავარიის საარქივო საქმის სათავეში მდგომ დაწესებულებას, უშუალო ურთიერთობა აქვს სამინისტროებთან, თუმცა თვითონ საგარეო საქმეთა სამინისტროს ემორჩილება.

რაც შეეხება ბავარიის არქივებში მუშაობის პირობებს, საჭიროა აღინიშნოს შემდეგი. ბავარიის არქივებში სამეცნიერო მუშაობისათვის გარეშე პირთ ნებართვას თვით დირექცია აძლევს, ხოლო ცნობების მისაღებად საჭირო არის სათანადო სამინისტროს ნებართვა. არქივთსაცავში შესვლა მხოლოდ შტატის მოსამსახურეს შეუძლია. დანარჩენი თანამშრომლების დაშვება-კი შეიძლება იმ შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია და მაშინაც შტატის მოსამსახურის თანხლებით. სრულიად აკრძალულია თამბაქოს მოწევა და ცეცხლით სარგებლობა არა მარტო სამეცადინო დარბაზში და არქივთსაცავში, არამედ თვით ადმინისტრაციისა და მოსამსახურეთა ოთახებშიც.

აღსანიშნავია, რომ საარქივო კანონების მიხედვით, არც ერთ სახელმწიფო დაწესებულებას არა აქვს უფლება მოსპოს საარქივო საბუთები და საქმეები, რაც უნდა უმნიშვნელო იყვნენ ისინი. ასეთი შემთხვევისათვის, ე. ი. საქმეების მოსასპობად, საჭიროა საარქივო უწყების საგანგებო ნებართვა. დაწესებულებებს ევალებათ ყველა ის საბუთები, რომელთაც ნათთვის მნიშვნელობა აღარ აქვთ, გადასცენ სახელმწიფო არქივს. კერძო დაწესებულებათ თუ ორგანიზაციებსაც შეუძლიანთ იშუამდგომლონ სახელმწიფო არქივის წინაშე, რათა

მათ ნება მიეცეთ თავიანთი (პრაქტიკულ საჭიროებას მოკლებული) საბუთები სახელმწიფო არქივს გადასცენ.

დასასრულ, საჭიროა ორიოდე სიტყვა ითქვას საარქივო სწავლა-განათლებისა და მომზადების საკითხის შესახებ ბავარიაში.

თავისთავად ცხადია, რომ განახლებულ ბავარიის არქივებისათვის აუცილებელია შესაფერისად მომზადებული მოსამსახურეებიც, მით უფრო, რომ მათ დაკისრებული აქვთ საკუთრივ საარქივო მუშაობის გარდა ერთგვარი ექსპერტისა და ზოგჯერ მსაჯულის ფუნქციებიც.

არქივისათვის კვალიფიციური ძალების შექმნის შესახებ საკითხი დიდი ხანია, რაც ბავარიის სათანადო ორგანოთ აინტერესებდათ; მაგრამ ეს საკითხი უფრო გარკვევით Löher-მა წამოაყენა მას შემდეგ, რაც ის 1864 წელს Reichsarchiv-ის დირექტორად დაინიშნა. Löher-ი საარქივო სამსახურისათვის საერთოდ სავალდებულოდ სთვლიდა სპეციალურ მომზადებას, ხოლო Reichsarchiv-ში სამსახურისათვის მას დაწესებული ჰქონდა საგანგებო გამოცდა. ბოლოს მან კიდევაც შექმნა არქივთმცოდნეობის თავისი სკოლა. ამ სკოლის შეხედულებებმა გამოხატულება ჰპოვეს მის ზემოდაღნიშნულ შრომაში „Archivlehre“-ში.

უკანასკნელ ხანებში ბავარიის უნივერსიტეტებში გამოყოფილ იქნა საარქივო-საისტორიო მეცნიერებათა ციკლი. ვისაც სურს საარქივო სამსახური, ვალდებულია ეს საგნები შეისწავლოს. ამ ციკლში სხვათა შორის შედის არქივთმეცნიერება, პალეოგრაფია, სამართლის წყაროთა ისტორია და სხვა. საარქივო მოხელის თანამდებობაზე ინიშნება მხოლოდ იურისტები, რომელთაც დამატებით ენათმეცნიერება და პალეოგრაფია აქვთ შესწავლილი. პრაქტიკანტები სახელმწიფოსაგან საგანგებო სუბსიდიას ღებულობენ. თუ პრაქტიკანტს სურს მიიღოს სახელმწიფო არქივში შტატიანი ადგილი, ვალდებულია დაიჭიროს გამოცდა კომისიაში, რომელიც დირექ-

ტორისა და მის მიერ დანიშნულ არქივისტებისაგან შესდგება. გამოცდის შემდეგ მან უნდა წარუდგინოს დირექტორს სამეცნიერო შრომა, ნიშნად ისტორიული, პალეოგრაფიული და ლინგვისტიური ცოდნის საფუძვლიანობისა.

როგორაა არქივები და საარქივო საქმე დაყენებული გერმანიის მეორე ქვეყანაში—პრუსიაში? ზედმეტი არის შეჩერება პრუსიის არქივების ისტორიის მე-XIX საუკუნის წინადროინდელ ხანაზე, ვინაიდან ამ ხანაში პრუსიის არქივების მიერ გავლილი სტადიები არსებითად ისეთივეა, როგორც ბავარიაში. ამიტომ ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ უკანასკნელ საუკუნეზე, როდესაც პრუსიაში ჩატარდა საარქივო რეფორმა ცენტრალიზაციის საფუძველზე.

ამ რეფორმის ჩატარება დაკავშირებულია პრუსიის სახელმწიფო კანცლერის და პირველი მინისტრის გარდენბერგის სახელთან. უკანასკნელმა მე-XIX ს. 10-ან წლებში მიზნად დაისახა ნაპოლეონის მსგავსად მოეხდინა მთელი პრუსიის არქივების ცენტრალიზაცია. ამ მიზნით მან დაარსა პრუსიის საარქივო საქმეთა წარსამართავად განსაკუთრებული კომისია; ამ გარემოებასთან დაკავშირებით წინანდელმა სახელმწიფო საიდუმლო არქივმა, რომელიც სასახლის სამინისტროსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ემორჩილებოდა, ადგილი დაუთმო პრუსიის ამ ახალ არქივს.

გ ა რ დ ე ნ ბ ე რ გ ი ს პირველი პროექტის თანახმად, სახელმწიფო არქივი უნდა დარჩენილიყო საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში; მაგრამ შემდეგში შეტანილ ცვლილებების მიხედვით არქივი უნდა გადასულიყო სახელმწიფო კანცლერის უშუალო გამგებლობაში.

გ ა რ დ ე ნ ბ ე რ გ ი ს რეფორმას ხელი შეუშალა ნაპოლეონის მიერ ტახტის კვლავ დაბრუნებისა და „ასი დღის“ ამბებმა. მხოლოდ ვენის კონგრესის შემდეგ გ ა რ დ ე ნ ბ ე რ გ ი ხელმეორედ შეუდგა დაწყებულ საქმის დამთავრებას. ამ ჟამად ამ საკითხის დამუშავებაში გ ა ნ დ ე ნ ბ ე რ გ თ ა ნ ერთად მონაწი-

ლეობას იღებდენ აგრეთვე ორი მისი თანაშემწე—Raumer-ი და Tchoppe. მაგრამ არც ამ შემთხვევაში მოხერხდა დადებითი შედეგების მიღწევა და ცენტრალიზაციის გატარება.

სამოციან წლების დასაწყისში საარქივო რეფორმის გატარება მეფის მიერ დაევალა კანცლერ ბისმარკ-ს, რომელმაც თავის მხრივ ეს საქმე მიანდო ცნობილ ისტორიკოსს ზიბელს. ზიბელის პროექტის თანახმად ბერლინში დაარსდა ორი ცენტრალური არქივი: ერთი—სასახლისა, ხოლო მეორე - სახელმწიფო არქივი, მთელი პრუსიისა და აგრეთვე ბრანდენბურგის პროვინციის ყველა ცენტრალურ და უმაღლეს დაწესებულებათა არქივების მოსათავსებლად. პროვინციალურ ქალაქებში ამავე პროექტის თანახმად დაარსებულ იქნა 16 ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ადგილობრივი დაწესებულებათა საქმეების შესანახად. საარქივო სამმართველო მოქცეულ იქნა სახელმწიფო კანცლერის გამგებლობაში.

90-იან წლებში Reinhold Koser-ის მიერ გამოცემულ საგანგებო დებულების თანახმად პროვინციის არქივები ემორჩილებიან პრუსიის ყველა არქივების საერთო დირექციას: მათ მოვალეობაში შედის დირექციისათვის მუშაობა—მოქმედების შესახებ ცნობების სისტემატიურად მიწოდება და საარქივო აღწერების პირების გაგზავნა. თავის მხრივ დირექცია სისტემატიურ ზედამხედველობას და კონტროლს უწევს, როგორც პროვინციის არქივებს, ისე აგრეთვე ბერლინის არქივებსაც.

პრუსიის საარქივო პრაქტიკაში ერთ-ერთ საზრუნავ საკითხს შეადგენს საკითხი საარქივო სწავლა-განათლების შესახებ. ფრანგული Ecole des Chartes-ის მსგავსად სპეციალური საარქივო სკოლის დაარსების ცდა უშედეგოდ დამთავრდა, და ამიტომ აქაც ბავარიის მსგავსად უნივერსიტეტის პროგრამაში შეტანილ იქნა არქივთმეცნიერება და ზოგიერთი მონათესავე დისციპლინები, როგორც სავალდებულო საგნები იმათთვის, ვინც სახელმწიფო არქივების სამსახურში შესვლას მოისურვებს. სავალდებულოა მთელ რიგ დამხმარე დისციპლი-

ნების (პალეოგრაფიის, დიპლომატიკის) სემინარებში მუშაობა არა ნაკლებ ორი სემესტრისა; გარდა ამისა — ორი სემესტრი ისტორიაში მუშაობა, 1 სემესტრი — გერმანულ ფილოლოგიაში და 1 სემესტრი — საარქივო მასალის პრაქტიკულ შესწავლაში.

სამსახურში შესვლისას არქივისტს ორ წლის განმავლობაში შტატს გარეშე თანამდებობა (Volontärdienst) უჭირავს ერთ-ერთ არქივში; მაგრამ სასურველად მიჩნეულია პრაქტიკანტი გაცნობილიყოს სხვა არქივებსაც. ორი წლის საარქივო პრაქტიკის მიღების შემდეგ მან უნდა დაიჭიროს გამოცდა განსაკუთრებულ კომისიაში, რომელიც შესდგება არქივის დირექტორისა (თავმჯდომარე) და მთელ რიგ ძველ არქივისტების გარდა, ადგილობრივი უნივერსიტეტის 4 პროფესორისაგან. მხოლოდ ამ კომისიაში გამოცდის ჩაბარების შემდეგ იგი შეიძლება ჩაირიცხოს შტატში.

ასეთია მოკლეთ არქივებისა და საარქივო საქმის მდგომარეობა პრუსიაში. გადავიდეთ ახლა ავსტრიაზე.

*
* *

ავსტრიის მთავარი სახელმწიფო არქივი ისე, როგორც გერმანიის არქივების უმრავლესობა, თავისი არსებობის დასაწყისს მე-XV საუკუნიდან ითვლის. მაგრამ მხოლოდ მე-XVIII საუკუნის დასაწყისიდან მიენიჭა მას დამოუკიდებელ დაწესებულების მდგომარეობა.

მარიამ-ტერეზას ტახტზე ასვლის შემდეგ, როდესაც საშეფოს მეთაურის უფლების გამორკვევა და დამტკიცება შეიქნა საჭირო, სახელმწიფო არქივის მნიშვნელობა ერთობ გაიზარდა. 1753 წელს მარიამ-ტერეზას მიერ დამტკიცებულ ბარტენშტეინის მოხსენების თანახმად ამ არქივმა გარკვეული მდგომარეობა მოიპოვა: იგი არსებითად ავსტრიის მეფის Haus და Staatsarchv-ად გადაიქცა. საარქივო საქმე გარეშე საქმეთა სამინისტროს გადაეცა, და არქივის დირექტორად Rosenthal-ი დაინიშნა.

როზენტალი საარქივო საკითხების დამუშავებას შეუდგა და მალე იმპერატორს ამის შესახებ თავისი აზრი მოხსენების სახით წარუდგინა. საარქივო მმართველობის ძირითად საკითხებთან ერთად როზენტალი ორ გარემოებას

უსვამდა ხაზს: 1) საარქივო საბუთის საერთო აღწერების შედგენის აუცილებლობას და 2) არქივის მოსამსახურეთა მეცნიერულად მომზადების საჭიროებას. ამას გარდა რ ო ზ ე ნ ტ ა ლ ს სასურველად მიაჩნდა საბუთების პირების გადაღება და მათი მოგროვება. რ ო ზ ე ნ ტ ა ლ ი ს მოხსენება იმპერატორმა დაამტკიცა და როზენტალიც შეუდგა სხვადასხვა ქალაქებში საბუთების მოგროვებისა და შესყიდვის საქმეს.

მაგრამ რ ო ზ ე ნ ტ ა ლ ი ს მოღვაწეობას მაინცდამაინც დიდი შედეგები არ მოჰყოლია იმ მხრივ მაინც, რომ არქივების ცენტრალიზაციის საქმე ამის შემდეგაც წინ ვერ წავიდა იმ სახითაც, როგორც ეს როზენტალის გეგმით იგულისხმებოდა. იოსებ II-ის მეფობის დროს მდგომირეობა არ გაუმჯობესებულა, პირიქით, კიდევ უფრო გაუარესდა: არქივების საქმე საერთოდ და კერძოდ საბუთების მოგროვების საქმეც დავიწყებას მიეცა; წერილობითი ძეგლებისა და საბუთებისადმი უდიერი მოპყრობაც ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამ ხანებში ძველ საბუთებისადმი უდიერი მოპყრობის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიგონოთ ის ფაქტი, რომ ამ დროს ვესტფალის ზავთან დაკავშირებულ, ძვირფას საბუთებს ხშირად ვენის ბაზარზე ან კიდევ სასახლის საჯინიფოში ჰპოულობდენ ხოლმე.

ავსტრიის არქივების განვითარების ახალი სტადია იწყება საფრანგეთის რევოლიუციისა და ვენის კონგრესის შემდეგ. როგოც ვიცით, მე-XIX ს. სიგრძეზე ავსტრიის სამეფოს საზღვრები საგრძნობლად გაფართოვდა. ახალი ოლქების მიმატება ასთან დაკავშირებით ავსტრიის არქივს ახლად შემოერთებულ ოლქების მთელი რიგი საბუთებისა მიემატა. ამიერიდან არქივში დიპლომატიურ ხასიათის საბუთების რიცხვიც მატულობს.

აუსტერლიცის ბრძოლის შემდეგ თანდათან იზრდება არქივების მეცნიერული მნიშვნელობაც. მ ე ტ ე რ ნ ი ხ ი, მაგალითად, თავის 1840 წლის 17 ივლისის მოხსენებაში სწერს: „არქივი მარტო სახელმწიფოებრივ მიზნებს უკვე აღარ ემსახურება და მას უნდა შეეხედოთ, როგორც Literarisches In-

stitut-სო. ამავე ხანებში ჩვენ ვხედავთ, რომ არქივის სათავეში აყენებენ ისეთ პირს, რომელსაც არქივის ახალ დანიშნულების შესაფერი სამეცნიერო მომზადება და გამოცდილება აქვს. მიღებულია ზომები მომზადებულ არქივისტების კადრის შესაქმნელად. არქივში სამსახურის მსურველს მოეთხოვება მაღალი სწავლა-განათლება (ერთ-ერთ საიმპერატორო სასწავლებელში), ფრანგულ, იტალიანურ, ძველ ფრანგულ, ძველ იტალიანურ, საშუალო საუკუნეების ლათინურ, უნგრულ, ბოჰემურ, სერბულ და ჰოლანდურ ენების ცოდნა- ამას გარდა არქივისტი კარგად გაცნობილი უნდა იყოს საისტორიო მეცნიერებებს და ზოგიერთ იურიდიულ დისციპლინებსაც: გერმანიის, ავსტრიის და უნგრეთის სამოქალაქო და სახელმწიფო სამართალს. ამასთან ერთად არქივისტს ლამაზი ხელიც უნდა ჰქონდეს. საყურადღებოა, რომ მ ე ტ ე რ ნ ი ხ ი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იმას, თუ რამდენად კეთილ საიმედო იყო არქივისტი პოლიტიკურად: ის უნდა ყოფილიყო „საუკეთესო“ ყოფაქცევისა და ამავე დროს ტახტის ერთგულიც.

არქივისათვის სამეცნიერო მნიშვნელობის მიკუთვნება გულისხმობდა ისტორიკოსებისა და მკვლევარების მიერ საარქივო მასალების გამოყენების შესაძლებლობასაც. და მართლაც, ამავე ხანებში ჩვენ ვხედავთ, რომ არქივების კარები პირველად იღება ამ მიზნით მსურველთათვის. ამასთან დაკავშირებით იბადება საკითხი გასაცემ მასალების თარიღის შესახებ, ე. ი. საკითხი, თუ რომელი წლების მასალების გაცემა შეიძლებოდა მკვლევართათვის. ასეთ თარიღად დადგენილ იქნა 1740 წელი, რომლის შემდეგდროინდელ მასალის გაცემა სასტიკად იყო აკრძალული. მასალებით სარგებლობა ავსტრიელ მკვლევართ შეეძლოთ იმ შემთხვევაში, თუ ისინი „patriotisch gesinnt sind“, ხოლო უცხოელებისათვის შემოღებული იყო კიდევ უფრო მეტად შემზღუდავი წესები.

ავსტრიის არქივების განვითარების ისტორიაში ახალი ხა-

ნა იწყება 1868 წლიდან, როდესაც სახელმწიფო არქივის დირექტორად დაინიშნა მარიამ-ტერეზას ცნობილი ისტორიკოსი ა რ ნ ე ტ ი. ღრმა პატრიოტულ გრძნობებთან ერთად ა რ ნ ე ტ ი, ვითარცა გამოჩენილი ისტორიკოსი, ნუმიზმატი და არქეოლოგი, განიცდიდა მეცნიერებისადმი განსაკუთრებულ ლტოლვას და თავის ახალ დანიშნულებასაც იგი უპირველესად ყოვლისა სწორედ მეცნიერის თვალსაზრისით უყურებდა. დანიშვნისთანავე მან წამოაყენა მოთხოვნილება, რომლის მიხედვით არქივი უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ მეცნიერებას და იგი არ უნდა იყოს პოლიტიკური მოსაზრებით რითიმე შეზღუდვილი. ამიერიდან, მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ ავსტრიის არქივის კარი ფართედაა ღია მკვლევართათვის.

არნეტის მოღვაწეობის შედეგად ავსტრიის არქივების ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ ცვლილებებს, რომელნიც თითქმის უკანასკნელ დრომდე შენახულან.

არნეტის შემდეგ ავსტრიის მთავარი სახელმწიფო არქივის გვერდით თანდათანობით საოლქო არქივებიც ჩნდებიან. ცენტრალურ და საოლქო არქივებს აერთიანებს უმაღლესი საარქივო ორგანო—საიმპერატორო საარქივო საბჭო, რომელიც გარეშე საქმეთა სამინისტროს ემორჩილება. ამ საბჭოში უნივერსიტეტის პროფესორის მოწვევით შედიან ვენის არქივების დირექტორები, რომელთაც მეცნიერებაში დიდი სახელი აქვთ დამსახურებული. საბჭო არსებითად ერთგვარ სადირექტივო ორგანოს წარმოადგენს, და მის მოვალეობას უმთავრესად საარქივო საქმის საერთო ნორმების შემუშავება შეადგენს. ამიტომ ის თავისი ფუნქციებით არ წააგავს საარქივო დირექციას ან საარქივო სამმართველოს. ამასთანავე პროვინციის და ვენის არქივებს შორის არავითარი დამოკიდებულება არა რის.[1] ვენის არქივში შედის საოლქო არქივების მხოლოდ ის საბუთები, რომელთაც დამოკიდებულება აქვთ ჰაბსბურგის სახლის

[1] ამ მხრივ უნგრეთში არქივების ორგანიზაცია რამდენიმედ სხვანაირია: ადგილობრივი არქივები დამოკიდებული არიან ბუდაპეშტის არქივებისაგან.

ისტორიასთან ან საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიასთან. ის ფონდები კი, რომელთაც მხოლოდ ავსტრიის შინაგან ისტორიასთან აქვთ კავშირი, ვენის არქივში შედიან იმდენად, რამდენად მათ სამეფო დინასტიის ისტორიასთან აქვთ დამოკიდებულება.[1]

ავსტრიის არქივების დამახასიათებელ თვისებად უნდა ჩაითვალოს უნივერსიტეტებსა და არქივების შორის ახლო კავშირი. ასეთ კავშირს ჩვენ ვხედავთ ყოველ ნაბიჯზე: უნივერსიტეტისა და არქივების პერსონალურ შემადგენლობაში, გამომცემლობაში, სამეცნიერო მუშაობაში და სხვა. საყურადღებოა, რომ თვით უმაღლესი საარქივო სასწავლებელი Institut für Oesterreichische Geschichtsforschung-ი უნივერსიტეტთან არსებობს და მისი დაწესებულებად ითვლება. ინსტიტუტის სათავეშიც ფაკულტეტის არჩევით ვენის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის ერთი დოცენტთაგანი სდგას.[2]

რაკი სიტყვამ მოიტანა, შეიძლება ვენის ინსტიტუტის დანიშნულებისა და არქივისტების მომზადების საკითხსაც შევეხოთ ოდნავ. Institut für Oesterreichische Geschichtsforschung-ი, რომელიც 1854 წლიდან არსებობს და რომლის ფაქტიურ დამაარსებლად Ecole des Chartes-ის მოწაფე, თეოდორე ზიკელი ითვლება, თავისებური საარქივო სასწავლებელია. აქ შესვლა შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც უნივერსიტეტის კურსი ბრწყინვალედ დაუმთავრებია. ინსტიტუტში ორი წლის კურსია. ერთი წლის შემდეგ მსმენელი „ინსტიტუტის წევრად“ ითვლება. ინსტიტუტის პროგრამაში სჭარბობს უმთავრესად საარქივო-საისტორიო საგნები: წყაროთა შესწავლა, დიპლომატიკა, ქრონოლოგია, ჰერალდიკა,

---

[1] ფინანსთა სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, კულტის სამინისტროს და სხვა უწყებათა არქივებიც საბჭოს ემორჩილებიან.

[2] ცნობები შეეხება მდგომარეობას 1918 წლის რევოლიუციამდე. შემდეგი ცნობები საერთოდ არ მოგვეპოება.

არქივთმეცნიერება, ბიბლიოთეკათმეცნიერება, პალეოგრაფია და სხვა.

საგამოცდო მოთხოვნილების დადგენა უნივერსიტეტის ფაკულტეტის საქმეა, მაგრამ ვისაც სურს საარქივო საქმეს მოჰკიდოს ხელი, უნდა ჩააბაროს საიმპერატორო საარქივო საბჭოს მიერ დამტკიცებული გამოცდები. ინსტიტუტი ერთ და იმავე დროს უნივერსიტეტსაც და არქივებსაც ემსახურება. ინსტიტუტში კურს დამთავრებულების ნაწილი საარქივო სამსახურში მიდის, ნაწილი-კი—წმინდა სამეცნიერო მუშაობას ჰკიდებს ხელს და ცდილობს კათედრა მიიღოს. ისტორიის ზოგიერთ კათედრასთან დატოვებულთათვისაც ინსტიტუტის კურსის გავლა საავალდებულოა.

ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ ავსტრიაში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ზოგიერთ დარგებში მკვლევართა მომზადება და არქივისტების მომზადება ერთი და იმავე დონეზე არის დაყენებული და ერთი და იმავე დაწესებულების კედლებში სწარმოებს. ეს გარემოება ღრმა სამეცნიერო ბეჭედს ადებს ავსტრიის არქივების ცხოვრებას.

როგორი პირობებია მკვლევართათვის სამუშაოდ ავსტრიის არქივებში?

სამეცნიერო მიზნით გამოყენების მხრივ განსაკუთრებით კარგი პირობებია ვენის არქივებში. აქ მუშაობისათვის ნებართვის აღება შედარებით ადვილია: ნებართვას თვით დირექტორი იძლევა, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც დირექტორი ნებართვას არ მისცემს მსურველს (რაც უფრო ხშირად კლერიკალურ პარტიებისაგან იქვის აღების მოსაზრებით ხდებოდა ხოლმე წინად), მკვლევარს შეუძლია ნებართვისათვის გარეშე საქმეთა მინისტრს მიმართოს.

ნებართვის მიღების ჩვეულებრივი ფორმალური წესები შემდეგში მდგომარეობს: მსურველს არქივში შეაქვს წერილობითი განცხადება, სადაც აღნიშნულია, თუ რა საკითხი სურს მას დაამუშაოს არქივში. არქივი ვალდებულია დაამზადოს

რაც შეიძლება ბევრი მასალა ამ საკითხის შესახებ. ეს მასალები მოთავსდება ხოლმე ერთ შკაფში, რომელიც მკვლევარის განკარგულებაში რჩება მისი მუშაობის მთელი ხნის განმავლობაში. საჭირო მასალების მოძებნა ევალება არქივის ერთ-ერთ მოხელეს, რომელიც სპეციალურად მიჩენილია მკვლევარისათვის ხელის შესაწყობად.

დასასრულ, საყურადღებოა, რომ ავსტრიაში არქივები უფრო მეტ ხანს არის ღია, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანაში: ასე, მაგ., ვენისა და ბუდაპეშტის არქივები ყოველდღე ღიაა[1]. წლის განმავლობაში ვენის არქივი დაკეტილია დიდი-დიდი 3—4 დღე[2].

ლიტერატურა:

1. Проф. М. Полиевктов, Архивное дело в Германии и Австрии, А. К.

2. Проф. А. Смирнов, Очерки по истории арх. дела.

3. Löher, Archivlehre, 1890 წ. პადერბორნი.

4. Holtzinger, Katechismus der Registratur und Achivkunde, ლაიპციგი, 1883 წ.

5. Helfert, Staatliches Archivwesen, 1893 წ. ვენა.

6. Loewe, Das Deutsche Archivwesen, seine Geschichte und Organisation, Breslau, 1921.

7. Сомоквасов, Централизация государственных архивов. Архивное дело на западе.

8. Инна Любименко, Общегерманский государственный архив, А. Д., III—IV, 1925 წ.

9. Archivalische Zeitschrift, მიუნხენი, 1890 წ-დან.

10. Monumenta Germaniae historica, 1826 წ-დან.

11. Инна Любименко, Архив Немецкаго Рейха в Потсдаме, А. Д. V—VI, 1926 წ.

---

[1] კვირა-უქმე ღიაა სამი საათით.

[2] ასეთი მდგომარეობა იყო 1918 წლის რევოლიუციამდე. თუ როგორი მდგომარეობაა ახლა, არ ვიცით.

12. **Brand,** Archivwissenschaft, ბადერბორნი, 1854 წ.

13. **H. Breslau,** Handbuch der Urkundenlehre für Deutschland und Italien, ლეიპციგი, 1889 წ.

14. **Muller, Feith, Fruin,** Anleitung zum Ordnen und Beschreiben von Archiven. (Für deutsche Archivare bearbeitet von H. Kaiser), ლაიპციგი, 1905 წ.

15. **Fladt,** Registraturwissenschaft, 1765 წ.

16. **Bachmann,** Ueber Archive deren Natur und Eigenschaften, 1801 წ.

17. **Zinkernagel,** Handbuch für angehende Archivare, 1802 წ.

18. **Oega,** Ideen einer Theorie der Archivwissenschaft, 1804 წ.

თავი მეექვსე.

სახელმწიფო არქივების ცენტრალიზაცია დასავლეთ ევროპის დანარჩენ ქვეყნებში.

1. იტალია.

დასავლეთ ევროპის უმთავრეს ქვეყნებში არქივებისა და საარქივო საქმის განვითარების ცოტად თუ ბევრად მთლიანი ისტორიის გაცნობის შემდეგ, დასავლეთ ევროპის დანარჩენ ქვეყნების მიმოხილვის დროს, ეფიქრობთ, საკმარისი იქნება შევჩერდეთ არქივებისა და საარქივო საქმის განვითათების მხოლოდ ერთ მომენტზე, სახელდობრ, ცენტრალიზაციის პრინციპის ნიადაგზე ამ ქვეყნებში ჩატარებულ საარქივო რეფორმებზე და ამ რეფორმების შედეგად იქ შექმნილ მდგომარეობაზე. ამასთანავე, ჩვენის აზრით, საკმარისი იქნება შევჩერდეთ მხოლოდ ზოგიერთ ქვეყნებზე, სადაც ამ რეფორმებს შედარებით უფრო გარკვეული ხასიათი ჰქონდა და სადაც ამ რეფორმის შედეგად შექმნილი მდგომარეობა ჩვენთვის უფრო საინტერესოა. ასეთი ქვეყნებია: იტალია, ბელგია, ესპანეთი, შვეიცარია, დანია, და ჰლანდია. დავიწყოთ იტალიიდან.

თანამედროვე იტალიის არქივები უმთავრესად უკანასკნელ ხანებში, ნიშანდობლივ საფრანგეთის რევოლიუციის შემდეგ, ჩამოყალიბდენ. არქივების ცენტრალიზაციის პირველი ცდაც ამ დროიდან იწყება. საფრანგეთის რევოლიუციას ამ მხრივ არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იტალიისათვის, ვიდრე დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისათვის.

მაგრამ თვით ნაპოლეონის ეპოქასაც დიდი მნიშველობა ჰქონდა იტალიის სახელმწიფოებრივ ცხოვრებისათვის საერ-

თოდ და კერძოდ მისი არქივებისათვის. თუ წინად იტალია დანაწილებული იყო მრავალ სახელმწიფოებრივ ერთეულებად (პიემონტი, ლომბარდია, ვენეცია, ტოსკანას საჰერცოგო, პაპის ოლქი, ორივე სიცილია და სხვა), ნაპოლეონის დროს ჩვენ ვხედავთ იტალიის ერთგვარ გაერთიანებას: იტალია ამ დროს დაყოფილია მხოლოდ სამ ნაწილად—საკუთრივ იტალიის სამეფოდ, ნეაპოლიტანიის სამეფოდ და იმ ოლქებად, რომელნიც საფრანგეთს შეუერთდენ უშუალოდ.

ამავე ხანებში იწყება საარქივო რეფორმებიც: 1808-12 წ. წ. ნეაპოლიტანიის ვიცე-კოროლი მიურატი ცდილობს მოახდინოს არქივების, ან უკეთ, საარქივო საქმის ცენტრალიზაცია: ნეაპოლში არსდება გენერალური არქივი—Archivio Generale, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ, 1818 წელს გამოცემულ კანონის თანახმად, არსდება მთავარი არქივი—Archivio Grande სამი სექციითურთ. 1844-45 წლებში ეს კანონი ვრცელდება სიცილიაზედაც—და პალერმოში არსდება მეორე Arcivio Grande. შემდეგ ხანების სიგრძეზე ამ ორ არქივში თანდათანობით თავს იყრის მთელი სამხრეთ იტალიის არქივებიც.

ნეაპოლის სამეფოსთან ერთად ამგვარივე რეფორმები ტარდება იმავე ხანებში ვენეციასა და ლომბარდიაში. 1829 წელს გამოდის ახალი დებულება ვენეციის არქივის შესახებ, რომლის თანახმად ცალ-ცალკე არქივები გაერთიანებულ და მოთავსებულ იქნა ერთ შენობაში Frari-ს ეკლესიასთან. საყურადღებოა, რომ ეს დებულება ოდნავი ცვლილებებით დღესაც ძალაშია. 1807 წელს ნაპოლეონის დეკრეტის თანახმად ლომბარდიაში (ქ. მილანში) არსდება დიპლომატიური არქივი. მილანის არქივის დირექტორად ინიშნება ლ უ ი ჯ ი პ ე რ რ ო ნ ი. სამწუხაროდ, პ ე რ რ ო ნ ი ს მოღვაწეობა არ გამოდგა მაინცდამაინც ნაყოფიერი, რის გამოც მილანის არქივმა იტალიის სხვა არქივებთან შედარებით უკანასკნელი ადგილი დაიჭირა.

მე-XIX საუკუნის ნახევრიდან იწყება მეორე პერიოდი იტალიის არქივების ისტორიაში, ამ პერიოდში არქივების განვითარება დაკავშირებულია ტოსკანის ჰერცოგ ლეოპოლდ მე II-ის მოღვაწეობასთან. 1852 წელს ლეოპოლდ მე II-ე აარსებს საგანგებო ცენტრალურ დირექციას, რომელიც თავის მხრივ ჰნიშნავს სპეციალურ კომისიას. ამ კომისიის მეცადინეობით ფლორენციის არქივი გადაიქცა ტოსკანის ოლქის მთავარ არქივად. 1865 წელს, როდესაც ფლორენცია ჩრდილოეთ იტალიის სატახტო ქალაქად გადაიქცა, ეს არქივიც ერთობ გაიზარდა. 1858 წელს სახელმწიფო არქივი არსდება სიენში, ხოლო 1860 წელს—პიზაში. ამავე დროს სწარმოებს ლუკკას არქივების გაერთიანება და მოდენში სახელმწიფო არქივის დაარსება (1863 წ.)

საყურადღებოა, რომ მე-XIX საუკუნის 50-ან წლებშივე იტალიის სხვა და სხვა ცენტრებში ჩნდება საარქივო სასწავლებლების მაგგვარი დაწესებულებებიც. მართალია, ეს დაწესებულებები დამოუკიდებლად კი არ არსებობენ, არამედ არქივებთან არიან მოწყობილი, მაგრამ იქ სწარმოებს არქივთმეცნიერებისა და პალეოგრაფიის სწავლება საკმაო ფართე პროგრამით. ასე, მაგალითად, 1854 წელს ვენეციაში, ხოლო ცოტა დაგვიანებით ფლორენციაშიაც არსდება ასეთი სკოლები, რომელთაც შემდეგში საკმაოდ დიდი სახელი მოიხვეჭეს.

1870 წლებიდან, ე. ი. იტალიის გაერთიანებიდან, იწყება ახალი მესამე პერიოდი იტალიის არქივების ისტორიაში. ამ ხანებში გაერთიანებულ იტალიის მთავრობა ცდილობს სისტემაში მოიყვანოს ყველაფერი ის, რაც საარქივო დარგში მანამდე გაკეთებულა. 1870 წელშივე არსდება საგანგებო საარქივო კომისია, რომელიც მოწადინებულია უფრო გააგრძელოს საარქივო ცენტრების მიერ უკვე დაწყებული მუშაობა, ვიდრე შემოიღოს ახალი რეფორმები. მთავრობის ყურადღების ცენტრია რომი, რომელიც ამიერიდან გაერთიანებულ სახელმწიფოს სატახტო ქალაქია, და პიემონტი, რომელიც

სავოიის დინასტიის ცენტრია. სწარმოებს საერო და სასულიერო ხელისუფლებათა გავლენის სფეროების გამიჯვნა. საერო ხელისუფლება აუქმებს ძველ დაწესებულებათა ერთ ნაწილს, ხოლო ამ დაწესებულებათა მეორე ნაწილი შეგუებულია ახალ ვითარებასთან. ეს ცვლილებები გავლენას ახდენს არქიეებზედაც. 1871 წელს რომის არქივი გადაკეთდა Archivio di Regno-დ. 1873 წელს მოწყობილ იქნა მილანის არქივი. 1874 წელს გამოდის ახალი საარქივო კანონი, რომლის მიხედვით ძირიანად იცვლება საარქივო საქმის მდგომარეობა ორგანიზაციის მხრივაც.

1874 წლამდე არქივების ნაწილი შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგებლობაში იმყოფებოდა, ნაწილი კიდევ სახ. განათლების სამინისტროს გამგებლობაში, ხოლო ამ დროიდან ყველა არქივები უქვემდებარდება შინაგან საქმეთა სამინისტროს. სამინისტროსთან არსებობს საგანგებო საარქივო სექცია, რომლის სათავეში სდგას საარქივო საბჭო. საბჭოში შედის რამოდენიმე დირექტორი სახელმწიფო არქივებისა და რამოდენიმე მაღალი მოხელე სამინისტროსა. იტალია იყოფა 10 საარქივო ოლქად. სახელმწიფო არქივების საერთო რიცხვი უდრის 17-ს, და ისინი იყოფა პირველი და მეორე ხარისხის არქივებად.

თვითეულ არქივის სათავეში სდგას საგანგებო დირექცია, რომლის ერთ-ერთი წევრი (ამორჩეული) არის იმავე დროს superintendento-ც. არქივების საერთო ზედამხედველობა და კონტროლი ეკუთვნის სამინისტროს, მაგრამ თვითეულ საარქივო ოლქის არქივების წარმართვის საქმე სავსებით მინდობილია დირექტორზე, რომლის უფლებები ერთობ დიდია.

1874 წლის კანონს გათვალისწინებული აქვს საარქივო სამსახურის გრადაციაც: მოსამსახურეები იყოფა ორ ძირითად კატეგორიად. ერთს შეადგენენ საკუთრივ მოხელენი (impiegati), ხოლო მეორეს—დაბალი მოსამსახურენი (servizio). Impiegati-ები არიან: სუპერინტენდენტი, დირექტორი, მთავარი

არქივისტი, პირველი არქივისტი, არქივისტი და არქივისტის თანაშემწე. Servizio-ები არიან: რეგისტრატორები და კოპისტები—პირის გადამწერები. პირველი ხარისხისთვის საჭიროა უმაღლესი განათლების დამთავრების მოწმობა, ხოლო მეორისათვის—საშუალო სასწავლებლისა. მაგრამ ეს მოწმობა მხოლოდ გამოსაცდელად განსაზღვრული დროით არქივში მიღების უფლებას იძლევა, ხოლო მუდმივ (შტატის) სამსახურში შესასვლელად საჭიროა დამატებითი გამოცდა არქივთმეცნიერებაში და პალეოგრაფიაში. საქმე ამითაც არ განისაზღვრება: სამსახურში ყოველ დაწინაურების დროს საჭიროა პროგრამის უფრო გაღრმავებული გამეორება და სათანადო გამოცდის ჩაბარება. ყოველ შემთხვევაში ასეთი გამოცდა უწევს მოსამსახურეთა საერთო რიცხვიდან არა ნაკლებ $^2/_3$-ს, დანარჩენ $^1/_3$-დს შეიძლება ელირსოს დამსახურების მიხედვით შემდეგი ხარისხზე გადარიცხვა უგამოცდოდ.

ამრიგად იტალიაში საარქივო სამსახური, ან უკეთ, სამსახურში დაწინაურება დაკავშირებულია პერიოდიულ გამოცდებთან ორ საგანში: არქივთმეცნიერებასა და პალეოგრაფიაში. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ხშირად არქივებთან, როგორც ნათქვამი გვქონდა, საარქივო „სკოლებია“ მოწყობილი პალეოგრაფიისა და არქივთმეცნიერების შესასწავლად.

ასეთი სკოლების მოწყობა დაკისრებული აქვს ჩვეულებრივად ერთ-ერთ უფროს არქივისტთაგანს. ჩვეულებრივად სკოლაში ორი წლის კურსია, რომლის განმავლობაში სავალდებულოა 60 ლექციის მოსმენა და 60 საათის პრაქტიკული ვარჯიშობა. ეს მდგომარეობა დღესაც თითქმის შეუცვლელი რჩება.

დასასრულ, 1874 წლის კანონი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ იგი ადგენს სასტიკ წესებს არქივში საქმეების ჩაბარების შესახებ. ამ წესების თანახმად სახელმწიფო დაწესებულებები ვალდებული არიან განსაზღვრულ ვადაში ჩააბარონ არქივს თავიანთი საქმეები უეჭველად წესრიგში მოყვანილი და აღ-

წერილი. საქმეების ჩაბარებასთან დაკავშირებული ხარჯები ეკისრება იმ დაწესებულებას, რომლის საქმეებს იბარებს არქივი. ამას გარდა კანონში დადგენილია აგრეთვე არქივების შენახვის წესებიც.

ზემოდ ჩვენ ლაპარაკი გვქონდა იტალიის საარქივო ოლქებად დაყოფის შესახებ. ეს ოლქებია:

1) რომის ოლქი, რომელშიც 1872 წელს დაარსდა Archivio di Stato, ხოლო 1874 წლის შემდეგ Archivio del Regno.

2) პიემონტის ოლქი (ცენტრი—ტურინში).

3) ლიგურიის ოლქი (არქივი — გენუაში).

4) ლომბარდიის ოლქი (მთავარი არქივი მილანში, მეორე ხარისხის არქივები — ბერგამოსა და ბრეშაში).

5) ვენეციის ოლქი (ცენტრი — ვენეციაში).

6) ემილიას ოლქი (ცენტრი — პარმა, მეორე ხარისხის არქივები — ბოლონიაში, მოდენსა და რეჯიაში).

7) ტოსკანას ოლქი (მთავარი არქივი — ფლორენციაში, მეორე ხარისხის — პიზაში, ლუკაში და სიენში).

8) ნეაპოლის ოლქი (ცენტრი ნეაპოლში).

9) სიცილიის ოლქი (ცენტრი პალერმოში).

10) სარდინიის ოლქი (ცენტრი კალარში).

ასეთია მთავარი მომენტები 1874 წლის საარქივო კანონისა, რომლის მიხედვით წარიმართებოდა საარქივო საქმე იტალიაში 1911 წლამდე, როდესაც გამოცემულ იქნა ახალი დეკრეტი საარქივო საქმის შესახებ. 1911 წლის დეკრეტს 1874 წლის დეკრეტში შემდეგი ცვლილებები შეაქვს: შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საარქივო საბჭოს შემადგენლობა გაფართოებულია საისტორიო მეცნიერებათა დარგში სახელმოხვეჭილ პირების საპატიო წევრებად შეყვანით. საბჭოს დავალებული აქვს არქივების მიმდინარე მუშაობისა და ცხოვრებისათვის თვალყურის დევნება, საარქივო კავონების პროექტების დამუშავება. საბჭოდან გამოყოფი-

ლია უფრო მცირე შემადგენლობის საბჭო — „Giunta“, — განმკარგულებელი ორგანო, რომელიც განაგებს სამმართველოს.

1874 წლის დეკრეტის გამოცემიდან 1911 წლამდე მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა, სხვათა შორის იმ მხრივაც, რომ იტალიაში არქივების რიცხვი გადიდდა, ხოლო პირველ ხარისხის არქივებსა და მეორე ხარისხის არქივებს შორისაც განსხვავება უმნიშვნელო შეიქნა. 1911 წლის დეკრეტი ამ გარემოებას რამდენიმედ ადასტურებს, ყოველ შემთხვევაში ამ დეკრეტის შემდეგ ფაქტიურად ისპობა ერთის მხრივ იტალიის ათ საარქივო ოლქებად დანაწილება და არქივების ხარისხებად დაყოფა. სუპერინტენდენტისა და დირექტორის თანამდებობათა შორის პრაქტიკაში უკვე არსებითი განსხვავებაც აღარ არის. მეორეს მხრივ 1911 წლის დეკრეტით ერთობ გადიდებულია მოთხოვნილება არქივის მოსამსახურეთადმი. ეს მოთხოვნილება არქივთმეცნიერებისა და პალეოგრაფიის უფრო ზედმიწევნით ცოდნის მოთხოვნაში გამოიხატება. სამაგიეროდ საარქივო სამსახურში შემოღებული იერარქია რამდენიმედ გამარტივებულია: პირველი ხარისხის მოსამსახურეთათვის წინანდელი ექვსის ნაცვლად მხოლოდ სამი თანამდებობა არსებობს: დირექტორი, უფროსი არქივისტი და არქივისტი. ცენზის მხრივ წინანდელი მდგომარეობა შეუცვლელი დარჩა. სამსახურში დაწინაურება სწარმოებს არა სამსახურის ხანგრძლივობის მიხედვით, არამედ მოსამსახურის სამეცნიერო მოღვაწეობის მიხედვით. [1]

ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ იტალიის არქივი წარმოადგენს წმინდა სამეცნიერო დაწესებულებას, რომელიც ერთის მხრივ საარქივო მასალებს ინახავს, ხოლო მეორეს მხრივ მათი მეცნიერულ ექსპლოატაციას ახდენს. მაგრამ ამავე დროს იგი ემსახურება მთავრობას — საბუთებისა და ცნობების პრაქტიკულ საჭიროებისათვის მიწოდებით, ხოლო მეცნიერებას —

[1] არქივის მოსამსახურეთა სამეცნიერო შრომების შესახებ ანგარიშები ჩვეულებრივად საარქივო Annuarii-ბში იბეჭდება.

ისტორიული მასალის შენახვითა და მათი გამოყენების შესაძლებლობის შექმნით. ყველაფერ ამას თუ დავუმატებთ იმ გარემოებას, რომ იტალიის არქივში დაზიანებულ საბუთების აღდგენა ფართედ არის დაყენებული და რომ ის ამ მხრივ საბუთების სარესტავრაციო ლაბორატორიას წარმოადგენს, — ჩვენთვის ცხადი გახდება ის მნიშვნელობა, რომელიც ამჟამად იტალიის არქივს მოპოებული აქვს ქვეყნის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში[1].

2. ბელგია.

თანამედროვე ბელგიის არქივები ორგანიზაციისა და მოწყობილობის მხრივ ძალიან მოგვაგონებენ საფრანგეთის არქივებს. მაგრამ საფრანგეთის რევოლიუციის წინადროინდელი ბელგიის არქივებიც არსებითად ისეთივე მდგომარეობაში იმყოფებოდენ, როგორც საფრანგეთისა. რევოლიუციამ, რომელმაც თვით საფრანგეთში საარქივო დარგში იმ დროისთვის არსებული წესები ძირეულად შესცვალა, ბელგიის არქივებზე უმთავრესად მხოლოდ შემოქმედებითი გავლენა იქონია: ნგრევითი პროცესს, რომელსაც რევოლიუციასთან დაკავშირებით საფრანგეთის არქივების ცხოვრებაში ფართე ადგილი ჰქონდა, ბელგიაში ადგილი არ ჰქონია.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამ ხანებში ბელგიის

---

[1] იტალიის არქივების შესახებ იხ. შემდეგი ლიტერატურა: 1. Проф. Полиевктов, Архивы Италии, А. К.; 2. Проф. А. Смирнов, Очерки по истории арх. дела.: 3. Проф. Д. Самоквасов, Централизация госуд. арх. зап. Евр.в связи с архивной реформой в России; 4. H. Breslau, Handbuch der Urkundenlehre für Deutschland und Italien (ლეიპციგი, 1889); 5. A. Pesce, Notizie suglie archivi di Stato (Roma, 1906); 6. Gechard, Les archives de Vatican, 1874 წ.; 7. Brom, Guide aux archives de Vatican, 1911 წ.

არქივები შედარებით უკეთეს პირობებში აღმოჩნდენ, ვიდრე საფრანგეთისა. ამიტომვე ცდილობდა კონვენტის ეპოქის საფრანგეთი მიებაძა ბელგიისათვის არქივების მოწყობის საქმეში და გადმოეღო ბელგიიდან საარქივო მართვა-გამგეობის წესები. სწორედ ამ მიზნით იყო ამავე ხანებში გაგზავნილი იქ საფრანგეთის ეროვნულ არქივების მთავარი არქივისტი (მცველი), რომელიც საქმის შესწავლის შემდეგ, პარიზში დაბრუნებისას ცდილობდა არქივები ისე მოეწყო, როგორც ეს ბელგიაში იყო.

მაგრამ ეს იყო რევოლიუციის პირველ ხანებში, როდესაც საფრანგეთი ძველს ანგრევდა და ახალის შექმნას მხოლოდ იწყებდა. ხოლო მას შემდეგ, რაც საფრანგეთის რევოლიუციის შემოქმედებითი პროცესი ფართედ გაიშალა საერთოდ და კერძოდ საარქივო დარგში ახალ პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით ახალი პრინციპები იქნა წამოყენებული, საფრანგეთი შეიქნა ტონის მიმცემი მთელი დასავლეთ ევროპისა და კერძოდ ბელგიისათვისაც საარქივო საქმის დარგში.

ნაპოლეონის დროს, როდესაც არქივების ცენტრალიზაციის იდეის ცხოვრებაში გატარება დაიწყო, რეფორმა ბელგიასაც წვდა და იქაც დაიწყო ნელი ტემპით ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა. პირველი ასეთი ნაბიჯი გამოიხატა იმაში, რომ ნაპოლეონის ბრძანებით ცენტრალური არქივის მოსათავსებლად გადაცემულ იქნა ბელგიის მმართველის სასახლე. პირველ ნაბიჯს მოჰყვა შემდეგი ნაბიჯებიც. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ბელგიის საარქივო კანონმდებლობა, რომელიც მიზნად ისახავს არქივებისა და საარქივო საქმის რაციონალურად მოწყობას ცენტრალიზაციის საფუძველზე. მე XIX საუკუნის სიგრძეზე გამოცემულ იქნა მთელი რიგი ასეთი საარქივო კანონებისა.

ბელგიის სახელმწიფო არქივების მმართველობა დაქვემდებარებულია შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის, ხოლო არქივების უშუალო გამგებლობა დაკისრებული აქვს სამეფო არქი-

ვების დირექტორს. სახელმწიფო არქივებს შეადგენენ: ერთი მთავარი არქივი, რომელიც სატახტო ქალაქშია მოწყობილი, და 15 პროვინციალური არქივები: რვა—ძველი აქტებისა, ხოლო 7—ახალი აქტებისა. ამას გარდა თვითეულ სამინისტროს აქვს თავისი არქივი, სადაც ამ უწყების საქმეები ინახება ხოლმე. მთავარი არქივი მოთავსებულია ბრიუსელში ბელგიის ყოფ. მთავარის სასახლეში, რომელიც მოწყობილია სპეციალურად არქივისათვის საარქივო ტეხნიკის თანახმად.

მთავარ არქივში ინახება ბელგიის ცენტრალურ დაწესებულებათა საქმეები 1789 წლამდე და აგრეთვე ბრაბანტის პროვინციის დაწესებულებათა საქმეები იმავე წლამდე. ძველ აქტების პროვინციალურ არქივებში ინახება ბელგიის პროვინციების დაწესებულებათა საქმეები 1789 წლამდე, ხოლო ახალ აქტების პროვინციალურ არქივებში—1789 წლიდან.[1] ძველი აქტების პროვინციალური არქივები მოთავსებულია სათანადო პროვინციის ცენტრალურ ქალაქებში და ისინი უშუალოდ ემორჩილებიან სახელმწიფოს მთავარ არქივისტს. ახალი აქტების პროვინციალური არქივები (ან, როგორც უწოდებენ, რეგისტრატურა) მოთავსებული არიან ადგილობრივი ადმინისტრაციის შენობაში, ან კიდევ ზოგჯერ ძველი აქტების არქივის შენობაში. ახალი აქტების არქივები ემორჩილებიან უშუალოდ პროვინციის უფროსს (გუბერნატორს).

ასეთია ბელგიის არქივების მდგომარეობის ორგანიზაციული მხარე.

როგორაა არქივისტების მომზადების საქმე ბელგიაში და როგორ მოთხოვნილებებს უყენებენ იქ არქივში მომუშავეთ?

სპეციალური საარქივო სკოლა ბელგიაში არ არსებობს, მაგრამ არქივისტების მომზადება სწარმოებს უნივერსიტეტებში. ცენტრალურ და პროვინციალურ სახელმწიფო არქივებში არ-

---

[1] ეს მასალები სამ სერიად იყოფა: საქმისწარმოება საფრანგეთის ეპოქისა 1799 წლიდან 1814 წლამდე; საქმისწარმოება ჰოლანდიის ეპოქისა 1814 წლიდან 1830 წ-დე და საქმისწარმოება ბელგიის ეპოქისა 1830 წლიდან ჩვენს დრომდე.

ქივისტებისა და საარქივო მოხელეთა თანამდებობაზე ინიშნება მხოლოდ ის პირები, რომელთაც უნივერსიტეტში ჩაბარებული აქვთ საგანგებო გამოცდა შემდეგ საგნებში: საშუალო საუკუნეების პოლიტიკურ ისტორიაში, ახალი დროის პოლიტიკურ ისტორიაში, ბელგიის შინაგან პოლიტიკურ ისტორიაში. საშუალო საუკუნეებისა და ახალი დროის დაწესებულებათა ისტორიაში, პალეოგრაფიასა და დიპლომატიკაში, ქრონოლოგიასა და ჰერალდიკაში, საშუალო საუკუნეების ლათინურ ენაში, ახალ ფლამანდურ ენაში და ერთ-ერთ თანამედროვე ევროპიულ (გერმანულ, ინგლისურ, იტალიანურ ან ესპანურ) ენებში. ამას გარდა ჩვეულებრივად თვით არქივებში, გამოცდილ არქივისტების ხელმძღვანელობით. სწარმოებს პრაქტიკულად საარქივო საქმის შესწავლა. ასე, რომ არქივისტების მომზადების საკითხს ბელგიაში ჯეროვანი ყურადღება აქვს მიქცეული და იგი დამაკმაყოფილებლად არის მოგვარებული.

ბელგიისა და საფრანგეთის არქივების ორგანიზაციათა შორის პარალელი რომ გავიყვანოთ, უნდა ვაღიაროთ, რომ პირველი უფრო დამაკმაყოფილებელია, ვიდრე მეორე იმ მხრივ, რომ ბელგიაში არქივების საქმე უფრო პრაქტიკულ საფუძველზეა მოწყობილი, ვიდრე საფრანგეთში. შესაძლებელია, ეს აიხსნებოდეს ნაწილობრივ მოქმედების იმ პატარა მასშტაბით, რომელიც ბელგიის ტერიტორიის სიმკირესთან არის დაკავშირებული, მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ბელგიის საარქივო კანონმდებლობას. ეს კანონმდებლობა არ არის ისე მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი, როგორც საფრანგეთში, მაგრამ სამაგიეროდ უფრო პრაქტიკული და რაციონალურია, ვიდრე საფრანგეთში. ბელგიის საარქივო კანონების დადებითი თვისებები სხვათა შორის იმაშიც მდგომარეობს, რომ ისინი სასტიკად შეფარდებული არიან ბელგიის სახელმწიფოებრივ პირობებთან და სინამდვილასთან. სწორედ ამიტომ მათი ცხოვრებაში გატარებაც შედარებით უფრო ადვილია.

ამასთანავე საყურადღებოა, რომ არქივების ცენტრალიზაციას ბელგიაში მეცნიერული პრინციპი უდევს საფუძვლად. თვითეული სახელმწიფო არქივი თავისი შინაარსისა და მოწყობილობის მხრივ შეფარდებულია სამეცნიერო მოთხოვნილებებთან. ამ მხრივ ბელგიის ყოველი ცენტრალური არქივი წარმოადგენს დასრულებულ და მთლიან დაწესებულებას, სადაც სრული სისწორით ცნობაში მოყვანილია და კათალოგიზაციაქმნილია მთელი მასალა. ასე, რომ მეცნიერს ადვილად შეუძლია წინასწარ გამოარკვიოს, თუ რა საბუთია დაცული ამა თუ იმ არქივში.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ყოველ საბუთს თავისი ადგილი აქვს მიკუთვნილი, და ეს ადგილი კანონითაა დადგენილი. საბუთი ან საქმე, სადაც არ უნდა იყოს, აუცილებლად უნდა მოთავსდეს იმ არქივში, სადაც კანონის მიხედვით იგი უნდა იყოს მოთავსებული.

სახელმწიფოებრივი არქივების ცენტრალიზაციის პრინციპი ბელგიაში იმდენად მარტივი და პრაქტიკულია, რომ ცენტრალიზაციის განხორციელებას ბელგიაში არავითარი დაბრკოლება არ გადალობებია. როგორც ცენტრალური არქივი, ისე ადგილობრივი (პროვინციალური) არქივებიც ერთი და იმავე კანონების მიხედვით მოქმედობენ, და ორივე ტიპის არქივები სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფებიან. ეს გარემოება არქივების ცენტრალიზაციას ბელგიაში მტკიცე ხასიათს აძლევს. მაშინ, როდესაც დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში პროვინციალურ არქივების დამოკიდებულება და დაქვემდებარება ცენტრალურ არქივისათვის ხშირად ნომინალურ ხასიათს ატარებს, ბელგიაში ჩვენ ვხედავთ, რომ ადგილობრივი არქივების მუშაობა - მოქმედება სავსებით ცენტრალური არქივის დირექტივებზეა დამოკიდებული: ცენტრალური არქივი ფაქტიური ხელმძღვანელია პროვინციალურ არქივების მუშაობისა[1].

---

[1] საფრანგეთში, მაგალითად, ადგილობრივი არქივების (სადეპარტამენტო არქივების) იურიდიული მდგომარეობა რამოდენიმედ ბუნდოვანია: ცენტრალურ საარქივო სამმართველოსა და მათ შორის დამოკიდებულება იმდენად გამოურკვეველია, რომ ცენტრალურ საარქივო ორგანოს ამის გამო უძნელდება სადეპარტამენტო არქივებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა.

საყურადღებოა აგრეთვე, რომ ბელგიაში ძველი საბუთები განცალკევებულია ახალ საბუთებისაგან. ამ გარემოებას დიდი დადებითი მნიშვნელობა აქვს საარქივო (განსაკუთრებით სამეცნიერო ხასიათის) მუშაობისათვის. საქმე იმაშია, რომ ახალი საბუთებთან დაკავშირებულია სხვადასხვა დაწესებულებათა და კერძო პირთათვის პრაქტიკული ხასიათის ცნობების გაცემის აუცილებლობა. ხოლო ძველი საბუთები ასეთი ცნობებისათვის საჭიროებას არ წარმოადგენენ: ისინი საჭირო არიან მხოლოდ მეცნიერულ მიზნებისათვის. ამიტომ, როდესაც ძველ და ახალ საბუთთასაცავები ერთ დაწესებულებაშია გაერთიანებული, არქივში მომუშავეთ ხშირად უხდებათ პრაქტიკულ ცნობების ამოსაკრეფად და მოსაძიებლად დროის გაცდენა, ხოლო ეს გარემოება აფერხებს იმ მუშაობას, რომელიც საჭიროა ძველი საბუთებისათვის.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ბელგიაში ძველი საბუთები არქივებში უფრო მოწესრიგებულია, ვიდრე ეს საფრანგეთშია, მაგალითად. საფრანგეთში ძველი და ახალი საბუთები ჩვეულებრივად ერთად ინახება ხოლმე ცენტრალურ არქივებში.

პროფ. დ. სამოკვასოვი არქივების ცენტრალიზაციის ბელგიის სისტემას, სხვა ქვეყნების სისტემასთან შედარებით, მეტ უპირატესობას აძლევს: მას ეს სისტემა უფრო რაციონალურად და მისაღებად მიაჩნია[1]. ამავე აზრს, სჩანს, იზიარებს პროფესორი ა. სმირნოვიც.

3. ესპანეთი.

ესპანეთში არის სამი მთავარი სახელმწიფო არქივი: 1. Archivo general de Simancas—სიმანკასში, 2. Archivo

[1] იხ. Самоквасов, Централизация госуд. архивов Запад. Европы в связи с архивной реформой в России, 1899—1900 წ.; Проф. А. Смирнов, Очерки по истории архивного дела, 1922 წ.

general de la Corona de Aragon—ბარსელონაში და 3. Archivo historico nacional—მადრიდში.

1. Archivo general de Simancas-ის დამაარსებლად ითვლება კარლოსი მე-V-თე, რომელმაც 1543 წელს ბრძანება გამოსცა მედინა-დელ-კამპოდან ხელნაწერების სიმანკასში გადატანის შესახებ. სიმანკასის არქივის ჩამოყალიბება და მოწყობა მოხდა ფილიპე მე-II-ის დროს, როდესაც სიმანკასის ციხის შენობა გადაკეთებულ იქნა საარქივო შენობად. სიმანკასის ციხის შენობის გადაკეთება და მოწყობა ფილიპემ დაავალა ხუანდე ერერას, რომელმაც მართლაც მოაწყო ეს არქივი საუცხოოდ.

1561 წელს დ. აიალამ სიმანკასის არქივი წესრიგში მოიყვანა იმდენად, რომ შესაძლებელი გახდა დაუბრკოლებლად სარგებლობა იქ მოთავსებული საბუთებით. საერთოდ ფილიპე მე-II-ე დიდ მზრუნველობას იჩენდა ამ არქივის მიმართ და ცდილობდა იგი კარგად მოეწყო. არაგონელ ისტორიკოს სურიტას მიმართ ფილიპეს მიერ გაცემულ ინსტრუქციიდან სჩანს, რომ მას კარგად ჰქონდა შეგნებული საერთოდ არქივების არა მარტო პრაქტიკული, არამედ მეცნიერული მნიშვნელობაც.

სამწუხაროდ, ფილიპე მე-II-ეს შემდეგ (განსაკუთრებით დ. აიალას გარდაცვალების შემდეგ) სიმანკასის არქივი იმდენად ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ მას წინანდელი სახე სრულიად დაეკარგა. მაგრამ განსაკუთრებით დიდი ზიანი მოუვიდა სიმანკასის არქივს საფრანგეთის რევოლიუციის შემდეგ, ნაპოლეონის დროს, როდესაც პარიზში Palais des Archives-ის აშენებასა და იქ მთელი ევროპის არქივების გადატანას შეუდგენ. ნაპოლეონის ბრძანებით 1810 წელს სიმანკასის არქივიდან პარიზში გადატანილ იქნა უძვირფასესი ხელნაწერები. მართალია, 1814 წელს, ნაპოლეონის დაცემის შემდეგ, როდესაც პარიზში გადმოტანილ ევროპის სხვა სახელმწიფოების არქივების უკან მოგზაურობა დაიწყო, სიმანკასიდან

წამოღებული ხელნაწერებიც დაბრუნებულ იქნა, მაგრამ ამ გადატან-გადმოტანის დროს საბუთების ნაწილი დაიკარგა, ხოლო ნაწილიც დაზიანდა.

მე-XIX-ე საუკუნის მეორე ნახევრიდან სიმანკასის არქივის მდგომარეობა კვლავ გამოკეთდა: იგი გამდიდრდა მრავალი ახალი მასალებით. დ. აიალას მემკვიდრეების დროს და შემდეგ წლებში დარღვეული წესრიგიც აღდგენილ იქნა. ჩვენს დროში სიმანკასის არქივი ითვლება ერთ-ერთ მდიდარ და კარგად მოწყობილ არქივად ევროპაში: იგი შეიცავს 80.000-ზე მეტ ნაკრაულს საბუთებისას, უძველეს დროიდან უახლეს დრომდე. არქივი მოთავსებულია იმავე (სიმანკასის ციხის) შენობაში ვალიადოლიდის ახლო, სადაც ის წინად იმყოფებოდა. არქივთსაცავებს ამ უზარმაზარ შენობაში უჭირავს 53 დიდი დარბაზი.

2. Archivo general de la Corona de Aragon-ის დაარსება მიეკუთვნება ბარსელონის პირველ გრაფების დროს; მაგრამ ამ დროის საბუთების მცირე ნაწილი-ღაა დარჩენილი, უმეტესი ნაწილი კი ამ დროის საბუთებისა დაიღუპა მე-X-ე საუკუნეში (986 წ.) ალმანსორის მიერ ბარსელონის დაქცევის დროს. შემდეგ საუკუნეებში ბარსელონის (არაგონის) არქივის მდგომარეობა თანდათანობით გამოკეთების გზას დაადგა, ხოლო მე-XIV საუკუნეში არაგონის მეფის, პეტრე მე-IV-ის დროს იგი სავსებით კარგად მოეწყო.

არაგონის არქივში პირველად მხოლოდ ბარსელონის საგრაფოს საბუთები იყო, მაგრამ შემდეგში იგი გამდიდრდა სხვა მასალებით. ამ ჟამად იქ ინახება თითქმის ყველა საბუთები, რომელნიც არაგონისა და მისგან დამოკიდებულ სახელმწიფოების ისტორიას შეეხებიან. მე-XIX-ე საუკუნის ოცდაათიან წლებში არაგონის არქივში მოთავსებულ იქნა კატალონიის ყველა პროვინციალურ არქივების საბუთები. ამავე ხანებში იქ გადატანილ იქნა 1835 წელს გაუქმებულ მონას-

ტრების საბუთები და სიმანკასის არქივიდან ის საბუთები, რომელნიც არაგონის ისტორიას შეეხებოდენ.

ამ ჟამად Archivo general de la Corona de Aragon-ი მოთავსებულია ბარსელონის გრაფების ძველ სასახლის შენობაში, სადაც იგი მოთავსებული იყო ჯერ კიდევ 1838 წელს. საერთო რიცხვი ბარსელონის არქივში შენახულ საბუთებისა 4.000.000-მდე აღწევს.

3. Archivo historico nacional სიმანკასისა და ბარსელონის არქივებთან შედარებით ახალგაზრდა არქივია. იგი დაარსდა 1850 წელს. მისი დებულება მეფის ამავე წლის 28 აგვისტოს დეკრეტშია ჩამოყალიბებული.

პირველად მადრიდის არქივში ინახებოდა გაუქმებულ მონასტრების საბუთები, ხოლო შემდეგში მას მიემატა ესპანეთის რაინდების ზოგიერთ ორდენთა საბუთებიც, ესპანეთის კოლონიების ისტორიის შესახები ქაღალდები და აგრეთვე იეზუიტების მიწერ-მოწერა.

1867 წლამდე მადრიდის არქივი ისტორიის აკადემიის გამგებლობაში იმყოფებოდა, მაგრამ ამ დროიდან იგი სამინისტროს უწყებაში იქნა გადატანილი. ამ ჟამად მადრიდის არქივი de Fomento-ს სამინისტროს სისტემაშია მოქცეული.

მადრიდის არქივი იქ მოთავსებულ მასალების ხასიათისა და რაოდენობის მიხედვით საკმაოდ მდიდარ არქივს წარმოადგენს. საერთო რიცხვი იქ დაცულ მასალებისა ჩვენს დროში 200.000-ს აღემატება.

სამივე ზემოდასახელებულ არქივებს, რა თქმა უნდა, თავისი ნაკლიც აქვთ და დადებითი მხარეებიც. საერთოდ ესპანეთის არქივების მთავარ ნაკლს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მათ კათალოგები ან სრულიად არა აქვთ, ან კიდევ, თუ აქვთ, ისე ცუდად შედგენილი, რომ ამ კათალოგებით სარგებლობა დიდ დახმარებას ვერ გაუწევს მკვლევართ. კათალოგების უქონლობის გამო მრავალი საინტერესო საბუთები

ესპანეთის არქივებისა სრულიად უსარგებლოდ არის დარჩენილი: ეს საბუთები მკვდარ სიმდიდრეს წარმოადგენს, და მათი არსებობა უარსებობას უდრის.

ესპანეთის არქივების ამ ნაკლს, საბედნიეროდ, ავსებს ის გარემოება, რომ არქივის მოსამსახურე პერსონალი კარგად არის მომზადებული და საბუთების მოძებნაში დახელოვნებული. ესპანეთში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული არქივისტების მომზადებას. საერთო განათლება და არქივების შინაარსის ზედმიწევნით ცოდნა შესაძლებელს ხდის იმ მასალების მოძებნასა და მკვლევართათვის მიწოდებას, რომელთა გამოყენება კათალოგების საშუალებით სრულიად შეუძლებელია. [1]

4. შვეიცარია.

შვეიცარიის რესპუბლიკაში 22 სახელმწიფო არქივი არსებობს. ამათგან ერთი ფედერალური (Bundesarchiv) არქივია, ხოლო 21—საკანტონო (Staatsarchive). ფ ე დ ე რ ა ლ უ რ ი არქივი, რომელიც მთავარ არქივად ითვლება, იმყოფება ქ. ბერნში და მოთავსებულია ფედერაციის სასახლეში. საკანტონო არქივები კი არსებობენ თვითეულ კანტონში და მოწყობილნი არიან კანტონების ცენტრალურ ქალაქებში.

ფ ე დ ე რ ა ლ უ რ ა რ ქ ი ვ ში თავს იყრის შვეიცარიის რესპუბლიკის ყველა ცენტრალურ დაწესებულებათა საქმეები დაწყებული 1798 წლიდან. იგი წარმოადგენს მთელ შვეიცარიის მთავარ არქივს, სადაც ინახება რესპუბლიკანური ხასიათის ეველა საბუთები. კ ა ნ ტ ო ნ ა ლ უ რ ი სახელმწიფო არქივში ინახება კანტონის ყველა დაწესებულებათა (მთავრობის,

---

[1] ესპანეთის არქივების შესახებ იხ. Ж. М. Н. П., 1798 წ. (Отчет о загран. командировке приват-доцента университета св. Владимира В. Пискорского): Д. С а м о к в а с о в, Централизация госуд. архивов. Архивное дело на Западе, 1900 წ.; A l t a m i r a, De historia y arte, მადრიდი, 1898 წ.

მუნიციპალურ) საქმეები. თვითეული კანტონალური არქივი წარმოადგენს იმ კანტონის ცენტრალურ არქივს, სადაც იგი არსებობს. ამავე დროს თვითეული კანტონალური არქივი წარმოადგენს დამოუკიდებელ დაწესებულებას: იგი არ ემორჩილება შვეიცარიის სხვა რომელიმე არქივს.

კანტონალურ არქივის სათავეში სდგას არქივისტი, რომელსაც ჰნიშნავს კანტონის საბჭოს თავმჯდომარე (პრეზიდენტი). კანტონალურ არქივს თავისი ხარჯთ-აღრიცხვა აქვს; რომელსაც კანტონის საბჭო ამტკიცებს. ჩვეულებრივად კანტონალური არქივები მოთავსებულია პრეფექტურის შენობაში, ან კიდევ ყოფ. საეკლესიო დაწესებულებათა კონფისკაციაქმნილ შენობაში. ეს შენობები გადაკეთებულია არქივთსაცავად და სათანადოდ მოწყობილია ხელნაწერების შესანახად. ასე, მაგალითად, ჟენევის კანტონის სახელმწიფო არქივი (archives d'Etat), რომელიც ქ. ჟენევაში არსებობს, მოთავსებულია პრეფექტურის ქვედასართულის ოთხ ოთახში. ერთ ოთახში მოწყობილია არქივისტის (გამგის) კაბინეტი და გარეშე პირთათვის სამუშაო (სამეცადინო) მაგიდა. ამავე ოთახში ინახება საინვენტარო აღწერები და საალფაბეტო მაჩვენებლები. არქივისტს თავის ოთახშივე უწყვია ის მასალები, რომელთაც ის უშუალოდ აწესრიგებს.

დანარჩენი სამი ოთახი წარმოადგენს არქივთსაცავებს და იქ საბუთები, საქმეები და ნაკრაულები ინახება. არქივთსაცავებისათვის განკუთვნილი ოთახები მოწყობილია სათანადოდ: შუაში და კედლებთანაც დადგმულია ხის შკაფები; შკაფების თაროებზე და უჯრებში მუყაოს კოლოფები ან პაპკები არის ჩაწყობილი. ამ კოლოფებსა და პაპკებში ინახება საარქივო მასალა.

საყურადღებოა, რომ საარქივო შენობაში თამბაქოს მოწევა აკრძალულია. აკრძალულია აგრეთვე ხელოვნური განათებაც. ეს იმიტომ, რომ მუშაობა არქივებში მხოლოდ დღისით სწარმოებს. შენობას ათბობენ ორთქლით,[1] ყოველ შემ-

[1] შვეიცარიაში საერთოდ არქივებს იშვიათად ათბობენ.

ფხვევისათვის შენობის შუაადგილას ორთქლით გათბობის საერთანადო მოწყობილობა არის გაკეთებული.

კანტონალურ არქივებში, როგორც ვამბობდით, ინახება ყველა იმ დაწესებულების არქივები, რომელნიც ამათუიმ კანტონის ტერიტორიაზე მოქმედობენ. საარქივო მასალების ვადა არ არის სასტიკად განსაზღვრული. ყველა დაწესებულებას უფლება აქვს გადასცეს კანტონალურ არქივს თავისი მასალები, რომელნიც მის მიმდინარე მუშაობისათვის საჭიროებას არ წარმოადგენენ და არ არიან საჭირო ცნობებისათვის [1].

5. დანია.

სახელმწიფო არქივების ცენტრალიზაცია დანიაში დაიწყო 1883 წელს. მაგრამ ცენტრალიზაციის ძირითადი პრინციპები ჩამოყალიბდა მხოლოდ 1889 წელს, როდესაც (30/III) გამოცემულ იქნა განსაკუთრებული კანონი არქივებისა და საარქივო საქმის რეორგანიზაციის შესახებ. ამის შემდეგ დანიის არქივებისა და საარქივო საქმის დარგში არსებითი ცვლილებას ადგილი თითქმის არ ჰქონია.

ამ კანონის გამოცემის შემდეგ მის თანახმად დაარსებულ იქნა ოთხი სახელმწიფო არქივი: ერთი მთავარი სახელმწიფო არქივი (Rigsarkiv) და სამიც პროვინციალური (ფილიალური) არქივები.

Rigsarkiv-ში, რომელიც კოპენჰაგენში არსებობს, ინახება: 1) ე.წ. „საიდუმლო არქივის“ (Geheimearkiv) საბუთები, 2) ძველი სამეფო არქივის (Kongerigets Arkiv) მასალები, 3) სამინისტროების არქივები და 4) სამეფოს ყველა ცენტრალურ დაწესებულებათა არქივები.

ცენტრალურ სახელმწიფო არქივის სათაეში სდგას დირექტორი, რომელიც ამავე დროს არის ცენტრალურ სამმართველოს უფროსიც.

---

[1] იხ. Проф. Д. Самоквасов, Централизация государств. архивов. Архивное дело на Западе, 1900 ₹.

პროვინციალურ არქივებიდან ერთი არსებობს კოპენჰაგენში—ზელანდიისა, ლალანდ-ფალსტერისა და ბორნჰოლმის პროვინციებისათვის; მეორე—ქალ. ოდენზში — ფიონიის პროვინციისათვის. პროვინციალურ არქივებში ინახება ყველა ადგილობრივი დაწესებულებათა არქივები. მათ სათაეში სდგანან დირექტორები.

ვინაიდან ზემოხსენებული საარქივო კანონი (1889 წ. 30/III) წარმოადგენს ძირითად საარქივო კანონს, რომლითაც დაკანონებულია დანიაში სახელმწიფო არქივების ცენტრალიზაცია, ამიტომ მოვიყვანთ მისი მოკლე შინაარსს.

1. არსდება სახელმწიფო არქივი, რომელიც შესდგება ერთი მთავარ არქივისაგან (კოპენჰაგენში) და სამ პროვინციალურ არქივებისაგან.

2. მთავარი არქივი შესდგება ა) მეფის თანამედროვე წაიდუმლო არქივისაგან, ბ) სამეფოს არქივისაგან და გ) სამინისტროებისა და საერთოდ ყველა ცენტრალურ დაწესებულებათა არქივებისაგან. უკანასკნელ კათეგორიის არქივების მთავარ არქივისათვის გადაცემის ვადას აწესებენ სათანადო სამინისტროები.

3. პროვინციალური არქივები შესდგება იმ საბუთებისაგან, რომელთაც გადასცემენ მათ სათანადო დაწესებულებათა არქივები. პროვინციალურ არქივებშივე გადავა სათემო და მამისეული არქივებიც. ამას გარდა პროვინციალურ არქივებში გადაეცემიან მომავალში ადგილობრივი ყოველდღიური და ყოველკვირეული გამოცემათა ეკზემპლიარები, რომელნიც აქამდე კოპენჰაგენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ინახებოდენ; მათვე უნდა გადაეცეს ამ ჟამად იმავე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული ყოველდღიურ და ყოველკვირეულ პროვინციალურ გამოცემათა კოლექციები [1].

4. სახელმწიფო არქივის უფროსად ინიშნება სახელმწიფო არქივარიუსი; მთავარ არქივში ინიშნება ორი

[1] სატახტო ქალაქის ასეთი გამოცემები რჩებიან თავიანთ ადგილას, ე. ი. კოპენჰაგენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

არქივარიუსი და ოთხი საარქივო მდივნები; თვითეულ პროვინციალურ არქივში ინიშნება ერთი არქივარიუსი.

5. სახელმწიფო არქივარიუსი ღებულობს 4.800 კრონას; ყოველ ხუთ წელიწადში მას ემატება 400 კრონა, მაგრამ მისი ჯამაგირი არ უნდა აღემატებოდეს 6.000 კრონას. მთავარი არქივის არქივარიუსი ღებულობს 3.200 კრონას; ყოველ ხუთ წელიწადში მას ემატება აგრეთვე 400 კრონა, მაგრამ საბოლოოდ მისი ჯამაგირი არ უნდა აღემატებოდეს 4.400 კრონას. საარქივო მდივანი ღებულობს 2.000 კრონას; ყოველ ხუთ წელიწადში მას ემატება 300 კრონა, მაგრამ მისი ჯამაგირი არ უნდა აღემატებოდეს 2.900 კრონას. პროვინციალურ არქივების არქივარიუსები ღებულობენ საარქივო მდივნების ჯამაგირს და უფასო ბინას არქივში. [1]

6. ჰოლანდია.

ჰოლანდიაში სახელმწიფო არქივების ცენტრალიზაციის პროექტი პირველად ვეინმა წამოაყენა 1800 წელს. მაგრამ ამ პროექტით განზრახულ რეფორმის განხორციელება დაიწყო მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ, ნიშანდობლივ 1814 წელს, როდესაც ნიდერლანდების მეფემ ვილჰელმ პირველმა საგანგებო კანონმდებლობითი აქტის გამოცემით (8 მარტს) საძირკველი ჩაუყარა ნიდერლანდების სახელმწიფო არქივს, რომლის მმართველად, სახელმწიფო არქივისტის სახელწოდებით, დაინიშნა ხსენებული ვეინი.

ჰოლანდიის თანამედროვე არქივებისა და საარქივო საქმის ორგანიზაცია ემყარება 1918 წლის კანონზე და შემდეგ წლებში მის დამატებად მთავრობის მიერ გამოცემულ მთელ რიგ საგანგებო საარქივო წესებსა და ცირკულიარებზე.

---

[1] იხ. Проф. Д. Самоквасов, Централизация государственных архивов. Архивное дело на Западе, 1900 წ.

1918 წლის კანონი ჰგულისხმობს არქივების სამ ძირითად ტიპს: 1. დედა-ქალაქის სახელმწიფო არქივს, 2. საოლქო სახელმწიფო არქივებს და 3. კომუნალურ არქივებს.

1. დედა ქალაქის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, რომელსაც საერთო არქივი (De Algemeene Rijksarchieibewaarplaats) ეწოდება, ინახება ცენტრალურ სახელმწიფო დაწესებულებათა საქმეები 1813 წლამდე შემდგარი. აქვე ინახება სამხრეთ ჰოლანდიის პროვინციის აღგილობრივი დაწესებულებათა საქმეებიც. დედა-ქალაქის ცენტრალურ სახელმწიფო არქივის სათავეში სდგას დირექტორი, მთავარი სახელმწიფო არქივისტის სახელწოდებით, რომელიც ამავე დროს არის ჰოლანდიის ყველა არქივების უფროსიც [1].

არქივის დიდი შენობა მოწყობილია ევროპის თანამედროვე ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის თანახმად. მთელი შენობა მხოლოდ ქვისა და რკინისაგან არის გაკეთებული. განათების მიზნით შენობის გარშემო კედლებზე და აგრეთვე სახურავებზედაც მოწყობილია ფანჯრები. ცენტრალური საგანგებო მექანიზმის საშუალებით ყველა ეს ფანჯრები ერთ წამის განმავლობაში იხურება რკინის ფარებით. არქივის შიგნით გაკეთებულია მოძრავი რკინის თაროები, რამოდენიმე იარუსებად. იარუსები ერთი მეორესთან შეერთებულია თუჯის ხრახნული კიბით. ბეჭდიანი სიგელების შესანახად მოწყობილია ხის საგანგებო კამოდები ქვედა იარუსზე.

2. საოლქო ცენტრალური სახელმწიფო არქივები იმყოფებიან პროვინციების ადმინისტრატიულ ცენტრებში. ასეთი არქივების რიცხვი ჰოლანდიაში უდრის ათს, პროვინციების რიცხვის მიხედვით, თუ არ ჩავთვლით სამხრეთ ჰოლანდიის პროვინციას, რომლის დაწესებულებათა საქმეები, როგორც ვამბობდით, ჰაგის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ინახება. საოლქო ცენტრალურ სახელ-

---

1 ამ ჟამად ამ არქივის დირექტორად არის პროფ. ფ რ უ ი ნ ი.

მწიფო არქივებში ინახება სათანადო პროვინციის ადგილობრივ დაწესებულებათა საქმეები 1813 წლამდე შემდგარი. 1813 წლ ს შემდეგდროინდელი საქმეები კი ინახება ე. წ. პროვინციალურ არქივებში (Provinciale archiven), რომლებიც არსებითად ჩვენებური „დაწესებულებათა არქივების“ როლს ასრულებენ [1].

საოლქო ცენტრალური სახელმწიფო არქივები მოთავსებული არიან ან საგანგებოდ ამ მიზნისათვის აგებულ შენობაში, როგორც, მაგალითად, უტრეხტში, ანდა არქივისათვის გადაკეთებულ ძველ შენობებში, როგორც, მაგ. ჰარლემში. საოლქო არქივების სათავეში სდგას გამგე, რომელსაც ეწოდება სახელმწიფო არქივისტი. სახელმწიფო არქივისტი ვალდებულია თვალყური ადევნოს თავის პროვინციის დაწესებულებათა არქივებს და პერიოდულად ადგილობრივად გაეცნოს მათ მუშაობას. საოლქო არქივის გამგე — სახელმწიფო არქივისტი--ემორჩილება დედა-ქალაქის ცენტრალური არქივის გამგეს— მთავარ სახელმწიფო არქივისტს.

